ᲨᲘᲜ
ᲨᲘᲜᲐᲡᲐᲠ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲨᲘ

1996
1997

გამომცემელი: *ბაკურ სულაკაური*
პროექტის მენეჯერი: *თინათინ მამულაშვილი*
ყდის დიზაინი: *ოთარ ყარალაშვილი*
დიზაინერი: *გიორგი ბაგრატიონი*

© გამომცემლობა „დიოგენე“ 1997
გამომცემლობა „დიოგენე“
სააბონენტო ყუთი 68
380079 თბილისი

სარჩევი

წინასიტყვაობა

მრჩეველთა საბჭო 8

ბიოგრაფიის შედგენის პრინციპები 10

ბიოგრაფიები 13

ანბანური საძიებელი

დარგობრივი საძიებელი 266

წინასიტყვაობა

ბიოგრაფიული ენციკლოპედიები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოდის სხვადასხვა სათაურით (*International Biographical Dictionary, International Who's Who, Who's Who in the World* და სხვ.).

საქართველოში ამ ტიპის წიგნი (რომელშიც მოთავსებული იქნებოდა თანამედროვეთა ბიოგრაფიები) აქამდე არ გამოცემულა. გამომცემლობა „დიოგენემ" გადაწყვიტა, შეევსო ეს ხარვეზი და დაეწყო ქართულენოვანი ბიოგრაფიული ცნობარის გამოცემა.

ცნობარის სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით, წიგნში შეეიდა თანამედროვე საქართველოს იმ 500 მოქალაქის ბიოგრაფია, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში.

რასაკვირველია, შეიძლებოდა ამ რაოდენობის გაზრდა ან შემცირება, მაგრამ სარედაქციო კოლეგიამ დასაწყისისათვის ოპტიმალურად მიიჩნია რაოდენობის 500-ით შემოფარგვლა, ვინაიდან ეს გახლავთ ის მინიმუმი, რომელიც საშუალებას იძლევა დაიხატოს 1996 წლის გარკვეული სურათი.

სამწუხაროდ, წიგნზე მუშაობის პროცესში, რომელიც თითქმის ერთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, ცნობარში შესული რამდენიმე პიროვნება გარდაიცვალა. მათი ბიოგრაფიების დასაწყისში მოთავსებულია + ნიშანი.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელსაც ცნობარზე მუშაობის დაწყებისას წავაწყდით, დაკავშირებული იყო სათაურთან.

სარედაქციო კოლეგიამ გადაწყვიტა, ისეთი სათაური შეერჩია ცნობარისათვის, რომელიც ორიგინალურიც (განსხვავებული აქამდე არსებული *Who's Who* -ს თარგმანებისაგან) იქნებოდა და თან ხაზსაც გაუსვამდა გამომცემლობის ენობრივ პოზიციას — უპირატესობა მიენიჭოს სასაუბრო, ბუნებრივ ფორმებს.

უმთავრესი პრობლემა ასეთი ცნობარის შედგენისას დაკავშირებულია იმ პიროვნებების შერჩევასთან, რომელთა ბიოგრაფიებიც წიგნში უნდა შევიდეს. ვინაიდან შერჩევის ობიექტური კრიტერიუმი არ არსებობს, უნდა შექმნილიყო სისტემა, რომელიც მაქსიმალურად დაგვაზღვევდა სუბიექტურობისაგან და რეალურად დაგვანახებდა, თუ ვინ ვინაა საქართველოში.

სარედაქციო კოლეგიამ თხოვნით მიმართა სხვადასხვა დარგის რამდენიმე ცნობილ მოღვაწეს, დაგვხმარებოდნენ ცნობარის შედგენის პრინციპებისა და, კერძოდ, სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა რაოდენობრივი კვოტების დადგენაში.

სარედაქციო კოლეგიამ დააგინა საბოლოო კვოტები და დამოუკიდებელ ექსპერტებს სთხოვა, კვოტების საფუძველზე ცნობარში შესაყვან პიროვნებათა სიების მოწოდება.

კრებულის შედგენაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა დარგის 70-მდე ექსპერტმა.

ექსპერტთა სიები შეაჯერა სარედაქციო კოლეგიამ და დაადგინა საბოლოო ვარიანტი. ასე რომ, არც მრჩეველთა საბჭოს წევრებს და არც ექსპერტებს არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ ცნობარში რომელიმე კონკრეტული პიროვნების ბიოგრაფიის შეტანა-არშეტანაზე. ყველა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღებოდა სარედაქციო კოლეგიის მიერ.

იმისათვის, რომ წიგნში შეტანილი ბიოგრაფია მაქსიმალურად ზუსტი და ამომწურავი ყოფილიყო, სარედაქციო კოლეგიამ კითხვარები დაუგზავნა ცნობარში შესულ პიროვნებებს, რათა ინფორმაცია ყველაზე სანდო წყაროდან მიგვეღო.

კითხვარი, გარდა მშრალი ანკეტური შეკითხვებისა, შეიცავდა ერთ თხოვნასაც: ცნობარში შესულ ყოველ პიროვნებას ვთხოვეთ, მოკლედ, რამდენიმე ფრაზით ჩამოეყალიბებინა თავისი ცხოვრებისეული კრედო. ბიოგრაფიების შედგენისას, გადავწყვიტეთ, ეს ჩანაწერები თითქმის უცვლელად, ყოველგვარი სტილისტური ჩასწორების გარეშე გამოგვექვეყნებინა. ასე რომ, ყოველი ბიოგრაფიის ბოლოს განსხვავებული შრიფტით ანყობილ ტექსტებში (რომელთაც სათაურად შეიძლება ენოდოს „ჩემი ცხოვრებისეული კრედო") სტილი დაცულია. ამ ჩანაწერებმა, ვფიქრობთ, მშრალ ბიოგრაფიულ მონაცემებს ერთგვარი სიცოცხლე შთაბერა და ცნობარიც, ფაქტობრივად, 500 ავტორის წიგნად აქცია.

მკითხველს, ალბათ, გააკვირვებს ის ფაქტი, რომ ცნობარში ვერ აღმოაჩენს რამდენიმე ძალიან ცნობილ მოღვაწეს. საქმე ის გახლავთ, რომ რამდენიმე პიროვნებამ პრინციპული უარი განაცხადა კითხვარის შევსებაზე. გარდა ამისა, სიების დადგენისას სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობდა შარშანდელი წლის საერთო მდგომარეობით.

ცნობარში ბიოგრაფიები დალაგებულია ანბანურად, გვარების მიხედვით. თუმცა ქართულ ენციკლოპედიურ ლიტერატურაში დამკვიდრებული ერთი ტრადიციის დარღვევა მაინც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ — მიუხედავად იმისა, რომ ბიოგრაფიები გვარების მიხედვითაა დალაგებული, ბიოგრაფიის დასაწყისში ჯერ სახელია, ხოლო შემდეგ — გვარი.

„ვინ ვინაა საქართველოში. 1996-1997" პირველი წიგნია სერიისა „ვინ ვინაა". ამ სერიის მეორე ტომი „ვინ ვინაა საქართველოს უცხოურ ორგანიზაციებში" მალევე გამოვა, ხოლო შემდეგ სერია გაგრძელდება დარგობრივი ცნობარებით („ვინ ვინაა ქართულ პოლიტიკაში", „ვინ ვინაა ქართულ ხელოვნებაში" და ა. შ.).

გაისად, იანვარში გამოვა „ვინ ვინაა საქართველოში 1997-1998", რომლის მოცულობა სამჯერ გაიზრდება და ბიოგრაფიების რაოდენობა 1000-ს გადააჭარბებს.

ცნობარის მომზადებასა და გამოცემაში მონაწილეობდა მრავალი ათეული პიროვნება. მიუხედავად ამ ადამიანთა თავდაუზოგავი შრომისა და სარედაქციო კოლეგიის ძალისხმევისა, წიგნში, ცხადია, აღმოჩნდება შეცდომებიც.

სარედაქციო კოლეგია მადლიერებით მიიღებს ცნობართან დაკავშირებულ ყველა საქმიან შენიშვნასა თუ წინადადებას და შეეცდება მათ გათვალისწინებას, რათა „ვინ ვინაას" მომდევნო გამოცემები გაუმჯობესდეს.

მრჩეველთა საბჭო

გამომცემლობა „დიოგენე" ულრმეს მადლობას მოახსენებს ქვემოთ ჩამოთვლილ პიროვნებებს, რომლებმაც პატივი დაგვდეს და თანხმობა განაცხადეს პირველი ქართული ბიოგრაფიული ცნობარის მრჩეველთა საბჭოს წევრობაზე და მონაწილეობა მიიღეს „ვინ ვინაას" შედგენის პრინციპების დაზუსტებაში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მრჩეველთა საბჭოს არც ერთ წევრს (და მით უმეტეს მთელ საბჭოს კოლექტიურად) არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ცნობარში შეტანილი პიროვნებების სიის დადგენაში.

ყოველგვარი პასუხისმგებლობა, როგორც ჩვენს გამოცემაში რომელიმე კონკრეტული პიროვნების ბიოგრაფიის შეტანაზე, ასევე ბიოგრაფიების სიზუსტეზე, ეკისრება წიგნის სარედაქციო კოლეგიას.

გია გულაძე
მხატვარი

ნონა გაფრინდაშვილი
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე

გიორგი გვახარია
კინომცოდნე

ფრიდონ თოდუა
სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

გია ნოდია
მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის დირექტორი

ვაჟა ოკუჯავა
აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ნეკროლოგიის განყოფილების გამგე

ნათელა ურუშაძე
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი

ჯემალ ქარჩხაძე
მწერალი

ზვიად ქორიძე
გაზეთ „7 დღის" მთავარი რედაქტორი

ლადო ჭანტურია
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი, იუსტიციის მინისტრის მრჩეველი

ნოდარ ჯავახიშვილი
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

ემირ ჯულელი
სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილე

ბიოგრაფიის შედგენის პრინციპები

ქვემოთ მოგვყავს ერთ-ერთი ბიოგრაფია.

კვადრატული ფრჩხილებით გამოყოფილია ბიოგრაფიის სხვადასხვა ელემენტები. მარჯვენა სვეტში მითითებულია ის შეკითხვები, რომელიც შეტანილი იყო კითხვარში და რომლებზე გაცემული პასუხებითაც შედგა ბიოგრაფია

[1] **ნათელა ურუშაძე**

[2] თეატრმცოდნე, პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. [3]დაიბადა ქუთაისში 1923 წ. 12 ოქტომბერს. [4]მშობლები: ანა ჩიტაშვილი, ამბერკი ურუშაძე; [5]მეუღლე გიორგი გეგეჭკორი (დ.1923წ.); [6]შვილები: მანანა (40 წლის), გიორგი (38 წლის). [7] დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1945) და მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი (1948). [8] 1948 წლიდან მუშაობს თეატრალურ ინსტიტუტში თეატრის ისტორიისა და თეორიის კათედრის პროფესორად. [9] დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ვეფხისტყაოსანი" და ქართული სასცენო ხელოვნება" (1968), სადოქტორო დისერტაცია — „ქართუ-

[1] **გვარი, სახელი**

[2] **პროფესია, თანამდებობა, წოდება**

[3] **დაბადების ადგილი, თარიღი**

[4] **მშობლები (სახელები, გვარები)**

[5] **მეუღლე (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი)**

[6] **შვილები (სახელი, ასაკი)**

[7] **უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების თარიღი**

[8] **კარიერა**

[9] **სამეცნიერო ხარისხი (დისერტაციის თემა, დაცვის თარიღი)**

ლი სათეატრო კრიტიკა" (1976).

[10] ავტორია წიგნებისა: „ვერიკო ანჯაფარიძე", „ელენე ახვლედიანი თეატრში", „მსახიობის ხელოვნება", „დავით კაკაბაძე თეატრში", „ქართული თეატრის ამბავი", „სანდრო ახმეტელი", „მედეა ჯაფარიძე", „ვალერიან გუნია", „სესილია თაყაიშვილი" და სხვ. [11] არის მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, [12] თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის წევრი.

[13] ᲰᲝᲑᲘ: საკანცელარიო რვოები, საამზარეულოში გამოსადეგი ხელსაწყოები

[14] ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (ბინის) იოსელიანის 37, ბ. 1, ტელ.: 36.73.37; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 19, ტელ: 99-94-11

[15] *ᲔᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲐ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲡᲮᲕᲐᲡ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲐᲓᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲤᲣᲭᲭ. ᲩᲔᲛᲘ ᲘᲓᲔᲐᲚᲘᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ, ᲡᲣᲚᲘᲗ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ, ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲐᲓ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ, ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ ᲘᲒᲘ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲦᲕᲘᲫᲔᲑᲔᲚᲘ. ᲛᲘᲜᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲡᲐ�გᲐᲜᲘ „ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ". ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲡ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲖᲘᲐᲠᲝᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲡᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲤᲐᲥᲘᲖᲘ ᲓᲐ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ.*

[10] ნაშრომები, შემოქმედება

[11] საპატიო წოდებები, პრემიები, ლაურეატობა

[12] საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების წევრობა

[13] ᲰᲝᲑᲘ

[14] ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ (ბინის, სამსახურის)

[15] ცხოვრებისეული კრედო

ავთანდილ აბაშიძე

იურისტი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი. დაიბადა ლენტეხის რაიონის სოფელ ჩიხარეში 1959 წ. 1 აგვისტოს. მშობლები: დოდო აბაშიძე, პლატონ აბაშიძე, მეუღლე — მარინა ენდელაძე (დ.1963წ.), შვილები: დავითი (8 წლის), თორნიკე (7 წლის), ნინო (3 წლის). აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება; მუშაობდა საქართველოს პროკურატურაში გამომძიებლად, პროკურორის თანაშემწედ, პროკურორად, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად (1986-1996) იყო პარლამენტის წევრი (1996 წლის ივნისამდე); არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი (1996 წლის ივნისიდან)

ჰობი: საქართველოს აყვავება.

მისამართი: (ბინის) კასპი, კოსტავას 77 ტელ.: 2.23.30. (სამსახურის) თბილისი, რუსთაველის გამზ. 29, ტელ. 94.08.49

სამართლიანობა, პრინციპულობა, შემოქმედებითი საქმიანობა.

ასლან აბაშიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე. დაიბადა ბათუმში 1938 წ. 20 ივლისს. მეუღლე — მაგული გოგიტიძე (დ. 1951 წ.); შვილები: დიანა (17 წლის), გიორგი (20 წლის), შვილიშვილი — გიორგი (4 წლის). დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი (1975) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმარების ფაკულტეტი (1984). მუშაობდა კომკავშირულ სამუშაოზე და პარალელურად ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის ინგლისური ენის მასწავლებლად (1962-1965), N:44 პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების დირექტორად (1965-1980); ბათუმის საქალაქო კომიტეტის აღმასკომის თავმჯდომარედ (1981-1984); ჯერ აჭარისა და შემდეგ საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად (1984-1989), კონცერნ „საქყოფსერვისის" პრეზიდენტად. არის აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1991 წლიდან). 1991, 1992-1995 წლებში არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნისა" და „მეგობრობის ორდენით" არის მშვიდობის დაცვის ნანსენის სახელობის პრემიის ლაურეატი, აღმოსავლეთმცოდნეთა ასოციაციის, პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიისა და ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის წევრი. აქვს გენერალ-მაიორის წოდება.

მისამართი: (სამსახურის) ბათუმი, თავისუფლების 3/5. ტელ.: 7.00.17.

დავით აბაშიძე

ეკონომისტი, პარლამენტის წევრი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1960 წ. 17 აპრილს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი

(1982). მუშაობდა სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში უფროს ლაბორანტად (1982-1983), კალინინის რაიონის 53-ე საშუალო სკოლაში კომკავშირის კომიტეტის მდივნად (1983-1985), სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში მთავარ ეკონომისტად (1985-1986), ალკკ ცენტრალურ კომიტეტში (1986-1988), საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში (1986-1989), სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში (1989-1991), რესპუბლიკის მთავრობაში (1991, 1992-1993); სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტში (1991-1992). 1993 წლიდან მუშაობდა შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალურ დირექტორად.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. ტელ.: 93.14.65. 94.24.00

მერაბ აბრამიშვილი

მხატვარი. დაიბადა თბილისში 1957 წ. 16 მარტს. მშობლები: ნათელა ღარიბაშვილი, გურამ აბრამიშვილი; მეუღლე — ციცინო ცერცვაძე (დ.1959წ.); შვილები: გურამი (10 წლის), ლევანი (8 წლის), ქეთევანი (5 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1981). არის მხატვართა კავშირის წევრი. ჰქონდა გამოფენები გერმანიაში, იტალიაში, აშშ-ში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, ავსტრიაში, პერსონალური გამოფენა ჰქონდა გალერეა „ორენტში" (1994).

მისამართი: (ბინის) გარეკახეთის 2, ბ. 13. ტელ: 74.55.01

რევაზ ადამია

ბიოლოგი, საქართველოს პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1952წ. 20 ივლისს. მშობლები: ციცინო ქიშმარეიშვილი, შოთა ადამია, მეუღლე — თამარ სამადაშვილი, შვილები: ლევანი (24 წლის), ალექსანდრე (18 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი (1974). მუშაობდა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ბაქტერიოფაგში" უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1974-1979), უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1979-1982), სექტორის ხელმძღვანელად (1982-1988), ლაბორატორიის ხელმძღვანელად (მუშაობს 1988 წლიდან) იყო საქართველოს პარლამენტში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მდივანი (1992-1995). არის ამავე კომიტეტის თავმჯდომარე (1995 წლიდან). საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „ზოგიერთი ბაქტერიული ვირუსის მოლეკულურ-ბიოლოგიური თვისებები" (1986). მიღებული აქვს ჯორჯ სოროსის პრემია არის საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრი, საქართველოს სამთო-სათხილამურო ასოციაციის პრეზიდენტი.

ჰობი: სამთო-სათხილამურო სპორტი.

მისამართი: (ბინის) ნუცუბიძის პლატო, 1მ/რ, XII კორპ. ბ.49 ტელ.: 22.75.21. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. საქართველოს პარლამენტი. ტელ. და ფაქსი: 93.14.76. ელ. ფოსტა: radam@parliament.ge

მერაბ ადეიშვილი

ინჟინერ-მშენებელი, საქართველოს ტრანსპორტის მინისტრი. დაიბადა თბილისში 1956 წ. 12 აგვისტოს. მშობლები: დოდო გოთუა, ნოდარ ადეიშვილი; მეუღლე — ლიკა ჩხეიძე; შვილები: ნოდარი (15 წლის), რამაზი (9 წლის). დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მუშაობდა

მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანად, სასწავლო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარედ, პროორექტორად (1996 წლამდე) იყო საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში მინისტრის მოადგილე (1996). არის საქართველოს ტრანსპორტის მინისტრი (1996 წლიდან). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (1996) გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მონოგრაფია და სამეცნიერო სტატია კოსმოსურ ნაგებობათა შესახებ. არის ღირსების ორდენის კავალერი (1996).
ჰობი: ჩოგბურთი, ცურვა, მუსიკა, ფებბურთი
მისამართი: (სამსახურის): ყაზბეგის გამზ 12 ტელ.: 93.28.46 ფაქსი: 93.91.45

სიკეთე, პატიოსნება, პროფესიონალიზმი.

ზურაბ აზმაიფარაშვილი

მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი. დაიბადა თბილისში 1960 წ 16 მარტს. მშობლები: ელენე ბეროზაშვილი, ალექსი აზმაიფარაშვილი, მეუღლე — მარინა მილორავა (დ.1954წ.); შვილები: თეა (22 წლის), ელენე (14 წლის), ზურაბი (13 წლის)

დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი (1981) 1984 წელს გახდა საერთაშორისო ოსტატი, 1988 წელს — საერთაშორისო დიდოსტატი. მიიღო მონაწილეობა ლიტვის, ამერიკის, არგენტინის, თბილისის, პავანის, ამსტერდამის, ლონდონის, მოსკოვის, ესპანეთის, გერმანიის და კიდევ მრავალ საერთაშორისო ტურნირში, სადაც დაიკავა I ადგილი (1973-1996), პოლანდიაში ევროპის ჩემპიონატში II ადგილი (1979)
ჰობი: ფორმულა 1, კაზინო.
მისამართი: (ბინის) კეკელიძის 19, ბ. 47 ტელ.: 23.36.08 ფაქსი: 29.49.62

დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ცხოვრებისეული საწყისია სიკეთე. ერთადერთი ადგილი, სადაც მინდა ვინმე დავთრგუნო, საჭადრაკო დაფაა. ადამიანებთან ურთიერთობაში არასოდეს ვეძებ რაიმე ანგარებას. მინდა ისე ვიცხოვრო, რომ ჩემი სახელის გამო ჩემს შვილებს კარი არავინ მიუხუროს. ამავე დროს, შესაძლებლობისდაგვარად, ცხოვრებისეულ სიამოვნება ზე უარს არ ვამბობ. ძალიან მიყვარს მოგზაურობა და ოჯახური სიმყუდროვე.

ნანა ალექსანდრია

მოჭადრაკე, საჭადრაკო ჟურნალისტი, ვ. ქარსელაძის სახელობის ჭადრაკის სკოლის დირექტორი, საერთაშორისო დიდოსტატი. მშობლები: შურა ალექსანდრია, გიორგი ალექსანდრია; მეუღლე — ლევან ბოკერია (დ.1944წ.); შვილი: გიორგი (24 წლის).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი (1972). არის საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე (1986 წლიდან), ფიდეს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე (1994 წლიდან), საქართველო-სერბიის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტი (1975 წლიდან). იყო საქართველოს

ალე

ტელევიზიის სპორტული კომენტატორი (1976-1994), საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (1994-1996). არის მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი (1975-78, 1981-83), ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებული საქართველოს ნაკრები გუნდის კაპიტანი (1992, 1994, 1996), ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1970) და სხვ. დაჯილდოებულია: საქართველოს „ღირსების ორდენით" (1994), სსრკ ორდენით, "Знак почета" (1981) და საქართველოს უმაღლესი საბჭოს „საპატიო სიგელით" (1975) გადაღებულია დოკუმენტურ ფილმში „ქართული გამბიტი", აქვეყნებდა საჭადრაკო სტატიებს ქართულ და უცხოურ ჟურნალებში.

მისამართი: (ბინის) ი. აბაშიძის 42ა. ტელ.: 22.42.61. (სამსახურის) ტელ.:93.25.10.

ადამიანში ვაფასებ გულწრფელობას, პასუხისმგებლობის გრძნობას, პროფესიონალიზმს, ადამიანის დახმარების სურვილს. პროფესიული წარმატების მიღწევაში ტალანტისა და შრომის გარდა დამეხმარა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა და მიზანსწრაფვა. პროფესიული მწვერვალისაკენ მიმავალ გზას მიადგილებდა იმის შეგრძნება, რომ ჩემს გამარჯვებებს ხალხისთვის სიხარული მოჰქონდა, ძალებს მმატებდა იმის გახსენება, რომ ჩემს დიდ გამარჯვებებზე ოცნებაში დაილია (დაიფერფლა) დიდი პროვინება და დიდი პედაგოგი ვახტანგ ქარსელაძე. ჩემი ცხოვრების შესაფასებლად მინდა ციცერონს დავესესხო: „რაც გავაკეთე, იმაზე მეტის გაკეთებას ველარ შევძლებ.'

გოგი ალექსიძე

ქორეოგრაფი, ბალეტმეისტერი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 7 ივნისს. მშობლები: თამარ ალექსიძე, დიმიტრი ალექსიძე, მეუღლე — მანანა გოდერძიშვილი (დ.1948წ.), შვილები: ირინა (20 წლის), მარიამი (18 წლის). დაამთავრა ლენინგრადის რიმსკი-კორსაკოვის სახელობის კონსერვატორია (1967) მუშაობდა იქვე პედაგოგად, დოცენტად (1965-1972), ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრში კამერული ბალეტის ხელმძღვანელად (1965-1972), თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ბალეტმეისტერად (1972-1980), პერმის ჩაიკოვსკის სახელობის თეატრში მთავარ ბალეტმეისტერად (1980-1983), ლენინგრადის კონსერვატორიის მუსიკალურ თეატრში მთავარ ბალეტმეისტერად (1983-1985) ამჟამად არის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი ბალეტმეისტერი (1985 წლიდან), თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელი(1985-1988) და გამგეობის თავმჯდომარე (1988 წლიდან) დადგმული აქვს 150 სპექტაკლი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ნიუ-იორკისა და ოქსფორდის ბალეტის ენციკლოპედიებში. ასევე „Большая Энциклопедия Балета"-ში.

მისამართი: (ბინის) პ. იაშვილის 10. ტელ.: 99.54 33. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 25. ოპერისა და ბალეტის თეატრი. ტელ.: 99 56 39, ფაქსი: 98 32 50

მუშაობა, ადამიანების მიმართ რბილი და კეთილი დამოკიდებულება. ოპტიმიზმი მომავლის საქმეების განხორციელებაში. ძალიან მიყვარს ბავშვები, მათთან მუშაობა.

ზაზა ალექსიძე

ისტორიკოსი, პროფესორი, ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი. დაიბადა თელავში 1935 წ. 23 აგვისტოს. მშობლები: ევგენია არჯევანიძე-ალექსიძე, ნიკოლოზ ალექსიძე; მეუღლე — მარინა გვეტაძე-ალექსიძე (დ. 1956 წ.); შვილები: ელენა (36 წლის), ნიკოლოზი (9 წლის), გიორგი (8 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1958).

ლევან ალექსიძე

მუშაობდა ხელნაწერთა ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად (1958-1968), ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად (1968-1979). არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრის გამგე (1979 წლიდან) და ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი (1989 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ეპისტოლეთა წიგნი" (1968), სადოქტორო დისერტაცია — „ადრეული შუასაუკუნეების კავკასიისა და საქართველოს კულტურისა და იდეოლოგიის პრობლემები" (1984). არის ავტორი წიგნებისა: „ეპისტოლეთა წიგნი" (1968); „უხტანესის ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან" (1975); „არსენი საფარელის განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა" (1979); „ატენის სიონის სომხური წარწერები" (1978); „ქართული წყაროების შესწავლის მეთოდური საკითხები" (1985); „ფრესკული წარწერები" I, (1989).

მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას გამზ. III კვ. IX კორპ. ბ. 56. ტელ.: 31.20.26, 29.13.02 (სამსახურის) მ. ალექსიძის 1. კორპ. 3. ტელ.: 36.47.08. ფაქსი: 94.25.18.

თუ კარგად გავაცნობიერებთ, აღმოჩნდება, რომ ყოველი ჩვენთაგანი ზოგადად ესწრაფვის მრავალი საუკუნის წინ ბიბლიაში იდეალურად ჩამოყალიბებული ათი მცნების მიხედვით ცხოვრებას. კონკრეტულად მე, რამდენადაც შემეძლო, ყველა ასაკში და პირობებში ვცდილობდი შემენარჩუნებინა ჩემი პიროვნული ინდივიდუალობა და ღირსება, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე მეცნიერებაში.

იურისტი, პროფესორი, კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა თბილისში 1926წ. 5 ივნისს. მშობლები. თამარ ალექსიძე; მეუღლე — თინათინ ქართველიშვილი (დ.1926წ.); შვილები: ანდრო (42 წლის), გიორგი (34 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1946). მუშაობდა იქვე ასისტენტად, უფროს მასწავლებლად, დოცენტად, პროფესორად (1950-1970), იყო გაეროს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი მუშაკი განყოფილების გამგე, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიის მდივანი (1970-1977), საქართველოს პარლამენტის წევრი (1990-1992), არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის კათედრის გამგე (1977 წლიდან) და საქართველოს პრეზიდენტის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი (1995 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „გაეროს უშიშროების საბჭო" (1950) და სადოქტორო დისერტაცია — „საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობანი XV-XVIII საუკუნეებში" (1964). გამოქვეყნებული აქვს 120 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 20 მონოგრაფია, სახელმძღვანელო. არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში (1986). მრავალი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე, კითხულობდა ლექციებს ამერიკის შეერთებული შტატების, ჟენევის, ტოკიოს, ბერლინის უნივერსიტეტებში, ჰაგის საერთაშორისო სამართლის აკადემიაში. მოსკოვში, კიევში, ბაქოსა და სხვა ქალაქებში. მონაწილეობას იღებდა აფხაზეთის სტატუსზე მოლაპარაკებებში ჟენევაში, ნიუ-იორკსა და მოსკოვში.

ფოტო: ფრენბურთი.

მისამართი:(ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 62,

ბ. 14. ტელ.: 22.57.30. (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ 1. ტელ 22.23.93

გულწრფელობა, არჩეული საქმისადმი თავდადებული დამოკიდებულება, პრინციპულობა მოკამათე მხარის თანამდებობისა და რანგის მიუხედავად, ადამიანური დამოკიდებულება ყველას მიმართ სოციალური მდგომარეობისა და რანგის მიუხედავად.

ლელა ალიბეგაშვილი

მსახიობი. დაიბადა თბილისში. მშობლები. ნინო გივიშვილი, როდენ ალიბეგაშვილი. დაამთავრა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტი (1986) არის რუსთაველის თეატრის მსახიობი (1986 წლიდან) გადაღებულია ფილმებში: „სურამის ციხე", „ფიროსმანი" მიღებული აქვს პრემია: „სეზონის საუკეთესო სცენური ნაწარმოები" ლილიენის როლის შესრულებისათვის სპექტაკლში „საშობაო სიზმარი" (1994);

ჰობი: მუსიკა, კითხვა, ცეკვა

მისამართი: (ბინის) ყაზბეგის გამზ. 20ა. ტელ.: 39.57.13.

ბავშვობიდან: ცხოვრებაში ისეც ხდება, რომ მოგიხდება არჩევანი გააკეთო იმას შორის, რაც გსურს და იმას შორის, რაც გჯერა. მძულს კანონი, რომელსაც ჰქვია „სიკვდილით დასჯა", მიყვარს სიკეთე და ისინი, ვინც ამაზე ფიქრობენ.

ნოდარ ამაღლობელი

ფიზიკოსი, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1930 წ 24 აგვისტოს. მშობლები. ნინო ჯაფარიძე, სარდიონ ამაღლობელი, მეუღლე — მერი გეთია (დ.1934წ.), შვილები არჩილი (30 წლის, დაიღუპა აფხაზეთში სამამულო ომში), ნინო (30 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1953) მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პრორექტორად სამეცნიერო დარგში (1981-1985), რექტორად (1985-1991), მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორად (1980-1996) არის საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე (1995 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „580 და 630 მევ ენერგიის მქონე ნეიტრონების დრეკადი გაბნევა პროტონებზე და π — მეზონ-ნუკლონის ურთიერთქმედების კონსტანტა", და სადოქტორო დისერტაცია — „მრავალნანილაკოვანი პროცესების ნეიტრალური უცნაური ნანილაკების λ. გიპერონების და k. მეზონების დაბადების ექსპერიმენტალური გამოკვლევა π - მეზონ-ნუკლონების ურთიერთქმედებისას" არის 150-ზე მეტი შრომისა და გამოგონების ავტორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

ჰობი: სპორტი

მისამართი: (ბინის) ყაზბეგის გამზ.29/2 ბინა 116 ტელ. 39-05-00; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, ოთახი 232.

კაცთმოყვარეობა.

ელგუჯა ამაშუკელი

მხატვარი-მოქანდაკე, აკადემიკოსი, საქართველოს სახალხო მხატვარი. დაიბადა თბილისში 1928 წ. 22 ივნისს. მშობლები. ქეთევან ამაშუკელი, დავით ამაშუკელი; მეუღლე — ლია სტურუა (დ.1939წ.); შვილი — ეკა (28 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1955). იყო საქართველოს მხატვართა კავშირის

თავმჯდომარე (1981-1996), სსრკ მხატვართა კავშირის მდივანი (1984-1989), სსრკ სახალხო მხატვარი. არის სსრკ სახელმწიფო პრემიის, გოგებაშვილის სახელმწიფო პრემიის და მსოფლიო კონკურსის ლაურეატი (1970, სოფია) ავტორია ნამუშევრებისა „ქართლის დედა (1963, თბილისი, შ. რუსთაველის სახელობის პრემია, 1966); დიდების მონუმენტი (1967, ფოთი); მეტრო „რუსთაველის" პორტალის რელიეფი (1965, თბილისი), რელიეფი თბილისის შესასვლელთან; ბარელიეფი „თბილისს 1500 წელი" (1958, თბილისი); ვახტანგ გორგასლის (1967, თბილისი), რერისთავისა (1974, თბილისი) და ნ. ფიროსმანის (1975, თბილისი) ძეგლები. გამოქვეყნებული, აქვს სტატიები საქართველოსა და უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში. ავტორია წიგნებისა „მეექვსე გრძნობა" (1981); „წერილები ხელოვნებაზე (1984). არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1996 დავით აღმაშენებლის ძეგლი. ქუთაისი). მისი ბიოგრაფია შეტანილია კემბრიჯის ცნობარში.

ᲰᲝᲑᲘ: სპორტი, გიტარაზე დაკვრა.

ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (ბინის) მცხეთის 1, ტელ: 22.69.02

არ ვუღალატო ბუნების მიერ მონიჭებულ უნარს შემოქმედების. მაქსიმალურად მივუახლოვდე მინდა იდეალს, ნაწილობრივ მაინც გავამჟღავნო საკუთარი შესაძლებლობები. მინდა ჩემი ცხოვრების გზაზე არ ვუღალატო სიმართლეს, რომელიც მარწმუნებს ერთი დიდი ფილოსოფოსის სიტყვების აზრის ჭეშმარიტებაში: „ვიდრე ცოცხალი ხარ, არ გაბედო სიკვდილი". სიცოცხლეს ვაგრძელებ....

თენგიზ ამირეჯიბი

პიანისტი-სოლისტი, პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა ასოციაციის პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1927 წ. 30 სექტემბერს. მშობლები: ნინო ავალიშვილი, კონსტანტინე ამირეჯიბი, მეუღლე. გამერა გოგია (დ.1938წ.), შვილები: დავითი (44 წლის), კონსტანტინე (32 წლის). დაამთავრა მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (1951). მუშაობს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ფორტეპიანოს კათედრის გამგედ (1957 წლიდან). თავისი მოღვაწეობის განმავლობაში თენგიზ ამირეჯიბმა კონცერტები გამართა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, გერმანიაში, პოლონეთში, იუგოსლავიასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქვეყნის დედაქალაქში. მისმა მონაფეებმა (მ. დოიჯაშვილი, ე. ბოლქვაძე, ა. კორსანტია, თ. გურევიჩი, ნ. ასტახიშვილი, თ. ლიჩელი) თორმეტ ურთულეს საერთაშორისო კონკურსზე მიიღეს ლაურეატის წოდება. მათ შორის, ალექსანდრე კორსანტიას სამი „გრან-პრი" მიენიჭა (ავსტრალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ისრაელში).

ᲰᲝᲑᲘ: ძველებული ნივთების, ხელოვნების ნიმუშების აღდგენა-რესტავრაცია.

ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (ბინის) ნინოშვილის 20. ტელ: 95.67.09. (სამსახურის) გრიბოედოვის 8. ტელ. 93.52.80

ხელოვნება მწამს ღრმა და შინაარსიანი. ვაფასებ ბუნებრიობას, სისადავეს, უშუალობას. ვფიქრობ, რომ ხელოვანი არ უნდა იყოს გატაცებული თვითწარმოჩენის სურვილით, მხოლოდ პროფესიის ღრმად ფლობა ნიჭიერებასთან ერთად ქმნის შემოქმედის ინდივიდუალურ სახეს.

მზეჭაბუკ (ჭაბუა) ამირეჯიბი

მწერალი. დაიბადა თბილისში 1921 წ. 18 ნოემბერს. მშობლები: მარიამ ნაკაშიძე ამირეჯიბისა, ირაკლი ამირეჯიბი; მეუღლე — თამარ ჯავახიშვილი (დ.1937წ.); შვილები: მანანა (50 წლის), ლეილა (47 წლის), ერეკლე (1963-1992), ლაშა (32 წლის), ქურციკ (29 წლის), შალვა (26 წლის). დამ-თავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სამი კურსი. თავისი ცხოვრების მანძილზე იყო ტყის მჭრელი, სატყეო მეურნეობის უფროსი, აგურ-კრამიტის ქარხნის დირექტორი, საქართველოს სახკინოს სარეკლამო-საინფორმაციო ბიუროს დირექტორი, კინოსტუდია „მემატიანეს" დირექტორი, ალმანახ „კინოს" რედაქტორი, საქართველოს თავდაცვის ფონდის თავმჯდომარე, საქართველო — აშშ ერთობლივი სანარმოს გენერალური დირექტორი და შპს „ათნის" პრეზიდენტი. პატიმრობის 16 წლის მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. 3-ჯერ გაიქცა პატიმრობიდან, ორჯერ მიიღო სასჯელის უმაღლესი ზომა. გამოქვეყნებულია მისი რამდენიმე ათეული პუბლიცისტური სტატია, გამოცემულია მოთხრობების სამი კრებული. ავტორია რომანებისა „დათა თუთაშხია", „გორა მბორგალი" და კინოსცენარებისა. არის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო, რუსთაველის, ჟურნალ „ზნამიასა" და რუსეთის უცხოური ლიტერატურის ბიბლიოთეკის პრემიების ლაურეატი.

მისამართი: (ბინის) თამარაშვილის ქ. კორპ. VIII, ბ. 45. ტელ. 23.00.83. 23.06.75

„ღმერთო, არ მომაკლო გასაჭირი, რომ სული ვწვართო, მაგრამ ისეთი გასაჭირი, რომ მიჭირდეს მხოლოდ მე". („გორა მბორგალი"). „ზნეობრივი იდეალი შეიცავს ოთხ სათნოებას: ვაჟკაცობას, სამართლიანობას, თავშეკავებასა და გონიერებას" („გორა მბორგალი"). აგრეთვე სახარების ათი მცნება.

ნათია ამირეჯიბი

კინომცოდნე. დაიბადა თბილისში 1934 წ. 29 იანვარს. მშობლები: მარიამ ნაკაშიძე, ირაკლი ამირეჯიბი; მეუღლე — ზურაბ კაკაბაძე (დ.1926 წ.); შვილები: ირაკლი (27 წლის), ნინა (22 წლის) დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი (1957). მუშაობდა საქართველოს დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების კინოსტუდიაში (1959-1962) და კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტში (1966-1970) რედაქტორად. არის თეატრისა და კინოს თბილისის ინსტიტუტის ლექტორი (1970 წლიდან); კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ადამიანის პრობლემის არსი კინოხელოვნებაში" (1978). ავტორია წიგნებისა "На заре грузинского кино"; „დროთა ეკრანი"; „სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე"

პობი: სპორტი

მისამართი: (ბინის) ინგოროყვას 5. ტელ. 93.23.16. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 17, ტელ.: 99 07.40

ჩემთვის იდეალია ზურაბ კაკაბაძე — ჩემი მეუღლე. ცხოვრების მიზნად მიმაჩნია დედობა, ადამიანებისადმი უანგარო სიყვარული და

თანაგრძნობა. მიყვარს ჩემი პროფესია, ფილმზე ფიქრი და მუშაობა, მომავალ თაობასთან ურთიერთობა. ვცდილობ საკუთარი თავისადმი და სხვისადმი სამართლიანი კრიტიკოსი ვიყო. არ ჩავება თანამდებობისათვის კარიერისტულ „ფუსფუსში". ოფიციალური მთავრობის მიმართ არ ვიფარისევლო, არ მოვიპოვო სიმდიდრე უზნეობის გზით. მძულს დიქტატორები.

ნინო ანანიაშვილი

ბალერინა, მოსკოვის დიდი თეატრის პრიმა-ბალერინა დაიბადა თბილისში 1963 წ. 16 მარტს. მშობლები: ლია გოგოლაშვილი, გედევან ანანიაშვილი. მეუღლე — გრიგორ ვაშაძე (დ.1958 წ.). დაამთავრა მოსკოვის აკადემიური ქორეოგრაფიული სასწავლებელი (1981). არის მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი (1981-1988) და პრიმა ბალერინა (1988 წლიდან). რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1993), რუსეთის პრემიის „ტრიუმფის" (1992), საერთაშორისო საბალეტო კონკურსების (ვარნა, 1980, მოსკოვი 1981 და 1985 ჯექსონი, 1988) ოქროს მედლების მფლობელი (აქედან 2 „გრან-პრი"). არის ავტორი საგაზეთო სტატიებისა რ. სტრუჩკოვაზე, ა. ფადეევიჩზე და სხვა კოლეგებზე.

პობი: სანქტ-პეტერბურგის მარინის საიმპერატორო თეატრის ბალეტის ვარსკვლავებზე წიგნების, ღია ბარათებისა და სურათების შეგროვება.

მისამართი: (ბინის) მოსკოვი, ფრუნზეს სახელობის სანაპირო 46. ტელ.: 242.58.64. (სამსახურის) მოსკოვი, თეატრალური მოედანი, დიდი თეატრი.

ჩემი ოცნებაა ვნახო საქართველო დამოუკიდებელი, ერთიანი, დემოკრატიული და ბედნიერი. ჩემი ნატვრაა საქართველო იქცეს ხელოვნების უმაღლესი დონის ვარსკვლავთა მიზიდვის ცენტრად. დიდი წარმატებების მიღწევა შეიძლება მხოლოდ პროფესიისადმი ფანატიური სიყვარულით, უდიდესი შრომით და, ბალეტის შემთხვევაში, კარგი პედაგოგებით. ისეთებით, როგორებიც იყვნენ და არიან თ. ვიხოდცევა თბილისში, რ. სტრუჩკოვა-ლაფაური, მ. სემიონოვა და ნ. ზოლოტოვა მოსკოვში.

დავით ანდრიაძე

ფილოსოფოსი, არტკრიტიკოსი, დოცენტი დაიბადა 1958 წ. 4 ივლისს. მშობლები: თამარ ანდრიაძე, სერგი ანდრიაძე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1982). მუშაობს იქვე ესთეტიკის კათედრის კულტურის ფილოსოფიურ პრობლემათა ს/კ ლაბორატორიის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1990 წლიდან). არის ესთეტიკის კათედრის დოცენტი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მხატვრული დროის კატეგორია სახვითი ხელოვნების ონტოლოგიაში" (1990). არის მხატვართა კავშირის წევრი. გამოქვეყნებული აქვს სამი მონოგრაფია, 50-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, წერილი, ესსე, ალბომებისა და კატალოგების წინასიტყვაობები, საგაზეთო რეცენზიები.

პობი: ძველი ნივთების შეგროვება.

მისამართი: (ბინის) თემქის დასახლება, IV მ/რ, V კორპ. ბ. 89. ტელ.: 64.11.97 (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 3. ტელ.: 23.65.95.

საკუთარი თავის შექმნა, თავისუფლების ხელოვნება, მიზანსწრაფულობა, თანმიმდევრულობა.

ნონკონფორმიზმი. „მე"-ს ხსოვნაც და „თავდავიწყებაც", ირონიულ-პაროდიული თვითრეფლექსია, ფილოსოფიაშიც და არტკრიტიკაშიც — გაგების (ჰერმენევტიკის) და კრიტიკის სინთეზი; როგორც ცხოვრებისეული, ისევე ფილოსოფიური და არტკრიტიკული ენის „სხეულის" გროტესკულ-ამბივალენტური ფლობა.

დავით ანდღულაძე

რეჟისორი. დაიბადა თბილისში 1956 წ. 11 იანვარს. მშობლები: გულიკო კავსაძე, ალექსანდრე ანდღულაძე; მეუღლე — მაია ზედგენიძე (დ.1959წ.); შვილები: ანა (11 წლის), ალექსანდრე (2 წლის). დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1982). მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში რეჟისორად (1982-1985). მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორია 1985 წლიდან. სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისას" მიხედვით დადგა „თათვალი", ილია ჭავჭავაძის „განდეგილი", ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა", გრიგოლ რობაქიძის „გრაალის მცველნი" ძიღებული აქვს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო პრემია (1990). მისი სპექტაკლი „ოცდამეთვრამეტე" წარდგენილი იყო სახელმწიფო პრემიაზე
ჰობი: მუსიკა, ცურვა, ძაღლები.
მისამართი: (ბინის) მარჯანიშვილის 19; ტელ.: 95.70.30. (სამსახურის) მარჯანიშვილის 8, ტელ.: 95.24.25.

თუკი მცირედი წარმატებისათვის მიმიღწევია, მაშინვე მიზნად ვისახავ უფრო დიდ წარმატებას მივაღწიო. ვაკეთებ და მომავალშიც გავაკეთებ იმას, რაც სწორად მიმაჩნია (მიუხედავად სხვათა აზრისა). სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მისულს, ალბათ, უფრო ნათლად ჩამომიყალიბდება ის, რასაც კრედო ჰქვია და რითაც მიცხოვრია.

ნოდარ ანდღულაძე

ენათმეცნიერი, მომღერალი, სოლო სიმღერის კათედრის გამგე, პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1927 წ. 13 დეკემბერს მშობლები: ბარბალე მამამთავრიშვილი, დავით ანდღულაძე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1950) და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1963). მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კავკასიურ ენათა კათედრის უფროს მასწავლებლად (1954-1959), თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში სოლისტად (1956-1996), იქვე 1990 წლიდან არის ვოკალური კონსულტანტი, იყო „ლა სკალას" სტაჟიორი (1961-62), ბერლინის „კომიშე-ოპერის" სოლისტი (1968-1969), თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრის დოცენტი, არის კათედრის გამგე და პროფესორი (1967 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გრამატიკული კლასკატეგორია იბერიულ-კავკასიურ ენებში" (1954). გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები: „კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორია იბერიულ-კავკასიურ ენებში" (1968), „ვოკალური ხელოვნების ზოგადი თეორიის მეთოდოლოგიური საკითხები" (1979) და სხვ. არის ზ. ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი, მსოფლიო ახალგაზრდობის VII ფესტივალის ლაურეატი (1957), მილანის „ენრიკო კარუზოს ასოციაციის" უცხოელი წევრი, „დავით ანდღულაძის

ქართული ვოკალური კულტურის ფონდის" დამფუძნებელი და თავმჯდომარე (1994 წლიდან) მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში და „Словарь вокального искусство"-ში (1978).
მისამართი (ბინის): კოსტავას 63. ტელ.: 36.07.51

1. ურთულესი სატენორო რეპერტუარის დაუფლება და სცენაზე დაფუძნება; 2. ქართული და იტალიური ვოკალური სკოლების შეჯერება და ახალი სინთეზის შექმნა; 3. ვოკალური ხელოვნების მეთოდიკურ-პრაქტიკული და თეორიულ-ესთეტიკური საკითხების დამუშავება თანამედროვე თეორიული აზროვნების მიღწევების გათვალისწინებით, ცნების — Homo Cantor — დამუშავება-დამკვიდრება; 4. ქართული ვოკალური სკოლის შემდგომი განვითარება და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება. ყოველმხრივი ხელშეწყობა იმ მომღერლებისათვის, ვინც ცდილობს შინაგანი სრულყოფის გზით ჭეშმარიტი წარმატების მიღწევას ხელოვნებაში; 5. ქართული ვოკალური სკოლის მიღწევების გაცნობა მსოფლიო ვოკალური ცენტრებისათვის (მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი, მილანი, ბერლინი, ოზიმო, ანკონა (იტალია) და სხვ.).

გიული ანთელავა

ჟურნალისტი, საინფორმაციო სააგენტო BGI-ის მთავარი რედაქტორი. დაიბადა ოჩამჩირეში 1941 წ. 17 ოქტომბერს. მშობლები: ქსენია ანთელავა, კალისტრატე ანთელავა; მეუღლე — ირინა კოტარია (დ.1948წ.); შვილები: დინა (25 წლის), ნატო (16 წლის), ალექსანდრე (14 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1969). მუშაობდა გაზეთ „Вечерний Тбилиси"-ის (1963-1966), გაზეთ „Молодежь Грузии" ის (1969-1974), რადიო „თავისუფლების" (1989-1992), სააგენტო „როიტერის" და გაზეთ "Financial Times"-ის (1990-1993) კორესპონდენტად; WTN-ს (1990-1993) და Wesnews-ს ოპერატორად (1991-1993).
ჰობი: თევზაობა.
მისამართი: (ბინის) დავითაშვილის 43, ტელ. 98.72.73 (სამსახურის) ძმები ზუბალაშვილების 2. ტელ.: 99.95.32

მე შეიძლება მძულდეს თქვენი შეხედულებები, მაგრამ მე გავაკეთებ ყველაფერს, რომ ისინი გამოვაქვეყნო.

მაკა (მარგარიტა) ანთიძე

ჟურნალისტი. დაიბადა თბილისში 1970 წ. 27 აპრილს. მშობლები: ლარა ანთიძე, გურამ ანთიძე. მეუღლე — ვახო ბაბუნაშვილი (დ.1967წ.). შვილი — ზურაბი (3 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი (1992). იყო საინფორმაციო სააგენტო ИМА-Press-ის (მოსკოვი) სპეციალური კორესპონდენტი საქართველოში (1989-1996), სააგენტო „კონტაქტის" რედაქტორი (1992-1993), სააგენტო BS Press-ის, სააგენტო Associated Press-ის (აშშ), არის სააგენტო Reuters--ის (დიდი ბრიტანეთი) კორესპონდენტი (1996 წლის სექტემბრიდან). გამოქვეყნებული აქვს სტატიები სააგენტო BS Press-ის ბიულეტენებში და გაზეთებში.

ჰობი: ლიტერატურა და ცეკვა. მთელ თავისუფალ დროს შვილთან ატარებს.
მისამართი: (ბინის) გამსახურდიას გამზ. 22, ბ. 25. (სამსახურის) რუს-

თაველის გამზ. 42. ტელ.: 99 93.70, 98.39.61, ფაქსი. 93.69 19, ელ-ფოსტა news @ reuter. Kheta ge

უ ზ ო მ ო დ (არ ვ ა ჭ ა რ ბ ე ბ) მ ი ყ ვ ა რ ს ჩ ე მ ი პ რ ო ფ ე ს ი ა — ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ტ ი კ ა. ჩ ე მ ი წ ა რ მ ა ტ ე ბ ა შ ე დ ე გ ი ა ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ი შ რ ო მ ი ს ა, რ ო მ ე ლ ი ც უ დ ი დ ე ს ს ი ა მ ო ვ ნ ე ბ ა ს მ ა ნ ი ჭ ებ ს.

ეთერ ანჯაფარიძე

პიანისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, დოცენტი. დაიბადა თბილისში 1956 წ. 15 სექტემბერს. მშობლები: ივეტა ბახტაძე, ზურაბ ანჯაფარიძე. დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო

კონსერვატორია (1979), ასპირანტურა (1981). მუშაობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში სპეციალური ფორტეპიანოს კათედრის პედაგოგად (1981-1991), თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტად (1981-1991). არის ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკალური კონსერვატორიის პედაგოგი (1992 წლიდან). საშემსრულებლო მოღვაწეობა დაიწყო 1972 წლიდან. არის ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა, ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო, მონრეალის (კანადა) საერთაშორისო (გრან-პრი) კონკურსების ლაურეატი, ხალხთა მეგობრობის ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შეტანილია შემდეგ ცნობარებში: „თანამედროვე პიანისტები" (1977, 1985, მოსკოვი), ტაიჩი სატო „რუსი პიანისტები" (ტოკიო).

ჰობი: საკუთარი საკონცერტო კაბების დიზაინი და შეკერვა. ჯაზი, ტანვარჯიში და ცურვა.

მისამართი: (ბინის) მოსაშვილის 26. ბ. 13, ტელ.: 23.33.61; (სამსახურის) 735 Anderson Nill Road ტელ.: (914) 251 67.00 (914) 251-67.39 Purchase N. Y 4. 105 77 1400.

მ ი ზ ა ნ დ ა ს ა ხ უ ლ ო ბ ა, რ ი ს კ ი, უ კ ო მ პ რ ო მ ი ს ო ბ ა, ძ ლ ი ე რ ი ნ ებ ი ს ყ ო ფ ა, მ ი ზ ნ ი ს მ ი ღ წ ე ვ ა მ ხ ო ლ ო დ ს ა კ უ თ ა რ ი ძ ა ლ ი თ ა დ ა ნ ი ჭ ი თ. ა რ ა რ ს ებ ო ბ ს. გ ა დ ა უ წ ყ ვ ე ტ ე ლ-გ ა დ ა უ ჭ რ ე ლ ი ა მ ო ც ა ნ ებ ი დ ა ს ა კ ი თ ხ ებ ი. ი ც ხ ო ვ რ ე ხ ა ლ ი ს ი ა ნ ა დ დ ა ა რ ა ს დ რ ო ს ა რ დ ა კ ა რ გ ო ი უ მ ო რ ს ა დ გ რ ძ ნ ო ბ ა. ღ მ ერ თ ი ს წ ყ ა ლ ო ბ ა.

შოთა არველაძე

ფეხბურთელი. დაიბადა თბილისში 1973 წ 22 თებერვალს მშობლები. თამარ დოლიძე, იუსტინე არველაძე; მეუღლე — თამუნა მელაძე (დ.1973 წ.) ფეხბურთის თამაში დაიწყო თბილისის „მართვეში" (1990), თამაშობდა თბილისის „დინამოში" (1992-1995) თამაშობს თურქეთის „ტრაბზონსპორში" (1995 წლიდან). არის საქართველოს სამგზის ჩემპიონი, ორგზის თასის მფლობელი, თურქეთის თასისა და სუპერთასის მფლობელი, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი (1993-1994), თურქეთის საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და საუკეთესო უცხოელი ფეხბურთელი (1995-1996). მონაწილეობდა ფილმებში: „ცხელი ზაფხულის სამი დღე", „ძროხა", „კუკარაჩა", „მარტოხელა მონადირე"

ჰობი: წყლის მოტოციკლეტი.

მისამართი: (ბინის) იოსელიანის 37, ბ. 97 ტელ.: 99.83.07

ა დ ა მ ი ა ნ ო ბ ა, კ ა ც თ მ ო ყ ვ ა რ ე ო ბ ა, ს ი მ ა რ თ ლ ე.

აკაკი ასათიანი

პოლიტიკოსი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე.

დაიბადა თბილისში 1953 ნ 22 ოქტომბერს მშობლები: ციალა სვანიძე, თორნიკე ასათიანი; მეუღლე — ირინე აბულაძე (დ 1954 ნ), შვილები: თორნიკე (22 წლის), რატი (7 წლის); დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1977) მუშაობდა სამხატვრო-პედაგოგიურ სასწავლებელში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად (1978-1979), საქინფორმში მთარგმნელად (1980-1982, 1984-1989), კულტურის სამინისტროში სარეპერტუარო კოლეგიის რედაქტორად (1983-1984); იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის I მოადგილე (1990-1991) და თავმჯდომარე (1991-1992), საქართველოს პარლამენტის დეპუტატი (1992-1995). მისი მოთხრობები გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „ცისკარში" (1986. №4)

ჰობი: საქართველოს ძველი ისტორია

მისამართი: (ბინის) არსენას 10. ტელ.: 99-03-19 (სამსახურის) ვირსალაძის 10 ტელ. 98 39 55

1. რწმენა, როგორც სულიერების და ზნეობის საფუძველი. 2. სამშობლოს სიყვარული, მისი მსახურება, როგორც უმთავრესი მოვალეობა. 3. თავისუფლება, როგორც პიროვნებისა და ერის ღირსეული არსებობის, მათი შესაძლებლობების განხორციელების პირობა. 4. მემკვიდრეობითობა, როგორც თავისუფალი თანმიმდევრული განვითარების საწინდარი. 5. პასუხისმგებლობა, როგორც კერძო ან საზოგადოებრივ ვალდებულებათა შეგნებული აღსრულების წინაპირობა. 6. საკუთრება, როგორც ადამიანის განუყოფელი უფლება და მისი ნივთიერი უზრუნველყოფის საშუალება.ვიყავი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თითქმის ყველა აქციისა და ღონისძიების მონაწილე 1987-1989 წლებში. ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობის მიღწევებად მიმაჩნია: 1. აქტიური მონაწილეობა საქართველოში პირველი (1918-1921 წლების შემდეგ) დემოკრატიული მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნების დანიშვნასა და ჩატარებაში, ამ არჩევნებში გამარჯვება საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" შემადგენლობაში, გამოსვლა მოსკოვში სსრკ უზენაესი საბჭოს სხდომაზე 1991 წლის ნოემბერში, მონაწილეობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებაში 1991 ნ. 9 აპრილს, მონაწილეობა საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებასა და მიღებაში 1995 წელს.

ვალერი ასათიანი

ფილოლოგი, საქართველოს კულტურის მინისტრი, პროფესორი. დაიბადა 1950 ნ. 15 ნოემბერს; მშობლები: თინა კუხალაშვილი, როსტომ ასათიანი, მეუღლე — თამარ სულაძე (დ.1951 ნ); შვილები: ნიკოლოზი (21 წლის), ალექსანდრე (15 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1972) იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, საქართველოს კულტურის მინისტრი (1985-1990), უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (1988-1990), სახელმწიფოს მეთაურის მთავარი მრჩეველი კულტურის დარგში (1992-1994), საქართველოს მინისტრთა საბჭოს კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელი და პარლამენტის წევრი (1994). არის

საქართველოს კულტურის მინისტრი (1995 წლიდან), ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის მდივანი (1993 წლიდან) და საერთაშორისო კულტურული პროგრამების საქართველოს ასოციაციის „ჰელიოსი XXI" პრეზიდენტი (1994 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ჰომეროსი ძველ ქართულ მწერლობაში" (1978) სადოქტორო დისერტაცია — „ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში" (1991). ავტორია წიგნებისა „ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში" (1987), „ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში" (1995), „აკაკი ურუშაძე" (1995). არის ალბერტ შვაიცერის მშვიდობის ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შეტანილია Who's who-ს კემბრიჯის გამოცემაში.

ჰობი: მუსიკა.

მისამართი: (ბინის) ყიფშიძის 16, ტელ. 22 68.56; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 37, ტელ. 93.22 55, ფაქსი 99.90.37

ადამიანებში კეთილი თვისებების ძიება, სამართლიანობის გზით საკუთარი პოზიციის განმტკიცება, მომთხოვნელობა საკუთარი თავის მიმართ, პრინციპულობა, როგორც ცხოვრებისეული, ასევე სამსახურეობრივი საკითხების გადაწყვეტისას, რაც არ გამორიცხავს კომპრომისს საქმის სასიკეთოდ. სწრაფვა ჰარმონიული არსებობისაკენ; ადამიანების მხარდაჭერა, მეგობრობის გრძნობის დაფასება, ჩანაფიქრის აღსრულება.

კახი ასათიანი

ინჟინერი, სპორტსმენი, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე. დაიბადა თელავში 1947 წ. 1 იანვარს მშობლები: ქსენია ასათიანი, შალვა ასათიანი;

მეუღლე — ლუიზა თავართქილაძე (დ. 1947 წ.), შვილები: მაკა (23 წლის), სალომე (27 წლის). დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (1964). იყო „დინამოს" გუნდის ფეხბურთელი (1965-1975), საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი (1963-1972), ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარე (1990-1991), სპორტისა და ტურიზმის მინისტრი (1991-1992). არის საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე (1992 წლიდან). გამოქვეყნებული აქვს ორი მონოგრაფია, არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ჰობი: მუსიკა.

მისამართი: (ბინის) ტ. ტაბიძის 35, ტელ. 22.52 25, (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 49, ტელ. 23 02 03; 29.28 65, ფაქსი: 29.28.76

მთელი ჩემი ცხოვრება დაკავშირებულია სპორტთან, ვიყავი ყოფილი საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრი, თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრი, შემდეგ გუნდის უფროსი. დღეს ვხელმძღვანელობ საქართველოში სპორტის განვითარებას. ჩემი ცხოვრების კრედო იყო და არის ვემსახურო საქართველოს ძლიერებას, ქართულ სპორტს, ვიყო ჩემი ერის მოჭირნახულე, გავითავისო სხვისი ტკივილი და გაჭირვება, ყოველმხრივ ვაკეთო სიკეთე, ვებრძოლო სიცრუესა და ბოროტებას. პოპულარობა, ალბათ, თავისით მოდის.

დავით აქუბარდია

ტელეკომპანია „კავკასიის" პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1953 წ. 12

ივლისს. მშობლები: ლამარა გეგეჭკორი, ღუღუნი აქუბარდია; შვილები. თეონა (18წლის), თამუნა (15 წლის), დათუნა (4 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი (1977) მუშაობდა საავიაციო ქარხანაში ამწყობ-ზეინკლად (1971-1972). იყო საგეგმო კომიტეტის ეკონომისტი (1977-1980), მეცნიერებათა აკადემიის უფროსი ინსპექტორი (1980-1990), ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე (1990-1994). ავტორია წიგნისა „მენეჯმენტის საფუძვლები" პერიოდულ პრესაში აქვეყნებს სტატიებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრობლემებზე
მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 5, ტელ 99.63 84

ცხოვრების კრედო — სიკეთის ქმნა. პროფესიული კრედო — არ ვავნო (не навредить). მიზანი — შევქმნა ერთიანი საერთო-კავკასიური სატელევიზიო სივრცე, რომელზეც გავლენას ვერ მოახდენს ვერც ჩრდილოეთი, ვერც აღმოსავლეთი და ვერც დასავლეთი.

გიორგი ახვლედიანი

ისტორიკოსი, მწერალი. დაიბადა თბილისში 1966 წ 10 ნოემბერს. მშობლები ლეილა გუგუშვილი, ზურაბ ახვლედიანი, მეუღლე — ნატო ზაქარიაძე (დ.1965წ.). შვილები. ზურა (8 წლის), ანასტასია (2 თვის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1988). მუშაობდა იქვე ლაბორანტად (1988-1991), მასწავლებლად 1991 წლიდან, ავტორია წიგნებისა „ოგზაურობა ყარაბაღში", „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები", იბეჭდება მისი საგაზეთო სტატიები და მსუბუქი პუბლიცისტიკა, ფელეტონები.

ჰობი: ფეხბურთი.
მისამართი: (ბინის) მცხეთის 8 ბ.3 ტელ.: 29.22.67; (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ 1 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი

ჩემი წარმატება მაინცდამაინც დიდ წარმატებად არ მიმაჩნია და საერთოდ წაკლებად მიყვარს ასეთ რამეებზე ფიქრი. თუ წარმატება დაერქმევა, ალბათ იმიტომ, რომ გასაგებ ენაზე დავწერე ორი წიგნი და თანაც გასაგებ რალაცეებზე. რაც შეეხება კრედოს — მაინცდამაინც დარწმუნებული არ ვარ იმაში, რომ მწერალი (ჩვენი ტრადიციის თანახმად) საზოგადოების მესაჭე უნდა იყოს. მწერალი უნდა წერდეს და მორჩა. მისი მიზანია თავისუფლებისაკენ, სრულქმნილებისაკენ სწრაფვა და დაოსტატება. პო, კიდევ — არ მიყვარს ადამიანების გაწბილება, სიცივე, მედიდურობა და მსგავსი რამერუმეები. კრედო კი, აბა რა გითხრათ? მაინც ძალიან ძნ მგონია ამაზე ლაპარაკი.

ერლომ ახვლედიანი

მწერალი, კინოდრამატურგი. დაიბადა თბილისში 1933 წ. 23 ნოემბერს. მშობლები: ბარბარე დადიანი, სერგო ახვლედიანი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1957) და უმაღლესი სასცენარო კურსები მოსკოვში (1964). მუშაობდა კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებაში ინსპექტორად (1959-1960), საქართველოს ტელერადიოკომიტეტში მხატვრული ტელეფილმების უფროს რედაქტორად



(1967-1968), იყო „ქართულ ფილმთან“ არსებული მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების ნევრი (1971-1972), სატელევიზიო ფილმების სტუდიის უფროსი რედაქტორი (1979-1987), სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სასცენარო ჯგუფის პედაგოგ-ხელმძღვანელი (1982-1987) არის ავტორი ნიგნებისა „ზარმაცი თაგუნას ამბავი“ (1971); „ვანო და ნიკო“ (თარგმნილია და გამოქვეყნებული რუსულ, სომხურ, ჩეხურ, გერმანულ, უნგრულ და არაბულ ენებზე), 15 ფილმის ავტორი და თანაავტორი, მათ შორისაა „აპრილი“, „ფიროსმანი“, „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, „ამაღლება“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „არასერიოზული კაცი“, „ცხელი ზაფხულის სამი დღე“, „ძნელი დასანყისი“, „გზა შინისაკენ“, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ და სხვ. არის სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ჰობი: მოგზაურობა.

მისამართი: (ბინის) ტ. ტაბიძის 1შესახვევი 36. ტელ 29.03.92.

ვცდილობ ვიცხოვრო ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ცხოვრების წესით.

ლომერ ახვლედიანი

კინოოპერატორი, საქართველოს სახალხო არტისტი, დაღესტნის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1934 წ. 2 ოქტომბერს. მშობლები: ოლიმპიადა წულუკიძე, ბიძინა ახვლედიანი; მეუღლე — ნანა ავალიშვილი (დ.1937წ.); შვილები: ნინო (36 წლის), არჩილი (32 წლის). დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიის

ფაკულტეტი (1958) და მოსკოვის კინოინსტიტუტის საოპერატორო ფაკულტეტი (1975). სხვადასხვა დროს მუშაობდა ტელეფილმების სტუდიისა და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელ ოპერატორად (1957 წლიდან) გადაღებული აქვს ფილმები „ქვევრი“, „სამკაული სატრფოსათვის“, „აურზაური სალხინეთში“, „მზე შემოდგომისა“, „მშობლიურო ჩემო მიწავ!“, „ნატვრის ხე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „დონ-კიხოტი“, „ბესამე“, „ექსპრეს-ინფორმაცია“ და სხვ. არის საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის და კინემატოგრაფისტთა კონფედერაციის ნევრი. არის რუსთაველის და ლენინის პრემიების ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შეტანილია კინოენციკლოპედიასა და ქართულ ენციკლოპედიაში.

ჰობი: მუსიკა და სპორტი.

მისამართი: (ბინის) საირმის ქ. X კორპ. ბ. 28. ტელ. 37.37.55, 23.21.95; (სამსახურის) ახმეტელის 10ა

საქმის სიყვარული, წესიერება, კაცთმოყვარეობა.

ზურაბ ახმეტელი

მშენებელი ინჟინერი, პარლამენტის ნევრი, საპარლამენტო ფრაქცია „იმედის“ თავმჯდომარე. დაიბადა ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშენში 1948 წელს. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მუშაობდა ხარატად კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში (1965-1971), ამავე დროს სნავლობდა თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში. მუშაობდა „თბილქალაქმშენის“ №10 ტრესტის „მაღლივმშენში“ მემონტაჟედ, ბრიგადირად, მშენებელ-ოსტატ-

ად, სამუშაოთა მწარმოებლად, უბნის უფროსად (1971-1987), №4 საამშენებლო კომბინატში სამმართველოს უფროსად (1987-1990), „თბილქალაქმშენის“ სპეც. საამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსად (1990-1995). პარლამენტის წევრია 1995 წლიდან.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. საქართველოს პარლამენტი. ტელ. 93 17.43, 99 55 90.

გურამ ახრახაძე

ინჟინერ-ტექნოლოგი, მრეწველი დაიბადა თბილისში 1939 წ. 20 ივლისს. მშობლები: ვერა ჩიკვაიძე, ვლადიმერ ახრახაძე, მეუღლე — დალი ნივნივაძე (დ. 1941 წ.); შვილები: თათია (29 წლის), ლადო (33 წლის), დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (1963) და პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1977). მუშაობდა თბილისის ხილეული წყლების ქარხანაში ბრიგადირად (1963-1966), საამქროს უფროსად (1966-1972), კვების მრეწველობის სამინისტროში „საქმინხილწყალის“ განყოფილების უფროსად (1972-1975). იყო ხილეული წყლების ქარხნის (1975). და თბილისის უალკოჰოლო სასმელების და ნახშირმჟავა აირის ქარხნების დირექტორი (1975-1983). კვების მრეწველობის სამინისტროში სამმართველოს უფროსის მოადგილე (1983-1986), აგროსამრეწველო კომიტეტის უფროსის მოადგილე (1988-1991) არის კვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს რ/გ „საქართველოს წყლები“-ს თავმჯდომარე (1991 წლიდან), საზოგადოება „გულანი“-ს თავმჯდომარე. მისი ბიოგრაფია შეტანილია ინგლისურ ცნობარში Who's who in the former Soviet Union (1994).

Ჰობი: მეგობრების, ოჯახის და შვილიშვილების სამყაროში ყოფნა, ისტორიული ლიტერატურის კითხვა.
მისამართი: (ბინის) ბარნოვის 71, ტელ. 23.09.99. (სამსახურის) მელიქიშვილის 12 ტელ.: 98 92.66. ფაქსი: 98 92 65.

თავმდაბლობა — ზომიერება, პროფესიონალიზმი, ერთგულება, მადლიერების გრძნობა.

ჯემალ (სიმონ) აჯიაშვილი

მწერალი, მთარგმნელი, პროფესორი. დაიბადა სენაკში 1944 წ. 23 მარტს. მშობლები: მალქა მიხელაშვილი, დავით აჯიაშვილი; მეუღლე — მანანა აჯიაშვილი (დ.1950წ.); შვილები: დიმიტრი (22 წლის), ლევანი (18 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1967). მუშაობდა ირანში, ისპანეთში, ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში სპარსული ენის თარჯიმნად (1968-1971), საქართველოს კულტურის სამინისტროში მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელად (ხელშეკრულებით) (1972-1973), მწერალთა კავშირის მთავარ მთარგმნელობით კოლეგიაში უფროს მეცნიერ-რედაქტორად (1974-1990). თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების კათედრის გამგე და საქართველოს პარლამენტის წევრია 1993 წლიდან. ავტორია წიგნებისა: „შუა საუკუნეების ებრაული პოეზია“ (თარგმანები, წინასიტყვაობა, შენიშვნები 1979); მონძაემონ ჩიკამაცუ „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“ (1980, 1991),„შროშანი ღელეთა“ (1993), „გამოიღვიძე ქნარო“ — ისტორიული ესე (1992), მსოფლიო პოეზიის ნიმუშები და სხვ. არის საქართველო-ისრაელის საპარლამანტო კომისიის თანათავმჯდომარე,

საქართველოს სახელმწიფო, პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ი. ჭავჭავაძის სახელობის, ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიების ლაურეატი და ღირსების ორდენის კავალერი.
ᲰᲝᲑᲘ: მუსიკა, მხატვრობა, თეატრი, მოგზაურობა.
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (ბინის) ბარნოვის 19 ტელ.: 98.43.81 (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. საქართველოს პარლამენტი. ტელ.: 98.43.81

შემოქმედებითი პრინციპების ერთგულება, ყოველგვარი კონიუნქტურის მიმართ გულგრილობა.

ჯამლეთ ბაბილაშვილი

იურისტი, საქართველოს გენერალური პროკურორი, იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი. დაიბადა საგარეჯოში 1942 წ. 9 ივლისს. მშობლები: სოფიო ბეზარაშვილი, გიორგი ბაბილაშვილი, მეუღლე — ნათელა გოგბაიძე (დ.1952წ.); შვილები. გიორგი (19 წლის), ანა (17 წლის), თამარი (7 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1969), ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა (1971). იყო იქვე ჯერ უმცროსი (1971-1975) და შემდეგ უფროსი (1975-1977) მეცნიერ-თანამშრომელი. მუშაობდა საგარეჯოს რაიონის პროკურორად (1977-1981), უზენაეს სასამართლოში ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორის I მოადგილედ (1981-1986), საქართველოს პროკურატურაში საგამომძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილედ, უფროსად, ქუთაისის პროკურორად (1986-1990), იყო უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრი (1990-1992), საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე (1992-1993). ამჟამად საქართველოს გენერალური პროკურორია (1993 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „პასუხისმგებლობა ავტოსატრანსპორტო დანაშაულისათვის" (1975). არის ოცდაათი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი (მათ შორისაა ორი მონოგრაფია)

პობი: ნადირობა.

მისამართი: (ბინის) წერეთლის გამზ. 55 ბ. 12; (სამსახურის) გორგასლის 24, რესპუბლიკის პროკურატურა. ტელ.: 99.55.57

შრომისმოყვარეობა, სახელმწიფოებრივი ინტერესის პრიმატი, თავმდაბლობა, გაჭირვებაში მყოფი ადამიანისადმი თანაგრძნობა (შესაძლებლობის ფარგლებში დახმარება), ერთგულება მეგობრებისადმი, და ბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, დიდი სიყვარული საკუთარი ქვეყნისა და ხალხის.

თემურ ბაბლუანი

კინორეჟისორი, კინოსტუდია „ადამ და ევას" სამხატვრო ხელმძღვანელი. დაიბადა ლენტეხის რაიონის სოფელ ჩოლურში 1948 წელს. მშობლები: ნინო ჟვანია, გელა ბაბლუანი; მეუღლე — ლიანა ბაბლუანი (დ.1953 წ.); შვილები: ოლღა, გელა, სოფიკო, გიორგი, ლიანა. დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი (1979). იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" რეჟისორი (1979-1991). ავტორია ფილმებისა: „ბელურების გადაფრენა", „ძმა", „უძინართა მზე" მფლობელია კინოფესტივალთა პრიზებისა: კიევის (1980) საუკეთესო ფილმისათვის; ტალინის (1982) საუკეთესო დებიუტისათვის; ისრაელის (1990) საუკეთესო რეჟისურისათვის; სოჭის კინოტავრი (1993) გრანპრი, ფიპრესის პრიზი; ბერლინის კინოფესტივალის (1993) „ვერცხლის დათვი"; მოსკოვის ინტერფესტის (1994) მთავარი პრიზი; მოსკოვის ფესტივალის (1994) ორი მთავარი პრიზი; რუსეთის კინოაკადემიის „ოქროს ნიკე" (1994); თბილისის „ოქროს არნივი" (1994). არის რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1995).

მისამართი: (სამსახურის) აღმაშენებლის გამზ. 164. ტელ: 95.30.39

ყველაფერზე მაღლა ვაყენებ საქმეს.

ჯანსულ ბაგრატიონი

ინჟინერ-ტექნოლოგი, მწვრთნელი-პედაგოგი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1938 წ. 4 აპრილს. მშობლები. ქეთევან მგალობლიშვილი, ირაკლი (ჯანო) ბაგრატიონი, მეუღლე — მანანა მგალობლიშვილი (დ.1944 წ.); შვილები: ნინო (28 წლის), ეკატერინე (24 წლის). დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1963) და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი (1976) მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ფიზაღზრდის კათედრის გამგედ (1973-1984), თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ (1984-1987), საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ (1987-1991), საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროში მინისტრის მოადგილედ (1991-1993), საქართველოს სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ (1993-1994), საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ (1994 წლიდან). გამოქვეყნებული აქვს 18 სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომი, ერთი მონოგრაფია. არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, თბილისის საერთაშორისო საქველმოქმედო კლუბ „პანატლონის" პრეზიდენტი, სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის (ინვალიდი ბავშვების) პრეზიდენტი. იყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი.

პობი: სიმღერა.

მისამართი: (ბინის) ჩიქოვანის 24ა. ტელ.: 93.89.24. (სამსახურის) აღმაშენებლის გამზ. 65 ტელ.: 95.27.09, ფაქსი: 95.38.29.

პოპულარობა, ალბათ, თავისით მოდის, მაგრამ არა უმიზეზოდ. ჩემი ცხოვრების უმეტესი პერიოდი ქართული სპორტის სამსახურში გავატარე. თუ როგორ გამოვიდა, ამის მსაჯული ხალხია. ჩემი ცხოვრების პატარა ნაწილი ქართულ ესტრადას დავუკავშირე. როგორ? ესეც ხალხის პრეროგატივაა. მთელი ცხოვრება მეგობრების სიყვარულში გამიტარებია. როგორ გამომდიოდა? ეს თვით მეგობრებმა განსაზღვრონ. ლუკმა მქონია, სხვისთვის გამიყვია. დამიფასდა? ალბათ, ტყუილად არ მიცხოვრია. ვცდილობ რაც შეიძლება მეტი სიკეთე ვთესო, ხელი გავუმართო გაჭირვებულებს. გამომდის? ბედნიერი ვარ. პოპულარობა კი... ალბათ, თავისით მოდის.

თამაზ ბათიაშვილი

მუსიკოსი, მევიოლინე, საქართველოს სახალხო არტისტი დაიბადა თბილისში 1941 წ. 18 მარტს. მშობლები: ალექსანდრა გულიევრდაშვილი, ალექსი ბათიაშვილი; მეუღლე — თინათინ (მარიკა) ლორთქიფანიძე (დ.1954 წ.), შვილები: გიორგი (27 წლის), შოთა (19 წლის), ლიზიკო (17 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1963). მუშაობდა მუსიკალურ სასწავლებელში ვიოლინოს მასწავლებლად (1959-1970), სახელმწიფო სიმებიან კვარტეტში მევიოლინედ (1966-1970), თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მასწავლებლად, დოცენტად, პროფესორად (1967-1992), მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრში მევიოლინედ (1970-1972), არის საქართველოს სახ-

ელმწიფო კამერულ ორკესტრში მევიოლინე (1992 წლიდან) 1963 წლიდან ეწევა საკონცერტო მოღვაწეობას საქართველოსა და მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს საკონცერტო დარბაზებში არის ფალიაშვილისა და რუსთაველის პრემიების ლაურეატი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრი.
ჰობი. ბუნების ნიაღში განმარტოებით ყოფნა, ფეხბურთი.
მისამართი (ბინის) თბილისი, ლაღიძის 6 ტელ. 99 00.56, გერმანია, ინგოლშტატი 85057, ჰინდემით შტრასე 22. (სამსახურის) ჰოპე-შულ შტრასე 4; ინგოლშტატი 85049, გერმანია.

ირაკლი ბათიაშვილი

ფილოსოფოსი, პარლამენტის წევრი. დაიბადა 1961 წ. 8 აგვისტოს მშობლები: ირინე კუჭუხიძე, დიმიტრი ბათიაშ-

ვილი, მეუღლე — მაია ბათიაშვილი-ფანჩულიძე, შვილები: ნუცა (14 წლის), ირინა (5 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი (1983). მუშაობდა ფილოსოფიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად (1983-1992), საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის თავმჯდომარედ (1992-1993), პრობლემური სიტუაციის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელად (1994-1995), 1995 წლიდან პარლამენტის დეპუტატია.
მისამართი: რუსთაველის გამზ. 8. ტელ.: 22 35.92

თეიმურაზ ბაკურაძე

კომპოზიტორი. დაიბადა ქუთაისში 1943 წ. 17 აპრილს. მშობლები: მარიამ ჭეიშვილი, თედორე ბაკურაძე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1967). მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში" კომპოზიტორად (სახელშეკრულებო საწყისებზე 1968 წლიდან). არის ავტორი ნაწარმოებებისა: სცენიური: „პრელუდიუმი", პეპენინგი სოლისტების, სიმფონიური ორკესტრისა და მაგნიტური ფირისათვის 2 მოქმედებად; „ხმაურებიდან გალობამდე", „მცირე წრე" (ტექსტი ვაჟა-ფშაველასი, 1974), ვოკალურ-ინსტრუმენტული „ლირიკული სტროფები", კანტატა, სოლისტების, მამაკაცთა კამერული გუნდისა და ინსტრუმენტული ანსამბლისათვის — „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით (1963); „ჯონ რიდი", ორატორია სოლისტების, გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის (ტექსტი გ. ტაბიძისა, 1970); სიმფონია-კანტატა გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის — „გალობანი სინანულისანის" მიხედვით (1971). კამერული: სექსტეტი კლარნეტის, დასარტყამი ინსტრუმენტებისა და სიმებიანი კვარტეტისათვის (1963), დიალოგები კლარნეტის, ფაგოტისა და ვიოლონჩელისათვის (1968), სიმებიანი კვარტეტი „ფშაური ნატირლები" ორი ნიგნი კვარტეტისათვის — გ. ტაბიძის მიხედვით (1970), „მნუხრი" სიმებიანი ორკესტრისათვის (1978); ორი ნიგნი კვინტეტისათვის (საფორტეპიანო) — IX ს. უცნობი ქართველი ავტორისა და ეკლესიასტეს ნიგნის (XI, 9) მიხედვით (1992). არის კომპოზიტორი კინოფილმებისა: „იყო შაშვი მგალობელი", „პასტორალი" (რეჟ. ო. იოსელიანი), „ქალაქი ანარა", „მოცურავე" (რეჟ. ი. კვირკაძე), „უბედურება" (რეჟ. გ. კანდელაკი); სპექტაკლებისა: „ოიდიპოს მეფე (რეჟ. თ. ჩხეიძე), „კორიოლანოსი" (რეჟ. გ. ქავთარაძე), „რიჩარდ II" (რეჟ. ა. ქანთარია), ტელეფილმებისა: „დაუვინყარი დღე", „ავთო ვარაზი". არის რესპუბლიკური (1963, 1967, 1969), საკავშირო (1968) პრემიების ლაურეატი, საერთაშორისო კინოფესტივალის „ოქროს არწივის" ლაურეატი მუსიკის ნომინაციით (1992). საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი.
მისამართი: (ბინის) სანქტ-პეტერბურგის 3

ბალ

ანზორ ბალუაშვილი

იურისტი, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი. დაიბადა თბილისში 1943წ 23 სექტემბერს მშობლები: ელიზავეტა ბალუაშვილი, კონსტანტინე ბალუაშვილი; მეუღლე — მანანა ფოცხიშვილი (დ.1955წ), შვილი — ირმა (18 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1966). მუშაობდა ბათუმის პროკურატურაში გამომძიებლად, უფროს გამომძიებლად (1967-1970), საქართველოს პროკურატურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად, სამმართველოს უფროსად (1970-1993), 1993 წლიდან საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეა. გამოქვეყნებულია მისი ათეულობით სტატია, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გასააქტიურებლად. კანონმდებლობის სამართალგამოყენებითი პრაქტიკის ანალიზი.

ჰობი: მხატვრული ლიტერატურა.
მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას გამზ.V კვ I კორპ. ბ. 119. ტელ 37.04.05. (სამსახურის) გორგასლის 24. ტელ.: 99.85.66.

მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების და უფლებების დაცვა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და მისი უშიშროების უზრუნველყოფა. გაჭირვებულის და გზასაცდენილის ადამიანური დახმარება. სამართალდამცავ სტრუქტურებში ერუდირებული, უანგარო და უშიშარი სპეციალისტების მოზიდვა. კანონის პატივისცემა.

გიორგი ბარამიძე

პოლიტიკოსი, პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1968წ 5 იანვარს. მშობლები: ნარგიზა თოიძე, აივენგო ბარამიძე. დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (1992). იმყოფებოდა ევროპის უსაფრთხოების საკითხთა და თავდაცვითი ეკონომიკის ცენტრში (გერმანია-NATO, 1995) მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორის ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტში სამმართველოს უფროსად (1992) იყო საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-1995). მეორედ იქნა არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრად (1995) არის საქართველოს მწვანეთა მოძრაობის და საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრი. გამოქვეყნებული აქვს საგაზეთო პუბლიკაციები

ჰობი: ლიტერატურა, სპორტი, მუსიკა, ტურიზმი.
მისამართი (ბინის) დ. უზნაძის 6 ტელ 95 76.94; (სამსახურის) რუსთაველის გამზ 8 ტელ 93.46.79, ფაქსი: 99.51.45
ელ-ფოსტა: gbarami@parliament.ge.

პატიოსნება, სიკეთე, ზნეობრიობა, სიყვარული, პრინციპულობა, ერთგულება, რეალიზმი, ოპტიმიზმი, მიზანსწრაფვა, მაქსიმალიზმი, დაუკმაყოფილებლობა გაკეთებული საქმით, მიმტევებლობა — ეს ის პრინციპებია, რომლითაც ვცდილობ ვიხელმძღვანელო და მიმაჩნია, რომ საქართველო უნდა ჩამოყალიბდეს დემოკრატიულ, ლიბერალურ პრინციპებზე დაფუძნებულ სახელმწიფოდ. ჩემი აზრით, საქართველოში ნიჭიერი ხალხი ცხოვრობს და თუ ჩვენ მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის დაცვით მოვახერხებთ მოქმედებას, მაშინ

საქართველოს ხალხი და ხახელმწიფო მიაღწევს სასურველ კეთილდღეობას.

გრიგოლ ბარამიძე

საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული სამცხე-ჯავახეთში, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთში. დაიბადა თბილისში 1960 წ. 4 იანვარს. მშობლები: ცისანა გოგიჩაიშვილი, რევაზ ბარამიძე; მეუღლე — ანა თამარაშვილი (დ.1969 წ.); შვილი — ცისანა (4 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი არმენოლოგიის სპეციალობით (1981). სხვადასხვა დროს მუშაობდა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ლექტორად, უფროს მეცნიერ თანამშრომლად, უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ, ქალაქკომის პირველ მდივნად. საორგანიზაციო კომიტეტის პირველ მდივნად, მოქალაქეთა ადალგაზრდული კავშირის თავმჯდომარედ, საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწედ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „შუა საუკუნეების ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობები" (1991) გამოქვეყნებული აქვს 33 სტატია და ერთი მონოგრაფია. არის სპორტის ოსტატი ცურვაში. არმენოლოგთა საერთაშორისო კონგრესების (გერმანია, ერევანი, მოსკოვი, თბილისი) მონაწილე.

ჰობი სპორტი, წიგნები, ცხოველები, მუსიკა

მისამართი: (ბინის) თბილისი. ხოშტარიას 3, ტელ.: 93 53.41 (სამსახურის): ახალციხე, თამარ მეფის 11, ტელ.: 99.67.49

შრომა, სამართლიანობა, ღირსება.

გურამ ბარნოვი

ფილოლოგი, პროფესორი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი. დაიბადა თბილისში 1931 წ. 8 თებერვალს. მშობლები: ბარბარე ბეზარაშვილი, დიმიტრი ბარნოვი. მეუღლე — რუსუდან გოგიჩაიშვილი (დ.1945 წ.). შვილები: მაია (33 წლის), ნანა (30 წლის), ირინე (18 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1954). მუშაობდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1958-1966), უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1966-1989); პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის კათედრის გამგედ (1988-1993), ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში (1989-1992), დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად (1992-1993) და შემდეგ დირექტორად (1993 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ვაჟა-ფშაველას პოეზიის ხალხური წყაროები" (1993), სადოქტორო დისერტაცია — „მხატვრული სიტყვა და თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკა" (1991). ავტორია წიგნებისა „ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ხალხური წყაროები", „წერილები" (60-ზე მეტი წერილი). მიღებული აქვს საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემია „საუკეთესო კრიტიკული წერილებისათვის" (1985)

ჰობი: ახალგაზრდობაში გატაცებული იყო კალათბურთით.

მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 2/2. ტელ.: 23.19.48. (სამსახურის) კოსტავას 5. ტელ.: 99.53.00, 99.94.15

პრინციპები: საქმისადმი ერთგულება. იდეალები: საზოგადოებასა და ადამიანების მიმართ კორექტული დამოკიდებულება. მიზნები: ყველა სფეროში იდეოლოგიის გაბატონების მანკიერმა სისტემამ თითქმის მთლიანად ჩამოაცილა ყურადღება მხატვრული სიტყვის (როგორც მწერლობის ისე ფოლკლორის) ყველაზე მნიშვნელოვან მხარეს, რის შედეგადაც ნაწარმოების

მხატვრული არსი ფაქტობრივად მეცნიერული კვლევის მიღმა აღმოჩნდა. აუცილებელია გამოიკვეთოს ის გზები და საშუალებები, რომელთა გარეშე შეუძლებელია აღდგეს დარღვეული კავშირები მხატვრულ სიტყვასა და ლიტმცოდნეობასა და ფოლკლორისტიკას შორის.

აკაკი ბაქრაძე

ლიტერატორი. დაიბადა თბილისში 1928 წ. 29 მარტს. მშობლები: მარიამ ჩხაიძე, ვიქტორ ბაქრაძე მეუღლე — ნელი რუსიშვილი (დ.1932წ) შვილები: ნიკოლოზი (35 წლის), ლაშა (31 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1953). მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში" სასცენარო განყოფილების რედაქტორად (1955-1968). იყო რუსთაველის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი (1973-1980), მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი (1988-1989), რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე (1989-1991), 1995 წლიდან გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრია. გამოცემული აქვს წიგნები: „მითოლოგიური ენგადი", „სულის ზრდა", „რწმენა", „ილია ჭავჭავაძე", „აკაკი წერეთელი", „ნიკო ნიკოლაძე", „მწერლობის მოთვინიერება", „დანუნებული გზა" და სხვ.

მისამართი: (ბინის) ლესელიძის 18 ტელ.: 98.67.87

ჩემი კრედოა გაბრიელ გარსია მარკესის სიტყვები: „მე ვემსახურები ჩემს ხალხს და არა ჩემი ქვეყნის მთავრობას".

ვლადიმერ ბახუტაშვილი

ექიმი, სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1931 წ. 23 მარტს. მშობლები: ანა ბახუტაშვილი, ივანე ბახუტაშვილი, მეუღლე — ელინა ბახუტაშვილი (დ.1934.წ.), შვილები: ივანე (38 წლის), ალექსანდრე (35 წლის). დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი (1955); მუშაობდა ინფექციური საავადმყოფოს ექიმ-ორდინატორად (1956-1963), თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ასისტენტად (1963-1969), იყო ამავე ინსტიტუტის პროფესორი (1969-1980), ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1980-1990) და დირექტორი (1990 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ტოქსოპლაზმოზი" (1962), სადოქტორო „ვირუსული ინფექციების როლი დიზინტერიის პათოგენეზში" (1968). გამოქვეყნებული აქვს ხუთი მონოგრაფია მიძღვნილი ვირუსული ინფექციების, პათოგენეზის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის საკითხებისადმი. მის მიერ შექმნილია ახალი მიმართულება სამედიცინო ბიოტექნოლოგია საქართველოში, შექმნილია და დანერგილია პრაქტიკაში სამკურნალო და პროფილაქტიკური პრეპარატი პლაფერონი და სხვა სამკურნალო პრეპარატები.

ჰობი: მუსიკა.

მისამართი (ბინის) გამსახურდიას გამზ 9, ბ. 36 ტელ: 94.05.02; (სამსახურის) მ. ჭიაურელის 2. ტელ. 51.99.16

ყოველი ახლის შემეცნება. მეცნიერული კვლევა ახლისა, ადამიანებისა და ცხოველების დაავადებების შესწავლა, მათი

დიაგნოსტიკა, ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნა და დანერგვა.

ოთარ ბენიძე

იურისტი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი. დაიბადა სოხუმში 1951 წელს. მეუღლე — თამარ ბენიძე (დ.1951წ.), შვილები: თამილა (25 წლის), გრიგოლი (19 წლის), შვილიშვილი — ლელა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1981). მუშაობდა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში ექსპერტ-კრიმინალისტად (1971-1975), აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროსა (1975-1982) და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში განყოფილების უფროსად (1982-1991), აფხაზეთის იუსტიციის მინისტრის მოადგილედ (1991-1992), იუსტიციის მინისტრად (1992-1996). არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი — მოსამართლე (1996 წლიდან). გამოქვეყნებული აქვს სტატიები აფხაზეთის თემაზე.

ჰობი: მუსიკა.

მისამართი: (ბინის) სოხუმი, თარხნიშვილის 29, ბ. 35. (სამსახურის) თბილისი, რუსთაველის გამზ. 29. ტელ.: 94 08 31. ფაქსი: 99 04 21.

ადამიანობა, ობიექტურობა, სიმართლე — ვცდილობდი ჩემი ცხოვრების მანძილზე არ მელალატა ამ პრინციპებისათვის. უდიდეს ბედნიერებას მანიჭებს სიკეთის კეთება ჩემს პროფესიულ მოღვაწეობაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რამდენად გამომდიოდა ეს ყველაფერი, შეუძლია შეაფასოს ჩემს გვერდით მყოფმა ხალხმა, განსაკუთრებით აფხაზეთის მოსახლეობამ — მხედველობაში მყავს დევნილები, ლტოლვილები და აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფი მკვიდრნი.

გივი ბერიკაშვილი

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1934 წ. 15 მაისს. მშობლები: ანნა ბერიკაშვილი, ზაქარია ბერიკაშვილი; მეუღლე — ლეილა კაპანაძე (დ.1933წ.), შვილები: მანანა (38 წლის), ზურა (28 წლის). დამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1956). იყო სოხუმის დრამატული თეატრის (1956-1958), მარჯანიშვილის თეატრისა (1958-1967) და რუსთაველის დრამატული თეატრის (1967-1975) მსახიობი. ამჟამად ისევ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია (1975 წლიდან). მონაწილეობდა ფილმებში: „ღვინის ქურდები", „მზე შემოდგომისა", „ლონდრე", „სიყვარული ყველას უნდა" და სხვ.

ჰობი: ფეხბურთი და მებაღეობა.

მისამართი: (ბინის) თამარაშვილის 19ა; ტელ.: 39 54.56; (სამსახურის) მარჯანიშვილის 8. ტელ.: 95 24 25.

სიკეთე, სიკეთე, სიკეთე! მიყვარს მოსმენა! რაც არ ვიცი სხვას ვეკითხები. შეკითხვის არ მრცხვენია! ვერ ვიტან ტყუილს, თუნდაც ჩემს სასარგებლოდ იყოს ნათქვამი! მიყვარს, როცა საქმეს მიქებენ — მეტი პასუხისმგებლობით ვეკიდები! სიმშვიდე ოჯახში და საქმეში საშუალებას მაძლევს ნაყოფიერად ვიმუშაო. სხვისი წარმატება არ მშურს, პირიქით, მახარებს. ბოლო წლებში განსაკუთრებით ბევრს ვმუშაობ. ვოცნებობ ჩემი თვალით ვნახო და მოვესწრო, როგორ საქართველოში გააგრძელებენ ცხოვრებას შვილები და შვილიშვილები.

ნოდარ ბერიკაშვილი

მათემატიკოსი, პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესონდენტი. დაიბადა თბილისში 1929 წ. 25 იანვარს. მშობლები: მარიამ იაშვილი, ალექსი ბერიკაშვილი, მეუღლე — ოლია ჯანელიძე (დ.1936წ.); შვილები: ნანა (31 წლის), თეა (27 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი (1952). მუშაობდა მოსკოვის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1955-1959), თბილისის მათემატიკის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად (1959-1989). 1989 წლიდან გეომეტრიისა და ტოპოლოგიის განყოფილების გამგეა. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „სპექტრების აქსიომატიკური თეორია და ორადობის თეორემები არაჩაკეტილი სიმრავლეებისათვის" (1956), სადოქტორო დისერტაცია — „სპექტრული მიმდევრობის დიფერენციალები" (1972). არის 35-მდე სამეცნიერო სტატიისა და მონოგრაფიის — „სპექტრული მიმდევრობის დიფერენციალები" — ავტორი.

მისამართი: (ბინის) გოთუას 16 ბ. 16; ტელ.: 38.86.59; (სამსახურის) ალექსიძის I მათემატიკის ინსტიტუტი. ტელ.: 36.41.54. ელ ფოსტა: berica@imath.acnet.ge

გიორგი ბერიძე

კინოოპერატორი. დაიბადა თბილისში 1957 წ. 18 ოქტომბერს, მშობლები: ნუნუ დვალი, პავლე ბერიძე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1976) და საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტის კინოსაოპერატორო განყოფილება (1986). მუშაობდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1976-1980), თბილისის სახელმინიფო თოჯინების თეატრში სცენის მემონტაჟედ (1980-1981), კინოსტუდია „ქართულ ფილმში" რეჟისორის თანაშემწედ (1981) და კინოოპერატორად (1986 წლიდან). გადაღებული აქვს 30-მდე ფილმი, მათ შორის „ანემია" (1988), „დახატული წრე" (1988), „ტურანდოტი" (1990), „მარტივი პასიანსი" (1990), „ვალსი პეჩორაზე" (1992) „ატრაქციონი" (1992), „იავნანა" (1993), „ოტელ კალიფორნია, ანუ ატუ ალაბა" (1996), „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი" (1995-1996) და სხვ. მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია მხატვრული ფილმისათვის „იავნანა" (1994) „ოქროს არწივი" — საუკეთესო ოპერატიული ნამუშევრისათვის ფილმებში „იავნანა" (1994) და „ოტელ კალიფორნია" (1996) იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია (1994).

პობი: ხატვა, კითხვა, მოგზაურობა
მისამართი. (ბინის) ყაზბეგის გამზ. 29/II ბ. 79. ტელ. 39.22.25; (სამსახურის) ახმეტელის 8/10 ტელ. 51.13.16, ფაქსი: 51.09.10

ეკა ბერიძე

ფილოლოგი, ჟურნალისტი. TBC Tv-Studio-ს მთავარი რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1969 წ. 18 აპრილს. მშობლები: დალი ყარყარაშვილი, ზურაბ ბერიძე; მეუღლე — ირაკლი ჯიბლაძე (დ.1968წ); შვილი — ბექა (6 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1982). მუშაობდა „იბერვიზიაში", იყო საინფორმაციო გადაცემა „მონიტორის" ჟურნალისტი (1992-1993). ამჟამად TBC Tv-studio-ს მთავარი რედაქტორი და გადაცემა „მთავარი თემის" ხელმძღვანელია

(1994 წლიდან), ტელეკომპანია „მირი"-ს გადაცემის „პრეს-თემა" ავტორი და ხელმძღვანელია 1996 წლიდან. ავტორი და თანააავტორია გადაცემებისა: „მონიტორი", „დაიჯესტ-მონიტორი", „პატრიოტთა თამაშები", „პრეს-მონიტორი", „მთავარი თემა", „პრეს-თემა"

პობი: მხატვრული ლიტერატურა, წერა.
მისამართი: (ბინის) აბაშიძის 53, ტელ.: 22 58 84 (სამსახურის): ჭავჭავაძის გამზ. 34, ტელ.: 23 03 67; ფაქსი: 22.02.12, 22 26 07

ვცდილობდი, ვყოფილიყავი ის, რაც ვარ. არ მეთამაშა რაიმე ჩემთვის შეუფერებელი როლი. ვცდილობდი, მაქსიმალურად მეთქვა სიმართლე ობიექტურობის ფარგლებში და ვყოფილიყავი ადექვატური იმ სიტუაციებთან, რა სიტუაციებშიც მიხდებოდა მუშაობა.

ვახტანგ ბერიძე

ხელოვნების ისტორიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი. დაიბადა ქუთაისში 1914 წ. 30 მაისს. მშობლები: ელისაბედ ბერიძე (ჩხეიძე), ვუკოლ ბერიძე; მეუღლე — ნატალია ფალავანდიშვილი (დ.1921 წ), შვილები: რევაზი (53 წლის), მაია (50 წლის) დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1936), სამხატვრო აკადემიის ასპირანტურა (1938). მუშაობდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ლექტორად (1935-1938), არის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ლექტორი, პროფესორი (1937 წლიდან), ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში მუშაობს 1941 წლიდან. იყო ჯერ სწავლული მდივანი, განყოფილების გამგე, დირექტორის მოადგილე, დირექტორი, საპატიო დირექტორი. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „სავანის ტაძარი", (1940) სადოქტორო დისერტაცია „სამცხის ხუროთმოძღვრება XIII-XVI საუკუნეები" (1959) გამოქვეყნებული აქვს 400-ზე მეტი წიგნი და სტატია ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხებზე საქართველოში, რუსეთში, იტალიაში, საფრანგეთში, ინგლისში, ავსტრიაში, უნგრეთსა და რუმინეთში. არის თბილისის, ხონის, თელავის, ახალციხის, იყალთოს, სოფელ უდაბნოს საპატიო მოქალაქე.

მისამართი: (ბინის) აბაკელიას 3ა, ტელ.: 99.01.42 (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 52. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

ვემსახურები ქართული ხელოვნების, საერთოდ, ქართული კულტურის შესწავლისა და უცხო ქვეყნებში პოპულარიზაციის საქმეს, ქართული ძეგლების დაცვისა და მოვლა-პატრონობის ამოცანებს — ნაბეჭდი შრომებით, საჯარო ლექციებით, ტელე და რადიოგადაცემებით, პედაგოგიური მოღვაწეობით.

თენგიზ ბერიძე

მოლეკულური ბიოლოგიის, ბიოქიმიის სპეციალისტი, პროფესორი, აკადემიკოსი. დაიბადა თბილისში 1939 წ. 26 ოქტომბერს. მშობლები: რუსუდან როინიშვილი, გიორგი ბერიძე; მეუღლე — მარინა ქეცბა (დ.1946 წ.); შვილი — გიორგი (9 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი (1962). მუშაობდა ბოტანიკის ინსტიტუტში (1962-1963), იყო მოსკოვის ბიოქიმიის ინსტიტუტის ასპირანტი (1963-1966), პუშჩინოს ცილის ინსტიტუტის სტაჟიორი (1967-1966), თბილისის ბიოქიმიის ინსტიტუტის უფროსი. მეცნიერ-თანამშრომელი

(1968-1969), ამჟამად მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელია (1969 წლიდან) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1989 წლიდან) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია 1993 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მცენარეთა ორგანელების დნმ-ის გამოკვლევა" (1967), სადოქტორო დისერტაცია „უმაღლეს მცენარეთა სატელიტური დნმ" (1980). გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები "Сателлит ДНК" (1982 "Наука"), Satellite DNA (Springer-Verlag, Berlin-Heidelberg-New York-Tokio 1986). მისი ბიოგრაფია შეტანილია Who's sho in the world (აშშ) American Biographical Institute (აშშ) Institutional Biographical Centre (ინგლისი).

პობი: ჩოგბურთი, ფორტეპიანო.

მისამართი: (ბინის) ყაზბეგის გამზ. 47ა ბ. 10 ტელ.: 39 25 40 (სამსახურის) საქართველოს სამხედრო გზა მე-10 კმ. მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი, ტელ.: 51.80.97; ელ-ფოსტა: Devi @ Presid Acnet ge.

მერაბ ბერძენიშვილი

მხატვარი-მოქანდაკე, საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე, რუსეთის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა თბილისში 1929 წ. 10 ივნისს. მშობლები: თამარ უსეინაშვილი, ისიდორე ბერძენიშვილი. მეუღლე — კირა მიქელაძე (დ. 1930 წ.); დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია (1955). არის სამხატვრო აკადემიის პროფესორი (1965 წლიდან). არის ავტორი ქანდაკებებისა: „დავით გურამიშვილი", „ზაქარია ფალიაშვილი", „გიორგი სააკაძე", „ნოდარ დუმბაძის მემორიალი", „ილია ჭავჭავაძის პორტრეტი", „ტიციან ტაბიძის პორტრეტი", „დავით აღმაშენებელი", „ქეთევან წამებული" (თბილისი), „კიდევაც დაიზრდებიან" (მარნეული), „ჯარისკაცის მამა" (გურჯაანი), „დიდგორის მემორიალი" (დიდგორი), „მედეა" (ბიჭვინთა), „ქუთაისის მემორიალი" (ქუთაისი), „მშვიდობა" (სოჭი); „შოთა რუსთაველი" (მოსკოვი), „სიმბოლური ქანდაკება" (ტრავერსიატი, მიჩიგანის შტატი, აშშ); „ლაოსის მეფე" (ვენტიანი); „რსვანგ-ვონგი" (ლუანგ-პრობანგი) და სხვ. არის რუსთაველის, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „საბჭოთა სკულპტურა", „Cambridje Biographical Centre" (ტომი XXV) და „საქართველოს ენციკლოპედია" (ტომი II).

მისამართი (ბინის) კუს ტბის I შესახვევი 1. ტელ.: 22.79.28

ჭეშმარიტი ქმედება.

გურამ ბიგანიშვილი

სპორტსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი. დაიბადა თბილისში 1950 წ. 19 მაისს. მშობლები ელენე ბედოშვილი, სარდიონ ბიგანიშვილი. არის ევროპის ჩემპიონი (1984), „კეთილი ნების თამაშების" ჩემპიონი (1986), ტალინში ჩატარებულ მცირე ოლიმპიადაში გამარჯვებული (1984); საბჭოთა კავშირისა და საერთაშორისო რეგატების მრავალგზის გამარჯვებული; ოლიმპიადების მონაწილე: ბარსელონის, მე-13 ადგილი (1992); ატლანტის მე-16 ადგილი (1996); მოსკოვის (1980, 1988). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში ოლიმპიელების შესახებ (1984).

პობი: მუსიკა.

მისამართი: (ბინის) ხორნაბუჯის 58. ტელ. 61 68 39

შრომისმოყვარეობა, ტყუილის, სიცრუის სიძულვილი. ყოველმა ადამიანმა თავისი ცხოვრების მანძილზე რაღაცას უნდა მიაღწიოს და რაღაცა უნდა გააკეთოს თავისი ქვეყნისათვის. თავად ბევრი არაფერი გამიკეთებია, მაგრამ ჩემი შესაძლებლობის მწვერვალს მაინც მივაღწიე. ეს ბოლო არ არის. ერთხელ კიდევ ვცდი 2000 წელს და ხუთი ოლიმპიადით დავამთავრებ ჩემს კარიერას. მიყვარს ჯანმრთელი ადამიანები, იმიტომ რომ ჯანმრთელ ადამიანში ჯანმრთელი სულია.

გიორგი ბოკერია

ჟურნალისტი. დაიბადა თბილისში 1972 წ. 20 აპრილს. მშობლები: ნანა ალექსანდრია, ლევან ბოკერია; შვილი — ლევანი (5 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1995). მუშაობდა გაზეთ „მიმომხილველში" ჯერ კორესპონდენტად, შემდეგ პოლიტიკური განყოფილების უფროსად (1992-1993), რადიო-გადაცემა „პიკის-საათის" პოლიტიკურ მიმომხილველად (1993). იყო გაზეთ „არგუმენტის" პოლიტიკური განყოფილების უფროსი (1995-1996) ტელეარხი „რუსთავი 2"-ის გადაცემა „აქცენტების" ავტორი და წამყვანი (1996 წლიდან), საინფორმაციო პროგრამა „კურიერის" კორესპონდენტი. იმყოფებოდა აშშ-ში სტაჟირებაზე და მუშაობდა მედისონის (აიოვას შტატი) ადგილობრივ გაზეთში (1994). იყო სტუდენტური გაერთიანება „პრეს-კლუბის" (1991-1992), იმავე პერიოდში საქართველოს დროებითი სტუდენტური კავშირის წევრი, საქართველოს ახალგაზრდული ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაციის წევრი (1993 წლიდან). აქვს საგაზეთო სტატიები და რამდენიმე პუბლიკაცია რუსულ და ინგლისურ გაზეთებში.

ჰობი: ფეხბურთი, კალათბურთი, ბრიჯი, მუსიკა.

მისამართი: აბაშიძის 24ა, გამსახურდიას გამზ. 2. ტელ.: 22 41 61, 36 26 47, (სამსახურის) ვაჟა-ფშაველას გამზ. 45, მე-17 სართული. ტელეარხი „რუსთავი 2". ტელ.: 37 79 63, 99 60 13.

ელისო ბოლქვაძე

პიანისტი. დაიბადა თბილისში 1967 წ. 2 იანვარს. მშობლები: ნანა დარჩია, ზაურ ბოლქვაძე. დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორია და ასპირანტურა (1992). მუშაობდა იქვე პედაგოგად (1994-1995). მონაწილეობდა საერთაშორისო ფესტივალებში. ჰქონდა სოლო-კონცერტები (ძირითადად საზღვარგარეთ), ღია გაკვეთილები, კონცერტები სიმფონიურ ორკესტრებთან ერთად. არის ბახის (1984), ლისაბონის (1987), ვან კლიბერნის (1989), მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს (1995) საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი. მიღებული აქვს პრიზი ფრანგული მუსიკის საუკეთესო ინტერპრეტაციისათვის (1994). არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. მისი შესრულებით ჩაწერილია კომპაქტური დისკები „არტ ენდ ელექტრონიქსში", რომელიც კალიფორნიაში დაიბეჭდა (1990); მისი ხუთი კონცერტი ჯანსუღ კახიძესთან ერთად „Sony Clasical"-ში, რომელიც თანდათან იბეჭდება; "Ra-

dio France"-ში პარიზში გამოვიდა ლონგის კონკურსის ლაურეატების ჩანაწერი, რომელშიც მისი ფინალის კონცერტია ჩაწერილი (1995). მისი ბიოგრაფია შეტანილია მუსიკალურ ენციკლოპედიაში.
პობი: მუსიკა.
მისამართი: (ბინის) ენგურის 3, ბ. 10. ტელ.: 36.46.80

ცხოვრებისეული კრედო — მუსიკა უპირველეს ყოვლისა. სამშობლოს სიყვარული, მაღალი პატრიოტიზმი, შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა, ზნეობა, გამძლეობა. ღვთის სიყვარული. სწრაფვა მაღალი იდეალისაკენ. თვითკრიტიკის განვითარება საკუთარ თავში.

თამაზ ბოლქვაძე

ეკონომისტი, პარლამენტის წევრი; თვითმმართველობის და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა ქედის რაიონის სოფელ ახოში 1954 წ 16 აგვისტოს. ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟიშვილი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1978). მუშაობდა ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ უფროს ლაბორანტად, შემდეგ უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1978-1984). რეგიონალურ გამოკვლევათა კოორდინაციისა და მეთოდოლოგიის სექტორის გამგედ (1984-1991), მინისტთა კაბინეტში ჯერ ეკონომიკური რეფორმებისა და ადგილობრივი მმართველობის სახელმწიფო კომისიაში, ხოლო შემდეგ მმართველობის ადგილობრივი ორგანოების განყოფილებაში სახელმწიფო მრჩეველად (1991-1992), სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონების მართვის სამსახურში სახელმწიფო მრჩეველად (1993-1995). არის 15-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი და თანაავტორი. მათგან ხუთი გამოქვეყნებულია სამეცნიერო თეზისების სახით.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. საქართველოს პარლამენტი, ტელ.: 99.61.78.

რუსუდან ბოლქვაძე

დრამისა და კინოს მსახიობი. დაიბადა თბილისში 1959 წ. 6 ნოემბერს. მშობლები: გურანდა გრიგორაშვილი, გიორგი ბოლქვაძე. დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1980). არის კინოსტუდია „ქართული ფილმის" და კინომსახიობთა თეატრის მსახიობი (1980 წლიდან). მონაწილეობს სპექტაკლებში: „დონ ჟუანი", „ბაკულას ღორები", „ჩვენი პატარა ქალაქი", „ზაფხულის ღამის სიზმარი" და სხვ. ფილმებში: „დონ კიხოტი", „ჩემი ინგლისელი პაპა" და სხვ. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „მთვარის გლობუსი".
პობი: თეატრი, ვიოლინო, მოგზაურობა, ფოტოხელოვნება.
მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 50. ტელ.: 22.31.10; (სამსახურის) აღმაშენებლის 164, ტელ.: 34.07 86.

მიყვარს მოხუცები. მგონია, რომ ყველაზე დიდი ნიჭია მეგობრობა. მყავს სხვადასხვა ასაკის მეგობრები და ათი ნათლული და მიმაჩნია, რომ ეს ბევრ წოდებასა და სამეცნიერო ხარისხს არ ჩამოუვარდება. მიყვარს შემოდგომა. არასოდეს ვაწყობ გეგმებს — მაინც არ გამოდის. ყველაფერი, რაც გამოსულა და წარმატებით დამთავრებულა, მუდამ იმპროვიზირებული იყო, თითქმის მოულოდნელი. მძულს სიცრუე. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ვარ მიხეილ თუმანიშვილს სპექტაკლების უდიდესი წარმატების მომსწრე. „რასა გასცემ შენსა, რაც არა — დაკარგულია". „გიყვარდეს ხელოვნება შენში და არა — შენი თავი ხელოვნებაში" „იყავ მხნე, მოთმინე და სულგრძელი".

ვახტანგ ბოჭორიშვილი

ექიმი, პროფესორი, აკადემიკოსი. დაიბადა ლაგოდეხის რაიონის სოფელ გიორგეთში 1924 წ. 25 მარტს. მშობლები: ეკატერინე ბოჭორიშვილი, გაბრიელ ბოჭორიშვილი; მეუღლე — ლიდა ბოჭორიშვილი (დ.1924წ.); შვილები: ლალი (48 წლის), თამარი (42 წლის). იყო თელავის დრამატული თეატრის მსახიობი (1938-1940). სწავლობდა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში (1940-1942); მუშაობდა თელავის თეატრში ტექნიკურ რეჟისორად (1943-1944); თბილისის რუსთაველის თეატრში რეჟისორის ასისტენტად (1944-1945); სოხუმის ქართულ თეატრში რეჟისორად (1945). შემდეგ დაამთავრა ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის სანიტარულ-ჰიგიენური ფაკულტეტი (1951). მუშაობდა ქ. ჩიმკენტის მედგაერთიანება №3-ის განყოფილების გამგედ (1951-1952), იყო №99061 სამხედრო ნაწილის ექიმი (1952-1954), №85 სამხედრო-საზღვაო ჰოსპიტლის უმცროსი ორდინატორი (1954-1956), ლენინგრადის სამხედრო სამედიცინო აკადემიის უფროსი ორდინატორი, ასისტენტი, დოცენტი (1956-1969), თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში ინფექციურ დაავადებათა კათედრის გამგე (1969 წლიდან), საქართველოს სსრ ჯანდაცვის მინისტრი (1970-1973); სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრის დირექტორი (1979 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ზოგიერთი ჰემოდინამიკური მაჩვენებლები ანგინით დაავადებულთა შორის" (1961), სადოქტორო დისერტაცია — „ცვლილებები გულ-სისხლძარღვთა სისტემაში, ღვიძლში და სანაღვლე გზებში ანგინისა და ქროტონზალიტის დროს (1968). გამოქვეყნებულია მისი 226 მეცნიერული შრომა, მათ შორის 5 მონოგრაფია, "Сепсисология с основами инфекционной патологии" (1988). არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1985), საქართველოს ინფექციონისტთა საზოგადოების თავმჯდომარე, ჟურნალ „სამედიცინო მოამბის" რედაქტორის მოადგილე, საქართველოს კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების პრეზიდენტი. მისი, როგორც ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრის, ბიოგრაფია შეტანილია ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბეჭდილ ცნობარში.

ჰობი: პოეზია და პროზა (უმეტესწილად ქართული და რუსული).

მისამართი: (ბინის) ენგურის 3. ბ. 44. ტელ: 98.85.75 (სამსახურის) ალ. ყაზბეგის გამზ. 16. სეფსისის სანინააღმდეგო ცენტრი. ტელ.: 37.14.58

13-14 წლის ასაკიდან ვისწრაფვოდი სასარგებლო ვყოფილიყავი ოჯახისათვის და საქართველოსთვის. მუდამ მაწუხებდა ცოდნისა და შესაძლებლობის დეფიციტი და ვცდილობდი მის შემცირებას. 1945-1951 წლებში თითქოს დაკრწმუნდი რადიკალური ცვლილებების შეუძლებლობაში და უნდა მემსახურა იმისათვის, რაც რეალურად არსებობდა. 1989 წლის აპრილმა დამანახა რეალური პერსპექტივა. 1991 წელს, როცა ეროვნულ ხელისუფლებას იარაღით დაემუქრნენ, ურყევად დავდექი მის მხარეზე. დღეს ჩემი დევიზია: უბედური ქვეყნის შვილი არ შეიძლება იყოს ბედნიერი. სამედიცინო დეონტოლოგიაში მე შემაქვს კიდევ ერთი წმინდა მოვალეობა ექიმისა: პაციენტის პატრიოტული აღზრდა.

ირაკლი ბოჭორიძე

საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლის მხარეში. დაიბადა თბილისში 1970 წ. 1 იანვარს. მშობლები: მანანა ბოჭორიძე, ნუგზარ ბოჭორიძე; მეუღლე — ხათუნა ნემსაძე (დ.1970 წ.). შვილი — გიორგი (2,5 წლის). დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი საავტომობილო გზების მშენებელი

ინჟინრის სპეციალობით (1992). მუშაობდა ფიზიკის ინსტიტუტში გამოთვლითი ტექნიკის ოპერატორად (1989-1991), საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის წამყვან სპეციალისტად (1992-1993), TBC ბანკის განყოფილების უფროსად (1993-1994), მოქალაქეთა კავშირის ცენტრალურ აპარატში ჯერ კადრების განყოფილების უფროსად, შემდეგ რეგიონალური დეპარტამენტის თავმჯდომარედ (1994-1995), საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილედ შიდა ქართლის მხარეში (1995). იყო კასპის რაიონის გამგებელი (1995-1996). არის საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრი.

ჰობი: ცურვა.

მისამართი: (ბინის) თბილისი, გალის 1. ტელ.: 23.59.89. (სამსახურის) გორი, სტალინის 16, ტელ.: 93 32.39

ყოველთვის იმას ვაკეთებდი, რისი კეთებაც მინდოდა. მსურდა ხარისხიანად მეკეთებინა ჩემი საქმე, რათა სხვები დარჩენილიყვნენ კმაყოფილნი.

ქეთევან ბოხუა

ჟურნალისტი, საინფორმაციო-სააგენტო „იფრინდას" დირექტორი დაიბადა თბილისში 1958 წ. 13 აპრილს. მშობლები: ეთერ კუჭავა, ჯუმბერ ბოხუა; მეუღლე — კონსტანტინე რიჟამაძე (დ.1973წ.); შვილი — ნინო (1 წლის და 2 თვის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1982). საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო დეპარტამენტის კორესპონდენტი (1986-1990), საინფორმაციო სააგენტო „იფრინდას" დირექტორის მოადგილე (1990-1992), პროგრამა „ალიონის" წამყვანი (1994-1995). ამჟამად ქართველ ჟურნალისტთა საზოგადოების თანათავმჯდომარეა

ჰობი: კინო, თეატრი, მეგობრები.

მისამართი: (ბინის) გორგასლის 37 ბ 111, ტელ.: 72 22 20 (სამსახურის) რუსთაველის გამზ 19; ტელ.: 98.73.65, 99 91.18 ფაქსი: 98.73.65 ელ-ფოსტა: kote@iprinda.org.ge

ჩემი ცხოვრების კრედოა ქრისტეს 10 მცნება და ქრისტიანული პრინციპების დაცვა. თუ ეს პრინციპულად შევასრულე, მჯერა ყველაფერს შევძლებ ჩემი, ჩემი მეგობრებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ბაჩანა ბრეგვაძე

მწერალი, ფილოსოფოსი. დაიბადა ამბროლაურში 1936 წ. 11 თებერვალს. მშობლები: მარიამ თორდუა, იოველ ბრეგვაძე; მეუღლე — ლია იმერლიშვილი (დ.1938 წ.) შვილები ქეთევანი (30 წლის), ანა (25 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1960). მუშაობდა კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე ლაბორანტად (1961-1966), ქართულ ენციკლოპედიაში უფროს მეცნიერ რედაქტორად (1966-1972). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ბლეზ პასკალი" (1995), სადოქტორო დისერტაცია „პლატონის ნატურფილოსოფია" (1996) ავტორია წიგნებისა „ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინი", „ბლეზ პასკალი", „მარკუს ავრელიუსი", „მიქელანჯელოს პოეზია", „სოკრატე", „ფსევდო-ლონგინე", „არისტოტელეს პოეტიკა", „ნიკოლო მაკიაველი" არის საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მთარგმნელობითი კოლეგიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. მისი მთავარი თარგმანებია. ახალი აღთქმა, პლატონის „დიალოგები", პასკალის „აზრები", მარკუს ავრელიუსის „ფიქრები", სერვანტესის „დონ-

კიხოტი", იბსენის „დრამები", პოლ ვალერის „სულის კრიზისი", ნიკოლო მაკიაველის „მთავარი", ალბერტ შტეკლის „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია", ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებანი"

პობი: ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

მისამართი: (ბინის) ფალიაშვილის 62ა ტელ 22 53 22; (სამსახურის) ლესელიძის 4. ტელ.: 93 19.39

რწმენა, შრომისმოყვარეობა, ქართული კულტურის სამსახური.

გიორგი ბრეგვაძე

გაზეთ „ალიას" გამომცემელი და მთავარი რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1962 წ 10 დეკემბერს. მშობლები: ნატო ჯოხაძე, ვლადიმერ ბრეგვაძე, მეუღლე — მადონა ბრეგვაძე (დ. 1971წ); შვილები: ნატო (ტატა) (5 წლის), საბა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. მუშაობდა საშენ მასალათა კომბინატში ჩამომსხმელ მუშად (1980-1981), თბილისის 171-ე საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად (1986-1988), გაზეთ „დვრიტაში" კორესპონდენტად და განყოფილების გამგედ (1990-1991), გაზეთ „საქართველოს დამოუკიდებლობის" რედაქტორის მოადგილედ (1991), საინფორმაციო სააგენტო „არს-პრესის" დირექტორად (1991), გაზეთის „ალია საქართველოდან" ჯერ პასუხისმგებელ რედაქტორად (1991-1993), შემდეგ მთავარ რედაქტორად (1993-1935), ამჯერად გაზეთ „ალიას" გამომცემელი და მთავარი რედაქტორია. გამოქვეყნებული აქვს ნოველები, მოთხრობები და სტატიები.

პობი: წერა, გაზეთის კეთება, პისტოლეტიდან სროლა, მხატვრული ლიტერატურის კითხვა, ავტომობილის ტარება, მეუღლესთან და შვილებთან სეირნობა.

მისამართი: (სამსახურის) უზნაძის 14. ტელ.: 94 13.11; ფაქსი: 94.11,13

ეცადე მაქსიმალურად იყო სამართლიანი. შეძელი მოუსმინო ყველა მხარეს. იყავი რისკიანი და მშრომელი. დანარჩენი ჯერ კიდევ ჩემთვის მჭირდება!

ნანი ბრეგვაძე

მომღერალი, საქართველოსა და რუსეთის სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე. დაიბადა თბილისში 1936 წ. 21 ივლისს. მშობლები: ოლგა (ცაბუ) მიქელაძე, გიორგი ბრეგვაძე. მეუღლე — მერაბ მამალაძე (დ.1936 წ.); შვილი — ეკა (36 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (ფორტეპიანო) (1962). არის საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მომღერალი (1959 წლიდან) ყოფილი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, მე-6 მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში.

პობი: სიმღერა და სიმარტოვე.

მისამართი: (ბინის) ირ. აბაშიძის 18ა ტელ.: 22.37.22; (სამსახურის) აღმაშენებლის გამზირი 135.

თამაზ ბუაჩიძე

ფილოსოფოსი, პროფესორი, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. დაიბადა თბილისში 1930 წ. 1

თებერვალს. მშობლები: ნატალია ცქიტიშვილი, ანდრო ბუაჩიძე, მეუღლე — ირინე რობაქიძე (დ 1929 წ.); შვილები: ნატალია (41 წლის), ანდრო (39 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი (1953). მუშაობდა გაზეთ „მოლოდიო სტალნეცის" ლიტ. მუშაკად (1954-1958). განყოფილების გამგედ (1958), იყო ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტი (1958-1961), უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1961-1966), სწავლული მდივანი (1966-1967). 1967 წლიდან დირექტორის მოადგილეა. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ჭეშმარიტების ობიექტურობის შესახებ" (1964), სადოქტორო დისერტაცია „თანამედროვე დასავლეთის ფილოსოფიის სათავეებთან" (1997). ავტორია წიგნებისა: „ჭეშმარიტების ობიექტურობის შესახებ„ (1964), „ჰეგელი და ფილოსოფიის არსების პრობლემა" (1976), „ჰეგელი ფილოსოფიის შესახებ" (რუსულ ენაზე 1981), „თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის სათავეებთან" (1986), „სიცოცხლის ფილოსოფია" (1991).

მისამართი: (ბინის) დიღმის მასივი. VI კვარტ. V კორპ. ბ.22 ტელ.: 51.34.88 (სამსახურის): რუსთაველის გამზ. 29. ტელ.: 99.52.62.

ვცდილობდი, კარგად მომესმინა მეორე ადამიანისათვის, დიდ პატივს ვცემდი მეორე ადამიანის პიროვნებას, ყოველთვის ვიყავი შემწყნარებელი.

იოსებ (სოსო) ბუაჩიძე

გეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი, მრჩეველი. დაიბადა სოფელ ფარცხნალში 1907 წ. 2 სექტემბერს. მშობლები: მარიამ უგრეხელიძე, მოსე ბუაჩიძე; მეუღლე — ოლია ნებერიძე (დ.1906წ); შვილები: გურამი (64 წლის), ცისანა (58 წლის). დაამთავრა კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი (1935). მუშაობდა საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოში ზვარის და მარელისის გეოლოგიური პარტიის ხელმძღვანელად (1931-1934), აჭარისწყლის ჰიდროელექტოსადგურის მშენებლობის საინჟინრო გეოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელად (1934-1938), საქართველოს ჰიდრო-ენერგო-პროექტში საინჟინრო-გეოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელად (1938-1942), საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოში ექსპედიციის ხელმძღვანელად (1942-1948), გეოლოგიურ ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1942-1951), პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასისტენტად, დოცენტად, პროფესორად, კათედრის გამგედ, ინსტიტუტის რექტორად (1948-1975), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად (1975-1988), 1988 წლიდან დღემდე ამავე ინსტიტუტის დირექტორი და მრჩეველია. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საინჟინრო გეოლოგიური პირობები" (1948) და სადოქტორო — „საქართველოს მინისქვეშა წყლები" (1950); გამოქვეყნებული აქვს 8 მონოგრაფია (თანაავტორებთან ერთად), 173 სამეცნიერო სტატია, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო გეოლოგიური 18 რუკა, 14 სამეცნიერო და 272 სამეცნიერო-საველე ანგარიში. არის საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი, საქართველოს საინჟინრო გეოლოგიური საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი.

პობი: ნადირობა

მისამართი: (ბინის) ძმები კაკაბაძეების 9, ტელ.: 99 09.91; (სამსახურის) სოფ. დიღომი, ჰიდროგეოლოგიური და

საინჟინრო-გეოლოგიური ინსტიტუტი, ტელ.. 51 70 39

ჩემი ცხოვრებისეული კრედო, როგორც სპეციალისტისა, იმაში მდგომარეობდა, რომ ღრმა მეცნიერული განათლების მიღების შემდეგ არსებითი წვლილი შემეტანა საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო გეოლოგიური შესწავლის საქმეში და მისი შედეგი მომეხმარებინა ჩვენი ქვეყნის ნორმალური განვითარებისა და აყვავებისათვის, ხოლო უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელის — რექტორის, პოზიციიდან ყველა შესაძლო ღონე მეხმარა ჩვენი ახალგაზრდობის თანამედროვე მაღალ დონეზე აღზრდისათვის ჩვენი პედაგოგიური კოლექტივის დახმარებით და ძალისხმევით.

პაატა ბურჭულაძე

მომღერალი, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი. დაიბადა თბილისში 1955 წ 12 თებერვალს. მშობლები. ნუნუ ჭანტურიძე, შალვა ბურჭულაძე; შვილები: შუქრი (22 წლის), ლექსო (12 ნლის). დაამთავრა



თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1977) და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საამშენებლო ფაკულტეტი (1977). არის თბილისის კონსერვატორიის პროფესორი. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ გაგზავნილი იყო მილანში სტაჟირებაზე. მისი დებიუტი შესდგა თბილისის საოპერო თეატრში (1976). იმღერა გუნოს ოპერა „ფაუსტ-[illegible] ში“ [illegible] [illegible] [illegible]

სტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი (1995). იყო კინომსახიობთა თეატრის მსახიობი (1987-1980) მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია 1981 წლიდან. იყო ფოთის ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი (1984-1986). მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ოთარაანთ ქვრივი", „ანა კარენინა", „შენსკენ სავალი გზები", „გრაალის მცველნი", „მეფე ლირი", „დიდოსტატის მარჯვენა", „მედეა"; ფილმებში: „წიგნი ფიცისა", „თეთრი ბაირაღები", „დუბროვსკი", „პრემიერა" არის მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი.

პობი: ცხენოსნობა, მთასვლელობა

მისამართი. (ბინის) თარხნიშვილის 18 ტელ.: 22.16.54; (სამსახურის) მარჯანიშვილის 8, ტელ.: 95.24.25

არასოდეს არ დაკმაყოფილდე გაკეთებულით. „გუშინ არ არსებობს, არსებობს მხოლოდ დღეს". ყოველ ახალ როლზე ისე უნდა დაიწყო მუშაობა, თითქოს პირველია შენს ცხოვრებაში, ხოლო ყოველი გასვლა სცენაზე, მნიშვნელოვანი როლი იქნება თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი, ისე უნდა იყოს ნათამაშები, თითქოს უკანასკნელ სპექტაკლს თამაშობ ცხოვრებაში. თითოეული მაყურებელი უნდა გრძნობდეს, რომ დღევანდელი სპექტაკლი მას მიუძღვენი.

ნინო ბურჯანაძე

იურისტი, საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. დაიბადა ქუთაისში, 1964 წ. 16 ივლისს. მშობლები: თინა მორჩაძე, ანზორ ბურჯანაძე; მეუღლე — ბადრი ბინაძე (დ.1960წ.); შვილები: ანზორი (11 წლის), რეზიკო (3 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1968), მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა (1990). არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის დოცენტი (1991 წლიდან). მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში საგარეო ურთიერთობათა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტად (1992-1995). ამჟამად საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა (1995 წლიდან). არის ახალგაზრდა იურისტთა კავშირის წევრი, რუსეთის საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო საზღვაო სამართლის ასოციაციათა წევრი, აშშ საერთაშორისო სამართლის ასოციაციის წევრი. მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში მალტაზე (1992), იაპონიაში (1995), გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის 31-ე სემინარის მუშაობაში (ჟენევა 1996) დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ახალი ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციათა იურიდიული ბუნება და სამართლებრივი მდგომარეობა" (1991). ავტორია 20-მდე სამეცნიერო სტატიისა.

ჰობი: ყვავილები, თეატრი, კლასიკური მუსიკა.

მისამართი: (ბინის) ენგურის 3 ბ. 50 ტელ.: 29.47.64. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. საქართველოს პარლამენტი. ტელ.: 93.47.42; ფაქსი:29.47.64, ელ-ფოსტა: nino @ legal.cmt gov.ge

ჩემთვის უმნიშვნელოვანესია ერთგულება, გულწრფელობა, გულისხმიერება და პრინციპულობა. ჩემი მიზანია ვიცხოვრო ისე, რომ ჩემი ხალხის, ჩემი შვილების წინაშე ამაყი და ვალმოხდილი ვიყო.

გიორგი ბულაძე

მხატვარი. დაიბადა თბილისში 1956 წ. 24 სექტემბერს. მშობლები: დალი ჭანტურია, უშანგ ბულაძე; მეუღლე — ანა კლდიაშვილი (დ. 1956 წ.), შვილები: ლაშა (19 წლის), ნინო (8 წლის); დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი (1981). მუშაობდა სოფ. გლდანის საშუალო სკოლაში ხატვა-ხაზვის მასწავლებლად (1981-1985), თბილისის იკაობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგად (1986-1991), სამხატვრო აკადემიის ექსპერიმენტული კურსის ხელმძღვანელად (1991-1994). არის თეატრალური ინსტიტუტის სცენოგრაფიის კურსის დოცენტი (1993 წლიდან), აგრეთვე საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი და ახალგაზრდული გაერთიანების თავმჯდომარე (1987 წლიდან). აქტიურად თანამშრომლობდა პრესასა და რადიოში. ავტორია წიგნისა „ფიქრები წარმავალზე" (1994) გაფორმებული აქვს მხატვრული ფილმები. არის საქართველოს მხატვართა კავშირის (1985) და გოგებაშვილის (1994) პრემიების ლაურეატი; მიღებული აქვს საფრანგეთის პრეზიდენტის პრიზი კანში (1990) და ანტონ I-ის სახელობის ოქროს მედალი (1996). მისი ბიოგრაფია შეტანილია კემბრიჯის ენციკლოპედიის 25-ე გამოცემაში.

მისამართი. (ბინის) ინგოროყვას 14, ტელ.: 93.34.50; (სამსახურის) ნუცუბიძის II პლატო, V კორპ. სტუდია-სახელოსნო ტელ.: 31.80.85

თავდაუზოგავად მიყვარდეს, ვისწავლო და შევეცადო ეს ცოდნა სიყვარულთან ერთად სხვასაც გავუნაწილო. ბოლომდე გამოვთქვა ის, რაც ვგრძნობ, რომ შინაგანად გამაჩნია; ადამიანებს ვემსახურო და მათ მარადიული ფასეულობები მნიშვნელობები წარმოვუჩინო მთავარია, გიყვარდეს და ამ სიყვარულით იშრომო, ამიტომ ოცნებობ მოვკვდე სიყვარულით სავსე, ბედნიერ ადამიანად, შესრულებული მოვალეობის შეგნებით.

ვახტანგ ბუცხრიკიძე

ეკონომისტი, ბანკირი. დაიბადა ლისში 1970 წ. 28 სექტემბერს. მშობლები: როინა ელბაქიძე, ბუცხრიკიძე. დაამთავრა თბილ. სახელმწიფო უნივერსიტეტი. [illegible] მუშაობდა ეკონომიკის ინსტიტუტში [illegible] უმცროს მეცნიერთანამშრომლად (1991), ფინანსთა სამინისტროში ფინანსთა მინისტრის თანაშემწედ (1992), იყო „TBC-ბანკის" მმართველის მოადგილე (1993-1994), შემდგ. დირექტორი (1995 წლიდან). გამოქვეყნებული აქვს სტატიები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

ჰობი: თხილამურები, კალათბურთი, საქართველოს ისტორია.

მისამართი: (ბინის). შავგულიძის 7, ტელ.: 31.45.54; (სამსახურის): ჭავჭავაძის გამზ. 11, ტელ.: 22.06.61. ფაქსი: 22.04.06

ცოდნის გაღრმავების სურვილი, პროფესიონალიზმის ამაღლება, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, სამსახურებრივი და პირადი ცხოვრების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, მეგობრული წრის არსებობა.

თამარ გაბარაშვილი

მუსიკოსი, კონსერვატორიის პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1937 წ. 22 ივლისს. მშობლები: ბუდა გაბარაშვილი, ბორის გაბარაშვილი მეუღლე — ირაკლი ხომერიკი (დ.1936წ.); დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორია (1962) და ასპირანტურა (1966) ვიოლონჩელის სპეციალობით (ხელმძღვანელი მ. როსტროპოვიჩი). იყო მოსკონცერტის სოლისტი (1966-1990); თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში პედაგოგი, დოცენტი (1986-1991), პროფესორი (1991 წლიდან). კათედრის გამგეა (1986 წლიდან). არის მუსიკოს-შემსრულებელთა პელსინკის საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული, ოქროს მედლის მფლობელი (1962), ბუდაპეშტის პაბლო კაზალსის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, ბრინჯაოს მედლის მფლობელი (1963), პ. ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკოს შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი (1966), საქართველოს დამსახურებული არტისტი (1968), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1995). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში და ცნობარებში "The International Who is Who of Women". ("Europa Publicatives Limited")

პობი: ქსოვა, კულინარია.

მისამართი: (ბინის) ლარსის 2, ბ. 6, ტელ.: 22.64 20 (სამსახურის) გრიბოედოვის 13. ტელ.: 99.91 44, ფაქსი: 98 71.87 ელ-ფოსტა: Bumiaga @ Fable 7 ge

დავიბადე მუსიკოსის ოჯახში, რამაც განაპირობა ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში — მუსიკის უდიდესი სიყვარული და ყოველდღიური შრომა თვითგამოხატვისათვის... მუსიკა და მუსიკა, დანარჩენი ყველაფერი მეორეხარისხოვანია. ჩემი მუდმივი მიზანი გახლდათ — სრული გულწრფელობა შესრულებაში. ასევე იქნება მუდამ.

გურანდა გაბუნია

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1938 წ. 26 აგვისტოს. მშობლები: თამარ მაკარაშვილი, გიორგი გაბუნია, მეუღლე — ოთარ მეღვინეთუხუცესი (დ.1932წ); შვილი — მარიამი. დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1961) იყო რუსთაველის (1961-1962, 1967-1970), სანკულტურის (1962-1964), რუსთავის (1970-1975) თეატრების მსახიობი, სუხიშვილის ანსამბლის მოცეკვავე (1964-1967). 1975 წლიდან მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია. შესრულებული აქვს მრავალი როლი სპექტაკლებში და ფილმებში: „ერთი ცის ქვეშ" (რეჟ. ლ. ღოღობერიძე), „დრო იწურება განთიადზე" (რეჟ. ნ. ნენოვა, ნ. ულაია). „შემთხვევა ავტობუსში" (რეჟ. ნ. მჭედლიძე), „მე ვხედავ მზეს" (ლ. ღოღობერიძე); „გზის დასაწყისი", „დღეს ღამე უთენებია", „ორომტრიალი", „აურზაური სალხინეთში", „მზე შემოდგომისა". აღიარებული იყო ორჯერ წლის საუკეთესო მსახიობად. არის ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის (1975) ვერცხლის მედალოსანი. არის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის წევრი, მოძრაობა „თეთრი მანდილის" თავმჯდომარის მოადგილე.

მისამართი: (ბინის) აღმაშენებლის

გამზ 86/90, ბ 27 ტელ: 95 57.51, (სამსახურის) მარჯანიშვილის 8. მარჯანიშვილის თეატრი. ტელ. 95 24.25.

ორივე მშობლები მსახიობები იყვნენ და ალბათ ამან განაპირობა ჩემი უსაზღვრო სიყვარული თეატრის მიმართ. სადაც სიყვარულია, იქ ერთგულებაც არის — ეს პროფესიონალიზმის ძირითად ნიშნად მიმაჩნია და ეს თვისება ამშვენებს ადამიანს ნებისმიერი მიმართებით. გაჭირვებულ ადამიანს გულგრილად ვერ ვუყურებ, რაღაც მიბიძგებს მის გვერდზე ვიყო და გასაჭირი შევუმსუბუქო. ამაში იუმორი ძალიან მეხმარება. მიყვარს ადამიანები და მათთან ყოფნა. მარტოობას ვერ ვიტან. არ მიყვარს ჩემი უბედურების სხვისთვის თავზე მოხვევა. ქვეყნის საფიქრალი და დარდი მეც მეხება და სოხუმი კი ჩემი ყველაზე დიდი ტკივილია.

ლეო გაბუნია

პალეონტოლოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მეცნიერებათა აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი. დაიბადა ირკუტსკში 1920 წ. 13 სექტემბერს. მშობლები: ნადეჟდა დუმბაძე, კალისტრატე გაბუნია; მეუღლე — ლილი ასათიანი (დ. 1922წ.); შვილები: სალომე (44 წლის), ვახტანგი (43 წლის), მზია (38 წლის), გიორგი (36 წლის). დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1943). მუშაობდა გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1947-1950); არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1975 წლიდან); იყო პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ხერხემლიანთა პალეობიოლოგიის განყოფილების გამგე (1957-1976); პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი (1976-1988); მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (1976-1988); არის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის საპატიო დირექტორი, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი აკადემიკოს მდივანი (1988 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დასავლეთ საქართველოს ქლიოცენურ მოლუსკურ ფაუნათა პარალელიზაცია" (1947), სადოქტორო — „პიპარიონების ისტორია" (საბჭოთა კავშირის ნეოგენის მასალების მიხედვით) (1954). არის 241 სამეცნიერო შრომის ავტორი. გამოკვლევები გამოქვეყნებულია საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის, აშშ-ს, გერმანიის, ჩინეთის პერიოდულ გამოცემებში. არის ავტორი წიგნებისა: „დინოზავრების ნაკვალევი" (1958); „პიპარიონების ისტორია" (1959); „ბენარის ოლიგოცენურ ხერხემლიანთა ფაუნა" (1964); „ძველი ქვეწარმავლებისა და ძუძუმწოვრების ამონყდომა" (1969); „ბელომეჩეტკის ჩოკრაკულ ძუძუმწოვართა ფაუნა" (1974); „ლუი დოლო" (1976), და სხვ. მიღებული აქვს მოსკოვის საბუნებისმეტყველო საზოგადოების პრემია (1966); საბჭოთა კავშირის საზოგადოება „ცოდნის" საპატიო დიპლომი (1976). არის რუსეთის ტერიოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი, აშშ-ს ხერხემლიანთა პალეონტოლოგიისა და საქართველოსა და უცხოეთის მრავალი სამეცნიერო საზოგადოების წევრი; ჟურნალების „ევოლუციური მოძღვრება" (ჩიკაგო), „პალეონტოლოგიური ჟურნალი" (მოსკოვი), ქართული ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიების წევრი. მეცნიერულ პოპულარული სერიიის „ათინათის" რედაქტორი, იუნესკოს საერთაშორისო პროგრამების „ადამიანი და ბიოსფერო" ეროვნული კომიტეტისა და თბილისის

„ალიანს ფრანსეზის" პრეზიდენტი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: „ბიოლოგები" (კიევი, 1984); „გეოლოგები და გეოგრაფები" (კიევი 1985).
ჰობი: მუსიკა, მხატვრობა, ჭადრაკი.
მისამართი: (ბინის) სულხან-საბას 9; ტელ.: 99.80.97 (სამსახურის) რუსთაველის 52. ტელ.: 99 89.61, ფაქსი. 99.88.23

შრომისმოყვარეობა და შემოქმედებითი შრომისკენ სწრაფვა. მეცნიერებისა და სამშობლოს სამსახური, სამშობლოს სიყვარული, ოჯახის ერთგულება; ძალადობის ყოველგვარი გამოვლინების სასტიკი სძულვილი, შეურიგებლობა.

ნოდარ გაბუნია

კოპოზიტორი, პიანისტი, პროფესორი, კონსერვატორიის რექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1933 წ. 9 ივლისს. მშობლები: ნადეჟდა დუმბაძე, კალისტრატე გაბუნია, მეუღლე — ზიზი აფხაზავა (დ.1946წ.); შვილები: ლელა (31 წლის), ნატო (29 წლის). დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის საფორტეპიანო განყოფილება (1957), საფორტეპიანო განყოფილების ასპირანტურა (1960), საკომპოზიციო განყოფილება (1962). მუშაობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საფორტეპიანო კათედრის მასწავლებლად (1962-1967), ამავე კათედრის გამგედ (1967-1986), არის პროფესორი (1976 წლიდან), კონსერვატორიის რექტორი (1984 წლიდან). იყო კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი (1973-1978), არის ამ კავშირის თავმჯდომარე (1996 წლიდან). ავტორია სამი სიმფონიისა, ორი კონცერტისა სიმებიანი კვარტეტისათვის, ორი საფორტეპიანო კონცერტისა, კონცერტისა ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, იგავისა ს. ს. ორბელიანის მიხედვით, საფორტეპიანო სონეტებისა და პიესებისა. ჩაწერილი აქვს საკუთარი და კლასიკური მუსიკის ფირფიტები და დისკები. მისი ბიოგრაფია შეტანილია წიგნში "International Who's Who in Music" (კემბრიჯის გამოცემა); Современные пианисты(მოსკოვის გამოცემა).
ჰობი ჭადრაკი, საუბარი.
მისამართი: (ბინის) ალ. ყაზბეგის გამზ. 20ა ბ. 2. ტელ.: 99.84.89 (სამსახურის) გრიბოედოვის 8. ტელ.: 99.91;44, ფაქსი: 98.71.87 ელ. ფოსტა: buniaga@table7.ge

საკუთარ თავთან არასდროს არ ვიცრუო.

თენგიზ გაზდელიანი

ექიმი, სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრი. დაიბადა ლენტეხში 1946 წელს ჰყავს მეუღლე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (1971). მუშაობდა ჯერ რუსთავის (1971-1973), შემდეგ თბილისის (1973-1974) სპორტულ დისპანსერში ექიმ-თერაპევტად. იყო მეოთხე დერმატო-ვენეროლოგიური დისპანსერის განყოფილების გამგე (1974-1975), მე-ექვსე ანალოგიური დისპანსერის (1975-1978), მეათე მოზრდილთა პოლიკლინიკის (1978-1979), მე-2 საავადმყოფოს (1979-1983), საბურთალოს რაიონის (1983-1990) მთავარი ექიმი; თბილისის მთავარი სანიტარული ექიმი (1990-1992), საქართველოს პარლამენტის წევრი და ჯანმრთელობის დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე (1992-1994). მინისტრია 1994 წლიდან. აქვს სპორტის ოსტატის და უმაღლესი ექიმ-ორგანიზატორის ნოდებები.
მისამართი: (სამსახურის) ლეონიძის 2. ტელ.: 93.69.68. ფაქსი: 93.61.50.

ერეკლე გამყრელიძე

ინჟინერ-გეოლოგი, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, პროფესორი, აკადემიკოსი. დაიბადა თბი-

ლისში 1933 წ. 8 მაისს. მშობლები: ნინო იოსელიანი, პეტრე გამყრელიძე; მეუღლე — ია გობრონიძე (დ. 1939 წ.); შვილები: ნინო (38 წლის), დავითი (33 წლის). დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1956) მუშაობდა ტრესტში „საქფერლითდაზვერვა" გეოლოგად (1956-1957), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრაზე ლაბორანტად (1957-1958). იყო გეოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი (1958-1961); უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1961-1966), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1966-1975), ტექტონიკის განყოფილების გამგე (1975-1988). არის მეცნიერებათა აკადემიის დედამინის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (1988 წლიდან), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (1979-1993), გეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი, გეოლოგთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „რაჭალეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის აგებულება" (1963), სადოქტორო დისერტაცია — „ტექტონიკური სტრუქტურების ფორმირების მექანიზმი და ტექტოგენეზისის ზოგიერთი ზოგადი პრობლემა" (1984). ავტორია 9 მონოგრაფიისა, 123 სტატიისა და 70-მდე ხელნაწერი შრომისა (გეოლოგიური ანგარიშები). არის ა. ჯანელიძის სახელობის პრემიის ლაურეატი.

პობი: ბუნების ე. წ. „ანომალიური" მოვლენების კვლევა, ჯოგინგი (ნელი სირბილი)

მისამართი: (ბინის) ფალიაშვილის 52, ბ. 15. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 52, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი. ტელ.: 99.64.45; ფაქსი: 99.88.23. ელ. ფოსტა: Keti @ geologya cnet ge

სიმართლისა და სამართლიანობის ერთგულება, რის გამოც არაერთი უსიამოვნება შემხვედრია. უახლოეს ადამიანებთანაც კი. ძირითად ჩემს დანიშნულებად ცხოვრებასა და მეცნიერებაში მიმაჩნდა ჭეშმარიტების განუწყვეტელი ძიება ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში, იმ რწმენით, რომ უმაღლესი ჭეშმარიტება არის ღმერთი. ამ გზაზე არაერთი შეცდომა მომსვლია, რომელთა აღიარება არავითარ სულიერ დისკომფორტს არ მიქმნიდა. ვიყავი ბედნიერი მაშინ, როცა ვიყავი მართალი ჩემს თავთან, თუმცა ვრწმუნდები, რომ ცხოვრებაში არის ბევრი რამ, რაც პირად ბედნიერებაზე უფრო მნიშვნელოვანია.

თამაზ გამყრელიძე

აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგი. პროფესორი, აკადემიკოსი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი. დაიბადა ქუთაისში 1929 წ. 23 ოქტომბერს. მშობლები: ოლიმპიადა გამყრელიძე, ვალერიან გამყრელიძე,; მეუღლე — ნინო ჯავახიშვილი (დ.1946წ.); შვილები: ეკა (27 წლის), ალექსანდრე (26 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1952). მუშაობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად (1953-1960), აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად და განყოფილების გამგედ (1960-1973), დირექტორად (1973 წლიდან), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის გამგედ (1960 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ხეთური ენის პრაინდოევროპული ელემენტები" (1956), სადოქტორო დისერტაცია — „ხეთური ენა და ლარინგა-

ლური თეორია" (1960). არის ამერიკის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი საპატიო წევრი (1979), ბრიტანეთის აკადემიის (1980), ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი, საქსონიის აკადემიის უცხოელი წევრი, ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების საპატიო წევრი (1978); ევროპის ლინგვისტური საზოგადოების წევრი. იყო ამ საზოგადოების პრეზიდენტი (1986-1987), ინდო-ევროპული საზოგადოების საპატიო წევრი, ბონისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, ლენინის პრემიის (1988); პუმბოლტის (1989) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის (1990) პრემიების ლაურეატი. ავტორია მრავალი მეცნიერული ნაშრომისა. მათ შორის მონოგრაფიებისა: "Хеттский язык и ларингальная теория" (1960). „სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი" (1961). „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია" (1965). (გივი მაჭავარიანის თანაავტორობით). გერმანული თარგმანი: "Sonantensystem und Ablaut in den Kartvelsprachen (Gunter Narr Verlag, Tübingen, 1982); "Индоевропейский язык и индоевропейцы. Реконструкция и Историко-Типологический анализ праязыка и протокультуры"ტ. I, II თბილისი 1984. (ვიაჩესლავ ივანოვის თანაავტორობით). ინგლისური თარგმანი: Indo-European and the Indo-Europeans. A Reconstruction and Historical Analysis of a Proto-language and Proto-Culture. 2. vols (Mouton de Gruyter, Berlin New York. 1994/95). „დეზაფრიკატიზაცია სვანურში. „გადაწერის წესები" დიაქრონიულ ფონოლოგიაში." (1968); „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა" (1989/1996). ინგლისური თარგმანი: "Alphabetic Writing and the Old Georgian Script. A Typology and Provenience of Alphabetic Writing systems" (Caravan Books: Delmar, New York 1994).

ჰობი: მუსიკა და ჩოგბურთი.

მისამართი: (ბინის) ი. ნიკოლოაძის 6. ბ. 11. ტელ: 22 64 92; გ. ნერეთლის 3. ტელ: 23 38.85

პროფესიონალიზმი და პრინციპულობა.

მიხეილ გარუჩავა

მრეწველობის და დაგეგმვის ეკონომისტი; ბანკირი, კომერციული ბანკი „მერკურის" მმართველობის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1961 წ. 7 აპრილს. მშობლები: თამარ ხარაძე, პავლე გარუჩავა; მეუღლე — ნინო ანთია (დ.1975 წ.) დააამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1983) იყო ელექტრო-შემდუღებულ მონყობილობათა ქარხნის ეკონომისტი (1983-1984), „საქკვებმრეწვსახპროექტის" საგეგმო ეკონომიკური განყოფილების უფროსი (1984-1990), კომერციული ბანკის „თბილისი" მმართველობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1990-1991)

ჰობი: რაგბი

მისამართი: (ბინის) ყიფშიძის 12; (სამსახურის) ვაჟა-ფშაველას გამზ. 39ა ტელ. 39 12.41; ფაქსი. 23.71..29.

მთელი ცხოვრება ვხელმძღვანელობდი ისეთი პრინციპებით, როგორიცაა: სიმართლე, სიკეთე, პატიოსნება, სიტყვის სიმტკიცე, საქმის ერთგულება, შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა, მოთმინება, მოყვასის სიყვარული და, რაც მთავარია, ყოველთვის ვიყავი ოპტიმისტი. ჩემს ძირეულ, ცხოვრებისეულ მიზანს წარმოადგენს ოჯახური სიმყუდროვე და ისეთი საბანკო დაწესებულების ჩამოყალიბება, რომელიც საუკუნეებს გაუძლებს.

ნონა გაფრინდაშვილი

მოჭადრაკე, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, პედაგოგი, საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში

ქალებსა და ვაჟებს შორის. დაიბადა ზუგდიდში 1941 წ. 3 მაისს. მშობლები: ვენერა გრიგოლია, ტერენტი გაფრინდაშვილი; მეუღლე — ანზორ ჭიჭინაძე, შვილი — დავითი (26 წლის); შვილიშვილი — ლერი (1 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი ინგლისური ენის სპეციალობით (1973) იყო სეოკის პრეზიდენტი (1989-1996). გამოქვეყნებული აქვს წიგნები: „ჩემი ცხოვრების არსი“ და “Я предпочитаю риск” არის სპორტის დამსახურებული ოსტატი, პირველი საჭადრაკო ოსკარის ლაურეატი, ბათუმის, ზუგდიდის საპატიო მოქალაქე, მიღებული აქვს ლენინის ორდენი (1966), საპატიო ნიშნის ორდენი (1987), მედალი შრომითი წარმატებისათვის (1963), ღირსების ორდენი (1994), ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა და მსოფლიო ეოკთა ასოციაციის საპატიო ორდენები, ეოკის უმაღლესი ჯილდო — „ოლიმპიური ორდენი“ (1996). არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი (1956 წლიდან), ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი (1962-1978), თერთმეტგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1963-1992), ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველი მფლობელი, ხუთგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში The International Who's Who of Women.

პობი: თეატრი, მუსიკა, კინო, მაგიდის ჩოგბურთი, ბილიარდი, ჩოგბურთი, წიგნები, სპორტული ცეკვები.

მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 14; ტელ.: 22.78.96

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲒᲐᲮᲝᲙᲘᲫᲔ

იურისტი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პოლიციის გენერალ-მაიორი. დაიბადა თბილისში 1950 წ. 11 სექტემბერს. მშობლები: ნათელა ბალავაძე, ლადო გახოკიძე; მეუღლე — ციცინო გახოკიძე (დ.1955წ.), შვილი — გიორგი (21 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1972), სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველი ფაკულტეტი (1982). მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში რიგით მილიციონერად (1967-1968), გამომძიებლად (1972-1978), განყოფილების უფროსის მოადგილედ, შემდეგ უფროსად (1979-1983), თბილისის საგამომძიებლო განყოფილების უფროსად (1983-1985), სამართველოს უფროსის მოადგილედ, შემდეგ უფროსად (1985-1992), შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარედ (1993-1995). არის მინისტრის მოადგილე 1995 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „წინასწარი გამოძიების ორგანიზაცია“ მოსკოვში (1987). არის „კრიმინალისტიკის“ სახელმძღვანელოს თანაავტორი, ავტორი წიგნისა საგამომძიებლო-ოპერატიული ჯგუფების მუშაობის შესახებ, რამდენიმე წიგნის რედაქტორი, მსოფლიო იურისტთა კავშირის წევრი, გენერალ გია გულუას ფონდის პრეზიდენტი.

პობი: „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემების შეგროვება.

მისამართი (სამსახურის): გენერალ გია გულუას 10. ტელ.: 99.63.61; ფაქსი: 99.65.32

ძალიან მიყვარდა გამომძიებლის პროფესია. პრაქტიკულად მას დავუთმე ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები. მზად ვარ დარჩენილი წლებიც ამ საქმეს შევალიო. ვამაყობ, რომ 1989 წლიდან ვკითხულობ ლექციებს ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტში,

მიყვარს განათლებული, ნიჭიერი, ზრდილი ახალგაზრდა იურისტები და ვარ მათი ბოლომდე დამცველი.1993 წელს ტრაგიკულად დამელუპა უფროსი ვაჟიშვილი გოგიტა, ამან მთლიანად მიმაბრუნა ღმრთისაკენ. დღეს ჩემთვის ქრისტეზე ამაღლებული არავინ არის. ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი გახდა სიკეთის კეთება და ბოროტის გაკეთილშობილება. მინდა ჩემს მეუღლესთან ერთად მოვესწრო გიორგის ბედნიერებას, მის ღირსეულ ქართველობას და მრავალ შვილს. 1966 წლის ზაფხულში მოვინახულე ოშკის და იშხანის ქრისტიანული ქართული ტაძრები. გამიჩნდა დიდი სიამაყის გრძნობა. ამას წინ უძღოდა 1994 წელს ოჯახთან ერთად იერუსალიმში ქრისტეს საფლავის და ჯვრის მონასტრის დათვალიერება. 1996 წელს იერუსალიმში აღდგომის წინა დღეს ვიხილე მაცხოვრის საფლავზე ცეცხლის გადმოსვლა.

გიორგი გეგეჭკორი

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1923 წ. 21 თებერვალს. მშობლები: თამარ გელოვანი, ვლადიმერ გეგეჭკორი; მეუღლე — ნათელა ურუშაძე (დ. 1923 წ.); შვილები: — მანანა (41 წლის), გიორგი (38 წლის). დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი (1944). 1944 წლიდან არის რუსთაველის თეატრის მსახიობი. განასახიერა ამ თეატრის სცენაზე 100-ზე მეტი როლი, კინოეკრანზე, ტელეფილმებში და რადიოდადგმებში 100-მდე როლი. არის მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი, თეტრალური ფესტივალის „გრან-პრის" მფლობელი. სხვადასხვა დროს დაჯილდოებული იყო ორდენებით. არის თეატრის მოღვაწეთა და კინომოღვაწეთა კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში, დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში.

ჰობი: ახალგაზრდობაში გატაცებული იყო სპორტით (ფეხბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი).

მისამართი: (ბინის) იოსელიანის 37 ბ. 1. ტელ.: 36.73.37; (სამსახურის) რუსთაველის 17 რუსთაველის თეატრი.

ჩემის ღრმა რწმენით თეატრის მსახიობი უნდა იყოს თავისი ქვეყნის და ხალხის მსახური. თავისი შემოქმედებით უნდა აღზარდოს მაყურებელი სულიერად და ზნეობრივად. პოპულირება უნდა გაუწიოს ქართულ და უცხოურ თანამედროვე და კლასიკურ ნაწარმოებებს. ასევე მაღალმხატვრულად უნდა წარმოაჩინოს ჩვენი ერის ისტორია და თანამედროვეობა. თუ ამ მოთხოვნებს ნაწილობრივ მაინც ვაკმაყოფილებ, პოპულარობა და წარმატებაც ამაში უნდა ვეძებოთ.

ბიძინა გეგიძე

ინჟინერ-მშენებელი, რაგბის კავშირის პრეზიდენტი. დაიბადა სოფელ სამებაში 1958 წ. 3 მარტს. მშობლები: ნათელა გეგეჭკორი, გრიგოლ გეგიძე; მეუღლე — ეკა სხირტლაძე (დ.1962წ); შვილები: ქეთი (7 წლის), მაკა (5 წლის). დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1980). თამაშობდა რაგბის გუნდებში: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის „სპი"-ში (1975-1979), სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის „შევარდენში" (1979-1980; 1982-1989), რკინიგზის დეპარტამენტის „ლოკომოტივში" (1980-1981). იყო მხ-

ატკვრული ფილმის „წარსულის აჩრდილების" პროდიუსერი. არის საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი, 1981 წლის სსრკ ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი, საქართველოს თასის სამგზის მფლობელი (1978, 1979, 1980). **პობი**: რაგბის თამაში.
მისამართი: (ბინის): იოსელიანის 37, ბ. 28. ტელ.: 98.75.88; (სამსახურის): ი, ჭავჭავაძის გამზ. 49ა, ტელ.: 29.47.54; 29.47.63

მთავარი არის მეგობრებთან ერთად აკეთო საქმე, რომელიც გულით გიყვარს, იმიტომ, რომ ყველაზე დიდი ტალანტი მეგობრები და მეგობრობაა, რაგბი ამის ყველაზე დიდი გამოვლინებაა, ამიტომაც რაც უფრო აღორძინდება სპორტის ეს სახეობა, რაც მეტი მორაგბე გაჩნდება საქართველოში, მე უფრო ბედნიერი ვიქნები.

ნაირა გელაშვილი

გერმანისტი, მთარგმნელი, ლიტერატურათმცოდნე, მწერალი. დაიბადა სოღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში 1947 წ. 28 ოქტომბერს. მშობლები: ნინო ნოზაძე, ვლადიმერ გელაშვილი; შვილი — ანა მარგველაშვილი (21 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, გერმანული განყოფილება (1970) და ასპირანტურა — დასავლეთ ევროპისა და ამერიკული ლიტერატურის განხრით (1973). მუშაობდა იქვე საზღვარგარეთის ქვეყნების ლიტერატურის ისტორიის ლექტორად (1975-1981), მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის უფროს რედაქტორად (1981-1990). 1993 წლიდან საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის „კავკასიური სახლის" დირექტორია. ავტორია გამოქვეყნებული ზღაპრების კრებულისა „წინწკლებიანი მუსტანგი და პატარა ნვიმა" (1983), მოთხრობების კრებულისა „მთვარით განათებული ბაღი" (1987), რომანისა „დედის ოთახი" (1991), ლიტერატურული წერილებისა „ტრაგიკული გრადაცია"; Georgien-ein Paradies in Trümmer (Berlin, 1993).
მისამართი: (ბინის) წყნეთის ქ. IV კორპ. I სადარბაზო, ტელ.: 29.42.79 (სამსახურის) გ. ტაბიძის 20. ტელ.: 99.60.22 ფაქსი: 93.65.39

ალექსანდრე გვახარია

აღმოსავლეთმცოდნე — ფილოლოგი, პროფესორი, საქართველოს აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა თბილისში 1929 წ. 30 ივლისს. მშობლები: გალინა გვახარია, აკაკი გვახარია; მეუღლე — ცირა კალაძე (1930-1996); შვილი — აკაკი (34 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1952). მუშაობდა ირანული ფილოლოგიის კათედრაზე ლაბორანტად (1953-1956), ლიტერატურის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1956-1960), აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1960 წლიდან). არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგე (1987 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „იოსებ ზილიხანიანის" ქართული ვერსიების სპარსული წყაროები" (1958), სადოქტორო დისერტაცია — „სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიები" (1970). არის ავტორი 200-მდე სამეცნიერო სტატიისა, მონოგრაფიებისა: „იოსებზილიხანიანის ქართული ვერსიების სპარსული წყაროები" (1958), „ფირდოუსი" (1963), „ბახთიარნამე" (1968), „სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან" (1973),

„ბალავარიანის სპარსული ვერსიები" (1985), „ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან" I (1995). არის აზერბაიჯანის კულტურის დასახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი.

ჰობი: პოეზია, თარგმნა, ბიბლიოფილია.

მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას გამზ. 57 ბ.13. ტელ.: 31.08.92 (სამსახურის) ი. ჭავჭავაძის გამზ. 1. ტელ.: 22.03.01

პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობა, საქმის უანგარო სიყვარული და ერთგულება, სიკეთის თავმდაბლური სამსახური, ყოველი დღის აღქმა, როგორც ღმრთის მიერ ბოძებული ჯილდოსი და სამადლობლად — შრომა, ყველაზე უფრო დიდი სიხარული და სიამოვნება! სპარსული ლექსებიდან: „ემსგავსე სანთელს, სხვას გაუნათე, თავად ბნელში იყავი... ემსგავსე თვალის გუგას, სხვას უმზირე, შენს თავს ნურც კი შეამჩნევ.'

გიორგი გვახარია

ხელოვნებათმცოდნე, დოცენტი. დაიბადა თბილისში 1957 წ. 7 მარტს. მშობლები: ივეტა რევაზიშვილი, ნიკოლოზ გვახარია. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია (1979). მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში შტატგარეშე ავტორად (1982-1996). არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი (1983 წლიდან), თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი (1989 წლიდან), რადიო „თავისუფლების" კულტურის მიმომხილველი (1995 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „პლასტიკური ხელოვნების ტრადიციები ქართული ფილმების სახვით გადაწყვეტაში" (1987). გაიარა სტაჟირება პარიზის „ადამიანის მეცნიერებათა ინსტიტუტში", სადაც ჰქონდა დიდროს სახელობის სტიპენდია (1993-1994). იბეჭდება ქართულ პერიოდიკაში. თანაავტორია წიგნებისა Le Cinema Georgien (Paris 1988) Europa Europa (Bonn 1994) და სხვ.

ჰობი: ფიგურული სრიალი.

მისამართი: (ბინის) უზნაძის 2 ბ. 31. ტელ.: 95.04.05, (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 2, ტელ. 29.08.47

„გონების პესიმიზმი — ნების ოპტიმიზმი" (გრამში). „რაც უფრო შორის ხარ „ცენტრიდან" მით უფრო გენატრება იგი და მით უფრო ამკვიდრებ მას" „ყველა ერთნაირია, ყველა სხვადასხვაა". „მე არა ვარ კაცობრიობის მეგობარი, მე მისი მტრების მტერი ვარ" (ტალეირანი).

ბაქარ გიგინეიშვილი

ენათმეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერების კათედრის პროფესორი. დაიბადა ბათუმში 1933 წ. 16 მარტს. მშობლები: მარიამ მახარაძე, კონა გიგინეიშვილი; მეუღლე — ნუნუ წეროძე (დ.1938ნ.); შვილი — თამარი (37 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1956) მუშაობდა ხელნაწერთა ინსტიტუტში უმცროს, უფროს და წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად (1961-1994); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის დოცენტად (1968-

1975), 1975 წლიდან ამ კათედრის პროფესორია. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ლაკური ენის კონსონანტიზმი“ (1964) და სადოქტორო დისერტაცია — „საერთოდაღესტნური კონსონანტიზმი“ (1973). გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები: "Сравнительная фонетика дагестанских языков" (მონოგრაფია, 1977), „შატბერდის კრებული X საუკუნისა“ (თანაავტორი ე. გიუნაშვილი 1979), „წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი I“ (ტექსტის თანაგამომცემელი ც. კიკვაძე) გამოკვლევითურთ „ხუთწიგნეულის ქართული ვერსიები“ (1989), „წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი II“ (თანაგამომცემელნი: ც. ქურციკიძე, ნ. გოგუაძე (1990) "Der Präsesstamm in der gemeinkartwelischen Grundsprache" (Georgica Jena 1987), „ძველი ქართული ენის გრამატიკიდან“ კრებული „მრავალთავი“ ტ. XIV (1987), Etymologische Studien aus dem Bereich der Lexic der Kartwelsphachen (1990-91). „ეთნონიმ ჰენიოხის ნარმომავლობის შესახებ“ (1975). Zur Herkunft des Ethnonyms Tibaren (Georgica II 18. Konstanz 1995); Падежная системаобщедагестанскогоязыкаиистеобщей теориизргативности" (Вопросы языкознания, 1976). და სხვა 1991 წელს იყო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე.

პობი: ჭადრაკი, კალათბურთი, ქართული ხალხური სიმღერა.

მისამართი: (ბინის) თ. აბაკელიას 13, ტელ.: 99.91.11. (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 1. ტელ.: 23.65.45,

უპირველესად მიმაჩნია სამშობლოს სიყვარული. სამშობლოს სამსახურისათვის აუცილებელი პირობაა ჩემთვის: პატიოსნება, პროფესიონალიზმი, ნიჭიერება და პრინციპულობა. ვარ გულწრფელი ადამიანი, მეჯავრება პირფერობა და სიყალბე. ჩემი ცხოვრების მანძილზე შეურიგებლობას ვამჟღავნებდი პიროვნების დაუმსახურებელი განდიდებისა და ე. წ. „ავტორიტეტების“ მიერ შექმნილი თეორიების მიმართ, ვცდილობდი ახლის ძიებას. პატივს ვცემ ზნეობრიობასთან შერწყმულ ხალას ნიჭს.

გივი გიგინეიშვილი

გეოგრაფი-პიდროლოგი, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი. დაიბადა ბორჯომში 1935 წ. 15 ივლისს. მშობლები: მარიამ მელიქიშვილი, ნიკოლოზ გიგინეიშვილი; მეუღლე — ნანა მელიქაძე (დ.1939წ.); შვილები: ელისო (30 წლის), ნიკოლოზი (26 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1958). მუშაობდა გეოგრაფიის ინსტიტუტში უფროს ლაბორანტად (1957-1958), უმცროს (1958-1966) და უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1966-1980), პიდროლოგიის განყოფილების გამგედ (1980-1995) არის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი 1995 წლიდან. იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი (1989-1996). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „კარსტის პიდროლოგიური კანონზომიერებანი“ (1979). ავტორია მონოგრაფიებისა „კავკასიის კარსტული ნყლები და კარსტის პიდროლოგიის ძირითადი პრობლემები“ (1979); „კავკასიის ნყლის ბალანსი და მისი გეოგრაფიული კანონზომიერებანი“ (1993), „ნყალი. თანამედროვეობისა და სამომავლო პრობლემები“ (1989) და 110 სამეცნიერო ნაშრომისა. არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (1980) და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების, ალ.

ჯავახიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, მწვანეთა პარტიის წევრი.
პობი. ფოტოგრაფია.
მისამართი: (ბინის) წერეთლის გამზ. 63 ბ. 5. ტელ.. 34.80 77; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. საქართველოს პარლამენტი ტელ.: 99.81.27

პრინციპები: პატიოსნება, უტყუარობა, შრომისმოყვარეობა, პროფესიონალიზმი, თანადგომა. იდეალები: ღირსეული წინაპრები და თანამედროვენი, აღმზრდელები. მიზნები: ბუნების დაცვა და მისი მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება, შვილების აღზრდა ღირსეულ მოქალაქეებად; ძლიერი სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის შექმნა, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების აღორძინება.

გრიგოლ გიორგაძე

ისტორიკოსი, აკადემიკოსი. დაიბადა ქუთაისში 1927 წ. 28 ივლისს. მშობლები: მარიამ გიორგაძე (ლეპერტი), გრიგოლ გიორგაძე; მეუღლე — მელიტა საბაშვილი (დ. 1930წ); შვილები: ნინო (44 წლის), ელენე (37 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1952). მუშაობდა ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უმცროს, უფროს, მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად (1956-1988). მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის კათედრის გამგედ (1991 წლიდან) და ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში განყოფილების ხელმძღვანელად (1988 წლიდან). გამოქვეყნებული აქვს ოთხი წიგნი და 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

პობი: კლასიკური მუსიკა
მისამართი: (ბინის) ბარნოვის 74; ტელ 23.20.55. (სამსახურის) პ. მელიქიშვილის 10. ტელ.. 99.06.39;

შრომა, ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობა, პროფესიული გატაცება, პრინციპულობა, სამართლიანი კრიტიკის მომხრე, მტერი ორპირობისა, გაიძვერობისა, მლიქვნელობისა; ადამიანში მისი საუკეთესო თვისებების დანახვა, სიძულვილი ბოროტებისადმი; უღალატო მეგობრობა, პოეზიისა და მუსიკის ტრფიალი.

მამუკა (ივანე) გიორგაძე

პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის ბიუროს წევრი, საპარლამენტო ფრაქციის „სახალხო ეროვნულ-დემოკრატი" თავმჯდომარე დაიბადა ჩოხატაურში 1961 ნ 2 ივლისს. მშობლები: თამარ გიორგაძე, ბესარიონ გიორგაძე; მეუღლე — ნონა გიორგაძე (დ.1967წ.); შვილი — თამარი (1 წლის). დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1987). იყო ერვონული კონგრესის წევრი (1990-1992), სახელმწიფო საბჭოს სამხედრო კომისიის თავმჯდომარე (1992). არის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მდივანი (1981 წლიდან), პარლამენტის წევრი (1992 წლიდან) აქვეყნებდა სტატიების პერიოდულ პრესაში.
პობი: რაგბი, განსხვავებული სასმისების შეგროვება-გამოყენება.
მისამართი: (ბინის) წერეთლის გამზ. 48 ტელ.: 95.69.25. 35.11.04. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. ტელ.: 99.79.46. ფაქსი: 93.57.98.

ვარ მორწმუნე ქრისტიანი, იდეოლოგიით — ქრისტიან დემოკრატი.

შოთა გლურჯიძე

მხატვარი დაიბადა თბილისში 1961 წ. 21 იანვარს. მშობლები: ეთერ სარალიძე, ალექსანდრე გლურჯიძე; მეუღლე — ნანა შონია (დ.1966წ.); შვილები: ალექსანდრე (7 წლის), თომა (1 წლის).

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი (1982) იყო ტელერადიო კომიტეტის დამდგმელი მხატვარი (1983-1984), რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრის მთავარი მხატვარი (1984-1989), რუსთაველის თეატრის დამდგმელი მხატვარი (1989-1996). არის თანამედროვე თეატრის ლაბორატორიის დირექტორი და მთავარი მხატვარი 1996 წლიდან. გაფორმებული აქვს ორი მხატვრული ფილმი, თბილისის თეატრებში — 36 სპექტაკლი მათ შორის „სეჩუანელი კეთილი ადამიანი", რომელიც 5 წლის საუკეთესო სპექტაკლად იქნა აღიარებული.

ჰობი: ნადირობა, მთაში მოგზაურობა, წყლის თხილამურები. ჩოგბურთი.

მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას გამზ. 46 ბ. 58 ტელ.: 39 77 33. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 42 საქინფორმის შენობა

ჩემი ცხოვრებისეული კრედო დიდად არ განსხვავდება ჩვეულებრივ ქრისტიანულ ოჯახებში მიღებული ფასეულობებისაგან. მხოლოდ ხელოვნების სფეროში მაქვს ჩემი პრინციპები. აქ მე ვეთანხმები გერმანული რომანტიზმის იდეებს: ხელოვნება არის ცხოვრებისა და ყოფიერების უმაღლესი წერტილი.

მუხრან გოგია

სპორტსმენი, ძალოსანი, ევროპისა და მსოფლიო პრიზიორი. დაიბადა ზუგდიდის რაიონის სოფელ რიყეში 1971 წ. 5 ივლისს. მშობლები. მერი გოგია, ვალიკო გოგია.

დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის აკადემია (1994). მიღებული აქვს ევროპის ჩემპიონატის 3 ბრინჯაოს მედალი 1994 წელს. ერთი ვერცხლის მედალი ევროპის ჩემპიონატისა და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი 1995 წელს.

ჰობი. ავტომანქანა.

მისამართი: (ბინის) ზუგდიდის რაიონი. სოფელი რიყე, თბილისი, ვარკეთილის III მ/რ, კორპ. 8. ტელ. 73.21.15. (სამსახურის) ჭავჭავაძის გამ. 49 ბ. ძალოსნობის ფედერაცია. ტელ.: 29.28.75

სოსო გოგინაშვილი

ისტორიკოსი, ჟურნალისტი, გაზეთ „ახალი თაობის" მთავარი რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1959 წ. 31 იანვარს. მშობლები: თინა ჩხეტიანი, ივანე გოგინაშვილი; მეუღლე — დალი სანაია; შვილები: ალექსანდრე (12 წლის), ბექა (8 წლის). დაამთავრა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1980), მუშაობდა 30-ე საშუალო სკოლაში მასწავლებლად (1980-1986), ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად (1981-1994). არის გაზეთ „ახალი თაობის" მთავარი რედაქტორი (1993 წლიდან). დაიცვა

საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ნათესაობის სისტემა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში" (1989). გამოქვეყნებული აქვს სტატიები სხვადასხვა გაზეთებში და ავტორია წიგნისა „ნათესაობის სისტემა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში"
ჰობი: წიგნები, სპორტი.
მისამართი: (ბინის) პეტრინის 10, ბ. 59. (სამსახურის) მარჯანიშვილის 89/24, ტელ.: 95.25.89

ადამიანი უნდა იყოს თავისუფალი, ოღონდ სხვისი თავისუფლება არ უნდა შეზღუდოს. ასეა ქვეყანაც. თავისუფალი ადამიანი თავისუფალ საქართველოში — ეს ჯერ კიდევ მისაღწევია. ცხოვრებისეული მიზნის მისაღწევად ყველა ძალა უნდა გამოიყენო, დაფუძნებული პატიოსნებაზე, რაც არის შენში. წარუმატებლობის არ შეგეშინდეს. გჯეროდეს საკუთარი თავის და შეგეძლოს გარშემო ისეთი ხალხის შემოკრება, ვისაც გჯერა.

რისმაგ გორდეზიანი

ფილოლოგი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი. დაიბადა თბილისში 1940 წ 9 ივნისს

მშობლები: ნანა სილოგავა, ბენო გორდეზიანი; მეუღლე — ლია ჯინორია (დ.1941 წ). შვილი — ლევანი (34 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1963). იყო კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ასპირანტი (1963-1966), ასისტენტი (1967-1968), დოცენტი (1968-1976), პროფესორი (1976 წლიდან). არის ამავე კათედრის გამგე (1989 წლიდან), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი (1993 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ილიადის ხომალდთა კატალოგი" (ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზი., 1966). სადოქტორო დისერტაცია „ჰომეროსის ეპოქის ფორმირებისა და ერთიანობის პრობლემა" (1974). არის ავტორი 150-მდე სამეცნიერო შრომისა (მათ შორის 12 მონოგრაფიის). არის საბერძნეთის არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი სამეცნიერო, საქართველოსა და საკავშირო კომკავშირის პრემიების ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (ბინის) ყაზბეგის გამზ. 29ა, ბ. 72. ტელ.: 39.08.68; (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ 1 ტელ 22.11.81. ფაქსი: 22.11.03

სწავლა სიკვდილამდე; გულში ბოღმის არჩადება. ჯობს აპატიო, ვიდრე არ აპატიო; მზადყოფნა დაეხმარო სხვას და გაუკეთო სიკეთე; სწრაფვა წარმოადგინო შენი სამშობლო რაც შეიძლება ღირსეულად. ლტოლვა დასახული მიზნის აღსრულებისაკენ!

ბერდია გუგავა

ისტორიკოსი, სპორტსაზოგადოება „შევარდენის" თავმჯდომარე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი დაიბადა ლენტეხში 1957 წ. 17 ივლისს. მშობლები ცაცა ტვილდიანი, დიმიტრი გუგავა; მეუღლე — ნანა ქურდიანი (დ.1957წ.); შვილები: ლექსო (16 წლის), ჯოკია (14 წლის), ლაშა (12 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1979). მუშაობდა ლენტეხის სპორტსკოლის მწვრთნელად (1979-1980), დირექტორად (1980-1985), ლენტეხის ტურბაზისა (1985-1990) და ოლიმპიური რეზერვების სპორტსკო-

ლის (1990) დირექტორად. იყო უზენაესი საბჭოს დეპუტატი, სპორტისა და ტურიზმის კომისიის თავმჯდომარე (1991-1992), სპორტსაზოგადოება „შეკარდენის" თავმჯდომარის მოადგილე (1992-1993), თავმჯდომარეა 1993 წლიდან.

პობი სპორტი.

მისამართი. (ბინის) მუხიანი, I მკრ. V კორპ. ბ. 49 ტელ. 94.20.15. (სამსახურის) წერეთლის გამზ. 95ა. ტელ. 94 28 48 ფაქსი: 35.15.95.

გიორგი გუგუშვილი

მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1952 წ. 16 აგვისტოს. მშობლები: ცისანა გუგუშვილი, ბონღო გუგუშვილი, მეუღლე — ქეთევან მატაბელი (დ.1953წ.). დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია (1977). არის საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი (1988 წლიდან). სისტემატურად აწყობს გამოფენებს (1981 წლიდან).

პობი: სპორტი, მუსიკა.

მისამართი. (ბინის) აბაშიძის 26ა, ტელ.: 22.24.92;

უშუალობა — სიმართლე და საქმე (პროფესია), რომელიც მე ღმერთმა მომანიჭა.

ეთერ გუგუშვილი

თეატრმცოდნე, პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. დაიბადა თბილისში 1925 წ. 2 სექტემბერს. მშობლები: ტატიანა ფურცელაძე-გუგუშვილი, ნიკოლოზ გუგუშვილი; მეუღლე — ბესარიონ ჟღენტი (დ.1903 წ.); შვილები: ირინე (33 წლის), გიორგი (52 წლის), ნინო (58 წლის). დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1949). მუშაობდა საქართველოს ხელოვნების მოთავარ სამმართველოში უფროსის I მოადგილედ (1954-1955), თეატრალურ ინსტიტუტში პროორექტორად სასწავლო და სამეცნიერო დარგში (1955-1973), რექტორად (1973-1994). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „რევოლუციამდელი პრესა და თეატრი" (1954), სადოქტორო დისერტაცია „კოტე მარჯანიშვილი და ქართული თეატრი" (1972). არის ავტორი წიგნებისა: „აკაკი ხორავა", „აკაკი ვასაძე", „ვასო გოძიაშვილი", „ვასტანგ ჯაბუკიანი", „სერგო ზაქარიაძე", „კოტე მარჯანიშვილი", „ბესო ჟღენტი" და სხვა მრავალი. არის კ. მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი, მიღებული აქვს საქართველოს, დღესტნის უმაღლესი საბჭოების საპატიო სიგელები, ღირსების ორდენი.

პობი კლასიკური ბალეტი, წიგნები, პოეზია, ცურვა, ნაყინი.

მისამართი. (ბინის) ფურცელაძის 12, ბ. 3. ტელ. 93.20.59 (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 17 ტელ.: 99 94.11.

ჩემი ცხოვრების მანძილზე ყოველთვის ვიყავი გულწრფელი და პირდაპირი ადამიანებთან ურთიერთობაში, პირში სიმართლეს ვეუბნებოდი. მუდამ მქონდა და ახლაც მაქვს სურვილი სიკეთის ქმნისა, დასახული მიზნის მიღწევისა.

ბაკურ გულუა

ინჟინერ-მშენებელი, ეკონომისტი, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი. დაიბადა ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ჯუმითში 1946 წ. 8 სექტემბერს. მშობლები: ნინო მელია, დავით გულუა; მეუღლე — ნანა გეთია; შვილები: გიორგი (4 წლის), დავითი (1 წლის). დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1971) და საზოგადოებრივ მეც-

ნიერებათა აკადემია (1984) მუშაობდა ტექნიკური ინვენტარიზაციისა და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ბიუროს უფროსად (1965-1966). იყო ზუგდიდის კომკავშირის ქალაქკომის პირველი მდივანი (1973), ინგურჰესის მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივანი (1975-1975), კომპარტიის გალის რაიკომის მდივანი (1975-1978), კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორი (1978-1979), კომპარტიის ფოთის ქალაქკომის მდივანი (1979-1986), სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (1986-1990), უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე (1990-1991), საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე (1991-1992), თბილისის პრემიერის მოადგილე (1992-1993), საქართველოს პარლამენტის წევრი (1993-1995), საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე (1994-1995). არის სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი (1995 წლიდან), 3 წიგნისა და 30-მდე სტატიის ავტორი.

მისამართი: (ბინის) იკობ ნიკოლაძის ნა ბ. 131. ტელ.: 22.68.24; (სამსახურის) კოსტავას 41. ტელ: 99.62.61. ფაქსი: 93.33.00

გურამ გურგენიძე

ექიმი-თერაპევტი, ალერგოლოგი, საქართველოს და რუსეთის აკადემიების წევრი, პროფესორი. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1929 წ. 30 ნოემბერს. მშობლები: თამარ ერისთავი, ვლადიმერ გურგენიძე; მეუღლე — მზია გზირიშვილი (დ.1939 წ.); შვილები: გიორგი (33 წლის), დავითი (29 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი

(1954) იყო სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კათედრის ორდინატორი, ასისტენტი (1954-1958), ჯანდაცვის სამინისტროს სამკურნალო კვების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, კლინიკური განყოფილების გამგე (1959-1964), ჰოსპიტალური თერაპიის პროფესორი, ალერგოლოგიის კურსის ხელმძღვანელი; სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი (1975-1986). არის ალერგოლოგიის კათედრის გამგე (1974 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მასალები აზოტური ცვლის ქერქული რეგულაციის საკითხისათვის" (1956), სადოქტორო დისერტაცია — „ბრონქული ასთმის პათოგენეზის საკითხები" (1961). ავტორია საქართველოსა და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული 10 წიგნისა და 22 სტატიისა. არის მოსკოვის ალერგოლოგთა, პუსკინიეს სახელობის ჩეხოსლოვაკიის სამედიცინო საზოგადოებათა და იმუნორეაბილიტაციის საერთაშორისო ასოციაციების საპატიო წევრი, საქართველოს ალერგოლოგთა პრეზიდენტი, ევროპის ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა აკადემიის წევრი დაჯილდოებულია ზაზა ფანასკერტელის და უცხოეთის საერთაშორისო საზოგადოებათა და ცენტრების სამახსოვრო მედლებით.

პობი: ფეხბურთი, საოპერო მუსიკა.
მისამართი: (ბინის) მ. წინამძღვრიშვილის 137ა. ბ. 21. ტელ.: 34.85.59; (სამსახურის) ვაჟა-ფშაველას გამზ. 29. ტელ. 39.56..81; 39 58.59.

მუშაობის პროცესში თანმიმდევრობა და პრინციპულობა. განსაკუთრებით პატივს ვცემ ისეთ პიროვნულ თვისებებს, როგორიც არის: მშობლების, გამზრდელების და

მასწავლებელთა მიმართ პატივისცემა. ვერ ვიტან მედროვეებს, ცრუპატრიოტებს, ამბიციურობით შეპყრობილ პირებს, რა რანგისაც არ უნდა იყვნენ ისინი.

ნინო გურიელი

მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი. დაიბადა თბილისში 1961 წ. 7 დეკემბერს. მშობლები: ეთერ გურიელი, დავით გურიელი, მეუღლე — ზურაბ სტურუა (დ.1959 წ.); შვილი — სოფიკო (14 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი (1982). არის საქართველოს ჭადრაკის აღორძინების ფონდის პრეზიდენტი. დაჯილოდოებულია ღირსების ორდენით.

ᲰᲝᲑᲘ: მუსიკა.
მისამართი (ბინის) მარჯანიშვილის 2; ტელ.: 96.45.58

ძალიან მიყვარს ჩემი სამშობლო. ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წუთებია, როცა თვითმფრინავი თბილისის აეროდრომზე ეშვება. ჩემი გამარჯვება მხოლოდ ჩემი არასოდეს ყოფილა. ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა დიდი გამარჯვებები მოუტანეს საქართველოს, ქართველ ხალხს. მე ვამაყობ, რომ ამ გამარჯვებებში ჩემი მცირეოდენი წვლილიც არის. ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის სიყვარულია, რასაც ყოველთვის ვგრძნობდი და ამით ბედნიერი ვარ.

ინგა დადიანი

ჟურნალისტი, საინფორმაციო სააგენტო BGI-ს კორესპონდენტი. დაიბადა რუსთავში 1971 წ. 1 ოქტომბერს. მშობლები: იულია ჯაჭვაძე, ოთარ ჯაჭვაძე; მეუღლე — მამუკა დადიანი (დ. 1965 წ.); შვილი — თეა (6 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1994). მუშაობდა სარეკლამო სააგენტო „ვესტაში" კორესპონდენტად (1992). გამოქვეყნებული აქვს სტატიები პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხებზე. არის ეკონომიკურ მიმომხილველთა კლუბის გამგეობის წევრი.

ჰობი: მოგზაურობა, მუსიკა.

მისამართი: (ბინის) ნინოშვილის 25, ტელ.: 95.87.28. (სამსახურის) ძმები ზუბალაშვილების 2, ტელ.: 99.95.32.

რაც შეიძლება ნაკლები ტყუილი. რაც მთავარია, არ მოვატყუოთ ჩვენი თავი.

ვახტანგ დავითაია

არქიტექტორი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი, აკადემიკოსი. დაიბადა სენაკის რაიონის სოფელ ძველ სენაკში 1934 წ. 22 დეკემბერს. მშობლები: ნეონილა ნიკურაძე-დავითაია, ვლადიმერ დავითაია; მეუღლე — ნათელა გაჩეჩილაძე (დ.1938წ.); შვილები: მაია (34 წლის), თეა (31 წლის). დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი არქიტექტურის სპეციალობით (1958). მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტში" არქიტექტორად (1958-1962), საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში იყო ასპირანტი, ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, არის არქიტექტურული გეგმარების პროფესორი და კათედრის გამგე (1962 წლიდან) და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე (1995 წლიდან) რესპუბლიკურ და საზღვარგარეთულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს 160-მდე სტატია თანამედროვე არქიტექტურის პრობლემებზე, არის 250-მდე პროექტის ავტორი. არქიტექტორია შემდეგი ძეგლებისა: საერთაშორისო ახალგაზრდული ცენტრი „მზიური ველი" ბაკურიანში (არქ. გ. გეგელიასთან ერთად), საქართველოს კულტურის ფონდის საგამოფენო დარბაზი თბილისში, ხელოვნების ცენტრი გულრიფშში (არქ. ბოსტანაშვილთან ერთად) და სხვ., მემორიალებისა: კავკასიის დამცველთა მემორიალი (არქ. ჩიქოვანთან ერთად, მოქანდაკე გ. კალაძე), მეზღვაურთა მემორიალი ფოთში (მოქანდაკე ე. ამაშუკელი), გამარჯვების მონუმენტი გორში (მოქანდაკე ე. ამაშუკელი), დავით აღმაშენებლის ძეგლი ქუთაისში (მოქანდაკე ე. ამაშუკელი), ცოტნე დადიანის ძეგლი ფოთში (მოქანდაკე ე. ამაშუკელი) და სხვ. არის საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1990), ამერიკელ არქიტექტორთა ინსტიტუტის საპატიო წევრი (1991), ბულგარეთის არქიტექტორთა კავშირის საპატიო წევრი (1994), აშშ-ის ინდიანას შტატის ქ. მანსის საპატიო მოქალაქე (1989), ფოთის საპატიო მოქალაქე (1982), მარდელ პლატას (არგენტინა) სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი (1987), ბოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინვეული პროფესორი (მანსი, ინდიანა, აშშ). რუსთაველის სახელობის სახელმწიფო

პრემიების კომიტეტის, კულტურის სამინისტროს კოლეგიის წევრი, თბილისის მთავარი არქიტექტორი და საბჭოს წევრი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის (1994 წლიდან), ამავე აკადემიის მოსკოვის განყოფილების აკადემიკოსი და აკადემიკოსთა საბჭოს წევრი (1995 წლიდან), რუსეთის არქიტექტურისა და საინჟინრო მეცნიერების აკადემიის საზღვარგარეთელი წევრი (1994 წლიდან), საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი (1996 წლიდან). არის რუსთაველის სახელობის (1995), სსრკ-ს სახელმწიფო (1982), საქართველოს მინისტრთა საბჭოს (1983), საქ კომკავშირის (1972), არქიტექტურის მსოფლიო ბიენალე „ინტერარქ-83" და „ინტერარქ-85"-ის, საქართველოს სახელმწიფო (1996) პრემიების ლაურეატი. ჰქონდა პერსონალური გამოფენები ქალაქებში: თბილისი, მოსკოვი, რიგა, კაუნასი, მინსკი, კიევი, დრეზდენი, ვაიმარი, ოქსფორდი, ბუენოს-აირესი, ნარა (იაპონია) და სხვ.

ჰობი: პოეზიისა და მხატვრული ლიტერატურის კითხვა, თავისუფალ დროს ატარებს შვილიშვილებთან.

მისამართი: (ბინის) ჩიქოვანის 24ა, ბ 9 ტელ.: 36.36.85 22.59.87(სამსახურის) აღმაშენებლის გამზ. 89/24, III სართული. ტელ.: 22.73 86

ვცდილობ, არ გავუკეთო სხვას ის, რასაც არ ვუსურვებ საკუთარ თავს, დიდ პატივს ვცემ სიზუსტეს, ჩემთან ურთიერთობაში სხვისგანაც ამას მოვითხოვ. სიმართლეს ვაყენებ ყოველგვარ პირადულ უხერხულობებზე მაღლა. ვაფასებ პირდაპირობას, მაგრამ ვცდილობ ეს გამოვხატო ევფიმიზმებით. შემიძლია თანამშრომლობა სხვადასხვა ხასიათის, ჩვევების და მისწრაფების ადამიანებთან, ვინაიდან მიმაჩნია, რომ ადამიანების განსხვავებულობა ბუნებრივია და მისი შენნაირად გადაქცევის (მოქცევის) ყოველგვარი ცდა უშედეგოა. ბუნებით ტოლერანტი ვარ, მყავს სხვადასხვა ეროვნების და რელიგიის მეგობრები.

ზაზა დარასელი

ჟურნალისტი, ტელეკომპანია „მეორე არხის" გენერალური დირექტორი. დაიბადა თბილისში 1950 წ. 20 ივნისს. მშობლები: რაისა ხელაია, ვანიონ დარასელი; მეუღლე — რუსუდან კერვალიშვილი (დ.1955წ.); შვილი — ნინო (22 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1972). იყო სახტელერადიო კომიტეტის რადიოს რედაქტორი (1972-1976), რადიოს პასუხისმგებელი მდივანი (1976-1977), რადიოს უფროსი რედაქტორი (1977-1978), ტელევიზიის ლიტერატურული განყოფილების გამგე (1978-1980), საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ახალგაზრდული პროგრამების მთავარი რედაქტორი (1980-1983), საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პრესის და ტელევიზიის სექტორის გამგე (1983-1986). სახტელერადიო კომიტეტის თავმჯდომარის I მოადგილე (1986-1991). ამჟამად არის საქართველოს ტელერადიოკორპორაციის ტელეკომპანია „მე-2 არხის" გენერალური დირექტორი (1992 წლიდან). გამოცემული აქვს მოთხრობების ორი კრებული: „დასაწყისი" (1978), „უჩინარი" (1984).

ჰობი: მხატვრული ლიტერატურა, ფეხბურთი, ბილიარდი, ვესტერნები და ცხოვრებისეული კინოფილმები.

მისამართი: (ბინის) ბოცვაძის 2. ტელ.: 99.05.43; (სამსახურის) კოსტავას 68. ტელ.: 29.49.51.

თავიდან მინდოდა მწერალი ვყოფილიყავი. პროზაში და დრამატურგიაში მუშაობა მიტაცებდა. ტელევიზიამ ჩამითრია თავის მორევში, დღემდე იქ ვტრიალებ. ყოველთვის მინდოდა დროის გვერდში ყოფნა, სიახლეების დანერგვა.

პროფესიონალიზმის ზრდა. ახალი პროგრამების (განსაკუთრებით ნოვატორულის) გაკეთება. ეს რადიოშიც მოვახერხე და ტელევიზიაშიც — შეძლებისდაგვარად. თანდათანობით საქართველოში პიროვნების სრული თავისუფლება უნდა დამკვიდრდეს, ჰარმონიული ზრდა-განვითარებით ადამიანური კომპლექსები დაითრგუნოს.

მარიკა დარჩია

ბიოლოგი, თბილისის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცენტრის საერთაშორისო პროექტების ხელმძღვანელი, დირექტორის მოადგილე. დაიბადა თბილისში 1953 წ. 23 ივნისს. მშობლები: ეთერ გოგსაძე, გივი დარჩია. შვილები: ნინო (23 წლის), ირაკლი (16 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი (1975), მორფოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურა (1983). მუშაობდა მორფოლოგიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1975-1978), უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1983-1988), ტელე-რადიო კომიტეტში პროგრამების „პიკის საათისა" და „ალიონის" რედაქტორად (1988-1992), თბილისის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცენტრის გენერალურ დირექტორად (1992-1995), არის ამავე ცენტრის დირექტორის მოადგილე და საერთაშორისო პროექტების ხელმძღვანელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ინსტიტუტის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფაკულტეტის დოცენტი (1995 წლიდან). იყო საქართველოს მწვანეების თანათავმჯდომარე (1989-1994), არის ამავე პარტიის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციათა საინფორმაციო ქსელისა (ICON) და ამერიკის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ასოციაციის წევრი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ჰიპოქსიის ზემოქმედება თირკმლებზე" (1988), არის 20-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი

ჰობი: მანქანის მართვა, ქარგვა, ყოველნაირი დიზაინერული (გაფორმებითი) საქმიანობა.

მისამართი: (ბინის) ბალანჩივაძე-ჩიქოვანის 22. ტელ.:36 02 23. (სამსახურის) უზნაძის 2, ტელ.: 96 42.64. ფაქსი.95 61.66. ელ-ფოსტა.
PRT BILISI @IBERIAPAC GE

ჩემი საქმიანობისთვის ალბათ წამყვანია: ენერგიულობა, ინტერესი და ცნობისმოყვარეობა, თანამონაწილეობა და კეთილმოსურნეობა. ანუ — ვაკეთო ის, რაც შემიძლია ენერგიის დაუზოგავად — ვისწავლო ყველასგან, ყოველთვის და ნებისმიერ სიტუაციაში; შევინარჩუნო ხალისი, ოპტიმიზმი და თანადგომის უნარი სირთულეების დაძლევისას; ვიმუშავო ხალხთან, გადავდო მათ ჩემი ენერგია და ენთუზიაზმი; ვიყო კეთილგანწყობილი ნებისმიერ გარემოში; დროულად დავინახო ახალი პერსპექტივები და, რაც მთავარია, ადამიანებთან ურთიერთობის სიყვარული იყოს ჩემი საქმიანობის მთავარი საყრდენი.

ვლადიმერ დგებუაძე

სპორტსმენი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. დაიბადა სოხუმში 1970 წ. 2 ოქტომბერს. მშობლები: ვენერა ჩხეტია, რევაზ დგებუაძე; მეუღლე — ხათუნა კვაშილავა (დ.1969წ.) არის მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებში (1989),მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1991), ევროპის ჩემპიონი (1993), კეთილი ნების თამაშების მესამე პრიზიორი (1990), ჰოლანდიის

ტურნირის გამარჯვებული (1996), ოლიმპიური თამაშების მონაწილე (1996)
მისამართი: (ბინის) ბალანჩივაძის ქ. 1 კორპ., ბ. 56. ტელ.: 36 59 97

ჩემი წარმატება განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, შრომამ, ვარჯიშმა და მონდომებამ მიმეღწია დასახული მიზნისათვის.

1. აუცილებლად სიმართლის დაცვა ყოველგვარ სიტუაციაში. 2. სისტემატური ზრუნვა პროფესიონალი პათოლოგანატომების, პროფესიონალი პათოლოგიური ანატომიის პედაგოგების, მკვლევარი ექიმების აღზრდისათვის. 3. აუცილებლად სისტემატური ზრუნვა და ქმედება, საქართველოში პათოლოგიური ანატომიის, როგორც მეცნიერებისა და კლინიკური დარგის განვითარებისათვის. 4. სისტემატური ზრუნვა ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის დაზუსტებისათვის.

თამარ დეკანოსიძე

ექიმი, პათოლოგანატომი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე დაიბადა ხარაგოულში 1922 წ. 3 ნოემბერს. მშობლები: ეკატერინე კიკნაძე-დეკანოსიძე, ივანე დეკანოსიძე; მეუღლე — გივი სარალიძე (დ.1922წ.); შვილები: შოთა (50 წლის), იამზე (39 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1943). მუშაობს ინსტიტუტში კათედრის პროფესორად (1955 წლიდან). იყო კათედრის გამგე (1969-1995). არის საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი პათოლოგანატომი (1978 წლიდან), საქართველოს პათოლოგანატომთა საზოგადოების თავმჯდომარე (1990 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ნერვული სისტემის სხვადასხვა განყოფილებების სტრუქტურული ცვლილებები" (1955). სადოქტორო დისერტაცია — „შეგუებითი და კომპენსაციური პროცესების მორფოლოგიური საფუძვლები" (1964). არის 6 მონოგრაფიის, 108 სამეცნიერო სტატიისა და 1 სასწავლო ფილმის ავტორი, თარხნიშვილის პრემიის ლაურეატი.
მისამართი: (ბინის) იოსებიძის 80, ბ. 3. ტელ.: 37.44.54. (სამსახურის) ასათიანის 7 ტელ.: 39.47.80.

ავთანდილ დემეტრაშვილი

იურისტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. დაიბადა თეთრიწყაროს რაიონის სოფელ პატარა თონეთში 1941 წ. 21 დეკემბერს. მშობლები: ანა დემეტრაშვილი, ვლადიმერ დემეტრაშვილი; შვილები: ანი (27 წლის), ტარიელი (25 წლის). დაამთავრა პერმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1967). მუშაობდა დამხმარე მუშად თბილისსა და პერმში სხვადასხვა დაწესებულებაში (1960-1963); იყო პერმის უნივერსიტეტის კათედრის ასისტენტი (1968-1971), მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი (1971-1975), პერმის უნივერსიტეტის მასწავლებელი (1975-1977), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი (1978-1979), მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი და დოცენტი (1979-1984), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, დეკანის მოადგ-

ილე, კათედრის გამგე (1986 წლიდან), სახელმწიფო მეთაურის აპარატში იურიდიული განყოფილების გამგე, საკონსტიტუციო აქტების მომზადების სამსახურის ხელმძღვანელი (1993-1995). საკონსტიტუციო სასამართლოს წევრია 1995 წლიდან, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე — 1996 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოთა სისტემა" (1975); გამოქვეყნებული აქვს ოცამდე სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაშრომი, მათ შორის, მონოგრაფია, კონსტიტუციათა კრებული, მეთოდური მასალები.

ჰობი: მხატვრული ლიტერატურა, თევზაობა.

მისამართი: (ბინის) სააკაძის 183. ტელ.: 94.29 96; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 29. ტელ.: 99.60.25; ფაქსი 93.30.05.

ნიკოლოზ დერიუგინი

კალათბურთელი, მწვრთნელი, მსოფლიო ჩემპიონი, სპორტის დასახურებული ოსტატი. დაიბადა მაიკოპში 1959 წ. 30 აპრილს. მშობლები: რიტა დერიუგინა, ალექსანდრე დერიუგინი, შვილი — ნიკოლოზი (12 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1986). იყო თბილისის „დინამოს" ვაჟ კალათბურთელთა გუნდისა (1975-1986) და სსრკ კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი (1977-1985). არის ევროპის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონი, ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, ღირსების ორდენის კავალერი.

ჰობი: მუსიკა, თევზაობა.

მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 75, ტელ 23.55.23.

უსაზღვროდ მიყვარს ჩემი საქმე, ვარ ძალიან მომთხოვნი, როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიმართ. ვერ ვეგუები ტყუილს, ღალატს და საქმისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებას. ჩემი წარმატებები, გარკვეულწილად, განაპირობა ჩემმა ოჯახმა, განსაკუთრებით დედამ, რიტა ნიკოლოზის ასულმა, რომელმაც ბავშვობიდანვე ჩამომიყალიბა ის თვისებები, რომელიც სერიოზულ სპორტშია აუცილებელი.

დავით დოიაშვილი

რეჟისორი. დაიბადა თბილისში 1971 წ. 7 ოქტომბერს მშობლები: მიმოზა სოსელია, თეიმურაზ დოიაშვილი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, მიხეილ თუმანიშვილის სახელოსნო. სხვადასხვა დროს იყო ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრის, მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის, მარჯანიშვილის თეატრის, ლიდსის „ფლეიპაზის" დამდგმელი რეჟისორი (1991-1996). არის დამდგმელი რეჟისორი სპექტაკლებისა: „მადამ ბოვარი", „მარია", „ცხოვრება იდიოტისა", „მეფე ლირი", „სეილემის პროცესი", „მედეა", „სამი და"

მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. IV კორპ. ბ. 191 ტელ.: 39.57.88

არანაირი პრინციპი და არანაირი იდეალები არა მაქვს!

მანანა დოიჯაშვილი

პიანისტი, პროფესორი, კონსერვატორიის დიდი დარბაზის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1947 წ. 5 ნოემბერს. მშობლები: თინათინ ნადარეიშ-

ვილი, ლევან დოიჯაშვილი; მეუღლე — გიორგი გოთუა (დ.1945წ.); შვილი — ლევანი (16 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1971) და ასპირანტურა (1973). მუშაობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. იყო უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, ამჟამად პროფესორია. მისი შესრულებით გამოშვებულია რამდენიმე დისკი სოლო პროგრამითა და სიმფონიური ორკესტრის თანხლებით. არის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი: ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა II კონკურსი (1962), ენესკუს სახელობის ბუქარესტის საერთაშორისო კონკურსი, სმეტანას სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი (1974), პიანისტთა სიდნეის I საერთაშორისო კონკურსი (1977) და სხვ. მისი ბიოგრაფია შეტანილია წიგნში „თანამედროვე პიანისტები" (ლ. გრიგორიევი, ი. პლადეკი, 1985. მოსკოვი.)
მისამართი: (ბინის) ზაქარიაძის 8, ბ. 86; ტელ 39.80.42 (სამსახურის) გრიბოედოვის 8 თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. ტელ.: 94.24.46. ფაქსი: 94.24.47

გიორგი დოლიძე

კინომცოდნე, თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის პრორექტორი, პროფესორი. დაიბადა ქუთაისში 1934 წ. 20 აპრილს. მშობლები: მარიამ ვაჩეიშვილი, გალაკტიონ დოლიძე; მეუღლე — მაყვალა მაისურაძე (დ.1936წ.); შვილები: ზვიადი (38 წლის), ჯარჯი (29 წლის). დაამთავრა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი (1959). მუშაობდა ჟურნალისტმთარგმნელად (1955 წლიდან). თეატრალურ ინსტიტუტში იყო კინოფაკულტეტის დეკანი (1989-1992). ამჟამად არის პრორექტორი კინოს დარგში (1992 წლიდან). საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „მაიაკოვსკი და კინო" (1969). ავტორია წიგნებისა „მაიაკოვსკი და კინო", „ქართული კინო გუშინ და დღეს", აღადგინა 18 ძველი ქართული მხატვრული ფილმი („ხანუმა", „ამოკი", „ორი მონადირე", „თავადის ასული მერი" და სხვ.). არის კინემატოგრაფისტთა და თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის და ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.
პობი: მუსიკა.
მისამართი: (ბინის) ბუდაპეშტის 30, ტელ.: 39.50.82; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 19, ტელ.: 99.04.38. ფაქსი: 98.50.17

შრომით ეძლევაო სულს ნეტარება — ბრძანა აკაკიმ. ასეთ ნეტარებას ვესწრაფვი დღენიადაგ და ამასვე შთავაგონებ ჩემს შვილებს, შვილიშვილებსა და სტუდენტებს, რომლებთანაც სისტემატური კონტაქტი დიდ ენერგიასა და ხალისს მანიჭებს. ამიტომაც არ მიყვარს მოწუწუნე კაცი — მეგობარს რომ გულს უკლავს თავისი გაუთავებელი წუწუნ-ჩივილით, მტერს კი — ახარებს.

ლია დოლიძე

მუსიკისმცოდნე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი. დაიბადა ლონდონში 1946 წ. 1 სექტემბერს. მშობლები: ალისა დოლიძე, ისიდორე დოლიძე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1970). მუშაობდა ტელერადიო კომიტეტში მუსიკალურ რედაქტორად (1971-1972), იყო ხელოვნებათმცოდნეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (მოსკ-

ოვი) ასპირანტი (1972-1975), კონსერვატორიის მუსიკალური ისტორიის კათედრის უფროსი მასწავლებელი (1980-1988) მილანის მუსიკალური გამომცემლობა Ricordi-ს სტაჟიორი (1988-1989). კონსერვატორიის მუსიკალური ისტორიის კათედრის დოცენტია 1988 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ეროვნულობის პრობლემა მუსიკალური შემოქმედების ფსიქოლოგიაში" (1978. მოსკოვი), გამზადებული აქვს დასაცავად სადოქტორო დისერტაცია „ლუიჯი ნონოს მუსიკალური შემოქმედების სოციალურ-ფსიქოლოგიური განპირობებულობა". გამოქვეყნებული აქვს სამეცნირო შრომები: „გუსტავ მალერი" („საბჭოთა ხელოვნება" 1970 №7), „პროგრესისა და განმანათლებლობის გზით" („საბჭოთა ხელოვნება" 1986 №2), Национальное в раннем симфоническом творчестве Стравинского и Прокофьева (1976), Il Ruolo del Fattore Nazionale nella Psicologia della Creazione Musicale (Musica-Realta, Milano, 1986) Die Probleme der Musikalischen Ästhetik und Soziologie (Beiträge zur Musikwissenschaft, Berlin, 1988), Georgian Art Music. Thirteen Articles on Georgian Composers of 20th Century... New Grove Dictionary of Music and Musicians, (London (1997). და სხვ. არის საქართველოს კოპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრი, მილანის მუსიკალური გამომცემლობა Ricordi-ს საპატიო წევრი (1989 წლიდან), ლონდონის ენციკლოპედიის The New Grove Dictionary of Music and Musicians კონსულტანტი ქართული მუსიკის სფეროში (1995 წლიდან).

ჰობი: არქიტექტურა.

მისამართი: (ბინის) ი. აბაშიძის 21. ბ. 18, ტელ.: 22.61.83 (სამსახურის) გრიბოედოვის 8, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, ტელ.: 99.69.92, ფაქსი: 98.71.87

მუდმივი პროფესიული სრულყოფა და ზოგადჰუმანიტარული განათლების გაფართოება. საქმისადმი პრინციპული დამოკიდებულება და მიზნის მისაღწევად ყველაზე რთული და პერსპექტიული გზის არჩევა. ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდი, როგორც ამოსავალი პოზიცია. წარსულის მუსიკის თანამედროვე აღქმა და თანამედროვე მუსიკალური მოვლენების ისტორიულ ჭრილში დანახვა. ევროპული მუსიკის ზედმინევნით ღრმა ცოდნა და ამ კონტექსტში ქართული მუსიკის ადგილის დადგენა. ფართო პროფესიული ერუდიციის მქონე ახალგაზრდა კადრების აღზრდა.

როსტომ დოლიძე

ეკონომისტი, პარლამენტის წევრი, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, აჭარის ორგანიზაცია „დედა საქართველოს" თავმჯდომარე. დაიბადა ბათუმში 1939 წ. 23 იანვარს. მშობლები: მერი ზეიშვილი, ხასან დოლიძე; მეუღლე — ალბინა ტოროპოვა-დოლიძე; შვილები: გიული, გიორგი. დაამთავრა მოსკოვის ეკონომიკურ-სტატისტიკური ინსტიტუტი (1967). მუშაობდა ბათუმის გემთმშენებელ ქარხანაში ინჟინერ-ეკონომისტად, სანარმოო-ეკონომიკური განყოფილების უფროსის მოადგილედ, პარტკომის მდივნად (1967-1971), ბათუმის პარტიის საქალაქო კომიტეტში ინსტრუქტორად (1971-1974), ბათუმის აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ (1974-1984), აღმასკომის თავმჯდომარედ (1984-1991). დღიდან დაარსებისა არის „მოქალაქეთა კავშირის" წევრი, შედის მის მთავარ საბჭოში.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, ტელ.: 93.22.64.

გურამ დოჩანაშვილი

მწერალი. დაიბადა თბილისში 1939 წ. 26 მარტს. მშობლები: გულნარა ემხორი, პეტრე დოჩანაშვილი; მეუღლე

— ნათელა სეფიაშვილი (დ.1942წ.) შვილები: ქეთევანი (30 წლის), ირაკლი (1968-1990). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1962). მუშაობდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქვის ხანის შემსწავლელ განყოფილებაში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1962-1975), ჟურნალ „მნათობში" პროზის განყოფილების გამგედ (1975-1985). კინოსტუდია „ქართული ფილმის" მთავარი რედაქტორია 1985 წლიდან. გამოცემული აქვს 30 წიგნი. მისი ნაწარმოებები თარგმნილია 20-ზე მეტ ენაზე, მოთხრობების მიხედვით გადაღებულია ერთი სრულმეტრაჟიანი და რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმი, ხუთი სატელევიზიო სპექტაკლი, 15-მდე რადიოდადგმა. არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოს — ივანე ჯავახიშვილის მედლის მფლობელი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში და „Краткая литературная энциклопедия"-ში.

ჰობი: კლასიკური მუსიკა.

მისამართი: (ბინის) იოსებიძის 59, ბ. 70, ტელ.: 37.74.70; (სამსახურის) ელიავას 12.

როგორც ერთ-ერთი ჩემი მოქმედი პირი ამბობს: „ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ადამიანი უნდა გახდეს უკეთესი, ვიდრე იყო"; ეს შეეხება ხელოვნების ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოების გაცნობასაც.

გიორგი ებრალიძე

რეჟისორი. დაიბადა თბილისში 1960 წ 25 ნოემბერს მშობლები: ჯილდა ქოქრაშვილი, ჯუმბერ ებრალიძე; მეუღლე — ნინო შარაბიძე (დ.1958წ.). დაამთავრა სანქტ-პეტერბურგის თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის ტელესარეჟისორო ფაკულტეტი (1985). მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში რეჟისორის ასისტენტად (1977-1984), ტელეთეატრის რეჟისორად (1984-1990), ტელეკომპანია „მეორე არხის" მთავარ რეჟისორად და სამხატვრო ხელმძღვანელად (1991-1995). არის სტუდია „მაესტროს" სამხატვრო ხელმძღვანელი (1995 წლიდან). რეჟისორია ტელეფილმებისა: „მწყემსი გოგო და მებუხრე", „რას მიქვიან ერის სიბერე", „რე ანიმაცია", „გელიკონი", „ოთხი ვიდეონოველა", „ქალაქი ღამით", ტელეგადაცემებისა „ვიდეოთვალი", „ორატორი", „კალენდარი", სარეკლამო რგოლებისა. არის ნოვგოროდის საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალის 4 პრიზისა და „გრანპრის" ლაურეატი. სატელევიზიო ფესტივალის „მანა 94"-ის „საუკეთესო სატელევიზიო რეჟისორის" პრიზის მფლობელი.
ჰობი: ჩოგბურთი, მუსიკა, ტურიზმი.
მისამართი: (ბინის) ჩიქოვანის 24; (სამსახურის) კოსტავას 68. საქართველოს ტელევიზია.

ვარ რეჟისორი და, როგორც პროფესიონალი, ვემსახურები ქართული ტელევიზიის დონის ამაღლებას სტუდია „მაესტროს" მხატვრული დონის ამაღლების გზით. როგორც რეჟისორი და ხელოვანი, ვმუშაობ სატელევიზიო კინოშიც და ვქმნი იმას, რასაც ვგრძნობ და მაღელვებს. აგრეთვე ვქმნი რეკლამებსა და ვიდეოკლიპებს, რომლებზედაც მუშაობა მატერიალურად მასაზრდოებს. ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, ვცდილობ მაღალ პროფესიულ დონეზე იყოს შესრულებული. გემოვნებას რეჟისორის მთავარ თვისებად ვთვლი.

ოთარ ეგაძე

რეჟისორი, თანამედროვე თეატრის ლაბორატორიის დამფუძნებელი. დაიბადა თბილისში 1963 წ 12 მარტს. მშობლები: ნადეჟდა ეგაძე, ედგარ ეგაძე; მეუღლე — რუსუდან მჭედლიძე (დ.1964წ); შვილები — ნინო (12 წლის), ირინე (11 წლის). დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი — მიხეილ თუმანიშვილის კლასი (1984). მუშაობდა რეჟისორად კინომსახიობთა თეატრში (1981-1990) და რუსთაველის თეატრში (1992-1995). თეატრალური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელია 1984 წლიდან. საქართველოს სხვადასხვა თეატრში დადგმული აქვს 16 სპექტაკლი. კინომსახიობთა თეატრში — ორი, რუსთაველის თეატრში — ორი. არის რეჟისორთა ლიგის წევრი.



ჰობი: ცურვა, სოკოების შეგროვება, კულინარია.
მისამართი: (ბინის) ჭონქაძის 9. ტელ.: 99.80.94. (სამსახურის) რუსთაველის 42, თბილისის თეატრალური ცენტრი.

თავისუფლება, სიცოცხლის სიყვარული, სხვაში პიროვნების დაფასება, შრომა, მოთმინება, ჰარმონია.

გრიგოლ ერემოვი

იურისტი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა სურამში 1912 ნ 24 სექტემბერს. მშობლები: ვარვარა მამინოვი, არტემ ერემოვი. მეუღლე — ქეთევან მთიულიშვილი (დ.1916ნ.); შვილები: ტელმანი (59 ნლის), ვარვარა (50 ნლის) დაამთავრა საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტი (1933). სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრაზე (1937 ნლიდან). არის ამავე კათედრის პროფესორი (1963 ნლიდან). იყო მეორე სამამულო ომის მონაწილე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ადგილკომის თავმჯდომარის მოადგილე, ფაკულტეტის სამეცნიერო-საატესტატო საბჭოს წევრი, კათედრასთან არსებული სამეცნიერო ნრის ხელმძღვანელი, საქართველოს კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისიის წევრი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები" (1940), სადოქტორო დისერტაცია — „საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები" (1963). არის ავტორი 45 წიგნისა (მათ შორისაა მონოგრაფიები, ბროშურები, კრებულები), 98 საჟურნალე, 15 საენციკლოპედიო წერილისა. მიღებული აქვს „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 50 ნლისთავისა" და ივანე ჯავახიშვილის 100 ნლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო მედლები. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში.

მისამართი: (ბინის) ნ. ჩხეიძის 3. ტელ.: 95.89.33. (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 1. ტელ.: 29.08.41.

მშობლების ნაადრევად გარდაცვალების გამო ჩემთვის ცხოვრებისეული გზის გაკვალვა ძნელი აღმოჩნდა. ხსნად ის მივიჩნიე, რომ კარგად მესწავლა და უმაღლესი განათლებაც მიმეღო. ამის შემდეგ მეცნიერული მუშაობის სურვილი აღმეძრა, რაც ასე თუ ისე მიღწეულ იქნა — დავეუფლე იურისპრუდენციიდან სახელმწიფოთმცოდნეობის სფეროს. სწორედ ამ დარგში 60 წელია პედაგოგიურ მუშაობას ვეწევი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ანზორ ერქომაიშვილი

დირიჟორი, ანსამბლ „რუსთავის" სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. დაიბადა ბათუმში 1940 ნ. 10 აგვისტოს. მშობლები: ეთერ ერქომაიშვილი, დავით ერქომაიშვილი; მეუღლე — ლალი სეთურიძე (დ. 1953 ნ.); შვილი — დავითი (12 ნლის). დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი (1969). მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში ტელეფილმების რედაქციის რედაქტორად, რუსთავის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორად. არის კომპოზიტორთა კავშირის მდივანი (1995). ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა ანსამბლებს „გორდელა" (1961) — სტუდენტთა და ახალგაზრდობის VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი, ოქროს მედლის მფლობელი (სოფია 1968); „რუსთავი" (1968) — მრავალი საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის ლაურეატი, მათ შორის „ბი-ბი-სის" მუსიკალური ფესტივალისა (1992), ანსამბლმა ჩან-

ერა და გამოუშვა ოცზე მეტი ფირფიტა, მათ შორის „60 ქართული ხალხური სიმღერა" (1980, 5 ფირფიტა), „100 ქართული ხალხური სიმღერა" (1988, 8 ფირფიტა). 1989 წლიდან გამოიცა ანსამბლის ჩანაწერი 6 კომპაქტ-დისკი; „მართვე" (1976) — ბიჭუნათა ანსამბლი, პოლონეთის, პოლანდიის, გერმანიის, იაპონიისა და სხვ. მუსიკალური ფესტივალების მონაწილე, ანსამბლმა ჩაწერა რამდენიმე ფირფიტა და ერთი კომპაქტ-დისკი (1986). ანზორ ერქომაიშვილმა აღადგინა და ფირფიტებად გამოსცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების არქივებში მის მიერ აღმოჩენილი საუკუნის დასაწყისში გრამფირფიტებზე ჩაწერილი ქართული ხალხური სიმღერები, ჩაიწერა და ნოტებზე გადაიტანა ხალხური სიმღერების იშვიათი ნიმუშები. არის შემდგენელი სანოტო კრებულებისა: „ქართული ხალხური სიმღერების კრებული" I (1972), II (1980), ავტორი წიგნებისა „ბაბუა" (1980); „შავი შაშვი ჩიოდა" (1989), სტატიებისა „ორი ანსამბლის ისტორია" („ხელოვნება" 1978), „ძველი სიმღერების კვალდაკვალ" („ხელოვნება" 1979), „დომო არიგატო" („ცისკარი" 1989), „უკანასკნელი ინტერვიუ", „ქართული სიმღერის მოამაგე" („ლიტერატურული საქართველო", 1994) და სხვ. არის მუსიკალური გამფორმებელი ათეულობით კინოფილმისა და სპექტაკლისა, წამყვანი ტელეგადაცემათა ციკლისა „100 ქართული ხალხური სიმღერა", ფალიაშვილის, გოგებაშვილის, ალბერტ შვაიცერის („რუსთავთან" ერთად) პრემიების ლაურეატი.

ჰობი: სპორტი.

მისამართი: (ბინის) აბანოს 21. ტელ.:98.87 60.

გია ეძგვერაძე

მხატვარი, დიუსელდორფის სამხატვრო აკადემიის პროფესორი. დაიბადა თბილისში 1953 წ. 10 ივნისს. მშობლები: ელენე უზნაძე, ვახტანგ ეძგვერაძე; მეუღლე — თამარ ხუნდაძე (დ 1970წ.); შვილი — ანა (10 წლის). დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია (1980) საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის ნევრია 1986 წლიდან. მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ფარგლებში გამართულ გამოფენებში (1980 წლიდან). ჰქონდა პერსონალური გამოფენა თბილისში (1985), „ერმიტაჟში", პიტსბურგში (აშშ), სტოკჰოლმში და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია ტრეტიაკოვის, საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო და საფრანგეთის (პარიზი) გალერეებში, ლუდვიგის კრებულში (აახენი), შაპკას კრებულში, საბერძნეთში, მიუნხენში, მადრიდში და სხვ.

ჰობი: მუსიკა.

მისამართი: ძმები ზუბალაშვილების 10. ტელ.: 99 88.93.

საკუთარი თავის უსასრულო დარწმუნება იმაში, რომ ის, რასაც ამჯერად ვხედავ და განვიცდი, ანუ რასაც ჩემს რეალობად აღვიქვამ, მხოლოდ დასაწყისია ყოველთვის, რომელსაც განვითარება არასოდეს ექნება. ეს სულიერი მდგომარეობა გაფორმდა ჩემს მსოფლხედვად და ბოლოს შესატყვისი ნიშნები იპოვა მხატვრული ენის ფენომენში. არსებული რეალობის სულიერი ხედვის ერთგვაროვანი და სრულფასოვანი ბირთვის გაფორმება ერთადერთი და რეალური წარმატებაა. წარმატების სხვა ფორმები მას უცილობლად სდევს თან.

გიორგი ვაზაგაშვილი

ძიუდოისტი, მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. დაიბადა გორში 1974 წ 19 აპრილს. მშობლები. ნანა სეჯოვი, თეიმურაზ ვაზაგაშვილი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1995) არის მსოფლიო ჩემპიონატის II პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი.
პობი: ნადირობა.
მისამართი: (ბინის) გორის რაიონის სოფელი ფლავი

კონსტანტინე ვარდელი

მუსიკოსი, მევიოლინე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი. დაიბადა სანქტ-პეტერბურგში 1939 წ 15 მაისს. მშობლები: ლუსია ვარდანიანი, პეტრე ვარდანიანი, მეუღლე — ნატალია ბადრიძე (დ 1955წ); შვილები: გიორგი (30 წლის), ირინა (23 წლის), ეკატერინე (9 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1963). მუშაობდა იქვე (1963-1993), მუშაობს საქართველოს სახელმწიფო სიმებიან კვარტეტში (1966 წლიდან) და საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრში გერმანიის ქალაქ ინგოლშტადტში (1993 წლიდან). არის რუსთაველისა და ფალიაშვილის სახელობის პრემიებისა და ლ. ვაინერის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი (კვარტეტთან ერთად).
პობი: სპორტი.
მისამართი: (ბინის) ანტონოვსკაიას 9; ტელ.: 95.21.00

ქრისტიანულად იცხოვრო და შეასრულო ბიბლიის კანონები. თუმცა ყველანი ცოდვილები ვართ და მათ შორის მეც. მთელი ცხოვრების მანძილზე ვცდილობდი პატიოსანი ქრისტიანი ვყოფილიყავი. ჩემი ყველაზე დიდი ბედნიერებაა, რა თქმა უნდა მუსიკის შემდეგ, ხალხთან ურთიერთობა, რისი ნაკლებობაც არასოდეს მიგრძვნია.

თამაზ ვარვარიძე

მხატვარი. დაიბადა თბილისში 1945 წ. 28 ივლისს. მშობლები: მარიამ კირვალიძე, ირაკლი ვარვარიძე; მეუღლე — სოფიო კინნურაშვილი (დ.1948ნ.); შვილები: ალექსანდრე (22 წლის), ირაკლი (20 წლის).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1970). იყო გრამჩამწერი სტუდიის „მელოდია" უფროსი მხატვრული ხელმძღვანელი (1971-1978), გამომცემლობების „განათლება" (1977-1987), „საბჭოთა საქართველო" (1974-1987) მხატვარი; ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგი (1989-1993) არის მხატვართა კავშირის გრაფიკული დიზაინის განყოფილების გამგე და გამგეობის წევრი (1987 წლიდან), ბრნოს (ჩეხოსლოვაკია) გრაფიკის საერთაშორისო ბიენალეს მონაწილე (1978, 1980, 1982). პქონდა გამოფენები თბილისის სხვადასხვა გალერეებში (1988 წლიდან), მოსკოვში (1981, 1982, 1990, 1992), სანქტ-პეტერბურგში (1989), ნაპას ხელოვნების ცენტრში (აშშ 1992), ბუდაპეშტში (უნგრეთი 1987), კანაგავაში (იაპონია 1990), კრაკოვში (პოლონეთი 1991), კოპენპაგენში (და-

ნია 1994), სომერსეტში (ინგლისი 1996) და სხვ. მისი ნახატები დაცულია თბილისის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ნაპას ხელოვნების ცენტრის მუზეუმში (აშშ), კანაგავას გრაფიკული ხელოვნების მუზეუმში (იაპონია), გერდა ფონ ჰოფის კერძო კოლექციაში (მიუნჰენი) და სხვ. მიღებული აქვს გრაფიკის საერთაშორისო ბიენალეს ბრინჯაოს მედალი (ბრნო 1980), მედლები წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის (1984, 1988). არის მხატვართა კავშირის (1974 წლიდან) და იუნესკოს მხატვართა საერთაშორისო ფედერაციის (1994 წლიდან) წევრი.
ჰობი: მუსიკა.
მისამართი: (ბინის) ფალიაშვილის 39ა, ბ. 13. ტელ.: 22.22.93

პასუხისმგებლობის გრძნობა და მუდმივი სწრაფვა იყო თანამედროვე.

ვალერიან ვაშაკიძე

ისტორიკოსი, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი. დაიბადა ქუთაისში 1957 წ. 1 მარტს. მშობლები: ჩიტო ვაშაკიძე, ვაჟა ვაშაკიძე; მეუღლე — ხათუნა ჯაიანი (დ.1967წ.); შვილები: ლაშა და ვაჟა (18 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1979). მუშაობდა მაუდკამეოლის კომბინატში მუშა-მეკუჭნავედ (1973-1974). არის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1979 წლიდან). იყო ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარე (1992-1995). არის ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი (1995 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. არის 40 სამეცნიერო შრომისა და ორი მონოგრაფიის ავტორი, დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. არის ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი (1987 წლიდან).
ჰობი: სიყვარული.
მისამართი: (სამსახურის) ცოტნე დადიანის 30. ტელ.: 98.67.76.

ნაღდი კაცობა, წესიერება და პროფესიონალიზმი.

ნიკოლოზ ვახანია

მათემატიკოსი, გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა ქუთაისში 1930 წ. 28 აგვისტოს. მშობლები: თამარ ვახანია, ნიკოლოზ ვახანია; მეუღლე — ციალა ვახანია-მაისურაძე (დ.1930წ.), შვილები ზურაბი (41 წლის), ნოდარი (35 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1954), მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ასპირანტურა (1957). მუშაობდა გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში 1957 წლიდან უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, თანამშრომლად, განყოფილების გამგედ, დირექტორად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1964 წლიდან დოცენტად, პროფესორად, კათედრის გამგედ, ფაკულტეტის დეკანად დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „სასაზღვრო ამოცანები სიმის რხევის განტოლებისათვის სნორკუთხოვან არეში" (1958); სადოქტორო დისერტაცია — „წრფივ სივრცეებში ალბათურ განაწილებათა თეორიის საკითხები" (1969). არის საქართველოსა და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების ავტორი, მათ შორისაა ორი მონოგრაფია. არის ა. რაზმაძის სახელობის პრემიის ლაურეატი.
ჰობი: ჭადრაკი.
მისამართი: (ბინის) ყაზბეგის გამზ. 8ა, ბ. 6. ტელ.: 38.36.23. (სამსახურის) აკურის 8, გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი. ტელ.: 36.24.38. ელ-ფოსტა: vakhania @ acnet.ge

დიდი წარმატების მისაღწევად აუცილებელი პირობაა საქმის

დიდი სიყვარული, სიამოვნების მიღების უნარი არა მხოლოდ მიღწეული წარმატებითა და მისი შედეგებით, არამედ აგრეთვე თვით მუშაობის პროცესით. მუშაობა კი უწყვეტი პროცესი უნდა იყოს. ღმერთი ნიჭსა და უნარს თანაბრად არ უნაწილებს ადამიანებს, მაგრამ იმდენს არავის აძლევს, რომ დიდი შრომის გარეშე დიდი წარმატების მოპოვება შეიძლებოდეს.

დევი ვეფხვაძე

ინჟინერ-ეკონომისტი, ბანკირი, სააქციო საზოგადოება „ინტელექტბანკის" გენერალური დირექტორი. დაიბადა თბილისში 1965 წლის 6 სექტემბერს.

მშობლები: ვიოლეტა მეტრეველი, გენადი ვეფხვაძე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1989). მუშაობდა რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანება „საქნყალექსპლუატაციის" №14 მოძრავ-მექანიზებული კოლონის ეკონომისტად (1989-1992); შემდეგ იქვე უფროსის მოადგილედ (1992-1993). იყო ტელე-კინოკომპანია „ოქროს არნივის" გენერალური დირექტორის მოადგილე (1993). სააქციო კომერციული ბანკი „ინტელექტბანკის" გამგეობის თავმჯდომარეა 1993 წლიდან.

ჰობი: სპორტი, მუსიკა.
მისამართი: (სამსახურის) აღმაშენებლის გამზ. 127 ტელ.: 23.70.83. 23.70.82

საქმის სიყვარული, პროფესიონალიზმი, სამართლიანობა.

ელისო ვირსალაძე

პიანისტი, პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1942 წ. 14 მარტს. მშობლები: დარეჯან კავკასიძე, კონსტანტინე ვირსალაძე; მეუღლე — იური ბეროზაშვილი (დ.1937წ.); შვილი — დარეჯანი (18 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ფორტეპიანოს ფაკულტეტი, ანასტასია ვირსალაძის კლასი (1965); ასპირანტურა ლევ ობორინის კლასი მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიაში (1968). მუშაობს მოსკოვის კონსერვატორიაში, იყო იაკობ ზაკის ასისტენტი (1967), პროფესორ ლევ ვლასენკოს კათედრის დოცენტი, არის ამავე კათედრის პროფესორი 1994 წლიდან, მიუნხენის კონსერვატორიის პროფესორი 1995 წლიდან. ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალის (ვენა, 1959), ჩაიკოვსკის საერთაშორისო (მოსკოვი, 1962) და შუმანის (გერმანია, 1966) კონკურსების პრიზიორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

ჰობი: უცხო ენების შესწავლა (პოლონური, ფრანგული, ინგლისური, გერმანული, იტალიური), მხატვრული ლიტერატურა.
მისამართი: (ბინის), მოსკოვი, სტრომინკას 13, ბ. 58, ტელ.: 268.69.12.

მალხაზ ზაალიშვილი

ქიმიკოსი, მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. დაიბადა მცხეთაში 1920 წ 27 სექტემბერს. მშობლები: რუსუდან გედევანიშვილი, მიხეილ ზაალიშვილი; მეუღლე — ნინო ერისთავი (დ.1935წ); შვილები. თენგიზი (48 წლის), თამარი (40 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1941). მუშაობდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1947-1951); იყო გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი (1951-1957), ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ბიოფიზიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1962-1986). არის მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი 1986 წლიდან და მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი 1988 წლიდან. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 1949 წელს. სადოქტორო დისერტაცია თემაზე „კუნთის შეკუმშვის ფიზიკო-ქიმიური საფუძვლები" — (1972 წელს). არის 160 სამეცნიერო შრომის, 11 გამოგონებისა და 1 წიგნის ავტორი.

პობი: მებაღეობა.

მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ., IV კორპ., ბ. 42., ტელ.: 30.07.05; (სამსახურის) გოთუას 14. ტელ.: 37.42.11; ფაქსი: 93.91.57 ელ-ფოსტა: admin @ biophyz. org. ge

კონსტანტინე ზალდასტანიშვილი

ინჟინერ-სისტემოტექნიკოსი, ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრი. დაიბადა თბილისში 1960 წ. 23 დეკემბერს. მშობლები: მარგალიტა ჯანჯღავა, ნოდარ ზალდასტანიშვილი; მეუღლე — თამარ ლეონიძე (დ.1961 წ.); შვილები: მარიამი და ნინო (14 წლის). დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1982) და დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტურა (1987). იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი და მუშაობდა მექანიკა-მანქანათმშენებლობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ (1990-1992); საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტში სამმართველოს უფროსად (1992-1993), თბილისის მერიაში საგარეო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსად (1993-1994), საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად გერმანიაში (1994-1995). ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრია 1995 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია დრეზდენში (1987). არის 12 სამეცნიერო შრომის ავტორი.

პობი: პოეზია და მხატვრობა.

მისამართი: (ბინის) ბარნოვის 93. ტელ.: 98.74.88; (სამსახურის) ყაზბეგის გამზ. 42. ტელ.: 22.51.86 ფაქსი: 23.42.41.

ილია ზაუტაშვილი

მხატვარი, ხელოვნების ისტორიკოსი. დაიბადა თბილისში 1952 წლის 18 ივნისს. მშობლები: მედეა ვაშალომიძე, მერაბ ზაუტაშვილი; მეუღლე — გურანდა ანჩაბაძე (დ.1961წ.); შვილები: ლუკა (10 წლის), დანიელი (1 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1974), ამავე აკადემიის ხელოვნების ისტორიის და თეორიის ფაკულტეტის ასპირანტურა (1979). მუშაობს სახვით ხელოვნებაში, ხელოვნების თეორიაში. არის საქართველოს მხატვართა კავშირის

ნევრი (1980 ნლიდან). დააფუძნა სასნავლო სტუდიები (1985), ჯგუფი „ტოტალური სივრცე" (1988) „ვიზუალური გამოძიების სექტორი" (1992). დამდგმელი მხატვარია ფილმებისა: „ორეული", „ნიშანი" ჰქონდა პერსონალური გამოფენები: თბილისში (1978-1981), მოსკოვში (1988), კიოლნში (1991), საფრანგეთში (1992) და ამსტერდამში (1993, 1994). ჯგუფური: თბილისში, მოსკოვში, სოფიაში, ბაზელში, ბერლინში, ვარშავაში, კოპენჰაგენში, ვენაში, ბრისტოლსა და ამსტერდამში და სხვ. არის ავტორი სტატიებისა: „ტრადიცია და ნოვატორობა" (1979), „ტოტალური სივრცე" (1989), „დაკარგული ქალაქი" (1993), „ვარაზი" (1993).
პობი: პოეზია, ლიტერატურა.
მისამართი: (ბინის) ნუცუბიძის IV პლატო, კორპ. 25. ბ. 34. ტელ.: 31.84 44; 36.25.35.

ცნობიერების და ქმედების თავისუფლება, ტოლერანტობა. წინააღმდეგი ვარ ნებისმიერი დიქტატორსა, ობივატელური ნორმების. ვიზიარებ ნონ-კონფორმისტულ პოზიციას, როგორც კომუნისტურ დიქტატურასთან მიმართებაში, ისე დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციასთან მიმართებაში. დღეს თავისუფლება მოჩვენებითია.

ცოდნეობის ფაკულტეტი (1966). მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად, ჰქონდა მივლინება ავღანეთში (თარჯიმანი) (1967-1972), იყო პარტიულ სამუშაოებზე რაიკომის მდივნად, სექტორის გამგედ, განყოფილების გამგედ (1972-1988). ამჟამად სპორტული საზოგადოება „შევარდენის" თავმჯდომარე და სეოკის გენერალური მდივანია. გამოქვეყნებული აქვს რამოდენიმე სამეცნიერო ნაშრომი ირანის ახალი ისტორიის საკითხებზე, პუბლიკაციები პრესაში. არის სპორტულ ჟურნალისტთა მსოფლიო ასოციაციის ნევრი, გაზეთ „ოლიმპიელის" სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, ჩოგბურთის ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი. მისი ბიოგრაფია შეტანილია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ცნობარში.
ჰობი: თეატრი.
მისამართი: (ბინის), საირმის 9/4, ტელ.: 37 01.53 (სამსახურის) აღმაშენებლის გამზ. 65 ტელ.: 95.30.79; ფაქსი: 95.38.29.

ცხოვრებისა და საქმიანობის უმთავრესი პრინციპი — ვაკეთო საქმე, რომელიც მაინტერესებს და რომელიც ემსახურება ჩემი ქვეყნისა და ჩემი თანამემამულეების ინტერესებს. მაქსიმალურად ვცდილობ, რომ ჩემი კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი, ენერგია და ცოდნა დაექვემდებაროს სწორედ ამ ინტერესებს. ჩემი საქმიანობის ამ ეტაპზე უმთავრესი მიზანია, ხელი შევუწყო საქართველოში ოლიმპიზმის პროგრამას, ქართული სპორტის განვითარებას, ქვეყნის სპორტსმენთა

ემზარ ზენაიშვილი

ისტორიკოსი-აღმოსავლეთმცოდნე, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი. დაიბადა ლანჩხუთში 1944 ნ. 10 სექტემბერს. მშობლები: ქეთევან ფოფხაძე-ზენაიშვილი, სევერიან ზენაიშვილი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმ-

წარმატებით გამოსვლას საერთაშორისო ასპარეზზე, პირველ რიგში კი ოლიმპიურ თამაშებზე.

ბესარიონ ზოიძე

იურისტი, პროფესორი, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი. დაიბადა შუახევის რაიონის სოფელ დაბაძველში 1953 წ. 22 ივნისს. მშობლები: გული ზოიძე, ინუს ზოიძე, მეუღლე — ნატო ნიჟარაძე (დ.1957წ.); შვილი — თამარი (11 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1976) და ასპირანტურა (1979). მუშაობდა იქვე სამოქალაქო სამართლის კათედრაზე მასწავლებლად (1979-1982), სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1982-1992), მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად, კერძო სამართლის განყოფილების გამგედ (1992-1993), დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში (1993-1996). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის პროფესორია 1994 წლიდან, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი 1996 წლიდან. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის თანაფარდობა სამოქალაქო სამართალში" (1980), სადოქტორო — „ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობითი სამართალი" (1992). არის ავტორი 40-მდე სამეცნიერო ნაშრომისა ძველი ქართული და თანამედროვე სამართლის საკითხებზე, სამოქალაქო კოდექსის სარედაქციო ჯგუფის წევრი.

მისამართი: (ბინის) დიდი დიღომი, პეტრინის 8ა, ტელ.: 62.47.23.; (სამსახურის) ქიქოძის 3, ტელ.: 99.86.14.

სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება საქართველოში, სამოქალაქო წესრიგის დამკვიდრება, ადამიანის უფლებათა დაცვა. ჩვენს ქვეყანაში უნდა ჯეროვნად დაფასდეს ინტელექტუალური ცოდნა, ქვეყნის წარმატება უპირატესად დამოკიდებულია ამ ცოდნის გამოყენებაზე.

დავით ზუბიტაშვილი

ინჟინერ-მექანიკოსი, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი. დაიბადა თბილისში 1949 წ. 1 თებერვალს. მშობლები: ნუნუ ტყეშელაშვილი, ვასილ ზუბიტაშვილი; მეუღლე — იზოლდა უკლება (დ.1951წ.); შვილები: ირაკლი (19 წლის), ნიკა (16 წლის). დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1971). მუშაობდა საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს №1 ავტოშემკეთებელ ქარხანაში ოსტატიდან საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსამდე, სანარმოო გაერთიანება „საქავტორემონტის" გენერალური დირექტორის I მოადგილედ წარმოების დარგში, სსრკ გაზის მრეწველობის სამინისტროს თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის დირექტორად, თბილისის ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, საქართველოს ტრანსპორტის მინისტრის მოადგილედ, კონცერნ „საქნავთობპროდუქტის" თავმჯდომარედ, დეპარტამენტ „საქენერგო"-ს სათბობენერგეტიკის სახელმწიფო კორპორაციის თავმჯდომარედ. აქვს გამოქვეყნებული რამდენიმე სამეცნიერო

სტატია მინიჭებული აქვს გაზის მრენველობის წარჩინებულის ნოდება.

ჰობი: ბუნება, კინოხელოვნება, სპორტი.

მისამართი: (ბინის) მიცკევიჩის 24. ტელ. 98.83.19; (სამსახურის) ლერმონტოვის 10; ტელ. 99 60.98; ფაქსი: 93.35.42.

ქვეყნის და სამშობლოს სიყვარული, ოჯახისა და მეგობრების სიყვარული, დაკისრებულ მოვალეობაზე უდიდესი პასუხისმგებლობა. ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე. მიცემული სიტყვის ან შეპირების ბოლომდე პატივისცემა, უღალატობა და რაც შეიძლება მეტი სიკეთე; სურვილი — გაჭირვებულთათვის მაქსიმალური დახმარება .

დავით ზურაბიშვილი

მწერალი, ჟურნალისტი. დაიბადა თბილისში 1957 წ 16 მარტს. მშობლები: ნატო ხიდაშელი, ვალერიან ზურაბიშვილი; მეუღლე — ხათუნა კოპალეიშვილი (დ 19586.) შვილები: გიორგი (6 წლის), ანასტასია (5 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1979); მუშაობდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერთანამშრომლად (1979-1981); მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიაში რედაქტორად (1981-1990), საგამომცემლო ცენტრში „ხომლი" უფროს რედაქტორად (1992-1996), გაზეთ „საქართველოს" განყოფილების უფროსად და გაზეთ „არგუმენტის" რედაქტორად (1995-1996). არის მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის ანალიტიკური ბიულეტენის Georgia Profile-ს თანარედაქტორი და ლიტერატურული ალმანახის „ახალი დროების" მთავარი რედაქტორი (1996 წლიდან). გამოქვეყნებული აქვს მოთხრობები და სტატიები. გაიმარჯვა გამომცემლობა „დიოგენეს" კონკურსში — „საბავშვო პროზა 96" (I პრემია).

მისამართი: (ბინის) აღმაშენებლის გამზ. 176, ტელ :34.05.30; (სამსახურის) აღმაშენებლის გამზ. 89/24. ტელ.: 95.47.23; ფაქსი: 95.44.97; ელ.ფოსტა: gp@ cipdd ge

„საზღვარგარეთელ ბრძენთა" სენტენციებს მოვიშველიებ: სულ სამს: 1. პატიოსნება საუკეთესო პოლიტიკაა (ბენჯამენ ფრანკლინი); 2. არაფერი ზედმეტი (ძველი ბერძნები); 3. იფიქრე! (IBM-ის დევიზი).

პროფესიონალიზმი და კიდევ პროფესიონალიზმი. მიზანი: ჩვენი ფირმა გახდეს მსოფლიოში ცნობილი გამოშვებული პროდუქციით და ასორტიმენტით და ვიცხოვროთ ეკონომიურად ძლიერ და ერთიან საქართველოში.

ალეკო თავართქილაძე

ინჟინერ-ტექნოლოგი, ბანკირი, სააქციო საზოგადოება „ლილოს" პრეზიდენტი დაიბადა თბილისში 1942 წ. 21 დეკემბერს მშობლები: ნორა კაშია, ავთანდილ თავართქილაძე; მეუღლე — ნინო ყაველაშვილი (დ.1951წ.); შვილები: სოფიკო (25 წლის), თეონა (23 წლის). დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (1964). მუშაობდა კვების მრეწველობის სამინისტროს „კონსერვმრეწვის" მუშად (1959-1961), ცვლის უფროსად მცხეთის და გორის საკონსერვო ქარხნებში (1961-1964), იყო თბილისის ღვინის ქარხნის ჯერ მთავარი ინჟინერი (1964-1967), შემდეგ დირექტორი (1967-1970), „კონსერვტრესტის" მთავარი ტექნოლოგი (1970-1983), ლილოს ექსპერიმენტული საკონსერვო ქარხნის გენერალური დირექტორი (1983-1993), 1993 წლიდან სააქციო საზოგადოება „ლილოს" პრეზიდენტია.

ჰობი: სამსახური, სპორტი. არის გურმანი.

მისამართი: (ბინის) მგალობლიშვილის 4. ტელ.: 37.12.12; 93.89.37; (სამსახურის) შარტავას 40, ტელ 98.97.41, 38 31.69; ფაქსი 0019088889698 ext129

ბავშვობიდან მიყვარდა შრომა (16 წლიდან ვმუშაობ) 27 წლის უკვე დირექტორი გავხდი.
პროფესიონალიზმი,

ალბერტ თავხელიძე

ფიზიკოსი, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა თბილისში 1930 წ. 16 დეკემბერს. მშობლები: ნატო ქარაბაკი, ნიკიფორე თავხელიძე; მეუღლე — ოფელია მეუნარგია (დ. 1940წ.); შვილები: ნოშრევანი (29 წლის), ნატო (27 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1953). მუშაობდა მოსკოვის ოლქში, დუბნაში ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებულ ინსტიტუტში. იყო მეცნიერ-თანამშრომელი, განყოფილების გამგე, თეორიული ფიზიკის ლაბორატორის დირექტორის მოადგილე (1956-1970), მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის (პროტვინო) თეორიული ფიზიკის სექტორის ხელმძღვანელი (1964-1970), უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის ელემენტარულ ნაწილაკთა თეორიის განყოფილების გამგე (1966-1971), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბირთულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი (1970-1986). არის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1970-1986), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (1986 წლიდან), მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების გამგე (1971 წლიდან), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის კათედრის გამგე (1987 წლიდან), ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის წევრი (1993 წლიდან), ვაშინგტონის მეცნიერებათა აკადემი-

ის ნეერი (1993 ნლიდან), სახელმნიფო და ლენინური პრემიების ლაურეატი. მისი გამოკვლევა „მატვეევ-მურადიანთავხელიძის კვარკული თვლის ნესები" (აღიარებულია როგორც აღმოჩენა 1987). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „დისპერსიული თანაფარდობანი და მიახლოებითი განტოლებები ფოტოდაბადების პროცესებისათვის" (1957); სადოქტორო დისერტაცია — „კვაზიპოტენციალური მიდგომა ველის კვანტურ თეორიაში" (1963) არის თანაავტორი შრომებისა: "Quasipotential Approach in Quantum Field Theory" (Nouvocimento 29, N2, 1963), "Dispersion Sum Rules and High Energi Scattering" (Phis Lett, v.24B, N4, 1967), "CP-noninvariant Superweak Interaction and Baryon Asymmetry of the Universe" (1978) და სხვ.

მისამართი: (ბინის) ატენის 20, (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 52, ტელ.: 99 88 91; ფაქსი: 99.88.23, 99.61.42; ელ-ფოსტა: root@presid.acnet.ge

კახა თარგამაძე

იურისტი, შინაგან საქმეთა მინისტრი, პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი. დაიბადა ბათუმში 1955 წ. 30 ნოემბერს. მშობლები: თალიკო ჯაყელი, მამია თარგამაძე; მეუღლე — თამილა ჯაფარიძე, შვილი — სალომე (3 თვის).

დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტი (1977) და სახელმნიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1989). მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. იყო ინსპექტორი, უფროსი ოპერრწმუნებული, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი ოპერრწმუნებული, განყოფილების უფროსის მოადგილე (1979-1992), ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი (1992-1995), ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის თავმჯდომარე, მინისტრის მოადგილე (1995). შინაგან საქმეთა მინისტრია 1995 წლიდან.

ჰობი: წიგნები, მუსიკა.

მისამართი: (ბინის) მიცკევიჩის 17 ბ. 36; (სამსახურის) გულუას 10. ტელ.: 99.62.96; ელ-ფოსტა: metekhi@access.ge

საქმის ერთგულება. სამართლიანობა, პრინციპულობა ან მაღალი პროფესიონალიზმი. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს და თუ აირჩიე პროფესია, ყოველდღიურად უნდა იზრუნო შენი სპეციალობის დახვეწაზე, საერთო მსოფლმხედველობის გაფართოებასთან ერთად გააღრმავო შენი სპეციალური ცოდნა და ერუდიცია. მხოლოდ მაშინ იქნები ნამდვილი პატრიოტი, ერის, ქვეყნისა და ოჯახის ღირსეული შვილი, განურჩევლად შენი ჩინისა და თანამდებობისა.

ნინო თარხან-მოურავი

მსახიობი. დაიბადა თბილისში 1965 წ. 20 ივლისს. მშობლები: ლიკა ტატიშვილი, ნოდარ თარხან-მოურავი; მეუღლე თეიმურაზ ჭიჭინაძე (დ.1966 წ.); შვილი ელისაბედი (5 წლის). დაამთავრა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტი (1986). არის რუსთაველის თეატრის მსახიობი (1986 წლიდან). მონაწილეობდა სპექტაკლებში: "ანა ფრანკის დღიური" (1986), „სამანიშვილის დედინაცვალი" (1987), „ლეონსი და ლენა" (1989),

„ჰამლეტი" (1991), „პალატა №6" (1993) და სხვ. კინოფილმებში „საფეხური" (რეჟ. ალ რეხვიაშვილი), „ხარება და გოგია" (რეჟ. გ. შენგელაია), „სტუმრები" (რეჟ. დ. ცინცაძე) და სხვ. მიღებული აქვს თეატრალური საზოგადოების პრემია „წლის საუკეთესო მსახიობი ქალი" ყოველწლიურ კონკურსში „თანამედროვეობა და თეატრი" (1986-1987 წლების სეზონი) ვ. ლუბერეცკაიას როლის შესრულებისათვის სპექტაკლში „ამალამ მგონი იქნება ქარი"
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას VII კვ., 6 კორპ., ბ. 70. ტელ . 30.22.21. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 17 რუსთაველის თეატრი.

ჩემი ცხოვრების იდეალია სწრაფვა ბედნიერებისაკენ, რადგანაც მე მჯერა, რომ ადამიანი დაიბადა იმისათვის, რომ იყოს ბედნიერი.

ლევან თედიაშვილი

იურისტი, სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა), პარლამენტის წევრი. დაიბადა საგარეჯოში 1948 წ. 15 მარტს
მშობლები: ალექსანდრა თედიაშვილი, ქიტესა თედიაშვილი; მეუღლე — ნანა მჭედლიშვილი (დ.1948წ.); შვილები: ვახტანგი (1973-1993, დაიღუპა სოხუმში), ბესარიონი (21 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი (1971) და უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1978). მუშაობდა თბილისის საავეჯო კომბინატში მუშად (1968-1971), კომკავშირის ცკ-ს სპორტული და თავდაცვის მუშაობის განყოფილების გამგე (1980-1982), საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის გათავისუფლებულ პარტკომად (1982-1984), საგარეჯოს რნის სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ (1984-1986), თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ (1986-1989), ერთობლივი საწარმოების „თსბ"-სა და „აბჯრის" პრეზიდენტად (1989-1993), კახეთის რეგიონში სახელმწიფო მეთაურის რწმუნებულად (1993-1995). პარლამენტის წევრია 1995 წლიდან. მიღებული აქვს ოლიმპიური თამაშების ორი ოქროს (1972, 1976), მსოფლიო ჩემპიონატის ხუთი ოქროსა (1971, 1973, 1973, 1974, 1975) და ერთი ვერცხლის (1978), მსოფლიო თასის გათამაშების ორი ოქროს (1973, 1974), ყოფილი საბჭოთა კავშირის რვა ოქროს (1967, 1968, 1969, 1970, 1971, 1973, 1974, 1977) და ერთი ვერცხლის (1978), საქართველოს ჩემპიონატის ორი ოქროს (1968, 1969) მედლები და სხვ. მონაწილეობდა ფილმში „ხარება და გოგია" (რეჟ. გ. შენგელაია). არის საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის საპატიო რკინიგზელი, ქალაქების: მახაჩყალის, კრასნოიარსკის, ტოკიოს; ოჰაიოს შტატის საპატიო მოქალაქე, 1971, 1972, 1973 წლების საქართველოს №1 სპორტსმენი, 1973 წლის საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპორტსმენი; კალიფორნიის შტატის (აშშ) საპატიო შერიფი; აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების კინოფესტივალების ლაურეატი, კინოფესტივალის „ოქროს არჩა" პირველი პრიზის მფლობელი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ფილმში „ხარება და გოგია", 1992 წლის საქართველოს №1 მეცენატი. მიღებული აქვს საპატიო ნიშნის ორდენი, ლენინის ორდენი, ლენინური კომკავშირის საპატიო ნიშნის ორდენი, გორგასლის II ხარისხის ორდენი.
მისამართი: (ბინის) ცაბაძის ქ. II კორპ. ბ. 9, ტელ.:34.40.40. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. საქართველოს პარლამენტი. ტელ. 93 54.57

შრომისმოყვარეობა, თავდადება, მეგობრობა, კაცობა, ერთგულება.

გურამ თევზაძე

ფილოსოფოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი განყოფილების აკადემიკოსმდივანი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1932 წ. 30 იანვარს. მშობლები: ელენე ჯიბლაძე, ბენიამინ თევზაძე; მეუღლე — რუსუდან ენუქიძე (დ.1933წ.); შვილები: გელა (30 წლის), გიგი (29 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1954) იყო ფილოსოფიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1957-1959), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1959-1966), ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების გამგე (1966-1971) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგეა 1971 წლიდან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე — „თავისუფლებისა და აუცილებლობის პრობლემა", (1958) სადოქტორო დისერტაცია — „გერმანული ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია" (1963). გამოქვეყნებული აქვს 102 ნაშრომი ქართულ, რუსულ, გერმანულ, ჩინურ ენებზე, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფია. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: Философская энциклопедия (1970), Marquis Who's Who in the World (1996), International Who's Who of Intellectuals (1996).

ჰობი: მებაღეობა.

მისამართი: (ბინის) თამარაშვილის 9, ბ. 5, ტელ. 22.66.41; (სამსახური) რუსთაველის გამზ. 52, ტელ.: 99.93.27; ფაქსი: 99.88.23.

ეცადე გააკეთო შენთვის შესაძლებლის მაქსიმუმი ოჯახისათვის, ახლობლებისათვის, ერისათვის, მეცნიერებისათვის. ისე, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში, საკუთარი თავისათვის სასაყვედურო არაფერი გქონდეს.

რევაზ თვარაძე

ფილოლოგი, კათედრის გამგე, პროფესორი. დაიბადა ვანის რაიონის სოფელ უხუთში 1928წ. 15 აგვისტოს. მშობლები: მარიამ თვარაძე, ალექსანდრე თვარაძე; მეუღლე — ინგა ლორთქიფანიძე (დ.1934წ.); შვილები: ზაზა (39 წლის), ცოტნე (37 წლის), რუსუდანი (36 წლის), ალექსანდრე (22 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1952). იყო ჟურნალ „ცისკრის" პასუხისმგებელი მდივანი (1957-1962), ქართული ენციკლოპედიის განყოფილების რედაქტორი (1966-1967), გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" მთავარი რედაქტორი (1967-1968), ფილოსოფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი (1968-1991), ლიტერატურის ინსტიტუტის განყოფილების გამგე (1991-1995). 1991 წლიდან მასწავლებელთა დახელოვნების რესპუბლიკური ინსტიტუტის რელიგიების ისტორიის კათედრის გამგეა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე — „სიბრძნე ბალაპვარისი" (1969), სადოქტორო დისერტაცია — „სამყაროს მთლიანობის პრობლემა დ არეოპაგიტიკა" (1988). ავტორია წიგნებისა: „ლიტერატურული წერილები" (1962). „გალაკტიონი" (1972), „წიგნი და მკითხველი" (1972), „წერილები" (1978), „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა" (1985); ასზე მეტი წერილისა და თარგმანებისა. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში.

ჰობი: ახალგაზრდობაში ფეხბურთი და ალპინიზმი, ამჟამად — მინის ნა-

კვეთზე მუშაობა.
მისამართი: (ბინის) ე. ტატიშვილის 17, ბ. 25, ტელ.: 22.59.00 (სამსახურის) აღმაშენებლის გამზ. 178, ტელ.: 34.11.34;

არასგზით არ მეგონა, კომუნისტური რეჟიმის აღსასრულსა და საქართველოს დამოუკიდებლობას თუ მოვესწრებოდა. რაკი ღმერთმა ორივეს მომასწრო, შემიძლია ლხინად დავსახო ბავშვობის, სიჭაბუკის და შუახნის კაცობის უმძიმესი წლები, ფაქტიურად — მთელი განვლილი ცხოვრება. პრინციპები: ნაკისრი საქმის უეჭველად აღსრულება. უღალატობა. პირმტკიცეობა. საკუთარ თავთან გამუდმებული ბრძოლა. იდეალები: ქრისტიანული ზნეობის შეძლებისდაგვარად მიდევნება. ამქვეყნურისა და ზესთასოფლურის ჰარმონიის წვდომა. შინაგანი თავისუფლების მოპოვება. ადამიანურ ურთიერთობათა პოეზიის დამკვიდრება. მიზნები: ქართული კულტურის მსახურება. ოჯახის ყველა წევრის ჩაყენება ქვეყნის სამსახურში. ზრუნვა ქართველთა თვითცნობიერების ასამაღლებლად.

მაგალი თოდუა

აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. დაიბადა მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოში 1927 წ. 19 იანვარს. მშობლები: მაკრინე სხულუხია, არე თოდუა; მეუღლე — იზეა თევზაძე (დ.1929წ.); შვილები: ხათუნა (40 წლის), სოფიო (34 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1949). მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უფროს ლაბორანტად, უფროს მასწავლებლად (1950-1961), აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1961-1966).

1968 წლიდან იქვე არის სპარსული ფილოლოგიის განყოფილების გამგე, იყო ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი (1991-1995) 1995 წლიდან გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტია. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „გოლესთანის" მიბაძვანი სპარსულ ლიტერატურაში" (1954) სადოქტორო დისერტაცია — „ქილილა და დამანას" საბასეული ვერსია" (1967). გამოცემული აქვს თარგმანების (სპარსულიდან) ათზე მეტი წიგნი. არის მრავალი სამეცნიერო შრომისა და მონოგრაფიის ავტორი.
მისამართი: (სახლის): საბურთალოს 40.ტელ.: 38.25.73. ქუთაისი, წმინდა ნინოს 1, (სამსახურის): ქუთაისი, მალხაზ დვალიშვილის 17 ტელ. 5.81.36.

ფრიდონ თოდუა

რადიოლოგი, პროფესორი, სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა ზუგდიდში 1949 წ. 9 იანვარს. მშობლები: ნინო ცხადაია, იპოლიტე თოდუა მეუღლე — თინათინ შენგელაია (დ.1948წ.); შვილი — ნინო (21 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1968). მუშაობდა მოსკოვში ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის გულმკერდის განყოფილებაში უმცროს მეცნიერთანამშრომლად (1973-1981), ამავე ინსტიტუტის კონტრასტული და ინ-

ტრავენური რენტგენოლოგიური ლაბორატორიის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1981-1983), კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელად (1983-1990). არის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (1990 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ცელომური კისტები, პერიკარდის დივერტიკულები და კარდიო-დიაფრაგმული კუთხის ლიპომები" (1973); სადოქტორო დისერტაცია — „ბრონქიალური სისხლის მიმოქცევის მნიშვნელობა სისხლდენით გართულებული ფილტვის ქრონიკული არასპეციფიური დაავადებების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში" (1984). არის 5 მონოგრაფიისა და 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის, რუსეთის რადიოლოგთა ასოციაციების და ამერიკის რენტგენის საზოგადოების წევრი, საქართველოს და სსრკ სახელწმიფო პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.

ჰობი:: მოგზაურობა.

მისამართი: (ბინის) ირ. აბაშიძის 37 ტელ.: 29 04 33; (სამსახურის) თევდორე მღვდლის 13. ტელ 94.02.89; ფაქსი. 34.49.23;

შრომისმოყვარეობა, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, მომთხოვნელობა საკუთარი თავის მიმართ, მაღალი პროფესიონალიზმი.

ვახტანგ თორდია

იურისტი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. დაიბადა სოხუმში 1953 წ 25 იანვარი. მშობლები: თათუშა შურღაია, ვალერიან თორდია; მეუღლე — მარინა დიასამიძე; შვილები: ვალერი (10 წლის), გიორგი (8 წლის). დაამთავრა კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1975). მუშაობდა უკრაინის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტში მეცნიერ-მომკვლევად (1975-1976), უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1976-1982), აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და ადმინისტრაციული სამართლის კათედრის მასწავლებლად (1982-1983), საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფროს კონსულტანტად (1983-1985). იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი და პლენუმის მდივანი (1985-1993), აფხაზეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი (1993-1996), საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო (1992-1995), ადმინისტრაციული სასამართლოს რეფორმის სახელმწიფო კომისიების წევრი. აფხაზეთის უზენაეს საბჭოსთან არსებული სამართლებრივ-საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საოლქო აღმასრულებელი კომიტეტების დარგობრივი განყოფილებები და სამმართველოები" (1981). არის რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი.

ჰობი: მოგზაურობა და საინტერესო ადამიანებთან შეხვედრა.

მისამართი: (ბინის) საბურთალოს 42. ბ. 16. ტელ.: 38.26.21. (სამსახურის): ძმები ზუბალაშვილების 32. ტელ.: 99.86.22.

ცხოვრებისეული კრედო იყო და არის მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, სამართლის ზეობა, სამართლიანობა, პასუხისმგებლობა და პატიოსნება. ჩემი ცხოვრების უპირველესი მიზანია — აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის პირობებში მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნება.

გია თორთლაძე

მთამსვლელი, არქეოლოგი, „თოვლის ჯიქი“ დაიბადა თბილისში 1960 წ. 12 ივლისს, მშობლები: ლამარა ნებიერიძე, ოთარ თორთლაძე; მეუღლე — მაია ერისთავი (დ.1956წ); შვილი — ლევანი (6 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1983). მუშაობს არქეოლოგიურ ცენტრში მეცნიერ-თანამშრომლად (1977 წლიდან), არის საქართველოს მთამსვლელთა კავშირის თავმჯდომარე (1994 წლიდან), ალპიური კლუბი „იეტი“-ს პრეზიდენტი (1990 წლიდან). არის 30-მდე ექსპედიციის მონაწილე, მათ შორის ათამდე ექსპედიციის ხელმძღვანელი. დაპყრობილი აქვს ოცამდე მწვერვალი. არის პირველი ქართველი მთამსვლელი, რომელმაც დაიპყრო ალასკის უმაღლესი მწვერვალი მაკ-კინლი (6194 მ, 1994 წ.) და ანდების უმაღლესი მწვერვალი აკონკაგუა (6960 მ, 1996 წ.). მის მიერ დაპყრობილია უმაღლესი მწვერვალები: შიშა პანგმა (8013 მ), დაულაგირი (8167 მ), ჩო-ოიუ (8201 მ). ავტორია 11 სამეცნიერო სტატიისა, ფილმებისა: „კავკასიონი“, „ნეპალ-ტიბეტი“, „ალასკა“, „ანდები“, „დაულაგირი“.

ჰობი: ცივი იარაღის კოლექციონირება.

მისამართი: (ბინის) გოთუას 16, ბ.60, ტელ.: 99.99.78; 37.72.54; (სამსახურის) უზნაძის 14.

მთელი ცხოვრების მანძილზე ვცდილობ ვაკეთო ის საქმე, რომელიც მიყვარს. და, რაც მთავარია, მაქსიმალური ენერგია დავხარჯო ამ საქმისათვის. ვარ ოპტიმისტი. არანაირი დამარცხება არ მოქმედებს ჩემზე. პირიქით, უფრო დიდი ენერგიით ვცდილობ შევეჭიდო უფრო დიდ საქმეს.

ოთარ თოხაძე

ინჟინერ-ეკონომისტი, ბანკირი, სააქციო საზოგადოება „ივერთბანკის“ გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1958 წ. 8 სექტემბერს. მშობლები: ლაურა იაშვილი, გივი თოხაძე; შვილი — ვერა (5 თვის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1981), მოსკოვის საფინანსო აკადემია (1988). არის საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი. მუშაობდა საბჭოთა კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკის კანტორაში ეკონომისტად, წამყვან ეკონომისტად, მთავარ ეკონომისტად, საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსის მოადგილედ (1981-1990). სააქციო საზოგადოება „ივერთბანკის“ გამგეობის თავმჯდომარეა 1990 წლიდან.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 27 ტელ.: 98.60.20; ფაქსი: 99.52.40; ტელექსი: 212 996 IV BT

რწმენა, პატიოსნება, პასუხისმგებლობა.



ვახტანგ იაგორაშვილი

სპორტსმენი, მწვრთნელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. დაიბადა თბილისში 1964 წ. 5 აპრილს მშობლები: ალა იაგორაშვილი, ერმად იაგორაშვილი; შვილები. მადლენი (5 წლის), დენილი (3 წლის). დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი (1985). სპორტული კარიერა დაიწყო ცურვით (1970 წლიდან), გააგრძელა ხუთჭიდით (1979 წლიდან). 1986 წლიდან მონაწილეობდა საქართველოს, ყოფილი საბჭოთა კავშირის და აშშ საერთაშორისო შეჯიბრებებსა, კონკურსებსა და სპარტაკიადებში. აღებული აქვს მრავალი ოქროსა და ბრინჯაოს მედალი, ინდივიდუალური და გუნდური პირველი ადგილი. არის ორგზის მსოფლიო, მრავალგზის საქართველოს და ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და საერთაშორისო ტურნირებში მრავალგზის გამარჯვებული. სსრკ სპორტის ოსტატი (1981). და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი (1984), სეულისა (ბრინჯაო, 1988) და ატლანტის (1996) ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

ჰობი: ხატვა

მისამართი: (ბინის) თბილისი, თემქის დასახლება XI მ./რ. III კვარტ. 56-ე კორპ. 16. ტელ.: 62.56.33. ოსტინი, ტეხასის შტატი, აშშ.ტელ.: 512.833.73.78.

დავით იაკობიძე

ეკონომისტი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი. დაიბადა საჩხერის რაიონის სოფელ ნასრში 1946 წელს. პყავს მეუღლე და ორი შვილი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1968). მუშაობდა იქვე პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე ლაბორანტად (1968), თბილისის პედაგოგიური სახელმწიფო ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე კაბინეტის გამგედ (1968-1970). მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ იყო თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის უფროსი მასწავლებელი (1974-1979). სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის ინსტიტუტის ფინანსებისა და ფასწარმოქმნის განყოფილების გამგე (1979-1983), მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის კათედრის და წარმოების ურთიერთობათა სრულყოფის სექტორის გამგე (1983-1990), ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე (1990-1991), „კავკასიის ბირჟის" თავმჯდომარის მოადგილე (1991-1992), თბილისის „საფოსტო ბირჟის" გამგეობის თავმჯდომარე (1992), ფოთის მერის მოადგილე — სამეურნეო რეფორმების განყოფილების გამგე (1993). საქართველოს ფინანსთა მინისტრია 1993 წლიდან. არის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

მისამართი: (სამსახურის) ი. აბაშიძის 70. ტელ.:22.68.05, 29.20.77

მარინა იაშვილი

მევიოლინე, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი. დაიბადა თბილისში 1932 წ. 2 ოქტომბერს. მშობლები: თამარ ხაბურზანია, ლუარსაბ იაშვილი; მეუღლე — იგორ პოლიდკოვსკი (დ.1930წ.); შვილები: ლალი (40 წლის), ნათელა (33 წლის). დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია და ასპირანტურა (1958). მუშაობდა იქვე მოსტ-

რასის ასისტენტად (1960-1966); იყო თბილისის კონსერვატორიის (1966-1975) და იუგოსლავიის მუსიკალური აკადემიის პროფესორი (1975-1980). 1980 წლიდან მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორია. არის კონკურსების: პრაღის (1949) პოლონეთში, პოზნანში გამართული ვენიავსკის სახელობის (1952), ბელგიის მეფის ელიზაბეტას სახელობის (ბელგია, ბრიუსელი, 1955) პრემიების ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შეტანილია მოსკოვში გამოცემულ მუსიკალურ ენციკლოპედიაში.
მისამართი: (ბინის) კეკელიძის 12, ბ. 11 ტელ.:22.52.81.

† რევაზ იაშვილი

მხატვარი-კერამიკოსი, საქართველოს სახალხო მხატვარი, საქართველოს სახალხო მხატვარი; დაიბადა თბილისში 1929 წ. 16 ივლისს, გარდაიცვალა 1996 წ. მშობლები: ანა სურმავა, იოსებ

იაშვილი; მეუღლე — ალდე კაკაბაძე (დ.1932ნ.); შვილი — გიორგი (40 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1978). მუშაობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. ხელმძღვანელობდა კერამიკის კათედრასთან მის მიერ ჩამოყალიბებულ მონუმენტური კერამიკის სახელოსნოს (1976 წლიდან). სისტემატიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში: ბელგიაში (1958), ჩეხოსლოვაკიაში (1962), კანადაში (1967), იუგოსლავიაში (1968), ნორვეგიაში (1969), საფრანგეთში (1970), იტალიაში (1970), შვეიცარიაში (1971), ბულგარეთში, უნგრეთში (1974), იაპონიაში (1975), ინდოეთში (1983) და სხვ. მისმა ნამუშევრებმა მიიღო თბილისის 150 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ კონკურსში I და II პრემია (1958), სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ოქროს მედალი მოსკოვში (1961), კერამიკის საერთაშორისო გამოფენაზე პრაღაში ვერცხლის მედალი (1961).
მისამართი: (ბინის) ყაზბეგის ჩიხი 4. ტელ.: 39.54.96

ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვი

მხატვარი, პროფესორი, საქართველოს სახალხო მხატვარი. დაიბადა თბილისში 1937 წ. 29 ივლისს. მშობლები: ნადეჟდა ჩიქოვანი-იგნატოვისა, იულიუს იგნატოვი; მეუღლე — დალი

გიორგობიანი (დ. 1939ნ.); შვილი — ქეთევანი (34 წლის). დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი (1962). იყო სპეციალური სამხატვრო-საკონსტრუქტორო ბიუროს (1964-1969) და საქართველოს ტელევიზიის მხატვრული გაფორმების სექტორის (1970-1973) მთავარი მხატვარი. ამჟამად საქართველოს სამხატვრო აკადემიის პროფესორი და მონუმენტური ფერწერის სახელოსნოს ხელმძღვანელია (1984 წლიდან). 1960 წლიდან ენევა შემოქმედებით მუშაობას. მას ეკუთვნის მონუმენტური ფრესკები: ბიჭვინთაში „სიმღერა საქართველოზე", (23მX8მ) თბილისში: ფუნიკულიორზე „ფირსომანის მონატრება" (15მX8მ), ქართული ენციკლოპედიის რედაქციაში „ცოდნის წყარო" (18მX3მ), თბილისის კინოს სახლში „ბერიკაობა" (12მX2,5მ); თბილისში რუსთაველის თეატრში „ჩემი თეატრი" (8მX3მ), სასტუმრო „ტურისტში" „ოქროს საწმისი" (12მX2,5მ); სცენოგრაფიაში: რუსთაველის თეატრში „სიბრძნე სიცრუისა", „მეფე ლირი", ოპერისა და ბალეტის თეატრში „ჯამბაზები", „სალამურა", „ქორეოგრაფი-

ული ნოველები" თანამშრომლობს გამომცემლობებთან: „ნაკადული", „მერანი", „საბჭოთა საქართველო" მონაწილეობდა ადგილორივ და საერთაშორისო გამოფენებში: თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგში, ნიუ-იორკში, ბუდაპეშტში, დელიში, ბერლინში, მიუნხენში, ბურეში და რამდენიმეჯერ პარიზში არის სახელმწიფო (1974) და მინისტრთა საბჭოს (1979) პრემიების ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში — The International Biographical Centre Cambridge CB23QP England, The International Who's Who of Intellectuals.

ᲰᲝᲑᲘ: ფერწერა.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (ბინის) ზანდუკელის 6 ტელ.:99.59.70 (სამსახურის) გრიბოედოვის 22. ტელ.: 99.69.59

კრედო — რასაც ვაკეთებ, ვაკეთო კარგად. ხელოვნება, როგორც ურთიერთობის უმაღლესი საშუალება. უმდიდრესი ქართული სახვითი ხელოვნების ტრადიციების გაგრძელება და თანამედროვე ფორმებში განმტკიცება. კერძოთ ქართული ფრესკის ტრადიციების აღდგენა და ცდა მისი თანამედროვეობაში დამკვიდრებისა, განუწყვეტელი ექსპერიმენტი და ძიება სახვითი ხელოვნების ენის და მეთოდების სფეროში. ახალგაზრდა ქართველი მხატვრების აღზრდა. აქტიური მონაწილეობა ყველაფერში, რაც ეხება ნაციონალური კულტურის და ხელოვნების აღმავლობას, საქართველოს ამ დარგში წარდგენა საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ილია II (ირაკლი შიოლაშვილი-ღუდუშაური)

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. დაიბადა ელადიკავკაზში 1933 წ. 4 იანვარს. მშობლები: ნატალია კობაიძე, გიორგი შიოლაშვილი-ღუდუშაური. დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია (1960). ბერად

აღიკვეცა და ხელდასმულ იქნა ბერდიაკონად (1957), შემდეგ მღვდელმონაზონად (1959). აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში (1960), არქიმანდრიტის ხარისხში (1961). ხელდასმულ იქნა შემოქმედელ ეპისკოპოსად (1963). აღყვანილ იქნა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ხარისხში (1965). იყო მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი (1963-1972), მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტი (1978-1983). სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია 1977 წლის 25 დეკემბრიდან. დისერტაცია დაიცვა ბიზანტოლოგიაში: „ათონის ივერთა მონასტერის ისტორია" (1960). არის ღვთისმეტყველების დოქტორი — Honoris Causa, მიანიჭა ნიუ-იორკის სასულიერო სემინარიამ (1979). მიღებული აქვს საქართველოს, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის ეკლესიათა უმაღლესი ხარისხის ორდენები, „ხალხთა მეგობრობის ორდენი"

ᲰᲝᲑᲘ: მუსიკა, ხატვა, მებაღეობა.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ერეკლე II მოედანი 1, ტელ.: 99.03.78.

დავით იმედაშვილი

ჟურნალისტი, საინფორმაციო სააგენტო BS-Press-ის გენერალური დირექტორი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 1 მაისს. მშობლები: ევგენია სოლოვიოვა, შალვა იმედაშვილი; მეუღლე — აელიტა ცაგარელი (დ.1941 წ.); შვილები: ელენე (26 წლის), ალექსანდრე (21 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება (1965). თანამშრომლობდა გაზეთებში: "Вечерний Тбилиси" — უშტატო კორესპონდენტი (1962-1964); "Молодеж Грузии" — სპორტის განყოფილების გამგე (1964-1966), ინფორმაციის

განყოფილების გამგე (1966-1970). "Агентство печати Новости" (АПН)— საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში (1970-1975); საქართველოს განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი (1975-1976); АПН — საკუთარი კორესპონდენტი და ქართული განყოფილების გამგე (1977-1985). არის РИА "Новости"-ის გამგე და დამოუკიდებელი სააგენტო "Black Sea-press"-ის გენერალური დირექტორი (1985 წლიდან)

ᲰᲝᲑᲘ: სპორტი, წიგნები, ლიტერატურა, ჭადრაკი.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (ბინის) საბურთალოს 40. ტელ.:38.78.41. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 42. ტელ.:93.17.49. ფაქსი: 93.54.20.

უპარტიობა, პროფესიონალიზმი, მიუკერძოებლობა, სიტყვისა და პრესის თავისუფლება.

თამაზ იმნაიშვილი

სპორტსმენი, საქართველოს სროლის და მშვილდოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1954 წ. 28 ივლისს. მშობლები: ნუნუ გაჩეჩილაძე, ზურაბ იმნაიშვილი; მეუღლე — ლამარა დაბრუნდაშვილი (დ.1956წ.); შვილები: ნინო (6 წლის), თენგიზი (3 წლის). დაამთავრა თბილისის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი (1975) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1987), ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურა (1980). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ბიოლოგიაში (1988). გამოქვეყნებული აქვს 5 სტატია. იყო ინსტრუქტორი საქართველოს სპორტის დეპარტამენტში (1980-1991), 1991 წლიდან სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია. არის სპორტის დამსახურებული ოსტატი სასტენდო სროლაში. წლების მანძილზე იყო და არის საქართველოს ნაკრების წევრი სასტენდო სროლაში, ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიოს რეკორდსმენი, სამი ოლიმპიადის მონაწილე. 1994 წელს დააჯილდოვეს ღირსების ოდენით; არჩეულია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრად. მისი ბიოგრაფია შეტანილია ატლანტის ოლიმპიადისადმი მიძღვნილ ცნობარში.

ᲰᲝᲑᲘ: ნადირობა.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (ბინის), ჭავჭავაძის გამზ. 75, ბ. 18, ტელ.:23.42.05. (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 49, ტელ :23.55.80.

საკუთარ თავზე მუშაობა, პუნქტუალობა, საქმის ერთგულება, ოჯახის და მეგობრების სიყვარული. სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს.

ხვედრი ინასარიძე

მათემატიკოსი, პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა პარიზში 1932 წ. 6 დეკემბერს. მშობლები: ნინო ინასარიძე, ნიკო ინასარიძე; მეუღლე — ცისანა ფირცხალავა (დ.1942 წ.); შვილები: ნიკო (25 წლის), ქეთინო (24 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი (1958). მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტში უმცროს, უფროს და მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად

(1961-1989). 1989 წლიდან არის ალგებრის განყოფილების გამგე. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ტოპოლოგიური სივრცეების და მათი უწყვეტი ასახვების სასრული რიგის ნაზრდები" (1966) და სადოქტორო — „კოჰომოლოგიები მნიშვნელობით ნახევარჯგუფებში" (1970). პოლანდიაში დაიბეჭდა თანამედროვე ალგებრის საკითხებზე მისი წიგნი: „Igebraic K-theory" (1955). ამჟამად იბეჭდება მეორე წიგნიც: „Von-abelian Homological algebra" არის საქართველოს მათემატიკოსთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, ევროპის მათემატიკოსთა საზოგადოების წევრი.
ჰობი: მხატვრული ლიტერატურა და მუსიკა, ჩოგბურთი და თევზაობა.
მისამართი: (ბინის). ჭავჭავაძის გამზ. 75, III კორპ. ბ. 35, ტელ.: 23.08.52; (სამსახურის) მ. ალექსიძის 1, ტელ.: 36.47.28; ელ-ფოსტა: hverdzi @ imath.acnet.ge

ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ჩემს ოჯახს შემოქმედებით მუშაობასთან ერთად გამუდმებით უხდებოდა ბრძოლა ფიზიკური გადარჩენისათვის. ასე იყო ემიგრაციაში (საფრანგეთში) ყოფნის დროს (იქ დავიბადე და გავიზარდე), ასე იყო საქართველოში ჩამოსვლისას, შემდეგ ყაზახეთის უდაბნოში, სადაც 1951 წელს გადაგვასახლეს და ასეა ახლაც. ამიტომ ასეთ პირობებში რაიმეს რომ მიაღწიო, უნდა გწამდეს საკუთარი ძალების და იყო შენი სამშობლოს ერთგული.

გიორგი (გივი) ინწკირველი

იურისტი; პროფესორი. დაიბადა თბილისში 1926 წ. 8 მარტს. მშობლები: ნინო ინწკირველი, ზაქარია ინწკირველი; მეუღლე — ინა ყიფიანი (დ.1935 წ.); შვილები: რუსუდანი (39 წლის), ზაზა (37 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1948). მუშაობდა უნივერსიტეტში. იყო იურიდიული ფაკულტეტის დეკანი (1952-1966). არის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგე (1989 წლიდან). საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის (ხარისხების მინიჭების) საბჭოს თავმჯდომარე (1982 წლიდან). იყო საბჭოთა კავშირის საკონსტიტუციო ზედამხედველობითი კომიტეტის წევრი (1989-1992); საქართველოს საკონსტიტუციო სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (1994-1995). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „გერცენის პოლიტიკური შეხედულებები" (1951); სადოქტორო — „სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემები" (1965). მისი ავტორობით გამოქვეყნებულია სახელმძღვანელოები უმაღლესი და საშუალო სკოლებისათვის: „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია", „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები", მონოგრაფიები, ბროშურები, კანონმდებლობის კომენტარები, სტატიები ჟურნალებში ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ ენებზე. არჩეულია უმაღლესი სკოლის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრად (1994 წლიდან). არის სამართლის პროფესორთა მსოფლიო (1996 წლიდან), მსოფლიო იურისტთა (1993 წლიდან), პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო (1964 წლიდან), საერთაშორისო სამართლის (1980 წლიდან) ასოციაციების წევრი, „არასამთავრობო საერთაშორისო იურისტთა კავშირის" ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის წევრი (1996 წლიდან). არის აღნიშნული ორგანიზაციების მსოფლიო კონგრესების მონაწილე, აშშ-ში, ბრაზილიაში, არგენტინაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ფილიპინებზე, მონრეალში, მოსკოვში.
ჰობი: სპორტი, ფოტოგრაფია.
მისამართი: (ბინის) მოსაშვილის 3. ბ. 27. ტელ.: 22.10.18; (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 1. 22.37.10.

ფრიდონ ინჯია

რადიოკავშირის ინჟინერი, საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრი, ინფორმაციის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა მარტვილში 1946 წ. 7 დეკემბერს. მშობლები: ტატიანა სილაგაძე, ილია ინჯია; შვილები: ილია (19 წლის), ხათუნა (15 წლის).

დაამთავრა პეტერბურგის ბონჩ-ბრუევიჩის სახელობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი (1969) მუშაობდა პეტერბურგის ელექტრო-ტექნიკურ ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად (1969-1980), მოსკოვის საკავშირო კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში უფროს ინჟინრად (1980-1990), სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „ეგრისის" დირექტორად (1990-1992), საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრის პირველ მოადგილედ (1992-1993), 1993 წლიდან კავშირგაბმულობის მინისტრია დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ფართოზოლიანი სიგნალის ჩაწერა ჰოლოგრაფიის მეთოდით, მცირე სიმძლავრის ლაზერის მეშვეობით" (1981). არის 26 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მისი სტატიები გამოქვეყნებულია ჟურნალ „საქართველოს ტელეკომუნიკაციაში", რომელიც გამოდის 1994 წლიდან. მიღებული აქვს ვახტანგ გორგასლის ორდენი. მისი ბიოგრაფია შეტანილია საერთაშორისო გამოცემა Who's Who-ში;

ᲰᲝᲑᲘ: სპორტი, ხელოვნება.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (სამსახურის) 9 აპრილის 2. ტელ.:99.77.77 ფაქსი: 99.11.11.

კაცს სიმართლის არ უნდა ეშინოდეს. მოქმედება, შემოქმედებითად აქტიური ყოფა, მარადიულად ახლის ძიება და კაცთმოყვარეობა, პასუხისმგებლობის გაძლიერებული გრძნობა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვების მიმართ.

გიორგი იოსელიანი

ექიმი-ქირურქი, ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის საპატიო დირექტორი, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1917 წ. 30 დეკემბერს. მშობლები: ელენე ნიკოლაიშვილი, დავით იოსელიანი; მეუღლე — თამარ გონიაშვილი (დ. 1921წ.); შვილები. დავითი (53 წლის), სოფიო (44 წლის)

დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი (1941). მუშაობდა ექიმ-ორდინატორად თბილისის სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში (1944-1945, 1948-1950) მოსკოვის სკლიფასოვსკის სახელობის სასწრაფო დახმარების ინსტიტუტში (1946-1947), იყო ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1950-1952), სნავლული მდივანი (1952-1956), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში (1956-1974), დირექტორი (1974-1988), საპატიო დირექტორი (1989 წლიდან). საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „კუჭის დისტალური და თორმეტგოჯა ნაწლავის პროქსიმალური ნაწილების ფორმისა და მდებარეობის სხვადასხვა ვარიანტები" (1948), სადოქტორო — „ღვიძლის შეგუბებითი ექსპერიმენტული ციროზის საკითხისათვის" (1952). არის 257 სამეცნიერო შრომის (მათ შორის 8 მონოგრაფიის) ავტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ქირურგიული საზოგადოების თავმჯდომარე, ქირურგთა მსოფლიო ასოცი-

აციის წევრი, ამერიკის შეერთებული შტატების ქირურგთა ინტერნაციონალური კოლეგიის წევრი, საქართველოს მენციერებათა აკადემიისა და რუსეთის სამედიცინო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
ჰობი: ფეხბურთი.
მისამართი: (ბინის) ვერიკო ანჯაფარიძის 9 ტელ. 22 55 74 (სამსახურის) ქიაურელის 1. ქირურგიის ინსტიტუტი.

მე ძალიან ორგანიზებული პიროვნება ვარ. შრომისმოყვარეობა. მე ვარ პლატონ იოსელიანის შთამომავალი. 1968 წლამდე ვცხოვრობდი პლატონ იოსელიანის სახლში (ჩახრუხაძის ნ.). ჩემი შვილი არის ექიმების IV თაობა. ოჯახში ტრადიციულად ინახება გიორგი XIII-ის საუფლისწულო დროშა, რომელიც ადრე ხატის მსგავსად ჩაკეტილი იყო და ხალხს უფლება ჰქონდა კვირაობით ელოცა დროშის წინ.

ნანა იოსელიანი

მოჭადრაკე, საერთაშორისო კლასის დიდოსტატი დაიბადა თბილისში 1962 წ. 12 თებერვალს. მშობლები: ნათელა ხვედელიძე, მიხეილ იოსელიანი; შვილი — ნინო კუპრაშვილი (13 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1985). არის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების 5-გზის ჩემპიონი (1980, 1982, 1992, 1994, 1996). მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი (1988, 1993).მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში.
მისამართი: (ბინის): ჭავჭავაძის გამზ. 75ა, ბ. 13. ტელ.: 39 37 33.

შრომისმოყვარეობა,
პასუხისმგებლობის გრძნობა,
კეთილგანწყობილი ატმოსფერო.

ოთარ იოსელიანი

რეჟისორი და სცენარისტი, პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1934 წ. 2 თებერვალს. მშობლები: მარიამ მიქაბერიძე, დავით იოსელიანი; მეუღლე — რიტა სემენოვა-იოსელიანი (დ.1935 წ.); შვილი — ნანა (38 წლის). დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტი მოსკოვში (1961); მუშაობდა საქართველოს ქრონიკულ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის II კატეგორიის რეჟისორად (1959-1960); რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროში მექურედ (1963), კინოსტუდია „ქართულ ფილმში" დამდგმელ რეჟისორად (1961-1985). არის შემდეგი მხატვრული და დოკუმენტური ფილმების რეჟისორი და რეჟისორ-სცენარისტი, რომელთა უმრავლესობა სპეციალური პრიზებით აღინიშნა მსოფლიო კინოფესტივალებზე: „აკვარელი" (1958), „საპონელა" (1959), „აპრილი" (1962); „თუჯი" (1964) „ძველი ქართული სიმღერა" (დოკ. 1969). „გიორგობისთვე" (1966. ჟორჟ სადულის პრიზი, კანის Fipresci), „იყო შაშვი მგალობელი" (1970. იტალიის კინოფესტივალის პრიზი საუკეთესო უცხოური ფილმისთვის), „პასტორალი" (1976; კანის Fipresci), ბერლინის ფესტივალის პრიზი 1981). „შვიდი პესა შავ-თეთრი კინოსათვის" (1982), „Euskadi — ბასკეთი" (1983), „მთვარის ფავორიტები" (1984. ვენეციის 41-ე ფესტივალის გრან-პრი, ვატიკანის პრიზი), „პატარა მონასტერი ტოსკანაში" (1988), „და იქმნა ნათელი" (1989. ვენეციის 46-ე კინოფესტივალის გრან-პრი), „ნადირობა პეპლებზე" (1992. ბერლინის ხელოვნების აკადემიის გრან-პრი, რუსეთის „ტრიუმფი" საუკეთესო უცხოური ფილმისათვის). „საქართველო ერთია", (1993-1994. სატელევიზიო ფილმი), „ყაჩ-

აღები, VII თავი" (1996, ვენეციის 53 ფესტივალის გრან-პრი). დაჯილდოებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის მედლით.
მისამართი: მიცკევიჩის ქ. კორპ. I, ბ. 38. ტელ.:38.50.58.

ჯაბა იოსელიანი

მწერალი, ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი. დაიბადა ხაშურში 1926 წ. 10 ივლისს. მშობლები: ალექსანდრა ულენტი, კონსტანტინე იოსელიანი; მეუღლე — ვენერა ბოლქვაძე (დ.1928 წ.); შვილი — კონსტანტინე (25 წლის); შვილიშვილი — ჯაბა (5 წლის). დაამთავრა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი (1973). მუშაობდა კინოსა და თეატრის ხელოვნების მუზეუმში დირექტორის მოადგილედ (1973-1975), თეატრალურ ინსტიტუტში ჯერ სწავლულ მდივნად შემდეგ თეატრისა და კინოს სექტორის უფროსის მოადგილედ სამეცნიერო დარგში (1975-1989); იყო საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1992), საგანგებო მდგომარეობის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე (1993-1994), პარლამენტის წევრი (1992-1995), მაშველთა კორპუსის საპატიო თავმჯდომარე (1989-1995), ეუნეეაში ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო მოლაპარაკებების საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი (1993,1994). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „სერგო ამაღლობელი" (1978), სადოქტორო — „კომიზმი და ქართული კომედიის ნიღბები" (1982). არის ავტორი რომანებისა: „სანიტარული მატარებელი" (1988), „ლიმონათის ქვეყანა" (წარდგენილი იყო სახელმწიფო პრემიაზე 1996) და პიესებისა: „სტუმარი" (1987), „ეთერიანი" (1987), „ტაკიმასხარა" (1987). „შავი კატა", „ულტიმა რაციო", „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამი". გამოქვეყნებულია მისი ესეები და მონოგრაფიები, სამეცნიერო და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები. მისი პიესები იდგმება ქართული თეატრების სცენებზე (ძირითადად მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე) 1973 წლიდან. არის ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი (1993) ამჟამად, ისევე როგორც წინა ხელისუფლებების დროს, იგი დაპატიმრებულია
ჰობი: ფეხბურთი, მუსიკა.
მისამართი: (ბინის) პლ. იოსელიანის 37 ტელ :36.70 14

თედო ისაკაძე

ფილოლოგი, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარეში. დაიბადა თბილისში 1966წ. 27 ივნისს. მშობლები: დოდო სამანიშვილი, რეზო ისაკაძე; მეუღლე — მარინე ხუბულური; შვილები: გიორგი (6 წლის), თეკლა (1 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1989). იყო ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე (1994-1995). არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული კულტურის კვლევის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი (1990 წლიდან). აქვეყნებდა სტატიებს ფილოლოგიის, მითოლოგიისა და ხელოვნების საკითხებზე.

არის უნივერსიტეტის პრეს-კლუბისა და „საქართველოს პოლიტიკური კლუბის" წევრი.
ჰობი: კლასიკური მუსიკა, მხატვრული ლიტერატურა.
მისამართი: (ბინის) ბახტრიონის 6, ტელ.: 96.92.70; (სამსახურის) ამბროლაური, აღმაშენებლის მოედანი.

ლიანა ისაკაძე

მევიოლინე და დირიჟორი, დ. ოისტრახის სახელობის სახელმწიფო აკადემიის მხატვრული ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი დაიბადა თბილისში 1946 წ. 2 აგვისტოს. მშობლები: გალინა კვირიკაშვილი, ალექსანდრე ისაკაძე; მეუღლე — თამაზ ჩაჩავა (დ.1940წ.). დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია (1970). იყო მოსკოვის ფილარმონიის სოლისტი (1970-1992), საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის მხატვრული ხელმძღვანელი (1981-1995), 1992 წლიდან დ. ოსტრახის სახელმწიფო აკადემიის (გერმანია) მხატვრული ხელმძღვანელია. არის რუსთაველის და ფალიაშვილის სახელმწიფო პრემიების, ჩაიკოვსკის, პარიზის და სიბელიუსის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, მისი ბიოგრაფია შეტანილია გერმანიის მუსიკალურ ენციკლოპედიაში.

მისამართი: (ბინის) Mozartstr. Z, 2. D-85101, Lenting-Ingolstadt
ტელ.:(49)-8456-2616. (სამსახურის): Hohe Schul str.4, Ingolstadt,
ფაქსი: (49)8456-2617.

კრედო — ჩემი მოვალეობის ღმერთის და ხალხის წინაშე პატიოსნად და სიყვარულით შესრულება.

ალექსანდრე (სანდრო) კავსაძე

ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორის ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა ქუთაისში 1944 წ. 5 მაისს. მშობლები: ელისაბედ მაჭავარიანი, ირაკლი კავსაძე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1976). მუშაობდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ, გამოძიების ხელმძღვანელად (1976-1982). იყო გორისა და გორის რაიონის ხელმძღვანელი (1990), საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე (1985-1990), პრივატიზაციის მინისტრი (1992), საქართველოს ვიცე-პრემიერი (1992). აქვეყნებდა სტატიებს პერიოდულ პრესაში.

მისამართი: (ბინის) ი. ნიკოლაძის 8, ტელ.:95 70 30, (სამსახურის) ყაზბეგის გამზ. 12, ტელ.:99.08.36.

კახი კავსაძე

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1935 წ. 5 ივნისს. მშობლები. თამარ ცაგარეიშვილი, დავით კავსაძე; მეუღლე — ბელა მირიანაშვილი; შვილები: ნანა (31 წლის), ირაკლი (27 წლის).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი (1959). არის რუსთაველის აკადემიური თეატრის მსახიობი (1959 წლიდან). მონაწილეობდა მრავალ კინოფილმსა და სპექტაკლში. **მისამართი**: (ბინის) მარჯანიშვილის 2, ტელ.:96.96.65. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 17; რუსთაველის თეატრი. ტელ.:99.63.73.

მიუხედავად იმისა, რომ უმამოდ გავიზარდე (1941 წელს ჯარში გაიწვიეს, ტყვედ ჩავარდა, დააპატიმრეს და ციმბირში დაიღუპა), მძიმე ბავშვობა მქონდა, ოჯახს ეკონომიურად უჭირდა. მერე, როცა მსახიობი გავხდი, არც მაშინ მქონდა დალხენილი ცხოვრება. არასოდეს არავისი არაფერი შემშურნია, არც ახლა მშურს და ასე დავამთავრებ ცხოვრებას. მიზანი — რაც შეიძლება მეტი სიხარული და ბედნიერება მოვუტანო ხალხს. ჩემი პროფესია ამის საშუალებას მაძლევს. მე არტისტი ვარ!

ალდე კაკაბაძე

მხატვარი-კერამიკოსი, პროფესორი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს სახალხო მხატვარი დაიბადა თბილისში 1932 წ. 18 ოქტომბერს. მშობლები: მაყვალა მრევლიშვილი, გრიგოლ კაკაბაძე; მეუღლე — რევაზ იაშვილი (1929-1996), შვილი: გიორგი (40 წლის).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1957), ასპირანტურა (1963). მუშაობდა თბილისის კერამიკულ სკოლაში, თბილისის 57-ე სკოლაში, თბილისის სარეწაო კავშირების საკონსტრუქტორო ბიუროში პედაგოგად (1957-1960). მუშაობს სამხატვრო აკადემიის კერამიკის კათედრაზე პედაგოგად (1964 წლიდან). არის მრავალი რესპუბლიკური და

საერთაშორისო გამოფენის მონაწილე, მათ შორის: პოლონეთში (1960), იზმირში (1965), ჟენევაში (1966), ალჟირში (1967), მონრეალში (1967,1975), შვედეთში (1967, 1976), შვეიცარიაში (1971, 1978), გერმანიაში (1969, 1986), საფრანგეთში (1970), იტალიაში (1967, 1970), პორტუგალიაში (1981, 1988) და სხვ. არის ავტორი წიგნისა: „ქართული თანამედროვე კერამიკა", სტატიებისა თანამედროვე კერამიკის შესახებ. მისი ნამუშევრები დაცულია ბერლინში მსოფლიოს ხალხთა კერამიკის მუზეუმში, ნანტის (საფრანგეთი) ეთნოგრაფიულ მუზეუმში, პრაღის, ბეხინის (ჩეხოსლოვაკია) და შიკლოს (უნგრეთი) თანამედროვე კერამიკის, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების (მოსკოვი), კუსკოვოს (რუსეთი) და ჩიკაგოს ლეიკსაიდის კერამიკის მუზეუმებში და სხვ. დაჯილდოებულია საქართველოს მხატვართა კავშირის მედლით საუკეთესო კერამიკული ნამუშევრისთვის (1977).

პობი: კერამიკა.

მისამართი: (ბინის) ყაზბეგის ჩიხი 4, ტელ :39.54.96; (სამსახურის) გრიბოედოვის 22, სამხატვრო აკადემია, ტელ :99 93.57

დაუღალავად ეცადე დახვეწო შენი ხელოვნება, დანარჩენი თავისით მოვა.

დავით კაკაბაძე

ფილოლოგი, ჟურნალისტი, რადიო „თავისუფლების" ქართული რედაქციის რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1959 წ. 30 მარტს. მშობლები: მანანა ქავთარაძე, მიხეილ კაკაბაძე; მეუღლე — ლელა გაბუნია (დ.1959 წ.); შვილები: ანა (12 წლის), მიხეილი (7 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1982) სწავლობდა იენის ფრიდრიპ შილერის სახელობის უნივერსიტეტში (1978-1980). მუშაობდა ჟურნალ „მართვეში" განყოფილების გამგედ (1982-1984), რედაქტორის მოადგილედ (1984-1987), გაზეთ „ლელოს" უცხოეთის სპორტის განყოფილების გამგედ (1984-1987), გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" (მოსკოვი) საკუთარ კორესპონდენტად საქართველოში (1987-1989), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გოეთეს კაბინეტის ხელმძღვანელად (1989-1993); იყო კიოლნის უნივერსიტეტის დოქტორანტი (ადენაუერის სახელობის სტიპენდიანტი, 1990-1993); არის რადიო „თავისუფლების" ქართული რედაქციის რედაქტორი (1995 წლიდან). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია ქართულ, რუსულ, გერმანულ პერიოდიკაში. აქვს თარგმანები გოეთეს, შილერის, ბორპერტის, კოლპაააზეს, ბიქსელისა და სხვათა შემოქმედებიდან. არის საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის, სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის, გოეთეს საერთაშორისო, შილერის საერთაშორისო, ბერლინის ქართული საზოგადოების, გიოტინგენის საზოგადოება „საქართველოს" წევრი.

ჰობი: ფეხბურთი და ნადირობა.

მისამართი: (ბინის) ბრანიცკა 187, 14000, პრაღა 4, ჩეხეთის რესპუბლიკა ტელ.:00.42.-2/43.82.96, (სამსახურის) ვინოპრადსკა 1, 11000 პრაღა 1, ჩეხეთის რესპუბლიკა, ტელ. და ფაქსი: 0042.2/ 21122263; ელ-ფოსტა: kakabadzed @ rferl org

მოექეც სხვას ისე, როგორც თავად გსურს მოგექცნენ (ცხადია, ამას ყოველთვის ვერ ვახერხებ).

ეთერ კაკაბაძე

ჟურნალისტი, საინფორმაციო სააგენტო "КАВКАЗ-ПРЕСС"-ის მთავარი რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1953 წ. 27 იანვარს. მშობლები: ვერა კაკაბაძე, ერასტი კაკაბაძე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი (1975). მუშაობდა გაზეთ „Молодежь Грузии"-ს კორესპონდენტად, განყოფილების გამგედ (1974-1990); "Новая

газета"-ს კორესპონდენტად, იყო მისი რედკოლეგიის წევრი და ერთ-ერთი დამფუძნებელი (1991-1995); არის "Литературная газета"-ს საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში (1994 წლიდან).

მისამართი: (ბინის) დიღმის მასივი II კვარტ. კორპ. 13. ბ. 28. ტელ.: 51.19 83; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 42, ტელ.:99.82.69, ფაქსი: 93.01 39, ელ. ფოსტა: caucasus @ access. sanet ge

სიცოცხლეში არავითარი განსაკუთრებული პრინციპებით არ ვხელმძღვანელობდი. ყოველთვის ვცდილობდი კეთილსინდისიერად მეკეთებინა ჩემი საქმე, რომელიც ძალიან მიყვარს. ჟურნალისტიკა ჩემი პროფესიაცაა და ჰობიც ერთდრეულად.

მერაბ კაკულია

ეკონომისტი, ბანკირი, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი. დაიბადა ოზურგეთში 1961 წ. 19 ივნისს. მშობლები: იზოლდა დათუნაიშვილი, რევაზ კაკულია; მეუღლე — ნინო კიკნაველიძე (დ. 1961წ.) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით (1988). მუშაობდა იქვე ასისტენტად, უფროს მასწავლებლად, დოცენტად (1987-1991); სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ეკონომიკის მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების გამგედ (1988-1989). იყო ავსტრიულ ბანკში „ცენტრალ შპარკასსე უნდ კომერციალ ბანკ" (ვენა) სტაჟიორი (1989-1990), სააქციო-უნივერსალური ბანკის „იბერიაბანკის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე (1991-1992), 1992 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო-ეკონომიკური სამართველოს უფროსი და ვიცე პრეზიდენტია. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „კაპიტალის საერთაშორისო ცენტრალიზაციის ფორმები და წინააღმდეგობანი" (მოსკოვი, 1986). მსოფლიო ეკონომიკის, საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობების, ფინანსური კაპიტალის საკითხებზე 20 სამეცნიერო შრომის ავტორი.

ჰობი: ფერწერა, განსაკუთრებით მეოცე საუკუნის ქართული მხატვრობა

მისამართი: (ბინის) ნიკოლაძის 5ა, (სამსახურის) გ. ლეონიძის 3/5 ტელ :93 21 03; ფაქსი: 99 98 85.

პრინციპები: მორალურ ღირებულებათა პრიმატი და საქმისადმი ერთგულება. იდეალი: ეკონომიკურად წელმაგარი, დემოკრატიული და სულიერად მდიდარი საქართველო.

ანა კალანდაძე

ფილოლოგი, პოეტი-აკადემიკოსი. დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში 1924 წ. 15 დეკემბერს. მშობლები: მარიამ სულავა, პავლე კალანდაძე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1946). მუშაობდა ენათმენეიერების ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1952-1973). არის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1973 წლიდან). ავტორია სხვადასხვა დროს გამოცემული მრავალი პოეტური კრებულისა. არის თბილისისა და ჩოხატაურის საპატიო მოქალაქე, „საპატიო ნიშნის" ორი ორდენის კავალერი, დაჯილდოებულია საქათველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების სა-

პატიო სიგელებით, ივანე ჯავახიშვილის 100 წლისთავის აღმნიშვნელი საიუბილეო ორი მედლით, არის გ. ტაბიძის და რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატი, საზოგადოება „თბილისელის" წევრი.
მისამართი: (ბინის) საბურთალოს 40, I კორპ. ბ. 4 ტელ.: 38.97.47 (სამსახურის) ინგოროყვას 8, ენთამეცნიერების ინსტიტუტი ტელ.:99.92.06.

წინასწარ დასახული სახელმძღვანელო „იდეალები, პრინციპები და მიზნები" არასოდეს მქონია. ერთ-ერთ ინტერვიუში ვწერდი კიდეც, რომ მეც ჩვეულებრივ მივყვებოდი ცხოვრებისეულ დინებას. ყოველ ადამიანში, მოგეხსენებათ, იმთავითვეა კოდირებული ის მონაცემები, რომლებიც აყალიბებენ მის ხასიათს და, აქედან გამომდინარე, იქმნება მისი კრედოც. ჩემი, როგორც შემოქმედის, კრედო, როგორც ადრეც აღვნიშნე, ის გახლავთ, რომ შემოქმედი არ უნდა ღალატობდეს საკუთარ გზას!

ედმონდ კალანდაძე

მხატვარი, საქართველოს სახალხო მხატვარი. დაიბადა ჩოხატაურის რაიონში, სოფელ ხიდისთავში 1923 წ. 4 მაისს. მშობლები: ცირა კალანდაძე, ლავროსი კალანდაძე; მეუღლე — ლია კაკაბაძე (დ 1930 წ.); შვილი: ცირა (42 წლის). დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია (1952). იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი (1972-1986), კულტურის მინისტრი (1991-1992); არის საქართველოს სამუზეუმეო გაერთიანებასთან არსებული სახვითი ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის სახელოსნოს ხელმძღვანელი (1986 წლიდან). გამოფენები ჰქონდა გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში, ლუქსემბურგში, ბრაზილიაში, თურქეთში, რუსეთსა და საქართველოში. არის მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი. მისი ბიოგარფია შეტანილია საქართველოს ენციკლოპედიაში.
პობი: ნადირობა, მხატვრობა
მისამართი: (ბინის) გოგებაშვილის 43. ტელ.: 22.15.35. (სამსახურის) ჭავჭავაძის 39. ტელ.: 23.57.69.

სამართლიანობა, რწმენა, რომ სიკეთე სძლევს ბოროტებას, რწმენა, რომ ადამიანის ცხოვრება უნიკალურია და მისი ხელყოფა ნებისმიერი სახით დიდი დანაშაულია.

გიორგი კანდელაკი

მოკრივე, ევროპის ჩემპიონი. დაიბადა გორის რაიონის სოფელ ვარიანში 1974წ 10 აპრილს. ჰყავს მეუღლე. არის

გორის პედაგოგიური ინისტიტუტის V კურსის სტუდენტი. არის მსოფლიო ჩემპიონი კრივში, იუნიორებს შორის (1992); ევროპის ჩემპიონი (1993), მსოფლიო თასის პრიზიორი, III ადგილი (1994); მსოფლიო მოკრივეთა შორის დაასახელეს თავის წონით კატეგორიაში (91 კგ) II ნომრად (1994); მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, 1/4 ფინალისტი (1995); ოლიმპიური თამაშების მონაწილე (1996);
მისამართი: (ბინის) სოფელი ვარიანი. (სამსახურის) კრივის ფედერაცია. ტელ.: 23.51.79.

გელა კანდელაკი

კინორეჟისორი. დაიბადა თბილისში 1940 წ. 27 მაისს. მშობლები: მარიამ მჭედლიშვილი-კანდელაკი, ირაკლი კანდელაკი. შვილი — მარიამი (27 წლის). დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტი (1996). იყო რე-

ჟისორი კინოსტუდია „ქართულ ფილმში". დოკუმენტური ფილმების სტუდიასა და „ქართულ ტელეფილმში" (1957-1981); „ქართული ფილმის" მულტგაერთიანების სამხატვრო ხელმძღვანელი (1981-1986); არის კინოსტუდია „კვალის" და ხელის ჩრდილების თეატრის „ბუდრუგანას" სამხატვრო ხელმძღვანელი (1986 წლიდან); თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სახელოსნოს ხელმძღვანელი (1975 წლიდან). გადაღებული აქვს მოკლემეტრაჟიანი ფილმები: „დღეს", „საქართველოს მუზეუმი", „ბავშვთა ნახატების გამოფენა", „ვარძია" და სხვ., სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უბედურება" შეასრულა მთავარი როლი ფილმში „იყო შაშვი მგალობელი" არის საკავშირო და საერთაშორისო კინოფესტივალების ლაურეატი.
მისამართი: (ბინის) ჩიქოვანის 16, ტელ.:36.79.09. (სამსახურის) აღმაშენებლის გამზირი 169.

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს..."-

ზაზა კანდელაკი

ისტორიკოსი, საქართველოს პარლამენტის წევრი, მუდმივმომქმედი საპარლამენტო დელეგაციების კოორდინატორი. დაიბადა თბილისში 1958 წ. 28 იანვარს ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1980). მუშაობდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრში მეცნიერ-თანამშრომლად (1980-1981), თბილისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში განყოფილების გამგედ (1981-1991), საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ჯერ I ევროპული სამმართველოს უფროსად, შემდეგ პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ (1991-1992), საქართველოს სახელმწიფო მეთაურის აპარატში ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მრჩევლად (1993-1994), საქართველოს სახელმწიფო მეთაურის პრესმდივნად (1994-1995). იყო მოქალაქეთა კავშირის საერთაშორისო მდივანი (1995). არის ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი (1991 წლიდან)
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. საქართველოს პარლამენტი.

გოჩა კაპანაძე

მსახიობი. დაიბადა ზესტაფონის რაიონის დაბა შორაპანში 1966 წ 29 ნოემბერს. მშობლები. აზა ასათიანი, სევერიან კაპანაძე; დაამთავრა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტი (1986). გაიარა პიტერ ბრუკის საერთაშორისო თეატრალურ ცენტრში სარეჟისორო კურსი ბრუკის ხელმძღვანელობით (1992) მუშაობდა რუსთაველის თეატრში მსახიობად (1986 წლიდან) და თეატრალურ ინსტიტუტში მსახიობის ოსტატობის პედაგოგად (1993 წლიდან). მონაწილეობდა სპექტაკლებში. „სამანიშვილის დედინაცვალი" (არისტო, ცხენი), „ჰამლეტში" (პოლონიუსი, მესაფლავე). მიიღო მონაწილეობა რეჟისორების: ე შენგელაიას, ნ ახვლედიანის, დ. ცინცაძის, დ. ჯანელიძის, გ. გაჩეჩილაძის ფილმებში. 1996 წელს ნიუ-იორკში (აშშ), ბროდვეიზე გაიმართა მისი სპექტაკლის „ჩემოდანი" პრემიერა, დადგა გ. ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი" — რუსთაველის თეატრში, ვაიზელის „ჩემოდანი" — ინგლისში, „გოგ" თეატრში. არის ინგლისის ქ. ბრისტოლის საპატიო მოქალაქე, მიღებული აქვს პაკისტანის I საერთაშორისო დრამატული თეატრების ფესტივალის „გრან-პრი"
პობი: მუსიკა, სპორტი, მოგზაურობა.
მისამართი: (ბინის) ორთაჭალის I შესახვევი 8. (სამსახურის) რუსთაველის 17 პეიჯერი: 37-95.

მინდა ვიცხოვრო ეკლესიურად. ჩუმად, წყნარად, აფიშირების გარეშე ვაკეთო სიკეთე, ჯერჯერობით ასე ვცხოვრობ. (არ შეგეშინდეთ, ანგელოზი არ გეგონოთ)

მარინა კახიანი

მსახიობი. დაიბადა თბილისში 1959 წ. 19 სექტემბერს. მშობლები: ალექსანდრა ყუფუნია, გიორგი კახიანი; მეუღლე — გია მატარაძე (დ. 1940 წ.); შვილები — ვახტანგი (15 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი. მუშაობდა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მსახიობად (1975-1976). რუსთაველის თეატრის მსახიობია 1981 წლიდან. მონაწილეობდა სპექტაკლებში: უილიამ შექსპირის „მეფე ლირი" (კორდილია), „ტიტუს ანდრონიკუსი" (ლავინია), მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე" (რებეკა), ბერტოლდ ბრეპტის „კავკასიური ცარცის წრე" (ნათელა აბაშვილი), შატროვის „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე" (საპოჟნიკოვა), კვესელავას „ასერგასის დღე" (ევა ბრაუნი), იბრაგიმბეკოვის „დაკრძალვა კალიფორნიაში" (კიტი), სამსონაძის „იქ სადაც ღვარად მოედინება" (მარინა), გარსია ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი" (ბერნარდა), შილერის „მარია სტიუარტი" (მარია სტიუარტი) და სხვ., ფილმებში: თენგიზ აბულაძის „მონანიება" (სერაფიმა), ომარ გვასალიას „ქართველები ცაში" (მანანა), რამაზ გიორგობიანის „მოდი ვილაპარაკოთ" (მარინა), რ. ჩხეიძის „დონ-კიხოტი" (ალტისიდორა), დარსაველიძის „ყვითელი ჩიტი" (ელენე), მატარაძის „მოკვეთილი" (გულსუნდა), „შვიდი პატარა მოთხრობა სიყვარულზე", „გამოცხადება" (ქეთი), ვარსიმაშვილის „სახლი ძველ უბანში" (ნატო) და სხვა. მიიღო საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ საუკეთესო მსახიობი ქალისთვის დანესებული პრემია ირაკლი სამსონაძის პიესაში „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე" ლიდას როლის შესრულებისათვის (1991).

პობი: მოგზაურობა.

მისამართი: (სახლი) თბილისი, რუსთაველის გამზ. 1 ბ. 81 ტელ.: 99.07.60. (სამსახურის) რუსთაველის 17 რუსთაველის თეატრი.

არ მივაყენო ადამიანებს ისეთი სულიერი ტკივილი, რომელიც ჩემთვის ძნელი ასატანი იქნებოდა. მოვექცე ადამიანებს ისე, როგორც მინდა, რომ მომექცნენ მე. მე ვფიქრობ, თუ ჩვენ, ადამიანები, ამ პრინციპით ვიცხოვრებთ, ქვეყანაზე ბოროტება აღარ იქნება.

ჯანსულ კახიძე

დირიჟორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1936 წ. 10 იანვარს. მშობლები: მარგარიტა ნინიძე, ივანე კახიძე; მეუღლე — ვანდა კახიძე (დ.1935 წ). შვილები: ვახტანგი (37 წლის), თეონა (27 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1964). მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო კაპელის რიგით დირიჟორად (1957-1962), თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ჯერ რიგით (1962-1965), შემდეგ მთავარ დირიჟორად (1965-1973), საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთავარ დირიჟორად და სამხატვრო ხელმძღვანელად (1973-1993). არის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი (1968 წლიდან), თბილისის მუსიკისა და კულტურის ცენტრის პრეზიდენტი და სამხატვრო ხელმძღვანელი (1989 წლიდან) და თბილისის

სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი (1993 წლიდან), დირიჟორობდა კონცერტებსა და საოპერო სპექტაკლების მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. იყო სსრკ სახალხო არტისტი, არის რუსთაველის პრემიის ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შეტანილია "Who's who"-ს ბრიტანულ გამოცემაში.
პობი: ფეხბურთი.
მისამართი: (ბინის) ლესელიძის 18. ტელ.:98.44.46. (სამსახურის) დავით აღმაშენებლის გამზ. 125. ტელ.: 96.06 20. ფაქსი: 95.89.96.

სამართლიანობა, პროფესიონალიზმი, სრულყოფილებისაკენ სწრაფვა, მეგობრობა და ამ გრძნობისადმი პასუხისმგებლობა.

თამაზ კვაჭანტირაძე

ფილოლოგი, საქართველოს განათლების მინისტრი. დაიბადა თბილისში 1940 წელს. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1963). არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის

დოცენტი (1968 წლიდან), ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, პედაგოგიკის აკადემიის ნამდვილი წევრი. გამოქვეყნებული აქვს 40 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ერთი მონოგრაფია, ისააკ ბაბელის პიესისა და მოთხრობების თარგმანები; არის მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირების წევრი. რედაქტორობდა ჟურნალებს „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" და „ბალავერი" (1978-1993). იყო სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თანაპრეზიდენტი (1989-1990), საკონსულტაციო საბჭოს და სახელმწიფო საბჭოს წევრი (1991). საქართველოს განათლების მინისტრია 1993 წლიდან.
მისამართი: (სამსახურის) უ. ჩხეიძის 19 განათლების სამინისტრო. ტელ.: 95 88.86, 95 09.64, 95.66 31.

ბიძინა კვერნაძე

კომპოზიტორი, პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე, კომპოზიციის კათედრის გამგე, კომპოზიტორთა კავშირის მდივანი დაიბადა სიღნაღში 1928 წ. 29 ივლისს მეუღლე — ნესტან მესხი (დ. 1938 წ.); შვილები თამარი (28 წლის), გიორგი (31 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1953). არის კონსერვატორიის კომპოზიციის კათედრის გამგე (1995 წლიდან), საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი (1996 წლიდან). დაწერა სამი ოპერა, ორი სიმფონია, სამი ვოკალურ-სიმფონიური პოემა, ორი საფორტეპიანო კონცერტი, ერთი სავიოლინო კონცერტი და სხვ., საფორტეპიანო პიესები მუსიკალური ფილმებისა და სპექტაკლებისათვის. არის ზაქარია ფალიაშვილისა და რუსთაველის პრემიების ლაურეატი.
ჰობი: პოეზია და ნამდვილი ჯაზი.
მისამართი: (ბინის) აბანოს 23, ტელ 72.42.84. (სამსახურის) აღმაშენებლის 123, ტელ.: 95.95.13.

დღემდე და ალბათ, მომავალშიც ჩემი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოვიპოვო ხელოვნების და კერძოდ, მუსიკის შესახებ. შემოქმედებაში ჩემი კრედოა სულიერის და გონებრივის ჰარმონიულობა.

შოთა კვირაია

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი. დაიბადა 1952 წელს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი (1977), საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სპეციალური სკოლა კაუნასში (1979) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1987). 1977 წლიდან მუშაობს შინაგან საქმეთა ორგანოებში. მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში. იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის სამმართველოს უფროსის მოადგილე (1989-1990),. მოსკოვში საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ქვეგანყოფილების უფროსი და საერთაშორისო ორგანიზაცია „ინტერპოლის" სამსახურის ნარმომადგენელი (1990-1992), საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის I მოადგილე (1992-1993), შინაგან საქმეთა მინისტრი (1993-1995). სახელმწიფო უშიშროების მინისტრია 1995 წლიდან არის საქართველოს სამგზის და სსრკ შეიარაღებული ძალების ჩემპიონი კრივში, ყოფილი საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი, აქვს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკის წოდება და I კლასის სპეციალისტის კვალიფიკაცია. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოებულია ვახტან გორგასლის I ხარისხის ორდენით.

მისამართი: (სამსახურის) 9 აპრილის 4. უშიშროების სამინისტრო, ტელ.: 98.23.83. 98.23.40.

ირაკლი კვირკაძე

კინორეჟისორი, სცენარისტი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1939 წ. 12 ივლისს. შვილები: სოფიო მინდაძე, მიხეილ კვირკაძე, მეუღლე — ნანა ჯორჯაძე (დ.1950 წ.), შვილები: ირინა (36 წლის), მიხეილი (21 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი (1963) და საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (1968). მუშაობდა საქართველოს ტელესტუდიაში (1968-1977) და კინოსტუდიაში „ქართული ფილმი" (1977-1991) კინორეჟისორ-სცენარისტად. იყო თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტის ხელმძღვანელი (1974-1981), მოსკოვის საერთაშორისო კინოინსტიტუტში კინოსარეჟისორო ფაკულტეტის ხელმძღვანელი (1982-1995), პროფესორი, კინოსტუდია „ადამ და ევას" კინორეჟისორი და სცენარისტი (1991 წლიდან). არის რეჟისორი და სცენარისტი ფილმებისა: „ქვევრი" (1968); „სადღეგრძელო" (1970); „ქალაქი ანარა" (1975), პრიზები: ლოკარნო, გაბროვო, ბელგარდი; „მოცურავე" (1981), გრან-პრი — სან-რემო (იტალია), კემპერში (საფრანგეთი); „ამხანაგ სტალინის მოგზაურობა აფრიკაში" (1990), პრიზები: სან-ფრანსცისკო, ნიუიორკის ფესტივალი; „პეტალუმა" (აშშ); „ოლმესის დაბრუნება" (1985). სცენარის ავტორია ფილმებისა: „რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა" (1986), პრიზები: ოქროს კამერა კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, ტოკიო, მონრეალი; „მოგზაურობა სოპოტში" (1980), პრიზები: გრან-პრი, „ოილენშპიგელი", მაყურებელთა პრიზი, კინოკლუბების პრიზი, ობერ-

ჰაუზენი (გერმანია), „მაყურებელთა პრიზი", პრიზი სატირისა და იუმორისათვის, კათოლიკური ეკლესიის პრიზი, კოშალინი (პოლონეთი); „დამეხმარეთ იალბუზზე ასვლაში" (1983); „ყონ-ჟუანის ცრემლები" (1989), პრიზი „საფრანგეთის საუკეთესო სცენარისტი 89"; „ჭრილობა" (1987), პრიზი — გრანპრი, ობერჰაუზენი (გერმანია); „წითელი ქვიშების ცხოველი" (1988); „ამერიკელი კახპა" (1990), პრიზი — მერილ ჰარტლის პრიზი (აშშ) საუკეთესო ამერიკული სცენარისათვის; „ლიმიტა" (1994); „წითელი ანგელოზები" (1991), აშშ; „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი" (1996), პრიზები: FIPRESCI (კინოკრიტიკოსების საერთაშორისო პრიზი), Quinzgine des Realisateurs (კანის საერთაშორისო ფესტივალი (1996). საუკეთესო სცენარი, ანაპა „კინო შოკი" 96; „მოგზაურობა როსინანტთან" (1996). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „საბჭოთა კინოს რეჟისორები" — რუსეთისა და გერმანიის გამოცემებში.

პობი: ცურვა.

მისამართი: (ბინის) ი. ჭავჭავაძის გამზ. 75ბ, ბ. 17 ტელ.:22.35.36; (სამსახურის) დავით აღმაშენებლის გამზ. 164, სტუდია „ადამი და ევა" ტელ.: 95.03.05; ფაქსი. 95.30.39.

ზურაბ კიკნაძე

ფილოლოგი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1933 ნ 3 ოქტომბერს. მშობლები: ნინო წულუკიძე, გიორგი კიკნაძე; მეუღლე — ლამარა გვარამაძე (დ.1927ნ.); შვილი — რევაზ კიკნაძე (36 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1956). მუშაობდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1959-1973). არის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1973 წლიდან), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფოლკლორისტიკის კათედრის გამგე (1977 წლიდან); ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

(1994 წლიდან); დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „გილგამეშის ეპოსი" (1965), სადოქტორო — „ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა" (1985) ავტორია მონოგრაფიებისა: „გილგამეშის ეპოსი" (1963), „თამუზის სიზმარი" (1969); „გილგამეშიანი" 1984; „ძველი შუამდინარული პოეზია" (1987), „შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი" (1984); „ხამურაბის კანონები" (1988); „საუბრები ბიბლიაზე" (1989); „ქართული მითოლოგია" I (1996) და სხვ. არის მაჩაბლის პრემიის ლაურეატი; მწერალთა კავშირის წევრი, გელათის აკადემიის წევრი.

პობი: წიგნები, სოფელი.

მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას გამზ. 51. კორპ. 9. ბ. 29; ტელ.: 39 60.37; (სამსახურის) სახელმწიფო უნივერსიტეტი ტელ.: 29.08.35.

ჭეშმარიტების ძიება, ავტორიტეტებისადმი ქედმოუხრელობა, („პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ)... დევიზი: სწავლებით ვსწავლობთ!

ეროსი კიწმარიშვილი

ექიმი-პედიატრი, საქართველოს სატელევიზიო ქსელის დირექტორი. დაიბადა ხაშურში 1964 ნ. 5 აგვისტოს მშობლები: გულიკო მაჭავარიანი, იოსებ კიწმარიშვილი; მეუღლე — ია კიწმარიშვილი (დ. 1971 ნ.); შვილები: ლუკა (4 წლის), ანა (2 წლის), თეკლე (1 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტი (1987). მუშაობდა რუსთავის ბავშვთა საავადმყოფოში ექიმ-პედიატრად (1988-1989), უნერის (ონის რაიონი) სოფლის ამბულატორიის ექიმ-პედიატრად (1989-1991), რუსთავის ჯანმრთელობის დაცვის

განყოფილების გამგის მოადგილედ (1992-1993). არის სადაზღვევო კომპანია „რინკო"-ს დამფუძნებელი, გენერალური დირექტორი, ტელეარხ „რუსთავი-2"-ის დამფუძნებელი, დირექტორი (1993-1996), 1996 წლიდან არის საქართველოს სატელევიზიო ქსელის დირექტორი.
პობი: ალპინიზმი.
მისამართი: (სამსახურის): ძმები კაკაბაძეების 2, კინოს სახლი, ტელ.: 93 68.59. ფაქსი: 99.60.13 ელ-ფოსტა: erosi@ tng org ge

გიორგი კობახიძე

პოლიტიკოსი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა თბილისში 1953 წ. 23 ნოემბერს მშობლები: თამარ გერმანოზაშვილი, ტიტე კობაძიხე; მეუღლე — თამარ ზაალიშვილი (დ. 1956 წ.); შვილები: ირაკლი (18 წლის), ქეთევანი (11 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1976). მუშაობდა ჯანდაცვის სამინისტროს საინფორმაციო გამოთვლით ცენტრში ინჟინრად (1977-1978). ფიზიოლოგიის ინსტიტუტსა და მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტში ინჟინრად, უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, მეცნიერ-თანამშრომლად (1978-1992). 1991 წლიდან დაინყო პოლიტიკური მოღვაწეობა. იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მრჩეველი, თანაშემწე, პრეს-მდივანი, თავმჯდომარის მოადგილე, საზოგადოებრივ ურთიერთობათა მდივანი (1991 წლიდან). იყო ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის წევრი, აღმასრულებელი მდივანი (1990-1992), სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992), საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე (1992-1995). ამჟამად არის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე (1995 წლიდან). გამოქვეყნებული აქვს ათეულობით წერილი და სტატია, 11 სამეცნიერო ნაშრომი. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაგბის გუნდის კაპიტანი (1972-1976), საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი (1974-1976).
პობი: თეატრი, ლიტერატურა, ფეხბურთი.
მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას გამზ. 5/4 ბ. 42. ტელ.: 30.07.05. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. საქართველოს პარლამენტი, ტელ.: 93.11.43.

„სიმართლე ყველგან და ყოველთვის", „მომენტის შესაფერისი მაქსიმუმი".

მიხეილ კობახიძე

კინორეჟისორი. დაიბადა თბილისში 1939 წ. 5 აპრილს. მშობლები: ანგელინა სიხარულიძე, მურმან კობახიძე; შვილები: თინა (27 წლის), მარინა (25 წლის), გეგა (23 წლის), ანა (3 წლის). დაამთავრა მოსკოვის საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტი (1964). არის კინოსტუდია „ქართული ფილმის" კინორეჟისორი, ანიმაციური კინოსტუდია „ორბის" მხატვრული ხელმძღვანელი, კინოფირმა „მკა"-ს კინორეჟისორი. არის რეჟისორი ფილმებისა: „ქორწილი", „ქოლგა", „მუსიკოსები". მიღებული აქვს ობერჰაუზენის კინოფესტივალზე გრან-პრი, კათოლიკური ეკლესიის პრემია, ვარშავის კინოფესტივალზე — ვერცხლის დრაკონი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიურ ცნობარში „საბჭოთა ხელოვნება".

სიყვარული.

კონსტანტინე კოკოევი

ეკონომისტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1939 წ. 6 სექტემბერს. მშობლები: ნინა კუკულაძე, ალექსანდე კოკოევი; მეუღლე — სალიმა

ჩიაევა (დ.1941წ). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1968). მუშაობდა მომარაგების რეს-პუბლიკურ გამოთვლით ცენტრში განყოფილების უფროსად (1969), იქვე დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში (1969-1986), მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში სექტორის გამგედ (1986-1993). იყო არისტოტელეს სახელობის ბერძნულ-ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი (1991-1993), საფირმო გაერთიანების „დინამიკა" საინფორმაციო სამარკეტინგო დეპარტამენტის გენერალური დირექტორი (1993-1995), არის პარლამენტის ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა კომიტეტის თავმჯდომარე (1995 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საკავშირო რესპუბლიკის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დაგეგმარებისათვის ტერიტორიული ბალანსირების მეთოდების შემუშავების სრულყოფა" (1984). არის 30 სამეცნიერო სტატიის ავტორი.

პობი: ფეხბურთი, კლასიკური მუსიკა, ქართული ხალხური სიმღერები.

მისამართი: (ბინის) ფალიაშვილის 32 ბ. 18 ტელ.: 22.34.05. (სამსახურის) რუსთაველის 8. საქართველოს პარლამენტი. ტელ.: 99.09.05.

მე ვიზრდებოდი თბილისის ისეთ ოჯახში და ისეთ უბანში, სადაც ფასდებოდა მხოლოდ ადამიანური ურთიერთობები. გამორიცხული იყო ყოველგვარი გამორჩეულობა ქონების, ეროვნულობის, რელიგიის თუ სხვა ნიშნის მიხედვით. დღემდე ჩემი ცხოვრების მთავარი კრედო სწორედ ეს ღირებულებებია, ისე როგორც ის, რომ ვარ ქრისტიანი. გარდა ამისა, ჩემი აზრით, მაქვს პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობა, შეიძლება გადამეტებულიც. ამიტომ მიმაჩნია, რომ სწორედ ამ თვისებების გამო ვარ, ალბათ, დღევანდელ თანამდებობაზე, და კიდევ იმიტომ, რომ ღრმად ვარ დარწმუნებული, ქვეყანას გადაარჩენს მხოლოდ ერთი იდეის გარშემო გაერთიანება და ყოველგვარი კონფრონტაციის გამორიცხვა, როცა საქმე ეხება საქართველოს ინტერესებს.

მერაბ კოკოჩაშვილი

კინორეჟისორი, კომპანია „ქართული ტელეფილმის" სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1935 წ. 21 მარტს. მშობლები: მარინე ჯორჯაძე, არჩილ კოკოჩაშვილი. მეუღლე — მანანა მეძმარიაშვილი (დ. 1942 წ.); შვილები: მაია (34 წლის), ხათუნა (30 წლის) დაამთავრა მოსკოვის საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტი (1960). იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" რეჟისორის ასისტენტი (1957-1960), რეჟისორი (1961 წლიდან). არის საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი (1976 წლიდან). გადაღებული აქვს მხატვრული ფილმები: „ხმელი წიფელი" (1958), „არდადეგები" (1961), „დიდი მწვანე ველი" (1967), „ცხელი ზაფხულის სამი დღე" (1981), „მიხა" (1963) და სხვა. დოკუმენტური ფილმები: „გზა" (1966), „ფენომენი" (1992), „საქართველო ვანოსია, საქართველო ანოსია" (1995) და სხვ. მიღებული აქვს რუსთაველის სახელობის პრემია, დიპლომები და პრემიები საერთაშორისო კინოფესტივალებზე: ვენაში, ობერჰაუზენში, ლა-როშელში, ერევანში, პეზაროში, სტახანოვში და

სხვ

მისამართი (ბინის) იოსელიანის 37 ბ 109, ტელ : 36 78 93. (სამსახურის) კოსტავას 68, საქართველოს ტელევიზია, ტელ 36 88 28. ფაქსი 36 26 49

მოვიშველიებ სიტყვებს ჩემი ფილმიდან „ცხელი ზაფხულის სამი დღე“: „ადამიანი ბოლომდე უნდა დაიხარჯოს“.

† ნოდარ კომახიძე

საქართველოს პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი, თურქეთის მეცნიერებათა აკადემიის საისტორიო საზოგადოების (Türk Tarih Kurumu) პირველი უცხოელი წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა თბილისში 1931 წ 15 ივნისს. გარდაიცვალა 1997 წელს მშობლები: მარგარიტა კვასხვაძე, ვლადიმერ კომახიძე, მეუღლე: ცისანა კვერენჩხილაძე (დ. 1931 წ.); შვილები. ვლადიმერი (41 წლის), ტყუპები — მამუკა, ირმა (35 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1953). მუშაობდა ხელმძღვანელ კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე (1954-1980), იყო საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარე (1980-1985), მარნეულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი (1985-1989), საქართველოს მინისტრთა საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე (1989-1992), საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, პარლამენტის თავმჯდომარის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი (1992-1994), 1961 წლიდან შეთავსებით მუშაობდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, სწავლულ მდივნად, განყოფილების ხელმძღვანელად, 1990 წლიდან იყო საქართველო-თურქეთის საქმიანი ურთიერთობის ასოციაციის პრეზიდენტი, 1992 წლიდან გაზეთ „ხიდის“ დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი. თურქეთში გამართული საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმების მონაწილე, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თურქეთის თანამედროვე ისტორიისა და ეკონომიკის საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომა თურქეთის თანამედროვე ისტორიისა და ეკონომიკის საკითხების შესახებ, მათ შორის 5 მონოგრაფია.

ჰობი: კარგი წიგნი, კლასიკური საოპერო და სიმფონიური მუსიკა, მისი საუკეთესო ნიმუშების კოლექციონირება, ფორტეპიანო, ურთიერთობა მეგობრებთან, უანგარო ზრუნვა ადამიანთა ხვედრის შემსუბუქებაზე, საჭიროებისამებრ მათი გამხნევება და მხარდაჭერა.

მისამართი. (ბინის) ჩიქოვანის 16. ბ. 32. ტელ.: 36.07.00. (სამსახურის) ანკარა, საქართველოს საელჩო Gaziosmanpasa, Büyük Esat Caddesi, Ulybey Sokak, No 28. ტელ.: 90.312.447.17.26, 90.312 - 447.17.24. ტელექსი: 46 490 GUBE, TR. ფაქსი: 90.312.447.17.24.

დაკისრებული მოვალეობისადმი დიდი პასუხისმგებლობით მიდგომა, ზრუნვა პროფესიული ცოდნის სრულყოფისათვის, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის საღი გრძნობა. მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სამსახურებრივ დაქვემდებარებაში მყოფი ადამიანებისადმი, მათს ცხოვრებისეულ რეალიებსა და პროფესიულ ოსტატობაში ცივილი ზებული ჩაწვდომა, და შესაძლო, მისაღები დახმარების აღმოჩენა. მაქსიმუმი ყურადღება ახალგაზრდა, პერსპექტიულ კადრებს. შრომითს

კოლექტივში ყველასთვის ნორმალური პირობების შექმნა, საუკეთესოთა წახალისება, ხელმოცარულთა გამხნევება, კეთილგანწყობილების და თანადგომის ატმოსფეროს შექმნა. საერთო საქმისათვის ერთიანი პასუხისმგებლობის გრძნობის ფორმირება.

ალექსანდრე კორსანტია

პიანისტი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1965 წ. 18 აპრილს. მშობლები: სვეტლანა კორსანტია, ვალერი ჟიდკო; მეუღლე — ნეა კორსანტია (დ. 1965 წ.); შვილი — ნიკა (9 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1989) და ასპირანტურა (პროფ. თ. ამირეჯიბის კლასი, 1991). არის აშშ ინდიანას შტატის უნივერსიტეტის ფორტეპიანოს კათედრის მასწავლებელი, პროფესორი (1993 წლიდან). ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი (I პრემია, 1981), შოპენის კონკურსის დიპლომანტი (ვარშავა, 1985), პიანისტთა საერთაშორისო (ავსტრალია, 1988), პალმ-ბიჩის (აშშ. 1994) და არტურ რუბინშტეინის (ისრაელი, 1995) კონკურსების I პრემიის ლაურეატი. ეწევა საშემსრულებლო მოღვაწეობას (კონცერტები) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

პობი: საბავშვო კომპიუტერული თამაშობანი.

მისამართი: (ბინის) რუსთაველის გამზ. 1. ტელ.: 99.98.78. საუტ-ბენდი, ინდიანას შტატი, აშშ. 219228938-92.

ის, რაც ვიცი და შემიძლია, უნდა გავუზიარო სხვებს, განსაკუთრებით ჩემს მოწაფეებს.

ვახუშტი კოტეტიშვილი

აღმოსავლეთმცოდნე, ფილოლოგი, მწერალი, მთარგმნელი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1935 წ. 4 აგვისტოს. მშობლები: ნინო დილევსკაია, ვახტანგ კოტეტიშვილი. მეუღლე — მზექალა გოგოჭური (დ. 1964 წ.) შვილები ტატო (37 წლის), გუგა (34 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1959). იყო იქვე დოცენტი (1965-1977). ამჟამად არის უნივერსიტეტის პროფესორი (1978 წლიდან), თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი, ფოლკლორის კომპლექსური კვლევის მეცნიერ-ხელმძღვანელი (1994 წლიდან), ფოლკლორისტული კლუბის „ჯავარის" პრეზიდენტი (1996 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „პაფეზის ლირიკის გაგებისათვის" (1964), სადოქტორო — „სპარსული კლასიკური რითმის სტრუქტურა" (1975). ნათარგმნი და გამოცემული აქვს წიგნები „ომარ ხაიამი, რობაიები" (1963) „აბდ ორ-რაჰმან ჯამი, ლექსები", 1966, პაფეზი „ლირიკა" (1967) „სპარსული კლასიკური რითმის სტრუქტურა" (მონოგრაფია 1968). რაინერ მარია რილკეს პოეტურ ციკლთა თარგმანისათვის მიღებული აქვს ქართულ-ევროპული ინსტიტუტის (პარიზი, 1990) და ავსტრიის კულტურისა და ხელოვნების სამინისტროს (ვენა, 1995) პრემიები. არის საქართველო-აზერბაიჯანის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი და იუნესკოს ფოლკლორული ასოციაციის საქართველოს განყოფილების პრეზიდენტი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში.

პობი: სამთო ტურიზმი, ბილიარდი,

ბრიჯი, თამადობა.
მისამართი: (ბინის) ვახტანგ კოტეტიშვილის 7, ტელ.: 99.71.45; 22.85 77 (სამსახურის) ი. ჭავჭავაძის გამზ. 49ა. ტელ : 23.51.77

ქრისტეანული ათი მცნება, სიკეთისა და მადლიერების უნარი, თავმოყვარეობა და არა პატივმოყვარეობა, აზროვნების თავისუფლება და სულის სილაღე, პოეზიის შმაგი სიყვარული, ნიკო სამადაშვილის გაგებით: „ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო, ლექსები, ტანზე გამონაყარი..“.

ელდარ კურტანიძე

პროფესიონალი მოჭიდავე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. დაიბადა გულრიფშის რაიონის სოფელ ქვემოფშაფში 1972 წ 16 აპრილს. მშობლები: ნაირა ნულაია, ნოდარ კურტანიძე; მეუღლე — ნანა კურტანიძე (დ. 1972 წ.); შვილები: ნათია (5 წლის), ნოდარი (2 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი (1996). აგრძელებს სწავლას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (1997 წლიდან). არის ევროპის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (1992), მსოფლიოს №1 მოჭიდავე (რეიტინგით) (1993), ყველა დიდი შეჯიბრების ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი (ატლანტა 1996), არის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

ჰობი: მუსიკა და ყველა ქვეყნის ძველი ისტორია, და კიდეე ერთი ოცნება.
მისამართი: (ბინის), ჯანაშიას 11ª, ტელ :22.75.77; (სამსახურის): ჭავჭავაძის 49. ფალავანთა კლუბი, ტელ. და ფაქსი: 29.14.16.

ბავშვობიდან მქონდა მიზანი გავმხდარიყავი ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, რასაც მომავალში განვახორციელებ, და საერთოდ, ყველა საქმეში უნდა ჰქონდეს ადამიანს მიზანი. ჩემი იდეალია ღმერთი, უფალი, სამშობლო და ერთი ჩემი მიზანია ვაკეთო ის საქმე, რითაც მე შემეძლება დავიმსახურო ნდობა და სიყვარული ჩემი იდეალისაგან. და ბოლოს, მე მინდა ვიცხოვრო ისე, ცხოვრების ბოლოს რომ მოვიხედავ და გადავხედავ ჩემს წარსულ ცხოვრებას, მეთქვას მე გავაკეთე ის, რაც შემეძლო ჩემი ქვეყნისათვის.

ბიძინა კუჭავა

ინჟინერი, ტელე-რადიო კომპანია „საქართველოს ხმის“ პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1962 წ. 27 აგვისტოს. მშობლები: ნინო მიქელაძე, ნუგზარ კუჭავა; მეუღლე — მაია კუჭავა (დ. 1962 წ.); შვილები: მეგი (11 წლის), რეზო (16 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი. იყო ტელეკომპანია „იბერიზიის“ გენერალური დირექტორის მოადგილე (1988-1993). 1994 წლიდან ტელე-რადიო კომპანია „საქართველოს ხმის“ დამფუძნებელი და პრეზიდენტია.

ჰობი: სამსახური, ახალი ფილმების ნახვა.
მისამართი: (სამსახურის) ე. შარტავას 7, მე-3 სართ. ტელ.: 38.01.25, ფაქსი: 98.42.03.

სიმართლე და სიმართლის გზით სიარული; ენა, მამული,

სარწმუნეობა; სიყვარული; შვილების მომავალი.

ირინა კუჭუხიძე

კინომცოდნე. დაიბადა თბილისში 1939 წ. 8 მარტს. მშობლები: ნინო ალშიბაია, შალვა კუჭუხიძე; მეუღლე — დიმიტრი ბათიაშვილი; შვილი — ირაკლი (35). დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტი. მუშაობს თეატრისა და კინოს ინსტიტუტის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელად, არის სათათბიროსა და სამხატვრო საბჭოს წევრი ტელეფილმების სტუდიაში (1976 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თანამედროვე ქართული კინოს სტილური მრავალფეროვნება" (1983). არის ავტორი წიგნებისა: „თანამედროვე გმირის პრობლემა ქართულ კინოში", „ოთარ იოსელიანის კინოპოეტიკის თავისებურებანი", პორტრეტები წამყვან ქართველ კინორეჟისორებზე: მ. კობახიძე, ე. შენგელაია და სხვ.
პობი: კითხვა.
მისამართი: (ბინის). ყიფშიძის 6, ბ. 47. ტელ.: 23.19.27.

შეძლებისდაგვარად სიმართლის ლაპარაკი, კომპრომისების უარყოფა, პროფესიონალიზმის დახვეწა. დიდი ყურადღება ოჯახის და განსაკუთრებით შვილის მიმართ. ერთგულება და სურვილი: საქმიანი ქალი იყოს აგრეთვე ქალური და შეძლებისდაგვარად მომხიბვლელი.

მედეა კუჭუხიძე

რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1937 წ. 10 ივლისს. მშობლები: ნინო ალშიბაია, შალვა კუჭუხიძე; შვილი — რუსუდან მირცხულავა (38 წლის). დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტი (1961). იყო თბილისის სანკულტურის თეატრის (1960-1961) რეჟისორი, სოხუმის დრამატული თეატრის რეჟისორი (1961-1963), თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას (1963-1971), ამჟამად მარჯანიშვილის თეატრში რეჟისორია (1964 წლიდან). დადგმული აქვს 44 სპექტაკლი, მათ შორის: „ანა ფრანკის დღიური" (გრიბოედოვის თეატრში 1964) , ჩაპეკის „დედა", ხუხაშვილის „მთანმინდის მთვარე" , ედუარდო დე ფილიპოს „კომედიის სიყვარული", მიუსეს „სიყვარული სახუმარო არ არის", პ. კაკაბაძის „სამი ასული და ტყის ქალები", „პორტოპოლოს ტუსაღები",, ნ. ლორთქიფანიძის „უამთა სიავე", ლ. თაბუკაშვილის „ძველი ვალსი". როსებას „პროვინციული ამბავი", კ. გოცის „ლურჯი ურჩხული". ჩიკამაცუს „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე", კაროლ ვოიტილას „ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ" (მარჯანიშვილის თეატრში); უილიამსის „შუშის სამხეცე" (რუსთაველის თეატრში, 1971). და სხვ. გამოქვეყნებული აქვს სტატიები გაზეთ „ქართულ ფილმში"
პობი: კითხვა.
მისამართი: (ბინის) მარჯანიშვილის 2, ბ. 2. ტელ.:96.53.57 (სამსახურის) მარჯანიშვილის 8, ტელ.: 95.24.25.

მჯერა რუსთაველის შეგონების: „თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა". ვცდილობ ვიყო პატიოსანი (ვიწრო და ფართო გაგებით); ვაფასებ სიკეთეს და ერთგულებას — არა როგორც მხოლოდ ზოგად ცნებებს. მიყვარს პროფესიონალიზმი და თან მეშინია ცალმხრივობის. ვოცნებობ, რომ ჩემი ხალხი სულიერად და გონებრივად განათლებული იყოს, ყოველნაირი სიყალბე და ზედაპირულობა დაძლიოს. მეშინია — ვესტერნიზაციამ ეროვნული არ ამოძირკვოს და ქართველებმა მემკვიდრეობითობა და

ფესვები სამუდამოდ არ
განყვიტონ. მჯერა:
ქართული თეატრი

უპირველესად ქართული
დრამატურგიაა. მძულს
ეპიგონობა.



ლევან ლაღიძე

მხატვარი. დაიბადა თბილისში 1958 წ. 19 მაისს. მშობლები: მარგარიტა ლაღიძე, მიხეილ ლაღიძე; მეუღლე — მანანა გორდელი (დ.1955 წ.), შვილი ნანა (19 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1981) მუშაობდა თბილისის მხატვრის სახლში ფერნერის შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელად (1985-1988), საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის მდივნად და ახალგაზრდა მხატვართა კავშირის თავმჯდომარედ (1986-1989), საქართველოს სურათების ეროვნული გალერეის დირექტორთა საბჭოს წევრად (1990 წლიდან). გამოფენები ჰქონდა ქვეყნებში: ავსტრია, აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, ფინეთი, ინგლისი და სხვ. პერსონალური გამოფენები: თბილისის მხატვრის სახლში, ხელოვნების მუზეუმში. გალერეა TMS-ში, მოსკოვში ქართული კულტურის ცენტრ „მზიურში", კიოლნში „ზაიდელის გალერეაში" მიღებული აქვს ბრინჯაოს მედალი ამიერკავკასიის მხატვართა ბიენალეზე (1985). არის საერთაშორისო საშობაო ფესტივალის ლაურეატი (თბილისი, 1995).
ჰობი: ჭადრაკი, ლიტერატურა.
მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას გამზ. 49. კორპ. 15. ტელ.:39.50.27

წარმატების რა მოგახსენოთ, მაგრამ მთელი ცხოვრება იდეალებით და დიდი მიზნებით იყო სავსე. რაც თავი მახსოვს, სულ გზის ძიებაში ვარ. იმედი მაქვს, როდესმე შევძლებ მსხვერპლად გავიღო ყველაფერი, რასაც რუდუნებით და ჯიუტად ვაშენებდი, რათა გაირღვეს ჯადოსნური წრე. კრედო და მიზანი ერთია: მხატვრობის გზით — თავისუფლებისაკენ.

არჩელ ლევინი

საქართველოს მთავარი რაბინი. დაიბადა თბილისში 1961 12 ივნისს. მშობლები: ზინაიდა ტერინა, გრიგორი ლევინი; მეუღლე — ვერა ლევინა (დ. 1966წ.); დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1982) მუშაობდა ჯანმრთელობის სამინისტროში ინჟინერ-პროგრამისტად (1982-1988) და სინაგოგაში (1988-1994); არის ევროპელი ებრაელების სინაგოგის საქართველოს მთავარი რაბინი (1994 წლიდან) და კავკასის განყოფილების ამერიკული ებრაული ორგანიზაციის „კომიტეტთა გაერთიანების" დირექტორი (1995 წლიდან) ადამიანის უფლებებისა და კანონიერების დაცვის განხრით.
ჰობი: მუსიკა, გიტარაზე დაკვრა, მაგიდის ჩოგბურთის თამაში.
მისამართი: თუმანიანის 12, ტელ. და ფაქსი: 93.34.13.

თორას მცნებების შესრულება.

ნიკო ლეკიშვილი

ინჟინერი-თბოენერგეტიკოსი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი. დაიბადა თბილისში 1947 წ. 20 აპრილს. ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1970) და მოსკოვის საზოგადოების მართვის აკადემია (1989). სხვადასხვა დროს მუშაობდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში თბოენერგეტიკის კათედრაზე, კომკავშირის თბილისის 1 მაისის რაიკომის 1 მდი-

ვნად, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის I მდივნად, თბილისის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ, კომპარტიის თბილისის I მაისის რაიკომის I მდივნად, კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის I მდივნად, თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ. იყო პარლამენტის წევრი, პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე იყო თბილისის მერი (1993-1995) 1995 წლიდან საქართველოს სახელმწიფო მინისტრია.
ჰობი: ფეხბურთი, ჯაზი.
მისამართი: (სამსახურის) ინგოროყვას 7 ტელ.: 98.82.16 ფაქსი: 99.86.90

ბესიკ ლიპარტელიანი

მწვრთნელი, კალათბურთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი. დაიბადა ლენტეხის რაიონში 1960 წ. 6 ივლისს. მშობლები: შუშანა გავაშელი, ბიტუ ლიპარტელიანი; მეუღლე — მანანა ზაგაიძე (დ.1965წ.); შვილი — ნინო (4 წლის). დაამთავრა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი (1982) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1988). თამაშობდა თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში (1980-1985). იყო საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში მოთამაშე-მწვრთნელი, ლექტორი (1985-1991), შინაგან საქმეთა სამინისტროში სამეურნეო და დანაშაულობის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსი ინსპექტორი (1991-1992). არის დამფუძნებელი და მწვრთნელი კალათბურთის პროფესიონალური კლუბის „ვითასი" (1992 წლიდან), რომელიც საქართველოს ოთხგზის ჩემპიონია, მონაწილეობდა ევროპის ჩემპიონთა თასის (1994-1995) და თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში (1996). 1995 წლიდან უფროსი მწვრთნელია საქართველოს ეროვნული ნაკრებისა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ევროპის ჩემპიონატში და ნახევარ ფინალში გავიდა.
ჰობი: მუსიკა, ნადირობა.
მისამართი: (ბინის) ბოგდან ხმელნიცკის 157/47 ტელ.: 99.86.78; (სამსახურის) კოსტავას 63. ტელ.:93.68.29.

ჟანრი ლოლაშვილი

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1942 წ. 22 აპრილს. მშობლები: ევდოკია სანიკიძე, გიორგი ლოლაშვილი; მეუღლე — თათული დოლიძე (დ.1952წ.); შვილები: სალომე (23 წლის), გიორგი (13 წლის), ეკა (24 წლის). დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფისტთა უმაღლესი კურსები (1963). მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში" მხატვარ-მულტიპლიკატორად (1958-1961), კინემატოგრაფიის ინსტიტუტში მხატვრად (1961-1963), ზუგდიდის სახელმწიფო თეატრში მსახიობად (1963-1964). არის რუსთაველის თეატრის მსახიობი 1965 წლიდან. მონაწილეობდა ფილმებში და სპექტაკლებში: „მიახლოება", „ნუცა", „ქალაქი ანარა", „მწვანე მდელო", „რობინზონიადა", „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", „კავკასიური ცარცის წრე", „ხანუმა", „ყვარყვარე", „მეფე ლირი", „მზიანი ღამე", „დასანყისი", „ჩემი უნაზესად საყვარელი დეტექტივი", „საფეხური", „ერთაწმინდა", „გზა შინისაკენ", „დონ კიხოტი", „ბაგრატიონი", „მოხეტიალე რაინდები", „გუშინდელნი", „სიბრძნე-სიცრუისა" და სხვ. არის ყოფილი სსრკ-ს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკ-



ლოპედიაში.
პობი: ხატვა.
მისამართი: (ბინის) ატენის 14. ტელ.: 23.55.55. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 17, რუსთაველის თეატრი.

განსაკუთრებული პრინციპები, მიზნები და იდეალები ჩემი ცხოვრების მანძილზე არ მქონია. მიმაჩნია, რომ ხელოვნებაში, ისევე როგორც სხვა საქმიანობაში, თავისუფალი აზროვნებაა საჭირო და, ალბათ, რამდენადმე უნდა უსწრებდე დროს. ნიჭიერება სხვისით აღტაცებაცაა, რაც მთავარია, უნდა იყო დიდი პროფესიონალი. ადამიანებთან ურთიერთობაა დღესასწაული! დამღუპველია ამბიციურობა და საკუთარი თავით ტკბობა.

ჯუმბერ ლომინაძე

ფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნისასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, აკადემიკოსი. დაიბადა თბილისში 1930 წ. 20 სექტემბერს. მშობლები: ქეთევან კალანდაძე, გიორგი ლომინაძე; მეუღლე — ლია ლომინაძე (დ. 1931 წ.); შვილი — გიორგი (41 წლის). დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1955). მუშაობდა ჩელიაბინსკში რუსეთის ფედერალურ ბირთვულ ცენტრში (იმჟამად ბირთვული იარაღის დამუშავების ახალგაზრდული დახურული ცენტრი, 1956-1958), საქართველოს ფიზიკის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, სწავლულ მდივნად (1958-1974), მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში სწავლულ მდივნად (1974-1982). 1982 წლიდან მათემატიკისა და

ფიზიკის განყოფილების აკადემიკოსმდივანია. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „დამუხტული ნაწილაკების ნაკადების ურთიერთქმედება პლაზმის დაბალსიხშირულ რხევებთან“ (1964), სადოქტორო — „პლაზმის არამდგრადობისა და ტურბულენტობის თეორია ციკლოტრონული ჰარმონიკების არეში“ (1974). არის 180-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი, მისი მონოგარფია „ციკლოტრონული ტალღები პლაზმაში“ გამოიცა 1981 წელს გამომცემლობა "Pergamon Press"-ის მიერ. არის ამერიკის ფიზიკური საზოგადოების წევრი, მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით შეიქმნა საქართველოში ახალი მიმდინარეობა — პლაზმური ასტროფიზიკა, ინიციატივით დაარსდა საერთაშორისო სკოლა (Workshop) პლაზმურ ასტროფიზიკაში (იტალია, საქართველო, იაპონია) არის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
პობი. ხატვა, ფოტოგრაფია, ცურვა.
მისამართი: (ბინის) ნაფარეულის 14, ბ. 21. ტელ.: 22.15.54. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 52. ტელ.: 99.61.25. ფაქსი: 99.88.23; ელ. ფოსტა: jlomin@dtaphakheta.ge

ცხოვრების პრინციპად ყოველთვის მიმაჩნდა სიმართლე, მეგობრებისა და საზოგადოებისადმი ერთგულება, ადამიანთა მიმართ ყურადღება და პატივისცემა. კიდევ ერთი პრინციპი კარგად არის გამოხატული პოეტის სიტყვებში: „... მხოლოდ შრომის სიყვარული“... ვცდილობ, განსაკუთრებული გულისხმიერებით მოვეპყრო ახალგაზრდებს. მეცნიერებაში ჩემი იდეალი გახლავთ ეპოქის უნიჭიერესი ფიზიკოსი ენრიკო ფერმი, ხელოვნებაში — განუმეორებელი გენია მიქელანჯელო. ჩემი მიზანი მუდამ იყო და იქნება ცხოვრებაში სიმართლის, მეცნიერებაში — ჭეშმარიტების ძიება.

ნოდარ ლომოური

ისტორიკოსი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი. დაიბადა თბილისში 1926 წ 9 აგვისტოს. მშობლები ნატალია მახარაძე, იულონ ლომოური; მეუღლე — ლიანა ძაძამიძე (დ.1937წ.); შვილები: ნატალია (21 წლის), ქეთევანი (16 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1949). მუშაობდა იქვე იყო დოცენტი, პროფესორი, პროორექტორი (1953-1972), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო მუზეუმში უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1982-1975). ამჟამად არის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში განყოფილების გამგე (1978 წლიდან) და ხელოვნების მეუზეუმის დირექტორი. დისერტაცია დაიცვა თემაზე „პტოლემეოსის ცნობები საქართველოს შესახებ" (1952), სადოქტორო — საქართველოსა და რომის ურთიერთობა" ავტორია 100-ზე მეტი დაბეჭდილი სამეცნიერო ნაშრომისა; აქედან 10 მონოგრაფიაა დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ჰობი: პოეზია, ახალგაზრდობაში სპორტი.

მისამართი: (ბინის) ბაგები, III კორპ. ბ. 84. ტელ.: 23.09.89; (სამსახურის) გუდიაშვილის 1. ტელ.: 99.66.35.

ჩემი მთავარი პრინციპი პატიოსნება. მიზანი — ერის სამსახური ყველა საშუალებით. მწამს, რომ ამ პრინციპებისათვის არასდროს მიღალატია. ესაა ჩემი წარმატების მიზეზი, თუ კი ასეთი მაქვს.

გიგა ლორთქიფანიძე

რეჟისორი, თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო არიტსტი, თბილისის საპატიო მოქალაქე, პარლამენტის ნევრი. დაიბადა თბილისში 1927 წ. 19 ოქტომბერს. მშობლები: ნინო მიქელაძე, დავით ლორთქიფანიძე; მეუღლე — ქეთევან კიკნაძე (დ.1939 წ.); შვილები: ნინო (36 წლის), ნანა (34 წლის), მაია (23 წლის). დაამთავრა მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტი (1950). მუშაობდა რეჟისორად მარჯანიშვილის თეატრში, მთავარ რეჟისორად ქუთაისის, გრიბოედოვის, მარჯანიშვილის თეატრებში, იყო რუსთავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, მარჯანიშვილის თეატრის სამხავტრო ხელმძღვანელი და დირექტორი. რეჟისორია ასზე მეტი სპექტაკლისა. მათ შორისაა: ნ. დუმბაძის ყველა ნაწარმოები, პ. კაკაბაძის „კახაბერის ხმალი", როსელინის „სირანო დე ბერჟერაკი", კოროსტილევას „ახი წლის შემდეგ" და „ფიროსმანი", აგრეთვე 7 სერიანი ფილმისა „დათა თუთაშხია" და 5 სერიანი ფილმისა „წიგნი ფიცისა", სამი მრავალსერიანი და 4 ფილმისა. არის ყოფილი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, რუსთაველის, სახელმწიფო და მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში

ჰობი: მუსიკისა და სპორტის გულშემატკივარი.

მისამართი: (ბინის) პაოლო იაშვილის 7 ტელ.. 99.75 95. (სამსახურის) გ ლეონიძის 11ა ტელ.: 99.80.85.

ყველა ჩემი სპექტაკლის თუ ფილმის ნახვის შემდეგ თუ ადამიანი ოდნავ მაინც უკეთესი გახდება, ბედნიერი ვიქნები.

მარიამ ლორთქიფანიძე

ისტორიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი. დაიბადა ბათუმში 1922 წ. 22 აგვისტოს. მშობლები: ნინო მიქელაძე-ლორთქიფანიძე, დავით ლორთქიფანიძე; შვილები: თამარი (50 წლის), დავითი (43 წლის), გიორგი (42

წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1943). მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტად, პროფესორად (1948-1972), მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1947-1986), დღემდე არის ამ ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი (1986 წლიდან). უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე (1972 წლიდან). საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „თბილისის საამირო" (1948), სადოქტორო — „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება" (1963). გამოქვეყნებული აქვს 100 სამეცნიერო ნაშრომი, აქედან 10 წიგნი. არის ნიკო ბერძენიშვილის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.

პობი: მოგზაურობა.

მისამართი. (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 52, I სად. III სართ. ტელ.: 22.27.35, (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ 1, ტელ 29.08.30.

თუ ცხოვრებაში რაიმე წარმატებას მივაღწიე, ეს ჩემი მშობლების და მასწავლებლების დამსახურებაა, რომელთაც ჩამინერგეს სამშობლოს სიყვარული, საქმის ერთგულება, შემაჩვიეს შრომას, განმივითარეს მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა. პროფესიის არჩევის შემდეგ მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა საყვარელი საქმე, ცხოვრების სტიმულის მომცემი იყო და არის. ვცდილობ ობიექტური ვიყო წარსულის თუ თანამდროვეობის შეფასებაში. არასდროს მიზრუნია მაღალ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, მედლებსა და ორდენებზე

ნუგზარ (შალვა) ლორთქიფანიძე

რეჟისორი. დაიბადა თბილისში 1941 ნ 10 იანვარს. მშობლები: ქეთევან მინდელი, ლევან ლორთქიფანიძე, მეუღლე — ნინო მამულაშვილი (დ.1951 ნ.); შვილები: ლევანი (20 წლის), ქეთევანი (19 წლის). დაამთავრა თბილისის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი (1976). იყო თელავის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი (1976-1983). საქართველოს ტელევიზიის, კინომსახიობთა თეატრის რეჟისორი, თეატრალური ინსტიტუტის მსახიობის ოსტატობის და რეჟისურის კათედრის დოცენტი (1983-1996). არის თეატრის მოღვაწეთა კავშირის დრამატული თეატრების განყოფილების გამგე, ქუთაისის ოპერისა და დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი (1996 წლიდან). დადგმული აქვს 61 სპექტაკლი კინომსახიობთა თეატრში — „ნუთისოფელი ასეა"; სოხუმის დრამატულ თეატრში: „სამეფოო ძველთა ძველო", „ღია შუშაბანდი"; კიშინიოვის დრამატულ თეატრში — „მიზანთროპი" და სხვ. არის მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი.

პობი: მუსიკა, ძერწვა.

მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას გამზ. 64. ტელ.: 39.34.57 (სამსახურის) ქუთაისი, მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრი.

ოთარ ლორთქიფანიძე

არქეოლოგი, არქეოლოგიური ცენტრის დირექტორი, მეცნიერებათა

დოქტორი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1930 წ. 30 ოქტომბერს. მშობლები. პარასკევა ამაშუკელი, დავით ლორთქიფანიძე; მეუღლე — რუსუდან ტაბატაძე-ლოთქიფანიძე (დ. 1939 წ.); შვილები — დავითი (33 წლის), ნინო (27 წლის), დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1953). მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უფროს მასწავლებლად და საქართველოს ისტორიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1975-1960), ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1960-1970), მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორად (1962 წლიდან). არის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დამაარსებელი და დირექტორი (1977 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა მცხეთაში ახალი წელთაღრიცხვის I-III საუკუნეებში" (1958), სადოქტორო — „ანტიკური სამყარო და ძველი საქართველო" (1966). გამოაქვეყნა 200-ზე მეტი ნაშრომი (მონოგრაფიები, სტატიები მრავალ ენაზე). დაჯილდოებულია სპეციალური მედლით გერმანიაში გამოცემული წიგნისათვის „საქართველოს არქეოლოგია", არის გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტი, პოლონეთის და ქ. მაინცის არქეოლოგიური სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი, კლასიკური არქეოლოგიის ასოციაციის (რომი), ინდო-ევროპეისტული და თრაკოლოგიის კვლევის საერთაშორისო კომიტეტის, კლასიკური მითოლოგიის იკონოგრაფიული ლექსიკონის საერთო სამეცნიერო კომიტეტის, საერთაშორისო ჟურნალ „შავი ზღვის" რედკოლეგიის წევრი.
პობი: დეტექტივების კითხვა.
მისამართი: (ბინის) მიცკევიჩის 12, ტელ.: 38.40.24; (სამსახურის). უზნაძის 14. ტელ.: 95.97.65; 95.29.20 ფაქსი. 96.67.68.

როზა ლორთქიფანიძე

აგრომელიორატორი, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა ადიგენის რაიონში 1954ნ. 2 დეკემბერს. მშობლები: ლალი ლორთქიფანიძე, ოთარ ლორთქიფანიძე; შვილი — ლალი (1 წლის). დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (1980). მუშაობდა ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (1980-1988), ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის იმერეთის ფილიალში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად და ლაბორატორიის გამგედ (1988-1990). იყო სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სანარმოო გაერთიანების თავჯდომარე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფროსი, გამგებლის I მოადგილე (1991-1992), საქართველოს პარლამენტში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (1992-1995), ამჟამად არის საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (1995 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საქართველოს ძირითადი ტიპის ნიადაგებში ფოსფორიანი სასუქების სხვადასხვა ფორმების ურთიერთქმედება მინერალოგიურ ასოციაციებთან" (1986). გამოქვეყნებული აქვს 29 სამეცნიერო ნაშრომი.
პობი: ხატვა
მისამართი: (ბინის) წყალტუბო. შანიძის 6. ბ. 42. ტელ.: 2.18.87 თბილისი, გამსახურდიას 21. ბ.82. ტელ.: 99.82.34. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. ტელ.: 99.75.45.

დამოუკიდებელ, ერთიან, ეკონომიკურად ძლიერ, ეკოლოგიურად სუფთა და აღდგენილი ტრადიციული სოფლის მეურნეობით აშენებულ ჩემს ქვეყანაში შრომა და მოღვაწეობა.

ლ ო რ

ვალერი ლორია

იურისტი, პროფესორი. დაიბადა ბათუმში 1936 წ. 22 იანვარს. მშობლები. ანა ჭანტურია, ამბერკი ლორია; მეუღლე — ლალი რატიანი (დ.1940 წ.); შვილები: არჩილი (30 წლის), გიორგი (28 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1959). იყო იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფო სამართლის კათედრის ლაბორანტი (1960-1965), ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სამართლის კათედრის ასპირანტი (1962-1965), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო სამართლის კათედრის მასწავლებელი (1965-1968), იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე (1968-1970), დეკანი (1970-1975), სახელმწიფო სამართლის კათედრის დოცენტი (1972-1980), პროფესორი (1980-1989). არის სამართლის საფუძვლების კათედრის გამგე და დეკანის მოადგილე (1989 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში არსებული ადმინისტრაციული კომისიები" (1965), სადოქტორო — „ადმინისტრაციული პროცესი და მისი კოდიფიკაცია" (1977). გამოქვეყნებულია მისი 100-მდე შრომა, მათ შორის 20 მონოგრაფია და სასწავლო ლიტერატურა, კერძოდ, „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი" (1995).

მისამართი: (ბინის) ალ. ყაზბეგის გამზ. 29ა ბ. 22. ტელ.: 39.30 18. (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 1. ტელ. 29 08 19

ჩემი ცხოვრების კრედო იყო და არის ბრძოლა სამართლიანობისათვის, ადამიანის უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის. ამ მიზნით ვწერ ყველა ჩემს სამეცნიერო შრომას და ამ მიზნითვე ვასრულებ საკანონმდებლო-საკოდიფიკაციო სამუშაოებს.

ლევან მამალაძე

პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლის მხარეში. დაიბადა თბილისში 1968 წ. 17 იანვარს. მშობლები: ვერა მამალაძე, ლეგრი მამალაძე; მეუღლე — მარიკა ქავთარაძე; შვილი — ანა-მარია (9 თვის). დაამთავრა ზოოვეტერინარული ინსტიტუტი (1981). სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მუშაობდა ზოოვეტერინარული ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლად (1991-1994). სწავლობდა იტალიაში, ბოლონიის უნივერსიტეტში (1991-1992). აქვს რაციონალიზატორული გამოგონებები სოფლის მეურნეობაში უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვის საქმეში, არის მეცხოველეობაში სელექციისა და მომშენებლობის დარგის სამეცნიერო ხარისხის დისერტანტი. აქვს სამეცნიერო შრომები, მათ შორის ერთი მონოგრაფია, საქართველოში მწვანეთა პარტიის და მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი. იყო მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის პირველი თავმჯდომარე. მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მიმდინარე ბრძოლებში. იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის მდივანი (1992-1994), ქვემო ქართლის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულია 1994 წლიდან.

პობი: ძველი ქვეყნების ისტორია, ამ ქვეყნებში მისტიკურობის დამადასტურებელი ფაქტების ძიება. ოჯახური სიმყუდროვე და სიმრავლე
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველი, კოსტავას 20. ფაქსი: 93.91.53

კრედო — სიმართლე და პრინციპულობა. ანაზილის უნარი რთულ სიტუაციებში, რაც საშუალებას მაძლევს გამოსავალი მოვძებნო ძალიან რთული მდგომარეობიდანაც კი.

ნოდარ მამისაშვილი

კომპოზიტორი-თეორეტიკოსი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1930 წ. 15 დეკემბერს. მშობლები ნადეჟდა კვიჟინაძე, ლევან მამისაშვილი; მეუღლე — ნინო ბახუტაშვილი (დ.1937წ.); შვილი — გია (34 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1956). მუშაობდა მუსიკის თეორიისა და კომპოზიციის პედაგოგად IV (1955-1963) და I (1963-1972) მუსიკალურ სასწავლებლებში. ამჟამად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მუსიკის თეორიის და კომპოზიციის პედაგოგი — დოცენტია (1963 წლიდან). იყო კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე (1973-1991). ასწავლის სასულიერო აკადემიაში მართლმადიდებლური გალობის წინა ისტორიას და ისტორიას (1989 წლიდან). ავტორია სამეცნიერო შრომებისა: „სამფაზიანი კომპოზიციის მუსიკალური სისტემა" (1978), „Fasistria — ანუ სიცოცხლის ჰარმონია", „ჰოლოფონია", „ბგერითი ველის თეორია", „ბგერის ახალი აკუსტიკური თვისებები", „ბგერითი პოლარიზაცია და ტორსიული ველი", „ბიოენერგო ინფორმაცია და მუსიკა", „მინერალოთერაპია და ბგერითი ველი", „ქართული მუსიკალური აზროვნება და უძველესი სისტემა", „ბიო-აკუსტიკური რეზონანსის თეორია". ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყ-

ნებული სტატიებისა: „გალობა ამღერებული გულისთქმაა" (ლიტ. საქართველო), На встречу времени(ხელოვნება, 1979) „ფშაური ნატირალები" („ხელოვნება", 1979), ნიკო სულხანიშვილი „მესტვირული და გუთნური" („საბჭოთა ხელოვნება" (1977). არის საინჟინრო აკადემიის წევრი, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, პრეზიდიუმის წევრი, მსოფლიოში I ჰელიოსტუდიის პრეზიდენტი, ბგერითი ეკოლოგიის ხელმძღვანელი.
ჰობი: ინჟინერია ანუ ჩემი ჰობი აზროვანი დატვირთვა არ გახლავთ. იგი შემოქმედების გაგრძელებაა, მისი შემადგენელი ნაწილი. ამან განაპირობა ჩემი საინჟინრო-ტექნიკური ძიებები და გამოგონებები. 1. რომოფონიკური აპარატი. 2. რეგულირებადი წყლის გამაცხელებელი, 3. თერმოსტამულატორი, 4. ანოდურ-კათოდური დამუხტვის აპარატი, 5. პროფილიზებული კომპიუტერი „ნონა" და სხვ
მისამართი. (ბინის) ყაზბეგის გამზ. 20. ბ. 5 ტელ.: 39.18.95.

წარმატება — განაპირობა საქართველოსადმი უსაზღვრო სიყვარულმა, სიყვარულმა თბილისისადმი, ადამიანისადმი, სილამაზისადმი. ვფიქრობ, ჩემს აზროვნებაში, განცდაში შემოქმედებით შევქმენი ის, რისთვისაც ღმერთმა სიცოცხლე მომცა. სხვანაირ წარმატებას კარიერა ჰქვია და მე მასზე არასდროს მიზრუნია. მიზანი ჩემი გამოგონებების რეალიზაციაა, რადგან კომპოზიტორული ახალი სტყვა მათთან უშუალო კავშირშია. ჩემი ოცნებაა — უფალმა მომცეს ძალა, რომ შემოქმედებით ადამიანებს მოვუტანო სიკეთე, სიხარული.

პეტრე მამრაძე

ფიზიკოსი, სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე, სახელმწიფო კანცელარიის უფროსი. დაიბადა თბილისში 1952 წ. 8 სექტემბერს. მშობლები: ირაიდა მამრაძე, გრიგოლ მამრაძე; მეუღლე — ლალი იაშვილი, შვილი. ელისაბედი (1 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1974). მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო წყალპროექტში პროგრამისტად (1975), მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ქალაქის განყოფილებაში მეცნიერ-თანამშრომლად (1975-1992), მინისტრთა კაბინეტში ვიცე-პრემიერის თანაშემწედ (1992), იყო პარლამენტის წევრი (1992-1995), სახელმწიფო მეთაურის აპარატის ხელმძღვანელი (1995), 1995 წლის დეკემბრიდან სახელმწიფო კანცელარიის უფროსია. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ანიჰილაციის ფუნდამენტური პროცესები ზეძლიერ მაგნიტურ ველებში" (1992). არის რამდენიმე პუბლიცისტური წერილის ავტორი, 14 სამეცნიერო წერილის თანაავტორი, მოქალაქეთა კავშირის წევრი 1993 წლიდან
ჰობი: უცხო ენები, სპორტი.
მისამართი: (ბინის), ჭავჭავაძის გამზ. 48. ბ. 10; ტელ.: 22 53.93. (სამსახურის) ინგოროყვას 7, ტელ 99.74.75, 99.96.30

ნოდარ მანაგაძე

კინორეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1943 წ. 19 მარტს. მშობლები: ქეთევან გაბილაია, შოთა მანაგაძე; მეუღლე — მანანა ჯანელიძე (დ.1944 წ.); შვილი — ირაკლი (29 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1965). მუშაობს კინოსტუდია „ქართულ ფილმში" (1965 წლიდან) ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1988-1991). თეატრალური ინსტიტუტის დოცენტია 1990 წლიდან. რეჟისორია ფილმებისა: „წუთისოფელი" (1971), „საერთო კედელი" (1972), „ივანე კოტორაშვილის ამბავი" (1974), „ამაღლება" (1977), „კაშხალი მთაში" (1980),

„გაზაფხული გადის“ (1983), „ეი, მაესტრო“ (1988), „ნოე“ (1992), „ნათლისღება“ (1994). არის კომკავშირის, საქართველოს, საკავშირო და საერთაშორისო კინოფესტივალების პრემიების ლაურეატი, მიღებული აქვს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პრიზი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: The International Who's Who (1988 წლიდან), European Biographical Directory

პობი: მუსიკა, მთა, სპორტი.

მისამართი: (ბინის) ბაქრაძის 11, ტელ.: 99 99.71; 93 27.17

ნებისმიერი პოლიტიკური და სოციალური წყობის მიუხედავად, ხელოვანმა უნდა თქვას ის, რასაც ფიქრობს და განცდის. აქედან გამომდინარე საზოგადოებისთვის ადვილად ამოსაცნობი ხდება, თუ „ვინ ვინაა“.

გიორგი მარგველაშვილი

დრამატული თეატრის რეჟისორი და პედაგოგი. დაიბადა ქუთაისში 1958 წ. 25 მარტს. მშობლები: ზინაიდა კვერენჩხილაძე, ნოდარ მარგველაშვილი; მეუღლე — ლელა გვარიშვილი (დ.1961 წ.), შვილები: გივი (11 წლის), ინა (8 წლის). დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1980); მუშაობს უფროს მასწავლებლად (1984 წლიდან) და მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში რეჟისორად (1989 წლიდან). დადგმული აქვს სპექტაკლები: „დარისპანის გასაჭირი“, „ჭეშმარიტების მომენტი“, „ხანუმა“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და სხვ. სულ 14 სპექტაკლი. მიღებული აქვს თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრემია რეჟისორული ნამუშევრისათვის (1995) და რუსთაველის თეატრალური ფესტივალის პრემია საუკეთესო რეჟისურისათვის (1996). არის საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის „რეჟისორთა ლიგის“ წევრი.

პობი: ეთნოგრაფიული ლიტერატურა, ზღაპრები, ლეგენდები, მთები.

მისამართი: (ბინის) უ. ჩხეიძის 33, ბ. 46. ტელ.: 95.22.66; (სამსახურის) აღმაშენებლის გამზ. 164, ტელ.: 34.07.86

აკეთე შენი საქმე და, რაც იქნება, იქნება.

გიორგი მარლანია

ქორეოგრაფი, რუსთაველის თეატრის მთავარი ქორეოგრაფი. დაიბადა თბილისში 1961 წ. 1 აპრილს. დაამთავრა მოსკოვში სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1992). იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ბალეტის სოლისტი (1979-1985). რუსთაველის თეატრის მთავარი ქორეოგრაფია 1992 წლიდან. არის დიაგილევის სახელობის საერთაშორისო კონკურსის დიპლომანტი.

პობი: ძველი წიგნების შეგროვება.

მისამართი: (ბინის) ხმელნიცკის ქ. კორპ. XI, ბ. 49. ტელ.: 71.11.79; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 17. ტელ.: 99.98.64, 99.85.87

ჩემი სწრაფვაა ხელოვნებასა და ცხოვრებაში ვიყო უკომპრომისო. ჩემი მოღვაწეობით ხალხს სიხარული მივანიჭო. ადამიანებში ვერ ვიტან ღალატს და სიმხდალეს. მინდა ვემსახურო სიკეთეს.

ადა მარშანია

იურისტი, სამართალმცოდნე, პარლამენტის წევრი. დაიბადა სოხუმში 1961 წ. 1 ივლისს. მშობლები: მერი გუგუშ-

ვილი, ლორიკ მარშანია; დაამთავრა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1983). მუშაობდა უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტად (1983-1987), სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, შემდეგ მეცნიერ-თანამშრომლად (1987 წლიდან)
ჰობი: კარგი ნიგნი, იმპრესიონისტები, თეატრი, კინო, ცხენები, მუსიკა, ცეკვა.
მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ 75, ბ. 4; ტელ.: 22.76.55; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, საქართველოს პარლამენტი.

მერაბ მარჯანიშვილი

ინჟინერ-მექანიკოსი, რაგბისტი
დაიბადა თბილისში 1968 წ. 27 სექტემბერს. მშობლები: სვეტლანა მარჯანიშვილი, ჯემალ მარჯანიშვილი; დაამთავრა აგრარული უნივერსიტეტის მექანიზაციის ფაკულტეტი (1992). რაგბის თამაში დაიწყო თბილისის „აკადემიის" გუნდში (1983). შემდეგ თამაშობდა თბილისის „ვესტა"-ში, რომლის შემადგენლობაშიც გახდა საქართველოს ჩემპიონი (1988-1994), თამაშობს თბილისის „გუმარის" გუნდში 1994 წლიდან.
ჰობი: სპორტი.
მისამართი: (ბინის) ზანდუკელის 13, ტელ.. 93 21.48.

ვარ პრინციპული. ადამიანში ვაფასებ გულწრფელობას. არ მიყვარს უსამართლობა. მიყვარს მეგობრები, ვარ ობიექტური ჩემი თავისა და სხვების მიმართ, პასუხისმგებლობით ვეკიდები ყველა საქმეს. სპორტისადმი დიდმა სიყვარულმა და შრომისმოყვარეობამ მომაპოვებინა ის წარმატებები, რაც რაგბში გამაჩნია.

შალვა მატუაშვილი

მხატვარი. დაიბადა წინანდალში 1958 წ. 29 აგვისტოს. მშობლები: ანეტა მარგალიტაშვილი, გიორგი მატუაშვილი; მეუღლე — ლელა საბანაძე (დ.1958წ.); შვილები: გიორგი (18 წლის), ანა (15 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1980) მუშაობდა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში ხატვის, ფერწერისა და კომპოზიციის პედაგოგად (1988-1995) არის თბილისის ცენტრალურ მხატვრის სახლში ფერწერის შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელი (1988 წლიდან). მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში: თბილისში, მოსკოვში, პარიზში, მილანში, ბერლინში, ვენაში, ქუვეითში, ანკარაში, მიუნპენში, ბერლინში, ბარსელონაში, ერევანში და სხვ. მიღებული აქვს პრემია წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის (1988) და დამთვალიერებელთა პრიზი (1996).

ჰობი: ისტორიული ძეგლების, სიძველეების მონახულება.
მისამართი: (ბინის) რაზიკაშვილის 10 (სამსახურის) რუსთაველის გამზ 37 ტელ 98.48.12 93.62.93

შრომა, შენება, გაცემა სიკეთისა, რაც სიამოვნებითა და ღირსებით აგავსებს.

ედიშერ მაღალაშვილი

მსახიობი, საქართველოს და სომხეთის სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1925 წ. 4 იანვარს. მშობლები: სოფიო მურმანიშვილი-მაღალაშვილისა, გიორგი მაღალაშვილი; მეუღლე — ნატალია ყაჟრიშვილი (1926-1995); შვილები: გიორგი (44 წლის), მიხეილი (39 წლის). დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი

(1953). 1946 წლიდან არის კინოსტუდია „ქართული ფილმის" მსახიობი იყო მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი (1948-1964). 1964 წლიდან რუსთაველის თეატრის მსახიობია. არის თეატრალურ მოღვაწეთა და კინემატოგრაფისტთა კავშირების წევრი.
მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას გამზ. 9, ბ. 147; ტელ.: 37.28.31. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 17 ტელ.: 99.63 73; 99 98.64, 93.18 94.

ვცდილობ ნაკლები შეცდომა დავუშვა, არ ვიცრუო. დავეხმარო გაჭირვებაში მყოფს და არ გავხდე არც ერთი პარტიის წევრი.

თამაზ მაღლაკელიძე

ეკონომისტი, იურისტი, ბანკირი, გაერთიანებული ქართული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარე. დაიბადა ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირში 1966 წ 7 იანვარს.
მშობლები: ელენე მაღლაკელიძე, გივი

მაღლაკელიძე დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური (1989), და იურიდიული ფაკულტეტები (1996). მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფინანსების და კრედიტის კათედრაზე უფროს ლაბორანტად, იყო ასპირანტი. ფინანსთა სამინისტროში მთავარ სპეციალისტად, განყოფილების უფროსად (1990-1993), სახელმწიფო საბჭოში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პასუხისმგებელ მდივნად (1992), კომერციულ ბანკში „ინდუსტრია ბანკი" — გამგეობის თავმჯდომარედ (1994-1995), გაერთიანებულ ქართულ ბანკში სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარედ (1996 წლიდან). გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები.
პობი: სპორტი, მუსიკა.
მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 75ბ, ბ. 18. ტელ.: 29.20.00; (სამსახურის) უზნაძის 37, ტელ.: 99.98.29.

მას შემდეგ რაც მივხვდი, რომ გზის გაკაფვისას ადამიანს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს (და ეს საკმაოდ ადრეულ ასაკში მოხდა ჩემთვის), მივეძალე წიგნებს, განსაკუთრებით სამეცნიერო ლიტერატურას და არც საზოგადო ცხოვრებას გამოვკლებივარ. ალბათ, ამიტომაც შევიქენი მეტ-ნაკლებად შესამჩნევი. ნაკლი, ცხადია, უამრავი მაქვს, მაგრამ ამასთან ერთად პლუსიც თუ მომეძებნება, ეს, პირველ რიგში, პროფესიონალიზმისა და დისციპლინის სიყვარულია,და, რაც მთავარია, ვაფასებ ადამიანებს, რომელთაც უმძიმეს წუთებშიც კი გული არ უტყდებათ და შეუძლიათ ყველაფრის ახლიდან დაწყება. ჩემს თავსაც ამგვარს ვცემ პატივს. რამდენიმე სიტყვით მოგახსენებთ ზოგადად ჩემი საბანკო საქმესთან დამოკიდებულების თაობაზე. ილფისა და პეტროვის გმირის, კონგენიალური კომბინატორისა არ იყოს, ფინანსური უფსკრული ყველაზე ღრმა უფსკრულია, მასში შეიძლება მთელი ცხოვრება ეშვებოდეს კაცი და არა მარტო კაცი, არამედ ბანკებიც, სახელმწიფოებიც. ამიტომ მთელი ჩვენი ენერგია ბანკის შიდა სტრუქტურისა და საქმიანობის მონესრიგებას დავუთმეთ. ესეც

არ იყოს, გახმაურებული იაპონური სასწაული წინდახედულმა იაპონელებმა საბანკო რეფორმით დაიწყეს. პირველი ინვესტიციები მათ ეკონომიკაში კი არ ჩადეს, არამედ ბანკების რეორგანიზაციასა და უცხოეთში კადრების მომზადებას მოახმარეს. შედეგი სახეზეა. ჩვენც, დარწმუნებული ვარ, თუ ასეთი ყურადღებით მოვეკიდებით საბანკო საქმეს, შედეგი არ დააყოვნებს. „გაერთიანებულ ქართულ ბანკში" ყველაფერი კეთდება საამისოდ, რათა ბანკი მტკიცე რგოლი იყოს იმ ჯაჭვში, საქართველოს ეკონომიკა რომ ჰქვია.

ქართულ ენასა და ლიტერატურას. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქართული სარაინდო რომანის „ამირანდარეჯანიანის" ტიპოლოგია" (1989). ავტორია ოცამდე სამეცნიერო ნაშრომისა, უამრავი საგაზეთო სტატიისა, თანაავტორი სასკოლო სახელმძღვანელოსი „საუბრები ქართულ ლიტერატურაზე"

ჰობი: წიგნები, მეფუტკრეობა.
მისამართი: (ბინის) ნუცუბიძის პლატო, V მრ კორპ. I, ბ. 19, ტელ 31.41.43. (სამსახურის) ბარნოვის 4; ტელ 98 40.35, 93.52.96.; ფაქსი. 93.67 90; ელ. ფოსტა: kavkasio @ access sanet.ge

ცდა ბედის მონახევრეა და სხვას ნუ გაუკეთებ იმას, რაც არ გინდა შენ გაგიკეთონ.

ვასილ მაღლაფერიძე

ფილოლოგი, ჟურნალისტი, გაზეთ „კავკასიონის" რედაქტორ-გამომცემელი. დაიბადა თბილისში 1958 წ 5 სექტემბერს. მშობლები: მერი მაღლაფერიძე, თეიმურაზ მაღალფერიძე; მეუღლე — ლალი ჩხვიმიანი (დ.1958 წ.); შვილები: მერი (13 წლის), თამარი (11 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1980). მუშაობდა „ქართული ფილმის" გაერთიანება „დებიუტში" უფროს რედაქტორად (1980-1982), ძეგლთა დაცვის მთავარ სარესტავრაციო სახელოსნოში ჯერ დამხმარე მუშად (1982-1983), შემდეგ მხატვარ-რესტავრატორად (1983-1984). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო განყოფილებაში (1984-1987) და ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე (1987-1988) მეცნიერ-თანამშრომლად, არის ქრისტიანული კულტურის ისტორიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1988 წლიდან) და გაზეთ „კავკასიონის" რედაქტორ-გამომცემელი (1993 წლიდან). 1984-1995 წლებში მე-6 ქართულ გიმნაზიაში ასწავლიდა

გიორგი მაჩაბელი

ფიზიკოსი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. დაიბადა თბილისში 1941 წ 2 დეკემბერს. მშობლები: ნელი მაჩაბელი, ზაქარია მაჩაბელი; მეუღლე — დალი სახოკია (დ.1942წ.); შვილი — ერეკლე (27 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1965). მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში უმცროს და უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1968-1976), აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1976-1989), ამჟამად ამ ობსერვატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელია (1989 წლიდან) და ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (1990 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „კვაზინრფიკი თეორია დაჯახების გათვალისწინებით" (1970), სადოქტორო — „პლაზმური პროცესების როლი პულ-

სარების გამოსხივებაში" (1983). არის ოთხმოცამდე სტატიის ავტორი, საქართველოს და ამერიკის ფიზიკური საზოგადოებების წევრი თანამშრომლობს ცნობილი სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლებთან კალიფორნიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან (აშშ), ვეიცმანის ინსტიტუტიდან (ისრაელი), კოსმოსური გამოკვლევების ინსტიტუტიდან (რუსეთი), სიდნეის უნივერსიტეტიდან (ავსტრალია) და ა. შ
მისამართი: (ბინის) ქავჭავაძის გამზ 24, ტელ 22.11.98. (სამსახურის) ყაზბეგის გამზ 2ა, ტელ.. 38 95 10.

წინააღმდეგი ვარ მოსკოველი ანარქისტების წესდებისა, რომელიც შედგებოდა სულ ერთი მუხლისაგან: „აკეთე, რაც გინდა" და ერთი ქვემუხლისაგან: „პირველის შესრულება არ არის აუცილებელი". ამავე დროს ვცდილობ ვაკეთო ის, რაც მსიამოვნებს. (რასაც ხელს უშლის ჩემში განვითარებული მოვალეობის გრძნობა). ამ „პრინციპის" გამო ზოგჯერ მონაწილეობას ვღებულობ ჩემი მეგობრების საქმიანობაში. მაგალითად, მომწონს რეზო გაბრიაძესთან ურთიერთობა მისი მუშაობის პროცესში.

ლერი მაჩაიძე

კინოოპერატორი. დაიბადა თბილისში 1938 წ. 6 თებერვალს. მშობლები: ევგენია აღლაძე, პარმენ მაჩაიძე; მეუღლე — ლალი კარსანიძე (დ.1949 წ.); შვილი — ანა (12 წლის). დაამთავრა მოსკოვის საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტი (1978). მუშაობს კინოსტუდია „ქართულ ფილმში" მხატვრული კინოს დამდგმელ-ოპერატორად (1960 წლიდან). გადაღებული აქვს 8 მოკლემეტრაჟიანი და 15 სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. კინოფესტივალზე „ოქროს არ-

ნივი" მიიღო პრიზი საუკეთესო საოპერატორო ნამუშევრისათვის. არის მოქალაქეთა კავშირის წევრი.
პობი: მოგზაურობა, ნადირობა.
მისამართი: (ბინის) ბორჯომის 6. ტელ.: 34.03.83. (სამსახურის) ახმეტელის 10, ტელ.: 51.10.16.

შრომისმოყვარეობა, პროფესიონალიზმი. კინოსა და ფოტოგრაფირების დიდი სიყვარული.

† ევგენი მაჭავარიანი

მუსიკათმცოდნე, საქართველოს ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1937 წ. 27 ივლისს, გარდაიცვალა 1997 წლის იანვარში. მშობლები: მარიამ ბუბუტეიშვილი, ვახტანგ მაჭავარიანი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1963). იყო ზუგდიდის სამუსიკო სკოლის პედაგოგი (1956-1958), თანამშრომლობდა საქართველოს

ფილარმონიასთან, იყო ლექტორი-მუსიკათმცოდნე (1958 წლიდან), მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში მუსიკალური პროგრამების მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორის თანამდებობაზე (1967-1970), საქართველოს კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის კომიტეტის ინსპექტორად (1970), კინოსტუდია „ქართული ფილმის" მუსიკალური განყოფილების უფროსად (1970 წლიდან), პარალელურად კონსერვა-

ტორიის ესთეტიკის კათედრაზე მუსიკის ესთეტიკის ლექტორად. 1980 წლიდან ისევ ფილარმონიაში მუშაობდა ჯერ გენერალური დირექტორის მოადგილედ, შემდეგ სამხატვრო ხელმძღვანელად ავტორია წიგნებისა „გაზაფხული, თბილისი, მუსიკა" (1965); წერილებისა და სტატიებისა, რომლებიც გამოქვეყნებულია ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებასა" და რესპუბლიკურ პრესაში, წერილებისა ქართველ მუსიკოსთა და კომპოზიტორთა შესახებ სხვადასხვა ენციკლოპედიური გამოცემებისათვის

პობი. კულინარია, სუფრა, მეგობრები.

მისამართი: (ბინის) მელიქიშვილის 13 ტელ.: 98.76.97; (სამსახურის) მელიქიშვილის 1, ტელ : 98.76.97

ცხოვრება ქრისტიანული მორალის მიხედვით, შეძლებისდაგვარად ეროვნული კულტურის სამსახური, ეროვნული ისტორიისა და ტრადიციების შესწავლა და დაცვა, მეგობრებისადმი ერთგულება, ცხოვრება რეალური შესაძლებლობების შესაბამისად, უკეთესი მომავლის იმედი და რწმენა, ღრმა შეგრძნება იმისა, რომ ყოველი წარუმატებლობა ან მარცხი უნდა აღიქვა, როგორც სამართლიანი შედეგი შენი საკუთარი ქმედებისა.

კონსტანტინე მახარაძე

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1926 წ. 17 ნოემბერს. მშობლები: ბარბალე ვეკუა, ივანე მახარაძე; მეუღლე — სოფიო ჭიაურელი (დ.1937წ.); შვილები: მარიამი (მაკა) (46 წლის), ივანე (40 წლის), ბაია (25 წლის). დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1948). იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი (1948-1970). არის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი (1972 წლიდან), საქართველოს ტელევიზიის კომენტატორი (1958 წლიდან), თეატრალური

ინსტიტუტის ლექტორი, პროფესორი (1950 წლიდან) აქვს ნათამაშევი 100-ზე მეტი როლი, არის ახმეტელის და მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი. ავტორია წიგნისა "რეპორტაჟი უმიკროფონოდ" გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სტატია არის ღირსების ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიასა და საბჭოთა კავშირის სპორტის ენციკლოპედიაში.

მისამართი: (ბინის) ვერიკო ანჯაფარიძის 16, ტელ : 29.42 13; 22 13 38. (სამსახურის) მარჯანიშვილის 8. ტელ 95.24 25.

ადამიანმა უნდა იცხოვროს სრული რწმენით და ქრისტეს ათი მცნების დაცვით. მაშინ ყველა ადამიანური და მოქალაქეობრივი პოზიცია სულიერებით იქნება განმტკიცებული და ამდენად, სწორი. მეც ვცდილობდი და ვცდილობ, ასე ვიცხოვრო.

ნოდარ მგალობლიშვილი

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი დაიბადა სოფ. გომბორში 1931 წ 15 ივლისს. მშობლები: მარგალიტა თევდორაძე, ალექსანდრე მგალობლიშვილი, მეუღლე — ციალა ცომაია; შვილი — ალექსანდრე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი; იყო მარჯანიშვილის სახელობის თეატრის (1954-1959; 1963-1967), სანკულტურის თეატრის (1959-1963), რუსთავის თეატრის (1967-1975) მსახიობი, რუსთავის თეატრის დირექტორი (1970-1972). ამჟამად ისევ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია (1975 წლიდან) მონაწილეობდა ფილმებში: „სიყვარულის ნექტარი" (მოსფილმი); „ზღვის შვილები" („ქართული ფილმი"), „15 წლის კაპი-

ტანი", „ივანკო და მეფე" (უკრაინა), „ზღვის მაშვრალნი, (ფრანგულ-ქართული ერთობლივი ფილმი), „მოსკოვის ღამაზმანები",„გრაფი კალისტრო" (მოსფილმი).

პობი: ყველაფერი, რაც მის პროფესიონალიზმს წაადგება.

მისამართი: (ბინის) ცოტნე დადიანის 34, კორპ. 13. ტელ.: 66.29.81. (სამსახური) მარჯანიშვილის 8. ტელ.:95.24.25; 95 35 82

დავკმაყოფილდე იმით, რაც მაქვს, მთავარია იყო მზად, როცა კი დადგება დრო. ამიტომ ყოველწუთიერი შრომაა საჭირო. ვიყო, ყოველ შემთხვევაში ვესწრაფვი, შემდნდობი, პატიების უნარი მქონდეს. 10 მცნების დამცველი. თუ არა მაქვს, ე. ი. ის ჩემი არაა. მოთმინება და მოთმინება, მაშინ მოგება შეიძლება.

სულხან მელაძე

ჟურნალისტი, პარლამენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელი. დაიბადა თბილისში 1965 ნ. 23 მაისს. მშობლები: ვალენტინა ხაზალია, გივი მელაძე; მეუღლე — მაია მანჯგალაძე (დ. 1968 ნ); შვილი — სალომე (6 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი (1988). მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში ლიტერატურისა და ხელოვნების მთავარ რედაქციაში რეჟისორის ასისტენტად (1982-1988), უმცროს რედაქტორად (1988-1990), რედაქტორად (1990-1992). იყო შემოქმედებითი გაერთიანება „ალიონის" მთავარი რედაქტორის მოადგილე (1992-1993), „ალიონის" კომენტატორი

(1993 წლიდან). ავტორია სატელევიზიო გადაცემებისა: ინტერვიუ-ანკეტა „ვერნისაჟი", „სვე", „ალიონი" მიღებული აქვს სატელევიზიო ფესტივალი „მანა 95"-ის პრიზი „ყოველდღიური საინფორმაციო პროგრამის საუკეთესო წამყვანისათვის.

პობი: ფეხბურთი.

მისამართი: (ბინის) ი. ჭავჭავაძის გამზ. 11, ბ. 16, ტელ.: 22.00.46 (სამსახური), რუსთაველის გამზ. 8. ტელ.: 98.24.68, ფაქსი: 99.68 32.

ნებისმიერი წარმატებისათვის აუცილებელი პირობაა — მაღალი პროფესიონალიზმი, მონდომება და ცოტა იღბალი. მოექეცი სხვას ისე, როგორც გინდა, რომ თავად მოგექცნენ. ადამიანში ყველაზე მეტად ვაფასებ თვითკრიტიკის და საკუთარი შესაძლებლობების სწორად, ზუსტად შეფასების უნარს. არ უნდა მოითხოვო იმაზე მეტი, ვიდრე ამას შენი პროფესიონალიზმი იმსახურებს. აკეთო შენი და მხოლოდ შენი საქმე.

გიორგი მელიქიშვილი

ისტორიკოსი, პროფესორი, აკადემიკოსი, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1918 ნ. 30 დეკემბერს. მშობლები: ეკატერინე მელიქიშვილი, ალექსანდრე მელიქიშვილი; მეუღლე — ელენე დოჩანაშვილი (დ.1916ნ.); შვილები: ირინე (53 წლის), ნინო (49 წლის), ალექსანდრე (43 წლის).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1939) მუშაობდა ისტორიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, ძველი ისტორიის განყოფილების გამგედ, დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში (1944-1965). 1946 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ დოცენტი იყო, ამჟამად პროფესორია. 1965 წლიდან ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორია. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ურარტუს სამეფოს წარმოქმნა" (1944), სადოქტორო — „ძველაღმოსავლური მასალები ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიისათვის" (1954). ავტორია წიგნებისა „საქართველოს ისტორიის ნარკვევები" I (მთავარი ავტორი), „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის", „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი", "Наири-Урарту", "Урартские клинообразные надписи". არის ჯავახიშვილის სახელობის და ლენინის პრემიების ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში The International Who's Who (London)-ის ყოველწლიურ პუბლიკაციებში 1960-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე.

ჰობი: მხატვრული ლიტერატურის კითხვა.

მისამართი: (ბინის) რიგის 3/43, ბ. 37 ტელ.: 22.10.06; (სამსახურის) მელიქიშვილის 10. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი; ტელ.: 99.06.82.

ოთარ მელქაძე

ინჟინერ-ელექტრიკოსი, ეკონომისტი, იურისტი, პროფესორი, პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1938 წ. 8 აპრილს. მშობლები: ზინაიდა შენგელაია, ვალერიან მელქაძე; მეუღლე — ლამარა ძაგნიძე (დ.1938წ.); შვილები: ქეთინო და გიორგი. დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1961) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1968) მუშაობდა თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში იყო ინჟინერი, წამყვანი ინჟინერი, პარტიული კომიტეტის მდივანი (1961-1970), პარტიის თბილისის კომიტეტში განყოფილების გამგის მოადგილე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი, ბათუმის ქალაქკომის პირველი, აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი (1970-1975), სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე (1975-1985), მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (1985-1991), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი. ამჟამად პროფესორია (1992 წლიდან). იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს 3 მოწვევის დეპუტატი. არის პარლამენტის ორი უკანასკნელი მოწვევის დეპუტატი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „ინფორმაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი უზრუნველყოფა სახალხო კონტროლის ორგანოების სისტემაში" (1984), სადოქტორო — „კონტროლის კოორდინაციის პრობლემა სახელმწიფო მმართველობის სისტემაში" (1955). გამოქვეყნებულია მისი 6 მონოგრაფია, სამი ბროშურა და ორი სახელმძღვანელო, სამოცზე მეტი სამეცნიერო შრომა და წერილი საქართველოს, რუსეთის, ჩეხეთის და უნგრეთის იურიდიულ ჟურნალებში.

ჰობი: ამჟამინდელი ჰობი მისი საქმიანობის ერთი სერიოზული მიმა-

რთულებაა. 1996 წელს ოფიციალურად გაფორმდა მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, რომლის დამფუძნებელი და ხელმძღვანელია.
მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 39 ბ. 32, ტელ. 22.64.68; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, საქართველოს პარლამენტი, ტელ. 94 12 70.

შეურიგებლობა სიყალბისა და სცენის მიმართ, პირადი პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება ნებისმიერ ვითარებაში. ყოველი საქმე, რომელსაც შევხებივარ, ყოველთვის ამ პრინციპების დაცვით მიკეთებია. ჩემი რესურსების მაქსიმუმი გამოცია და ამიტომ აზროვნებისა და მოქმედების დამოუკიდებლობა შემინარჩუნებია ცხოვრების რთულ გზაზე.

ირაკლი მენაღარიშვილი

ექიმი, დიპლომატი, საგარეო საქმეთა მინისტრი. დაიბადა თბილისში 1951 წ. 18 მაისს. მშობლები. ეკატერინე ჯორბენაძე, ათინოგენ მენაღარიშვილი; მეუღლე — მანანა მიქაბერიძე (დ. 1951წ.); შვილები: ლევანი (20 წლის), ალექსანდრე (6 წლის). დაამთავრა თბილისის სამედიცინო სახელმწიფო ინსტიტუტი (1947); მუშაობდა საქართველოს ახალგაზრდულ კომუნისტურ კავშირში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე (1976-1980), იყო თბილისის ჯანდაცვის სამმართველოს უფროსი (1980-1982), ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე (1982-1986), მინისტრი (1986-1991, 1992-1993), სტრატეგიული გამოკვლევების ცენტრის დირექტორი (1991-1992), პრემიერ-მინისტრის მოადგილე (1992-1995). საგარეო საქმეთა მინისტრია 1995 წლიდან.



მისამართი: (სამსახურის). ჩიტაძის 4, ტელ. 98.93.77. ფაქსი. 98.93.80.

ლეილა მესხი

ჩოგბურთელი, „ლეილა მესხის" ჩოგბურთის აკადემიის პრეზიდენტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი. დაიბადა თბილისში 1968 წ. 5 იანვარს. მშობლები: გალინა მესხი, გიორგი მესხი; მეუღლე — პავლე ნადიბაიძე (დ.1963წ.); შვილი — ლიზა (10 თვის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი ფრანგული ენის სპეციალობით (1990). არის სსრკ მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი საერთაშორისო ტურნირებში, ხუთგზის გამარჯვებული პროფესიონალ ჩოგბურთელ ქალთა შორის, 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი წყვილთა თანრიგში ნატალია ზვერევასთან ერთად. არის საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის წევრი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში WTA TOUR.

ჰობი: მუსიკა, ლიტერატურა, ქარგვა.
მისამართი: (ბინის) პისარევის 9, ტელ.: 96.56.23 (სამსახურის) მარჯანიშვილის 29; ტელ.: 95.38.00. ფაქსი: 95.37.04;

ბავშვობიდან ვოცნებობდი გავმხდარიყავი პროფესიონალი ჩოგბურთელი. ამიტომ თავდაუზოგავად ვშრომობდი და ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი, რადგან ვიცოდი, რომ დიდი შრომის გარეშე მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. კარიერის დამთავრებისთანავე ჩემი ოცნება იყო შემექმნა ჩოგბურთის სკოლა, რომ ჩემი ცოდნა და გამოც-

დილება მომეხმარებინა ქართული ჩოგბურთის მომავლისათვის.

თეიმურაზ მეტრეველი

ჟურნალისტი. დაიბადა ხაშურის რაიონის სოფ. ოსიაურში 1945 წ. 20 ოქტომბერს. მშობლები: ეთერ მეტრეველი, გიორგი მეტრეველი, მეუღლე — ლია მეტრეველი (დ. 1958წ.); შვილი — სულხანი (16 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1970). მუშაობდა ტელერადიოკომიტეტში რადიოს რედაქტორად (1970-1975). იყო გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტის" (1975-1980) და „კომუნისტის" (1980-1990) უფროსი კორესპონდენტი, „კაბადონის" მთავარი რედაქტორი (1990-1991), „დრონის" მთავარი რედაქტორის მოადგილე (1990-1991), გაზეთების „ქართული კულტურა" (1992 წლიდან), „დილის გაზეთი" (1995 წლიდან) და „მოქალაქე" (1996 წ. 1 ნოემბრიდან) მთავარი რედაქტორი. საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრემიის ლაურეატი (1988).

ჰობი: მუსიკა, თეატრი.

მისამართი: (ბინის) ვაზისუბანი IV მ/რ., I კვ. XII კორპ. ტელ.: 78.20 21; (სამსახურის) მარჯანიშვილის 5. ტელ..96.91.68. ფაქსი:96.91.83.

ჩემი ცხოვრების დევიზად მივიჩნევ გამონათქვამს "Ne quid nimis" (არაფერი ზედმეტი). პრესაში მუშაობისას სახელმძღვანელოდ მაქვს ილიას შეგონება: „გახსოვდეს ყოველთვის, რომ ქვეყანაზე ქაღალდის გარდა არის კიდევ სინდისი, რომელზეც იწერება პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს".

როინ მეტრეველი

ისტორიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, აკადემიკოსი. დაიბადა აბასთუმანში 1939 წ 7 დეკემბერს. მშობლები: ნინო ტატუნაშვილი-მეტრეველი, ვიქტორ მეტრეველი; მეუღლე — ლუიზა ნიკოლაიშვილი-მეტრეველი (დ 1940 წ.), შვილები: ნინო (32 წლის), ვიქტორი (31 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1962). მუშაობდა კომკავშირულ და პარტიულ მაღალ თანამდებობებზე (1960-1972), თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად (1985-1988), მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნად (1988-1991). არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი (1965 წლიდან), რექტორი (1991 წლიდან) კალიფორნიის (აშშ) ხელოვნების, მეცნიერებისა და განათლების საერთაშორისო აკადემიის წევრი, ევრაზიის უნივერსიტეტების გენერალური ასამბლეის მთავარი კომიტეტის წევრი, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი, ჟურნალ „მაცნეს" ისტორიის სერიის რედაქტორი, პირველი ქართული ეროვნული ენციკლოპედიის ერთ-ერთი გამომცემელი და რედაქტორი, მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის თავმჯდომარე, ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი (1992 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოებრივი რეფორმები" (1965), სადოქტორო — „შინაკლასობრივი ბრძოლა შუა საუკუნეების საქართველოში"(1974). არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრო-

მის ავტორი მათ შორის 10 მონოგრაფიაა. ძირითადი შრომებია: „შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში" (1973). „დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში" (1979); „დავით IV აღმაშენებელი" (1988), "Der Byzanticisch-Bulgarische Krieg" 1014-1018 und Georgien (1988). Georgica II Vena-Tbilisi). „მეფე თამარი" (1990). არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1996), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში (1988).
მისამართი (ბინის) კეკელიძის 16. ტელ.: 22 52 77 (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 1. ტელ 22.02.41.

ვფიქრობ, რომ ვარ მორალისტი; მრავალ საკითხში მაქსიმალისტი. ადამიანის უდიდეს ნაკლად მიმაჩნია უზრდელობა და უმადურობა. მაქვს კრიტიკულ მომენტში მაქსიმალურად მობილიზების უნარი.

გია მეფარიშვილი

იურისტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა ბაღდათში 1959 წ 7 ივნისს მშობლები: ელენე (ლენა) ზირაქაძე, დავით მეფარიშვილი; მეუღლე — ხათუნა ბრეგაძე (დ.1964წ.); შვილი — ნიკა (1 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1983). მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრაზე დოცენტად (1988 წლიდან) 1996 წლიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეა. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „პირადი ცხოვრების საიდუმლოებათა დაცვა სისხლის სამართლის პროცესში" (1988). არის 26 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი სისხლის სამართლის პროცესის და იუსტიციის ორგანიზაციის პრობლემებზე.
პობი. მხატვრული ლიტერატურა და კინო.
მისამართი: (ბინის) ც. დადიანის 34, კორპ. 15, ბ. 28. ტელ.: 94 36.66 (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 29, ტელ.: 94.08.32, ფაქსი: 99.04.21

1. საქმისადმი ერთგულება და სწრაფვა მაღალი პროფესიონალიზმისაკენ. 2. ნებისმიერი ნარმატება შედეგი უნდა იყოს დიდი შრომისა. 3. შორს ბოროტი და შურიანი ადამიანებისგან.

ოთარ მეღვინეთუხუცესი

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. დაიბადა თბილისში 1932 წ. 16 იანვარს. მშობლები: ელენე მეღვინეთუხუცესი, ვახტანგ მეღვინეთუხუცესი; მეუღლე — გურანდა გაბუნია (დ.1938წ.); შვილი — მარიამი (27 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1954), იყო მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი (1954-1967); რუსთავის დრამატული თეატრის მსახიობი (1967-1975), შემდეგ ისევ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი (1975 წლიდან) და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი (1995 წლიდან). გადაღებულია მთავარ როლებში ფილმებში „ფატმა", „კეთილი ადამიანები", „ერთი ცის ქვეშ", „დიდოსტატის მარჯვენა", „ვედრება", „ნატვრის ხე", „დათა თუთაშხია" და სხვ. აქვს სსრკ სახალხო არტისტის წოდება; არის სსრკ სახელმწიფო და მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი. რუსთაველის საზოგადოების და თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობების წევრი.
ჰობი: ცურვა, ცხენოსნობა.
მისამართი: (ბინის) აღმაშენებლის გამზ. 86/90 ბ. 27 ტელ.: 95.57.51 (სამსახურის) მარჯანიშვილის 8. ტელ.: 95.40.01.

საქმისა და კაცის ერთგულება, ვალდებულების გრძნობა და პატივისცემა, უკეთესობისაკენ სწრაფვა. სამშობლო, სამსახური, ოჯახი, მეგობარი, მოყვასი. ჩემი ნაკლი ყველაზე მეტად მე მტანჯავს. განათლებას, რაც მაკლდა, გზადაგზა შეძლებისდაგვარად ვავსებ, მწამს, რომ ჭკუა ისევეა საჭირო, როგორც ნიჭი და შრომის უნარი. მიყვარს სიცოცხლე, მაგრამ საქმეს უფრო წინ ვაყენებ.

რომან მიმინოშვილი

ფილოლოგი, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი,. დაიბადა აბაშის რაიონის დაბა სუჯუნაში 1928 წ. 3 მაისს. მშობლები: გვრიტი ჭანტურია, სევერიან მიმინოშვილი;

მეუღლე — დარეჯან (ლია) მახარაძე (დ.1930წ.); შვილები: ზაზა (42 წლის), მაია (37 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1952). მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის კათედრის მასწავლებლად, პროფესორად (1956-1974), რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უმცროს, უფროს, წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად (1957 წლიდან). იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი (1981-1986), ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას" მთავარი რედაქტორი (1986-1996), პარლამენტის წევრი, პარლამენტის სამანდატო კომისიის თავმჯდომარე (1992-1995). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ბერძნული პოეზიის სანყისები (წინაბერძნული მოსახლეობის კვალი ბერძნულ ეპოსში) (1955), სადოქტორო — „იოანე დამასკელის „გარდამოცემის" ქართული თარგმანები" (1968). ავტორია წიგნებისა, „ელადის მუზა" (1963), „ბურთი ჩვენი არსობისა" (1970), „ვარაუდი, ძიება, განსჯა" (1986), ჰომეროსის „ილიადა" (თარგმანი, 1979, 1990), „გვიამბობს მოხუცი ჰომეროსი" (1978) და სხვ. არის ი მაჩაბლის პრემიის ლაურეატი, ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის წევრი. იყო ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის წევრი (1992-1993), მოქალაქეთა კავშირის წევრია 1994 წლიდან. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში.
ᲰᲝᲑᲘ. მუსიკა, პოეზია, ფეხბურთი.
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (ბინის) ქავთარაძის 25, III კორპ. ბ. 36; ტელ.: 30 30.25; 93.43.01; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8 საქართველოს პარლამენტი, ტელ.: 99.80.58;

ვცდილობ, თუმცა ხშირად უშედეგოდ, ადამიანთა შორის თანხმობის მიღწევას. ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც ვაღწევ, რომ არ აღმოვჩნდე გათიშვის მიზეზი. არასდროს მილალატია საქმისათვის ან პიროვნებისათვის, თუ აუცილებელი იყო, უკონფლიქტოდ დავცილებივარ ერთსაც და მეორესაც. მტრებს ადვილად ვივიწყებ (ჩემდა საზიანოდაც), მეგობრებს არასდროს. მიყვარს საქმის ბოლომდე მიყვანა, თუმცა ყოველთვის ვერ ვახერხებ არა ჩემი მიზეზით. არ შემიძლია, თუნდაც მეგობარს, ვუთხრა მასზე უნებურად მოსმენილი ჭორი, რომელსაც თითქმის მოსმენისთანავე ვივიწყებ.

თენგიზ მირზაშვილი

მხატვარი. დაიბადა მესტიაში 1934 წ. 10 თებერვალს. მშობლები: სოფიო მირზაშვილი, რევაზ მირზაშვილი; მეუღლე — მანანა თავაძე (დ.1938 წ.);

შვილები: გიორგი (35 წლის), ნატო (32 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1957). მუშობდა იქვე მთავარ მხატვრად (1960-1972). მუშაობს ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის მთავარ მხატვრად 1973 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს სტატიები და ნარკვევები. მისი ბიოგრაფია გამოქვეყნებულია ქართველი მხატვრების კატალოგში (1988), ქართულ ენციკლოპედიაში, მოსკოვის კატალოგში (1973), მოსკოვში გამოცემულ ალბომში (1990).

ჰობი: მურაბების ხარშვა, ფიროსმანის, გალაკტიონ ტაბიძის, ეთერ თათარაიძის შემოქმედება, ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლები, ხალხური პოეზია

მისამართი. (ბინის): ქიაჩელის 20. ტელ.. 93.18.32.

ხალხური ტადიციების და ისტორიული სინამდვილის ალზეებისა და არა გაყალბების მცდელობა.

აკაკი მიქაძე

ჟურნალისტი, გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის" ბიუროს ხელმძღვანელი. დაიბადა 1955 წ. 4 აპრილს. მშობლები: თინა მიქაძე, ტარიელ მიქაძე; შვილი— ნუცა მიქაძე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი (1976) და ახალგაზრდობის ინსტიტუტის ასპირანტურა მოსკოვში (1989). მუშაობდა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდა"-ს კორესპონდენტად (1974-1976), საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში სხვადასხვა თანამდებლობაზე ინსტრუქტორობიდან კომკავშირული სკოლის დირექტორობამდე (1977-1986). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ხელმძღვანელი კადრების ფორმირება, როგორც სოციალური მართვის პრობლემა" (1989) არის მრავალი საგაზეთო სტატიის ავტორი.

ჰობი: ბუნებაში გასვლა.

მისამართი: (ბინის) შანიძის 22, ბ. 19; ტელ. და ფაქსი: 23.56.65.

არასოდეს არ მიცდია, ვინმეს ღირსება დამეკნინებინა ან შემელახა დაუმსახურებლად. მინდა და დიდი სურვილი მაქვს, რომ თითოეული ადამიანი ჩვენთან გახდეს პიროვნება, ან სურვილი მაინც გაუჩნდეს გახდეს ასეთი. ჩემი მიზანი არის ამ პროცესს შევუწყო ხელი.

ჯემალ მიქელაძე

იურისტი, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკი. დაიბადა თბილისში 1936 წ. 20 აგვისტოს. მშობლები: ეკატერინე სოხაძე, ფრიდონ მიქელაძე; მეუღლე — ნაილი ნულაია-მიქელაძე (დ.1942 წ.); შვილები: მარიკა (33 წლის), ფრიდონი (30 წლის).

დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (1966), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1970), სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია (1976). მუშაობდა თბილისის კომკავშირულ ორგანიზაციაში კალინინის რაიკომის მდივნად (1963-1965), შინაგან საქმეთა სამინისტროში თბილისის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსად (1965-1970), თბილისის სისხლის სამართლის სამძებროს უფროსად (1970-1974), თბილისის შინაგან საქმეთა სამ-

მართველოს უფროსად (1976-1980) იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის უფროსი (1987-1988), „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე (1988-1990), კომპარტიის თბილისის ქალაქკომის მდივანი (1990-1991). საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი (1992-1993). არის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე (1993 წლიდან). იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატი (1980-1990).
პობი: მუსიკა, განსაკუთრებით ქართული ქალაქური სიმღერები და რომანსები.
მისამართი: (ბინის) ვაზისუბნის 12 ტელ.: 98 57.40. (სამსახურის) გ. გულუას 10 ტელ.: 98 61.13. ფაქსი: 98 61.15.

ჩემი ცხოვრებისეული კრედო სიყვარულია. სიყვარული მრავალგვარია: შეიძლება გიყვარდეს პოეზია, რომელიმე სიმღერა, არის ქალის და მამაკაცის სიყვარული, რა შეედრება ოჯახის, შვილების და შვილიშვილების სიყვარულს, მაგრამ არსებობს ყველა სიყვარულზე ამაღლებული, უზენაესი, ყოვლის მძლე და მძლეთამძლე სიყვარული, ეს გახლავთ სამშობლო, დიდ მოურავს, გიორგი საკაძეს, უცოდველი შვილი პაატა რომ გაამეტებინა, თევდორე მღვდლის სიყვარული, ცხრა ძმა ხერხეულიძის სიყვარული, აი სწორედ ის სიყვარული, რომელსაც სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ჩვენი რჩეული ბიჭების სიცოცხლე შეეწირა.

ბიძინა მიქიაშვილი

სპორტსმენი, მძლეოსანი. დაიბადა ამბროლაურის რაიონის სოფელ საკეციაში 1968 წ. 28 მაისს. მშობლები: ნაზიკო მიქიაშვილი, ბონდო მიქიაშვილი. დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის აკადემია (1991) ევროპის ჩემპიონატში 1995 წელს მოიპოვა ბრინჯაოს მედალი, 1995 წელს ერთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი ატლანტის ოლიმპიური თამაშებში აიღო მე-8 ადგილი.
პობი: ავტომანქანა.
მისამართი: (ბინის) ამბროლაურის რაიონი, სოფელი საკეცია; თბილისი, ვარკეთილის IV მ/რ, კორპ. 6 (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 49ბ, ძალოსნობის ფედერაცია.

ვლადიმერ მოგელაძე

მუსიკოსი. დაიბადა თბილისში 1952 წ. 4 აგვისტოს. მშობლები: ნადეჟდა მოგელაძე, გრიგოლ მოგელაძე; მეუღლე — ზოია მოგელაძე (დ.1950 წ.); შვილები: მაია (24 წლის), მარინა (20 წლის) დაამთავრა კავშირგაბმულობის ინსტიტუტი (1976) იყო ანსამბლ „კონტრასტის" სოლო-გიტარისტი. მოგვიანებით ანსამბლის ხელმძღვანელიც (1969-1983) 1986 წლიდან ანსამბლ „ბლუზ მობილ ბენდის" სოლო გიტარისტია და ანსამბლის ხელმძღვანელი. ანსამბლს გამოშვებული აქვს 2 კომპაქტ-დისკი: "A new Day Yesterday" (1993, Prouge record); "Out on the Blue" (1995, Prouge record)
პობი: სოული, რიტმ-ნ ბლუზი, ბლუზი, როკ-ნ-როლი, 60-70-იანი წლების ამრიკული მუსიკა, ფეხბურთი.
მისამართი: (ბინის) გლდანი, III მ/რ VI კორპ. 83. ტელ.: 67.03.84. (სამსახურის) დანია, ქალაქი რიბე Marsk Music ტელ.: (45) 75.42.17.58. ფაქსი: (45) 75.42.35.36.

გიყვარდეს ის საქმე, რასაც აკეთებ, ყოველგვარი ანგარების გარეშე უნდა უერთგულო შენს საქმეს. ხელოვნებაში სიყალბე გამორიცხულია, მხედველობაში

მაქვს თავის მოტყუება ან რაღაცის გასაღება იმად, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. საკუთარი საქმისადმი რწმენა და სიყვარული.

გურამ მოდებაძე

ექიმი, ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი რაგბიში დაიბადა ჭიათურაში 1947 წ 5 ოქტომბერს. მშობლები ვენერა ეკანია, შოთა მოდებაძე; მეუღლე — თამარ პატაშური (დ.1950წ.); შვილები: შოთა (22 წლის), ირაკლი (17 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1975) მუშაობდა რაგბის გუნდის მწვრთნელად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1978-1982), თბილისის სამხატვრო აკადემიაში (1983-1988), არმიის სპორტულ კლუბში (1987-1989), რუსთავის კლუბ „აზოტში" (1992-1994); ამჟამად რაგბის კლუბ „გუმარის" მწვრთნელია (1994 წლიდან) და საქართველოს რაგბისტთა ნაციონალური ნაკრების უფროსი მწვრთნელი (1995 წლიდან).

ჰობი: რაგბი.

მისამართი: (ბინის) რიგის 9 ტელ.: 22.01.90; (სამსახურის). ჭავჭავაძის გამზ. 75, ტელ.: 29.47.54.

ვახტანგ მოსიძე

ფიზიოლოგი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. დაიბადა თბილისში 1928 წ. 20 სექტემბერს. მშობლები: მარიამ ჯავახია, მიხეილ მოსიძე; მეუღლე — ცირა ნერეთელი (დ.1962წ.); შვილები: ნანა (38 წლის), ქეთინო (36 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1949);

მუშაობდა იქვე პოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე ორდინატორად (1949-1952), იყო ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი, მივლინებული იყო ლენინგრადის ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტში ასპირანტურის გასავლელად (1952-1955). მუშაობა დაიწყო ფიზიოლოგიის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1955-1962). არის ამ ინსტიტუტის დირექტორი. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „პირობითი რეფლექსები კორძიანი სხეულის გადაკვეთამდე და გადაკვეთის შემდეგ" (1955). სადოქტორო — „თავის ტვინის ჰემისფეროთა ნყვილადი და განცალკევებული მუშაობის შესახებ" (1962). არის 160 სამეცნიერო სტატიისა და 6 მონოგრაფიის ავტორი, მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სამედიცინო და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი ნევრი, სახელმწიფო და ივანე თარხნიშვილის პრემიების ლაურეატი, დაჯილდოებული იყო უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

ჰობი: თეატრი, პოეზია.

მისამართი. (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 8, ბ. 6. (სამსახურის) გოთუას 14, ფიზიოლოგიის ინსტიტუტი. ტელ.: 38.00.60.

საქმის ერთგულება, მუყაითობა, მიზანდასახულობა.

იური მოსიძე

მასწავლებელი, უცხო ენათა ინსტიტუტის რექტორი. დაიბადა თბილისში 1940 წ. 24 იანვარს. მშობლები: ვერიკო კიკნაძე, ლევან მოსიძე; მეუღლე — ლედი მოსიძე (დ.1945წ.); შვილები: ლევანი (1964-1992), ვიკა (27 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უცხო ენათა ინსტიტუტი. გაიარა გზა

ინსტიტუტის ლაბორანტიდან რექტორამდე (1962). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ფრანგული ნასესხობანი გერმანულში" (1969), სადოქტორო — „სივრცობრივ-სემანტიკურ სეგმენტთა მოდელები „ვეფხისტყაოსნის" გერმანულ თარგმანებში" (1986). გამოქვეყნებული აქვს ერთი წიგნი და 35 სტატია.

პობი: შვილიშვილები, მეგობრები, მაგიდის ჩოგბურთი

მისამართი: (ბინის) აღმაშენებლის გამზ. 137, ტელ 95.14.78 (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 45, ტელ.: 22.17 03; ფაქსი: 23.11 96; ელ-ფოსტა: lingua@ibcriapac.ge

ზნეობაზე დაფუძნებული წიგნიერება.

შალვა მოსიძე

საგუნდო დირიჟორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა ჭიათურაში 1936 ნ. 28 დეკემბერს. მშობლები: ნინო მახარაძე, ილარიონ მოსიძე; მეუღლე — თამარ რჩეულიშვილი (დ.1943ნ.); შვილები: გიორგი (25 წლის), ოთარი (23 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1967). მუშაობს გორის მუსიკალურ სასწავლებელში პედაგოგად (1967 წლიდან), გორის ქალთა კამერული გუნდის ხელმძღვანელად და დირიჟორად (1970 წლიდან), თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში პედაგოგად (1976 წლიდან). მიღებული აქვს ღირსების ორდენი, ფალიაშვილის სახელობის პრემია. არის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი.

მისამართი: (ბინის) ბარნოვის 9, ბ. 7 ტელ.: 99.59.24.

ვახტანგ მუსელიანი

იურისტი, სპორტსმენი, საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი, მწვრთნელი. დაიბადა თბილისში 1959 წ. 13 ოქტომბერს. მშობლები: გულნაზ საყვარელიძე, ალექსანდრე მუსელიანი, მეუღლე — ნინო დოლიშვილი (დ. 1962ნ.), შვილები: გიორგი (5 წლის), ალექსანდრე — დაჩი (4 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1982) სახელმწიფო სამხატვრო აკადემია(1984). იყო სამართლის ინსტიტუტის ჯერ ასპირანტი, შემდეგ მეცნიერ თანამშრომელი (1986). პარლამენტის დეპუტატი (1992-1995); არის საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის დამფუძნებელი, პრეზიდენტი, მთავარი მწვრთნელი (1988 წლიდან). კითხულობს ლექციებს უნივერსიტეტში „სახელმწიფო და სამართლის თეორია" (1994 წლიდან) ავტორია წიგნისა „რინგი 90", სტატიებისა კრივის, მკლავჭიდის და სპორტის სხვა სახეობებზე.

პობი: ქანდაკება, იტალიური ოპერა, რკინაზე მუშაობა, ძაღლები.

მისამართი: (ბინის) დიდი დიღომი, I მ/რ, გიორგი ბრწყინვალეს I, ბ. 43, ტელ.:51.86.79, 23.31.61 (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 1, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ცხოვრება ძალიან ძნელია, ადამიანს უამრავი, ერთი შეხედვით, დაუძლეველი წინააღმდეგობები, პრობლემები ექმნება. ისინი შეიძლება შენს პიროვნებასთან ახლობელ ადამიანებთან, სამშობლოსთან იყოს დაკავშირებული. ცხოვრება დიდი ტკივილია, მძიმე ბრძოლაა. მთავარია ნებისყოფა. შეუპოვრობა. თუ ძალიან

მოინდომებ, თუ მიზანი გაქვს, ძალების დაძაბვით ყველაფერს მიაღწევ, გაიმარჯვებ შენს თავზე. გამარჯვებას მოუტან სამშობლოს, ხალხს სიკეთეს და სიხარულს მიანიჭებ. თუ, რა თქმა უნდა, ღმერთის ნებაც იქნება. მთავარია სიკეთეს ემსახურო, თავდაუზოგავად იბრძოლო და ღმერთი აუცილებლად გაგამარჯვებინებს. ეს კი მთავარია. 1982 წელს მივიღე ხერხემლის მძიმე ტრავმა, სიარული მიჭირდა. არადა ძალიან მიყვარდა სპორტი, კრივი, ცურვა, ძიუდო. ნელ-ნელა გამოვჯანმრთელდი. გადავწყვიტე შემექმნა საქართველოში სპორტის ახალი სახეობა „მკლავჭიდი", დავაფუძნე ფედერაცია, მოვიზიდე ახალგაზრდები. შვიდჯერ ზედიზედ მოვიპოვეთ ევროპის გუნდური პირველობა, ევროპის ჩემპიონატიდან 6 ოქროს მედალზე ნაკლები არასდროს ჩამოგვიტანია. 1994 წელს შვედეთში 9 ოქროს მედალი და გუნდური პირველობა მოვიპოვეთ. მსოფლიო ჩემპიონატზე. ამ წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში 14 მედალი, მათ შორის 7 ოქროსი, მოვიპოვეთ. ბოლო 7 წლის განმავლობაში 200-ზე მეტი მედალი გვაქვს მიღებული. რაც მინდოდა, რაზეც ახალგაზრდობაში ვოცნებობდი, ის ჩემმა აღზრდილებმა განახორციელეს. მათი მეშვეობით ავისრულე ოცნება.

ნატა მურვანიძე

მსახიობი. დაიბადა თბილისში 1970 წ 18 თებერვალს. მშობლები: მაკა მახარაძე, თეიმურაზ მურვანიძე; მეუღლე — ნიკო თავაძე (დ.1969წ.). შვილი — დათა (7 წლის). დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი სპეციალობით — დრამატული თეატრისა და კინოს მსახიობი (1991). მთავარი როლები შეასრულა სპექტაკლებში: რუსთაველის თეატრში კალდერონ დე ლა ბარკას „ცხოვრება სიზმარია" (როსაურა. რეჟ. რ. სტურუა, 1992) კინომსახიობთა თეატრში აკუტაგავას „ცხოვრება იდიოტისა" (ცბინ-ხუა. რეჟ. დ. დოიაშვილი, 1994), მარჯანიშვილის თეატრში მილერის „სეილემის პროცესი" (მერი უოსენი. რეჟ. თ. ჩხეიძე, 1994), „მეფე ლირი" (კორდილია. რეჟ. დ. დოიაშვილი, 1995); სტოპარდის „როზენკრაცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან"-ის მიხედვით „ოცდამეთვრამეტე" (ალფრედი, ოფელია, რეჟ. დ. ანდღულაძე. 1996); კინოფილმებში: მ. ანასაშვილის „მხოლოდ ერთხელ" (1991). ნ. ჯანელიძის „იავნანა" (1992), ვახტანგოვის "ODEON" (1992), ო. შამათავას „კლასი", (1995), "FIESTA" (1995) მიიღო გოგებაშვილის სახელობის პრემია ფილმში „იავნანა", 1994 წლის პრემია ქალის საუკეთესო როლის შესრულებისათვის „სეილემის პროცესში"

პობი: ჩემი პროფესია.

მისამართი: (ბინის). ს. ვირსალაძის 2/4. ტელ.: 98 64 62.

ჩემმა შვილმა იამაყოს ჩემით.

დავით მუსხელიშვილი

ისტორიკოსი, აკადემიკოსი. დაიბადა თბილისში 1928 წ 19 ოქტომბერს. მშობლები: ელენე მუსხელიშვილი, ლევან მუსხელიშვილი; მეუღლე — ნანა მუსხელიშვილი (დ.19306.), შვილები: გიორგი (42 წლის), ვახტანგი (39 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1952). მუშაობდა ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, განყოფილების გამგედ (1956-1996), ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში უფროს სამეცნიერო რედაქტორად (1972-1982). მუშაობს ისტორიისა და ეთნოგრაფის ინსტიტუტში განყოფილების გამგედ (1976 წლიდან). საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა

თემაზე „ციხე-ქალაქი უჯარმა" (1956), სადოქტორო — „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები" (1973). ავტორია მონოგრაფიებისა „ციხე-ქალაქი უჯარმა" (1966), „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები" (I,1977. II,1980), „ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა" (1978)

ჰობი: ჯაზური მუსიკა

მისამართი: (ბინის) დოლიძის 44, ტელ.: 36 74.11; (სამსახურის) მელიქიშვილის 10, ტელ.: 99.06.82.

სამართლიანობა, კაცთმოყვარეობა, სამშობლოს სიყვარული.

ნანა მჭედლიძე

კინორეჟისორი. დაიბადა ხონში 1926 ნ 20 მარტს. მშობლები: ბარბალე ფარცხალაძე, ბიძინა მჭედლიძე; შვილი — მაგდანა (35 ნლის).

დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი (1956), ამავე ინსტიტუტის სარეჟისურო ფაკულტეტი (1960). გამოქვეყნებული აქვს წიგნი „მხიარული მოთხრობები" გადაღებული აქვს მოკლემეტრაჟიანი ფილმები: „მოდის მატარებელი", „აეროპორტი", „გზაში", „ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება", სრულმეტრაჟიანი ფილმები „დიდედები და შვილიშვილები", „პირველი მერცხალი", „ნამდვილი თბილისელი", „იმერული ესკიზები", „უკვდავების თეთრი ვარდი" (საბავშვო), „დანაშაული მოხდა", „პლიაჟის ავაზაკი" (სატელევიზიო).

მისამართი: (ბინის) ანტონოვსკაიას 9ბ, ტელ.:39 40.71.

ჩემი ცხოვრებისეული კრედო და პრინციპები, იდეალები და მიზნები ვეცადე ჩამომეყალიბებინა ჩემს საქმიანობასა და შემოქმედებაში.

ნუგზარ ნადარაია

ფოთის მერი, საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელი. დაიბადა ფოთში 1945 წ 26 თებერვალს. მეუღლე — მანანა ქორიძე, შვილი — ოთარი (19 წლის). დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1967). მუშაობდა საბჭოთა მეურნეობის სამინისტროში სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ (1971-1973), კომპარტიის ცკ-ს ინსტრუქტორად (1974-1975), ხობის რაიკომის პირველ მდივნად (1975-1986). იყო პარლამენტის წევრი და საპარლამენტო ფრაქცია „ნეიტრალების" თავმჯდომარე (1992-1995). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საქართველოს საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ეკონომიკა" (1970). არის ავტორი ხუთი ნაშრომისა და ბიოგრაფიული წიგნისა. დაჯილდოებულია ხალხთა მეგობრობის საპატიო ნიშნისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით (1971-1991) არის მოქალაქეთა კავშირისა და თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის საპატიო წევრი.
ჰობი: თანადგომა თანამდგომთა და პირიქით.
მისამართი: (ბინის) ფოთი, ჩკალოვის 39. (სამსახურის) ფოთი, აღმაშენებლის 10. ტელ.: 2.01.20. 2.25.25.

შთამომავლობისათვის ლეგენდად ქცეულ ფოთელთა თანადგომა აღმაფრთოვანებს, სამოქმედოდ განმაწყობს. წმინდა სამების, წმინდა ნათელ-მირონის მადლით ანთებული სანთელ-საკმეველი თავის გზას არასოდეს დაკარგავს, ტაძრისაკენ მიმავალ ხსნის გზას მუდამ იპოვის. ამიტომაც, გვიყვარდეს ერთმანეთი, რა სჯობს ამას!

გიორგი ნადარეიშვილი

იურისტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დაიბადა აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოში 1926 წ 31 აგვისტოს. მშობლები: თამარ ბესელია, ნესტორ ნადარეიშვილი; მეუღლე — ზოია ღაღანიძე (1934-1996); შვილები: ნინო (33 წლის), მინდია (28 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1952). მუშაობდა იქვე სამართლის ისტორიის კათედრაზე უფროს პრეპარატორად (1953-1957), სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში უმცროს, უფროს, წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად. მუშაობს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის განყოფილების გამგედ (1957 წლიდან) და უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე კათედრის გამგედ (1944 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საოჯახო სამართალი ფეოდალურ საქართველოში" (1955); სადოქტორო — „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან" (1967). გამოქვეყნებული აქვს 16 წიგნი და 230-ზე მეტი სამეცნიერო სტატია.
ჰობი: ახლადგამოცემული (მაღალი დონის) ფილოსოფიური ლიტერატურა.
მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას 80, ბ. 49. ტელ.: 30.06.15; (სამსახურის) გ. ქიქოძის 3. სახელმწიფოსა და სამართლისინსტიტუტი. ტელ.: 98.32.45.

რასაც აკეთებ, ყველაფერში შინაარსი უნდა სჭარბობდეს

ფრაზას. ეცადე იცოცხლო და ძალები შეინახო უკეთესი მომავლისათვის.

თამაზ ნადარეიშვილი

ისტორიკოსი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე. დაიბადა გაგრაში 1954წ. 19 ივლისს. მშობლები: ალექსანდრა შენგელაია, ვლადიმერ ნადარეიშვილი, მეუღლე - ლელა ყურაშვილი (დ. 1956 წ.); შვილები: ანა (18 წლის), ვლადიმერი (17 წლის) დაამთავრა სოხუმის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1982). იყო თბილისის სამხედრო უმაღლესი საარტილერიო სასწავლებლის კურსანტი (1971-1975), აფხაზეთის უშიშროების კომიტეტის გაგრის განყოფილების თანამშრომელი (1975-1979), გაგრის პარტიის ქალაქკომის ინსტრუქტორი, განყოფილების გამგე, მეორე მდივანი (1979-1990), საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990-1992), აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1992), აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს, თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე (1992-1993), საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ვიცე-პრემიერი (1993-1995). აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეა 1995 წლიდან. არის ავტორი წიგნისა „გენოციდი აფხაზეთში" (ნათარგმნია რუსულად, ინგლისურად), დოკუმენტების კრებულისა (ნათარგმნია რუსულად), მრავალრიცხოვანი საგაზეთო პუბლიკაციებისა. არის გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი (1993).

მისამართი: (ბინის) გაგრა, რუსთაველის 75, (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 29, ტელ.: 98.57.48, ფაქსი: 99.71.03.

ჩემი წინაპრები აფხაზეთის თავადები იყვნენ, ამიტომაც გენეტიკურად სისხლში მქონდა გამჯდარი აფხაზეთისადმი განსაკუთრებული სიყვარული და რამდენადაც შემეძლო ნებისმიერ თანამდებობაზე ყოფნისას ვცდილობდი რაღაც სასიკეთო გამეკეთებინა ჩემი მხარისთვის. პროფესიით ისტორიკოსმა კარგად ვიცი ჩემი სამშობლოს — საქართველოს ისტორია. მუდამ ერთიანი, ძლიერი საქართველო იყო ჩემი სალოცავი ხატი, ამიტომაც პრინციპულ წინააღმდეგობას ვუწევდი სეპარატისტთა საქმიანობას. დღეს

კიაზო ნადარეიშვილი

ფიზიოლოგი-რადიობიოლოგი, პროფესორი, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი. დაიბადა სენაკში 1930 წ. 14 იანვარს. მშობლები: ლუბა გოთოშია, შალვა ნადარეიშვილი; მეუღლე — ლატავრა ფოჩიანი (დ.1939წ.). დაამთავრა ლენინგრადის სამხედრო სამედიცინო აკადემია (1953) მუშაობდა საბჭოთა საოკუპაციო ჯარში გერმანიაში მედიცინის სამსახურის ოფიცრის სხვადასხვა თანამდებობაზე (1953-1957), ფიზიოლოგიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1957-1960). ლაბორატორიის, სექტორის და განყოფილების გამგედ (1960-1976), ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში (1976-1990). არის რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის ცენტრის დირექტორი (1990 წლდიან). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „რადიაციის გულსისხლძარღვთა სისტემაზე გავლენის საკითხები" (მოსკოვი, 1966). არის 200-ზე მეტი ნაშრომის ავტორი, მათ შორისაა 12 მონოგრაფიაა და 5 გამოგონება. მომზადებული ჰყავს 7

მეცნიერებათა დოქტორი ითვლება ქართული რადიოლოგიური სკოლის ფუძემდებლად. არის სამი სამეცნიერო საზოგადოების დამაარსებელი და უცვლელი თავმჯდომარე: რადიობიოლოგიის (1968), „ბიო-სამედიცინო ტექნიკის" (1968), „ეკოლოგიის" (1989); მათი პერიოდული გამოცემების — „რადიაციული გამოკვლევები" (გამოდის 1971 წლიდან), „ბიომედტექნიკა" (გამოდის 1970 წლიდან), „ეკოლოგიური პრობლემები" (გამოდის 1990 წლიდან) — დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი. 1995 წელს „ეკოლოგიური საზოგადოების" ბაზაზე შექმნილი „ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის" პრეზიდენტი.

მისამართი: (ბინის) გ. მუხაძის 6, ბ. 2 ტელ.: 22 32 44; (სამსახურის) თელავის 51 ტელ. 74 54 42; 94 20 17

სიკეთე. სამეცნიერო და არა მხოლოდ სამეცნიერო ინფორმაციის ოპერატიულად მოპოვება და სამეცნიერო პრაქტიკაში გამოყენება.

ვარდიკო ნადიბაიძე

თავდაცვის მინისტრი. დაიბადა დუშეთის რაიონის სოფელ მლეთაში 1939 წ. 31 მარტს. პყავს მეუღლე და ორი შვილი. დაამთავრა რიაზანის სამხედრო საავტომობილო სასწავლებელი (1961). ზურგისა და ტრანსპორტის სამხედრო აკადემია (1972). მსახურობდა კიევის სამხედრო ოლქში სხვადასხვა თანამდებობაზე: იყო ავტოსატრანსპორტო ასეულის საავტომობილო ოცეულის მეთაური, ასეულის მეთაურის მოადგილე, ასეულის მეთაური (1961-1965); გერმანიაში დისლოცირებული საბჭოთა ჯარების ჯგუფში იყო საავტომობილო ბატალიონის საბრძოლო მასალებით მომარაგების ასეულის მეთაური (1965-1967). ამერკავკასიის სამხედრო ოლქში იყო პოლკის ავტოსატრანსპორტო სამსახურის უფროსი, ოლქის საავტომობილო სამსახურის რემონტისა და მომარაგების უფროსი ოფიცერი, ოლქის სამხედრო ავტოინსპექციის უფროსი ინსპექტორი, ოლქის ავტოსატრაქტორო სამსახურის უფროსი ინსპექტორი, უფროსის მოადგილე, უფროსი (1972-1992), ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლის მოადგილე (1992-1994). საქართველოს თავდაცვის მინისტრია 1994 წლიდან. დაჯილდოებულია სახელმწიფო ჯილდოებით.

მისამართი: (სამსახურის) უნივერსიტეტის 2, ტელ.:30.31.63, 98.39.29

შოთა ნადირაშვილი

ფსიქოლოგი, პროფესორი, აკადემიკოსი ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. დაიბადა თბილისში 1926 წ. 26 ივნისს. მშობლები: თამარ ბერიშვილი, ალექსანდრე ნადირაშვილი, მეუღლე — ქეთევან ცინცაძე (დ.1932წ.), შვილები. დიმიტრი (35 წლის), ალექსანდრე (32 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1944). მუშაობდა იქვე ასისტენტად, უფროს ასისტენტად, დოცენტად, პროფესორად (1952-1984); ფსიქოლოგიის ინსტიტუტში უფროს, უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, განყოფილების გამგედ, დირექტორის მოადგილედ. დირექტორია (1956 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობა" (1956), სადოქტორო — „განზოგადების ოპერაციის განვითარება სასკოლო ასაკში" (1964). არის 140 სამეცნიერო

სტატიის, 12 მონოგრაფიისა და ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოს ავტორი. მათ შორის „განზოგადების განვითარება სასკოლო ასაკში", „პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია", „აღქმის ფსიქოლოგიური პრობლემები", "Понятие установки в общей и социальной психологии", „განწყობის ფსიქოლოგია" 2 ტომი, "Деятельность и установка" და სხვ. არის უზნაძის სახელობის პრემიის ლაურეატი.

ჰობი: კლასიკური მუსიკის ფირფიტების შეგროვება

მისამართი: (ბინის) სარაჯიშვილის III ჩიხი. 5. ტელ.: 98.22.68. (სამსახურის) პ. იაშვილის 22, ფსიქოლოგიის ინსტიტუტი. ტელ :93.24.54.

ჩემი ცხოვრების ძირითადი საქმიანობა მეცნიერების სამსახური და ახალგაზრდობის ეროვნული ორიენტაციით აღზრდა იყო. ამ ამოცანების სამსახური ცხოვრების მრავალ სიკეთეზე უარის თქმას მოითხოვდა. ბევრი სიძნელე, რომლებიც ამის გამო მქონდა ცხოვრებაში, ადვილად გადავიტანე, რადგან ასე ცხოვრობდნენ ჩემი მასწავლებლები და მშობლები. მე მეამაყებოდა, რომ მათ გზას მივყვებოდი. ამ მიმართულებით მალე ბევრი მიმდევარი და თანამშრომელი შევიძინე. მაგრამ ჩემთვის მაინც მოულოდნელი იყო იმის აღმოჩენა, რომ საზოგადოება თურმე აფასებს ადამიანებს, რომლებიც ასეთი ორიენტაციით ცხოვრობენ. ბოლო ხანებში საზოგადოებისგან დიდი სითბო და პატივისცემა ვიგრძენი.

ნოდარ ნათაძე

ფილოლოგი, ფილოსოფიის ინსტიტუტის კლასიკური მემკვიდრეობის სექტორის გამგე. დაიბადა თბილისში 1929 წ. 27 მაისს. მშობლები: ტატიანა ნათაძე, რევაზ ნათაძე; მეუღლე — ნანა ნათაძე (დ.1939წ.); შვილები:



ერეკლე და ლევანი (25 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1952). მუშაობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1957-1961). იყო უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ენათმეცნიერების (1961-1963), ლიტერატურის (1963-1969) და ფილოსოფიის (1969-1972) ინსტიტუტებში. არის ფილოსოფიის ინსტიტუტში კლასიკური მემკვიდრეობის სექტორის გამგე (1972 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „დრო-კილოთა წარმოება ძველ ქართულში" (1957), სადოქტორო — „რენესანსის პრობლემა ქართულ მწერლობაში" (1965). ავტორია ნიგნებისა: „რუსთველური მიჯნურობა და რენესანსი", „დროთა მიჯნაზე", „მითი და სინამდვილე", „თომა აქვინელის ფილოსოფია", „ადამიანი ადამიანთა შორის", „მიზეზობრიობა და თავისუფლება", „ერი და ეროვნული კულტურა", „ვეფხისტყაოსანი" — კრიტიკული გამოცემა, განმარტებითა და კომენტარებით, მრავალი მეცნიერული, კრიტიკული და პუბლიცისტური სტატიისა. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "Who's Who"

მისართი: (ბინის) ფანასკერტელის 16, ბ. 57 ტელ.: 38.16.32, (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 29. ტელ.: 99.51.62.

შალვა ნათელაშვილი

იურისტი, პარლამენტის ნევრი, ლეიბორისტული პარტიისა და ფრაქცია „ამომრჩეველის" თავმჯდომარე. დაიბადა დუშეთის რაიონის სოფელ ფასანაურში 1957 წ. 12 თებერვალს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1981). მოსკოვში დაამთავრა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა

სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის ასპირანტურა. მუშაობდა პროკურატურის ორგანოებში სტაჟიორად, გამომძიებლად, განყოფილების პროკურორად, უფროს პროკურორად. იყო რესპუბლიკის პროკურატურის პარტიული კომიტეტის მდივანი, განყოფილების უფროსი (1981-1992), იყო პარლამენტის წევრი და იურიდიული კომისიის თავმჯდომარე (1992-1995); არის საპარლამენტო ფრაქცია „ამომრჩეველის" თავმჯდომარე და კოალიცია „ერთიანი საქართველოს" თანათავმჯდომარე, პოლიტიკური ორგანიზაციის „სახელმწიფო სამართლებრივი გაერთიანება" თავმჯდომარე, იურისტთა მსოფლიო ორგანიზაციის წევრი.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ 8, ტელ : 99.62.13, 99.88.63.

ვახტანგ ნანიტაშვილი

ჟურნალისტი, საქართველოს რადიოს გენერალური დირექტორი. დაიბადა თბილისში 1947 წ. 21 ივნისს. მშობლები: ლილი ვასაძე, ბორის ნანიტაშვილი; მეუღლე — ნანა ჭარხალაშვილი (დ.1950წ.); შვილები: ნატო (15 წლის), ნუცა (8 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1973), მუშაობს საქართველოს ტელერადიოკორპორაციაში (1969 წლიდან) უმცროს რედაქტორად, პასუხისმგებელ მდივნად, მთავარი რედაქტორის მოადგილედ, მთავარ რედაქტორად. არის საქართველოს რადიოს გენერალური დირექტორი (1992 წლიდან), ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი. ჟურნალისტთა რამდენიმე პრემიის მფლობელი. მიღებული აქვს ღირსების ორდენი. არის ავტორი საგაზეთო წერილებისა, რადიო და ტელეგადაცემებისა. გ. ლეჟავასთან ერთად დააარსა პროგრამა „პიკის საათი" (1979), რომელმაც ხელი შეუწყო სატელევიზიო გადაცემების „საღამო მშვიდობისა", „ალიონი" და სხვათა ჩამოყალიბებას.
ჰობი: მუსიკა (ბახიდან ოფენბახამდე), ფეხბურთი.
მისამართი: (ბინის) ზანდუკელის 13, ტელ : 99 92.75. (სამსახურის) კოსტავას 68, ტელ.: 36.83.62, ფაქსი. 99.76.07

უღალატობა. კომპეტენტურობა. პროფესიონალი ზმი. სიახლისადმი ლტოლვა. სენტიმენტალი ზმი. ქმნა სიკეთისა.

პაატა ნაცვლიშვილი

ჟურნალისტი, გაზეთ „სამშობლოს" რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1952 წ. 16 ოქტომბერს. მშობლები: ეთერ მეხაშიშვილი, თეიმურაზ ნაცვლიშვილი; მეუღლე — ნინო სხირტლაძე (დ.1967წ.); შვილი — თეონა (10 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება (1974) და ხელოვნების ფაკულტეტი (1976) მუშაობდა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" ლიტმუშაკად (1974-1976), „ახალგაზრდა კომუნისტის" კოპესპონდენტად (1976-1978), ჟურნალ „მართველში" ლიტმუშაკად (1978-1984), საქართველოს საზღვაო ნაოსნობის შორეული ნაოსნობის მეზღვაურად (1980-1984), საქართველოს რადიოში ახალგაზრდული პროგრამების მთავარ რედაქტორად (1984-1985), იყო გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტის" და „ნატვრის თვალის" რედაქტორი (1985-1988), საქართველოს ტელევიზიაში შემოქმედებითი გაერთიანება „სხივის" მთავარი რედაქტორი (1994), 1988 წლიდან მუშაობს გაზეთ „სამშობლოს" რედაქტორად. ავტორია წიგნებისა: „ქაღალდის ნერო" (1981), „ადით ბიჭებო ჯომოლუნგმაზე" (1983), „მოგზაურობა არგოთი" (1985), „ბედნიერი ჭირისუფალი" (1986), „ქაღალდის



წერო-6" (1986), „საქართველოს მიწა" (1994), „სიყვარულის დასანყისი" (ლექსების კრებული) (1986), „სიყვარულის გაგრძელება" (1993). მისი ლექსები თარგმნილია რამდენიმე უცხო ენაზე. მუშაობს პროზაში, დრამატურგიასა და მხატვრულ თარგმანში. გატაცებულია მოგზაურობით, მისი საზღვარგარეთული რეპორტაჟები და შთაბეჭდილებები უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სისტემატურად გადაიცემა საქართველოს ტელევიზიით, იბეჭდება პრესაში. არის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრი, ვიცე-პრეზიდენტი (1981-1996), ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციისა და სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, ქართველ ჟურნალისტთა საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი (1994) და თანათავმჯდომარე. ცნობილია, როგორც მრავალმხრივი ინტერესების მქონე კოლექციონერი, ბიბლიოფილი და ფილატელისტი. არის სამარკო საქმის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი საქართველოში. იღნვის უცხოეთში დაცული ქართული სიძველეების გამოვლენის, შესწავლისა და საქართველოში ჩამოტანისათვის.

პობი: მოზაურობა, მთამსვლელობა, ზღვაოსნობა, ფილატელია.

მისამართი: (ბინის), მარჯანიშვილის 2 ბ. 18.ტელ.: 96 30 03. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 42, ტელ..93 56 25. ფაქსი: 93.68.44.

ნანა ნემსაძე

ბიოლოგი, ბიოლოგიური მეურნეობა „ელკანა"-ს პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1937 წ. 8 იანვარს. მშობლები: ქეთევან გილაშვილი, პროკოფი ნემსაძე; მეუღლე — ლევან რცხილაძე (დ.1935წ.); შვილები: ქეთევანი (37 წლის), გიორგი (35 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1960) და ასპირანტურა (1964), მუშაობდა იქვე მცენარეთა ფიზიო-

ლოგიის კათედრაზე ასისტენტად, დოცენტად (1964-1967; 1967-1981). იყო ეკოლოგიის კათედრის დოცენტი (1981-1995), საქართველოს მწვანეთა მოძრაობის დამფუძნებელი და თანათავმჯდომარე (1988-1995), საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვის კომისიაში ექსპერტი (1993-1995). არის „საქართველოს მწვანეების" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე (1995 წლიდან), ბიოლოგიური მეურნეობის ასოციაცია „ელკანას" დამფუძნებელი და პრეზიდენტი (1993 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მიკროელემენტებით თესლის თესვისწინა დამუშავების გავლენა სოიაზე" (1967). ავტორია მრავალი მეცნიერული სტატია.

პობი: სპორტული ტურიზმი (ახალგაზრდობაში) მოგზაურობა, ყვავილები.

მისამართი: (ბინის) თარხნიშვილის ჩიხი 9. ტელ.: 22 67 92; (სამსახურის) დავით აღმაშენებლის გამზ. 182, ტელ.: 95.20.33, ფაქსი: 22.19 65. ელ ფოსტა: KOBA @ ELCANA Ge

არაძალადობა, „ღია" ურთიერთობები, გულწრფელობა, სხვისი ინტერესების გათვალისწინება, მექრთამეობის, „ჩანყობის" კატეგორიულად უარყოფა. ხელს ვკიდებ მხოლოდ იმ საქმეს, რომელიც მაინტერესებს და საჭიროდ მიმაჩნია. არავის ვაიძულებ გააკეთოს საქმე ჩემი სურვილით. თვითონ უნდა ესმოდეს მისი საქმიანობის აუცილებლობა.

ნიკო ნიკოლოზიშვილი

ფილოლოგი, ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1965

ნ. 9 მაისს. მშობლები: ნატალია ოქრომჭედლიშვილი, ალექსანდრე ნიკოლოზიშვილი; მეუღლე — ანდრეა ადამოვიჩოვა (დ.1963ნ.); შვილები: მარიამ-ნატო (6 წლის), ალექსი (5 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1988), თბილისის სასულიერო აკადემიის ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტი (1995). იყო გაზეთ „ივერია-ექსპრესის" მთავარი რედაქტორი (1993-1995). არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1989 წლის). აქვეყნებდა სტატიებს ფილოლოგიის, კულტურისა და რელიგიის ისტორიის საკითხების შესახებ, პუბლიცისტურ წერილებს არის უნივერსიტეტის „პრეს-კლუბის", „ბიზანტიური სახლისა" და „საქართველოს პოლიტიკური კლუბის" წევრი

ჰობი: წიგნების კითხვა, მანქანით შორ გზებზე სეირნობა.

მისამართი: (ბინის) დიდუბის 4. I კორპ ბ. 10. ტელ.: 35.27 72. (სამსახურის) შარტავავა 7 ტელ.: 38 15.53 ფაქსი. 93 33 40.

მართლმადიდებლობა, სამშობლოსა და ოჯახის სიყვარული. ვცდილობ, ყველა საქმეს მივუდგე პროფესიულად და პასუხისმგებლობის გრძნობით.

თედო ნინიძე

იურისტი, საქართველოს იუსტიციის მინისტრი. დაიბადა ოზურგეთის რაიონის სოფელ ასკანაში 1950 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1971), სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა (1974), უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის გერმანული ფაკულტეტის 3 კურსი. მუშაობდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უმცროს და უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1975-1978), კომპარტიის ცკ-ს ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორად (1978-1984), იუსტიციის მინისტრის მოადგილედ (1984-1988), სამართლის საფუძვლების კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებლად (1988), სექტორის გამგედ (1988-1989). იყო ჟურნალ „სამართლის" რედაქტორი (1988-1992), უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1991-1992), საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი (1992-1993), 1993 წლიდან საქართველოს იუსტიციის მინისტრია. არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები და მონოგრაფია.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 30. ტელ.: 98.92.52; 93 27.21. ფაქსი: 99.02.25.

ირმა ნორაძე

ბალერინა, სანკტ-პეტერბურგის დიდი თეატრის პრიმა-ბალერინა. დაიბადა თბილისში 1969 წ. 15 ივნისს. მშობლები: ჟონა მაჭარაშვილი, ამირან ნორაძე; მეუღლე — გოჩა ჩხაიძე (დ.1968ნ.). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებელი სერაფიმა ვეკუასა და ვახტანგ ჭაბუკიანის ხელმძღვანელობით (1987). იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი (1986-1988); პეტერბურგის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის სტაჟიორი (საფრონოვას კლასი) (1988-

1989). არის პეტერბურგის მარინის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, პრიმა ბალერინა (1991 წლიდან). ცეკვავდა მთავარ პარტიებს სპექტაკლებში: „უიზელი", „სერენადა", „რომეო და ჯულიეტა", „გედის ტბა", „ამორძალები", „ლაურენსია", „დემონი", „ბახჩისარაის შადრევანი", „ლეგენდა სიყვარულზე", „დონ კიხოტი", „მძინარე მზეთუნახავი", „ფასკუნჯი", „კორსარი", „რაიმონდა", „ბაიადერი", „გოია" (ხოსე ანტონინონი), „დო მაჟორი" (ბალანჩინი), „ბროლის სასახლე" და სხვ. არის აშშ მსოფლიო საერთაშორისო საბალეტო კონკურსის ლაურეატი (ჯექსონი 1990).
პობი: ვიოლინო, პერბარიუმი.
მისამართი: (ბინის) თბილისი, ვაჟა-ფშაველას 73ა, IV კორპ. ბ. 82 სანკტ-პეტერბურგი, Крюков канал 5 кв 32. ტელ. და ფაქსი: 272.69.53.

მივაღწიო სრულყოფას საბალეტო ხელოვნებაში. ჩემი ცხოვრების იდეალია ნინო ანანიაშვილი.

ზურაბ ნიჟარაძე

მხატვარი, პროფესორი, საქართველოს სახალხო მხატვარი. დაიბადა თბილისში 1928 წ. 4 დეკემბერს. მშობლები: მართა თარხნიშვილი, არჩილ ნიჟარაძე; მეუღლე — ციცინო ციციშვილი (დ.1936ნ.); შვილები: ნინო (37 წლის), ანნა (27 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1955). იყო სამხატვრო აკადემიის ხატვის კათედრის პედაგოგი (1964-1971), რექტორი (1982-1987). მუშაობს მხატვრობის სხვადასხვა დარგში: ფერწერა, გრაფიკა, თეატრალური, კინო და კედლის მხატვრობა. არის რუსთაველის პრემიის ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში.
პობი: ყველა აზარტული თამაში (ჩოგბურთიდან ჭადრაკის ჩათვლით).
მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 39, ტელ.: 23.56.89.

შემოქმედება ხელმისაწვდომი თავისუფლების პირობებში.

გია ნოდია

ფილოსოფოსი, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა მოსკოვში 1954 წ. 4 სექტემბერს. მშობლები: ნელი ნოდია, ოთარ ნოდია; მეუღლე — ზეინაბ სარაძე (დ.1948ნ.), შვილი — ელენე (16 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1976). მუშაობდა ფილოსოფიის ინსტიტუტში ჯერ უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, შემდეგ სწავლულ მდივნად, განყოფილების გამგედ და უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1980-1995). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „შრომის კატეგორია და მარქსისტული ჰუმანიზმი" (1982). გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და 3 წიგნი: "Категория труда и марксистский гуманизм" (1985), „თამაშის კატეგორია მარქსისტულ ფილოსოფიაში" (1986), „საით?" (1995)

პობი: ფეხბურთი.
მისამართი: (ბინის) ნუცუბიძის პლატო III მ/რ, I კვ. XIII კორპ., ბ. 30. ტელ.: 31.49.83. (სამსახურის) აღმაშენებლის გამზ. 89/24, ტელ.: 95.32.87 ფაქსი: 95.44.97 ელ. ფოსტა: Ghian@cipdd.ge

არ უნდა იყო ზედმეტად თანმიმდევრული (მათ შორის ამ პრინციპის განხორციელებაში).

ზურაბ ნოლაიდელი

ფიზიკოსი, პარლამენტის წევრი. დაიბადა ქობულეთში 1964 ნ. 22 ოქტომბერს. დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი ნახევარგამტარების ოპტიკის სპეციალობით (1988). მუშაობდა გეოგრაფიის ინსტიტუტის ბათუმის სადგურში ლაბორანტად (1988-1989), ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ლაბორანტად, უფროს ლაბორანტად, ლაბორატორიის გამგედ (1989-1992). სტაჟირება გაიარა ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის ინსტიტუტში, ტალინში (1989-1990). 1992 ნელს აირჩიეს საქართველოს მნვანეების აღმასრულებელ მდივნად, პარლამენტის წევრად, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარედ. 1995 ნელს — მეორე მონვევის პარლამენტის წევრად.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. ტელ.: 93.52.08

შალვა ობგაიძე

საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში დაიბადა თბილისში 1960 წ. 6 ნოემბერს. მშობლები. ნელი ჯანაშვილი, ვალერიან ობგაიძე; მეუღლე — ქეთევან შარაბიძე (დ.1960წ.); შვილები: გიორგი (16 წლის), ლევანი (11 წლის). დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომექანიკის ფაკულტეტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით (1981). მუშაობდა კვლევით ინსტიტუტში. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ჩაბმული იყო ეროვნულ მოძრაობაში, მწვანეთა პარტიის საქმიანობაში, მონაწილეობდა აფხაზეთის ომში. იყო თბილისის ვიცე-მერი. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო სტატია არის მოქალაქეთა კავშირის წევრი.
ჰობი: ავტოსპორტი, ფეხბურთი.
მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას 47 ტელ.: 98.76.25; (სამსახურის) მცხეთა, აღმაშენებლის 73, 99.90.40.

სიკეთე, სიკეთის თესვა. „მთავარი ის კი არ არის, რას ფიქრობს ხალხი შენზე, მთავარი ის არის, შენ რა გაქვს გაკეთებული ხალხისათვის“ კ. გამსახურდია.

ვაჟა ოკუჯავა

ნეიროფიზიოლოგი, ნევროლოგი, ნეიროფარმაკოლოგი, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ნევროლოგიის განყოფილების გამგე, აკადემიკოსი. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1930 წ. 25 თებერვალს. მშობლები: ნინო მოდებაძე, მიხეილ ოკუჯავა; მეუღლე — ზეინაბ ანთაძე (დ.1936წ.); შვილები: ნათელა (30 წლის), მაია (28 წლის), მიხეილი (26 წლსი). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (1956). მუშაობს კლინიკური და ექსპერიმენტული ნეიროლოგიის ინსტიტუტში განყოფილების გამგედ (1961 წლიდან). იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორი (1967-1995), სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი მეცნიერების დარგში (1973-1975), მეცნიერებათა აკადემიაში ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (1975-1980), ფიზიოლოგიის ინსტიტუტში უჯრედის ფიზიოლოგიის, პათოლოგიის და ფარმაკოლოგიის ლაბორატორიის გამგე (1978-1988), არის უნივერსიტეტში ნეირობიოლოგიის ლაბორატორიის (1985 წლიდან) და სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტში განყოფილების გამგე (1993 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქში დენდრიტთა აქტივობის ელექტროფიზიოლოგიური და ფარმაკოლოგიური ანალიზი“ (1960), სადოქტორო — „ეპილეფსიური აქტივობის ძირითადი ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები“ (1966). იყო საერთაშორისო ჟურნალების „Нейрофизиология“ (1975-1991) "Electroencephalography and Clinical Neurophysiology" (1978-1988) სარედაქციო საბჭოს წევრი. არის მეცნიერებათა აკადემიის „მაცნეს“ (ბიოლოგიის სერია) მთავარი რედაქტორი (1975 წლიდან) და საერთაშორისო ჟურნალ "Epilepsy Research"-ის რედკოლეგიის წევრი (1997 წლიდან). არის 250 სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი, მათ შორისაა 4

მონოგრაფია, ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO) წევრი (1962 წლიდან), საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი (1975 წლიდან) მრავალი საერთაშორისო სიმპოზიუმისა და კონგრესის მონაწილე; თბილისში IBRO-ს საერთაშორისო სიმპოზიუმების ორგანიზატორი (1978, 1982) მისი ხელმძღვანელობით დაცულია 6 სადოქტორო და 21 საკანდიდატო დისერტაცია.

ᲰᲝᲑᲘ: კლასიკური მუსიკა, მხატვრული ლიტერატურა, ჩოგბურთი.

ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (ბინის), ი. ნიკოლაძის 6, ბ 22; ტელ 23.35 51, (სამსახურის) ასათიანის 7ა, ტელ.. 66.20.54, ფაქსი: 22 19.65 ელ ფოსტა devi@presid acnet ge

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲐᲕᲓᲔᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲥᲪᲔᲕᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ: ᲨᲔᲔᲪᲐᲓᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲰᲙᲠᲐᲗ; ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲙᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲙᲐᲪᲠᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲒᲐᲜᲡᲣᲚᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲖᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲧᲣᲠᲘᲗ ᲛᲝᲞᲧᲠᲝᲑᲐ, ᲜᲐᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲒᲐᲬᲔᲕᲐᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲐ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲗᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲐ.

თენგიზ ონიანი

ნეიროფიზიოლოგი, პროფესორი, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. საქართველოს პარლამენტის წევრი, დაიბადა ლენტეხის რაიონის სოფელ სასაში 1928 წ 25 ივნისს. მშობლები: აგრაფინა ფოჩიანი, ნესტორ ონიანი; მეუღლე — ელისო კეცხოველი (დ.1930წ.); შვილები: ნიკოლოზი (40 წლის), ლელა (38 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი (1954). მუშაობდა უნივერსიტეტის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრაზე სალექციო ასისტენტად (1954-1958), ფიზიოლოგის ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1958-1968), დირექტორად (1975-1980). ამჟამად ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1961 წლიდან), მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (1980 წლიდან) და საქართველოს პარლამენტის წევრია (1996 წლიდან). საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „ნერვ-კუნთოვანი აპარატის შედარებითი ფიზიოლოგიის საკითხები" (1958), სადოქტორო — „მემბრანო-მიოფიბრილური ურთიერთობანი კუნთოვან ბოჭკოებში" (1964). გამოქვეყნებული აქვს 200-მდე სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის წიგნები: „ნერვ-კუნთოვანი აპარატის შედარებითი ფიზიოლოგიის საკითხები", „მემბრანო-მიოფიბრილური ურთიერთობანი კუნთოვან ბოჭკოში", „ლიმფური სისტემის ინტეგრაციული ფუნქციები", „მეხსიერების და ძილ-ღვიძილის ციკლის ნეიროფიზიოლოგია" (ოთხი კრებული) და სხვ. ავტორია მოთხრობების კრებულებისა: „ბასრა და ბენჩა", „ბეთქილის ბილიკები", „ლაშხეთიდან ზეკარამდე". არის ივანე თარხნიშვილისა (1966) და ივანე ბერიტაშვილის სახელობის (1983) პრემიების ლაურეატი. უნგრეთის ფიზიოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრი, „IBRO"-ს, „ინტერმოზგ"-ის, ძილის შემსწავლელი მსოფლიო და ევროპული ასოციაციების, საქართველოს ფიზიოლოგთა და აგრესიის შემსწავლელი საზოგადოების წევრი. მისი ბიოგრაფიული ცნობები შეტანილია ცნობარებში: "The International Directory of Distinguished Leadership", კიევში გამოცემულ ცნობარში „საბჭოთა ფიზიოლოგები".

ᲰᲝᲑᲘ: ლიტერატურული შემოქმედება,

ტურიზმი.
მისამართი: (ბინის). გოთუას 16. ბ. 114. ტელ.: 37.43.13; 22.46.36; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8 ტელ.: 94.12 04.

პატიოსანი შრომა ოჯახსა და საზოგადოებაში. „ცოტა მაქვს, ცოტას ვჯერდები, სანყალთაც გავუზიარებ;/ სიკეთისათვის სიკეთეს არავის დავუგვიანებ,/ ავის თქმით, ავის ენითა/ გულს არვის დავუზიანებ." (ვაჟა-ფშაველა).

ნატო ონიანი

ჟურნალისტი, საქტელერადიო კორპორაციის ინფორმაციის მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი. დაიბადა ქობულეთში 1961 ნ. 23 ივლისს. მშობლები: მერი თენიეშვილი, ჟორა (გიორგი) ონიანი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი (1985). მუშაობდა საქართველოს რადიოს პოლიტიკურ გადაცემათა რედაქციაში რედაქტორად (1985), „პიკის საათის" რედაქტორად და ინფორმაციის რედაქციის მთავარი რედაქტორის მოადგილედ (1989-1992); ტელეკომპანია II არხის ინფორმაციის რედაქციის მთავარ რედაქტორად (1992-1996). არხის ინფორმაციის რედაქციის მთ. რედაქტორია 1996 წლიდან. არის ავტორი გადაცემებისა: „პიკის საათი", „მაცნე", კლუბი „კონტაქტი", „ინტერკურიერი", „ტაიმ-აუტი", ორშაბათის რადიო-ინტერვიუებისა. არის ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.
ჰობი: მუსიკა, დეტექტივების კითხვა, გადაცემებზე მუშაობა, კარგი აუდიო-ვიდეო ტექნიკა, ავტომანქანები, პარფიუმერია და მოგზაურობა. ჰყავს ძაღლი.

მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 68. ტელ.: 36.83 50. ფაქსი: 93.53.76.

უნდა ეცადო, რომ იყო მართალი — პირველ რიგში, საკუთარ თავთან. გააკეთე სხვისთვის ის, რასაც სხვებისგან ითხოვ, ნუ მოერიდები სიახლეებს და მდგომარეობის (სიტუაციის) ცვლილებებს. ყოველთვის ვცდილობდი, მყოლოდა ბევრი ახალი ნაცნობი და მეგობრების მკაცრად განსაზღვრული წრე. ვარ კომუნიკაბელური. საერთოდ მიყვარს სიახლეები და ცვლილებები. ვცდილობ, შესაძლებლობების ფარგლებში, ვმართო და ვაკონტრლო საკუთარი თავი. ვარ ემოციური, მაგრამ — არავითარ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების დროს.

დავით ონოფრიშვილი

ეკონომისტი, პარლამენტის წევრი, ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1961 ნ. 8 იანვარს. მშობლები: ლიანა თაბაგარი, თენგიზ ონოფრიშვილი; მეუღლე — ნატო ფანჩულიძე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის სპეციალობით (1984), რუსეთის სახალხო მეურნეობის პროგნოზირების ინსტიტუტის ასპირანტურა (1991), კოლუმბიის უნივერსიტეტი (ნიუ-იორკი 1994). მუშაობდა თბილისის ინსტრუმენტალურ ქარხანაში მუშად (1978-1979), სახალხო მეურნეობის მართვის

ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად (1984-1987), ბუნებრივი რესურსების მართვის ინსტიტუტში ლექტორად (1992), კონცერნ „საქართველოში" უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგედ (1992). ფინანსთა სამინისტროში უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილედ (1993), მინისტრთა კაბინეტში ეკონომიკური განყოფილების წამყვან სახელმწიფო მრჩეველად (1993), მსოფლიო ბანკში ვაშინგტონში ექსპერტ-კონულტანტად (1994-1995). საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარეა 1995 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ტურიზმისა და დასვენების სფეროს ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის გარდაქმნა" (საქართველოს მაგალითზე) (1991). არის 15-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი, გამოქვეყნებული აქვს სტატიები აშშ-სა და ინგლისში, თანავტორებთან ერთად Political, Economic and Interethnic Developments in the Republic of Georgia, (University Press of America, Washington D C 1995), Georgia From Central Planning to Hyperinflation (Communist Economics and Economic Transformation vol 6 N3 London 1994.). Georgia (John Williamson, ed., Economic Consequences of Soviet Disintegration. Washinton D C, 1993). კითხულობდა ლექციებს საქართველოს შესახებ აშშ-ს კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში.
ჰობი: სპორტი, მუსიკა, ლაშქრობა, მოგზაურობა.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, ტელ.:99.74.82, ფაქსი: 93.19.22; ელ. ფოსტა: donopri @ parliament.ge

ნიკო ორველაშვილი

ეკონომისტი, საქართველოში ეკონომიური ცოდნის გავრცელების ფონდის Junior Achievment-GEORGIA პრეზიდენტი. დაიბადა გურჯაანში 1963 წ. 19 აპრილს. მშობლები: ქეთევან კუტიბაშვილი, რევაზ ორველაშვილი; მეუღლე — ლელა შაველაშვილი; შვილი — რუსუდანი (4 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1985) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა (1988). მუშაობდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერთანამშრომლად (1988-1990), ჟურნალ „ეკონომიკაში" საერთო ეკონომიკური განყოფილების რედაქტორად (1990-1992), ეკონომიკის სამინისტროში განყოფილების უფროსად (1991-1992). იყო საქართველოს პარლამენტის ექსპერტი (1992-1993). ამჟამად საგარეო ეკონომიკის რეფორმებისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრის საბჭოს თავმჯდომარეა (1994 წლიდან) გამოქვეყნებული აქვს მეცნიერული ნაშრომები და მრავალი სტატია.
ჰობი: კლასიკური მუსიკა (განსაკუთრებით საგიტარო), პოეზია.
მისამართი: (ბინის) ზაზა ბენდელიანის 3, ბ. 44. (სამსახურის) 26 მაისის მოედანი 2; ტელ.: 98.47.06; ფაქსი: 94.15.04. ელ. ფოსტა: niko @ gedi.org ge

ვაკეთო ის, რასაც საჭიროდ ვთვლი, არ წავიდე გაუმართლებელ კომპრომისზე და, არსაც ვაკეთებ, შეძლებისდაგვარად მაღალ დონეზე ვაკეთო.

გიორგი ოჩიაური

მოქანდაკე, მხატვართა კავშირის თავმჯდომარე. საქართველოს სახალხო მხატვარი. დაიბადა სოფელ შუაფხოში 1927 წ. 10 იანვარს. მშობლები: ნათელა ბალიაური, ალექსი ოჩიაური; მეუღლე — გულნაზი ლორთქიფანიძე (დ.1928წ.); შვილები: ნანა (41 წლის), ხათუნა (37 წლის). დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია (1953). არის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი (1991). მუშაობს დაზგურ ქანდაკებაში

და მონუმენტურ გრაფიკაში.
პობი: სიცოცხლე.
მისამართი: (ბინის) ნუცუბიძის 151, ტელ.: 31.21.95; (სამსახურის) გრიბოედოვის 22 ტელ.: 93.69.59, 93.68.93.

სახარების ათი მცნება.

ვლადიმერ პაპავა

ეკონომისტი, საქართველოს ეკონომიკის მინისტრი. დაიბადა თბილისში 1955 წელს პყავს მეუღლე და ორი შვილი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი კიბერნეტიკის სპეციალობით (1977). მუშაობდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1977-1978). იყო ცენტრალური ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის სტაჟიორ-მკვლევარ-ასპირანტი (1978-1982). მუშაობდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, წამყვან და მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად (1982-1991), ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორად (1991-1994). 1994 წლიდან საქართველოს ეკონომიკის მინისტრია.

მისამართი:(სამსახურის) ჭანტურიას 12. ტელ.:23.09.25. 23.58.82; ფაქსი: 98.27 43.

ზაზა პაპუაშვილი

მსახიობი. დაიბადა თბილისში 1964 წ. 20 ოქტომბერს. მშობლები: ლალი ადამია, გურამ პაპუაშვილი: შვილი — ჯაბა (5 წლის). დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1986). არის რუსთაველის თეატრის მსახიობი. მონაწილეობდა

სპექტაკლებში: ირაკლი სამსონაძის „ბედნიერი ბილეთი" (გია), კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი", „ირინეს ბედნიერება" (კირილე, აბესალო). შექსპირის „მაკბეტი" (მაკბეტი), „პამლეტი", (კლავდიუსი), გრიგოლ რობაქიძის „ლამარა" (მინდია), კალდერონის „ცხოვრება სიზმარია" (სეხიზმუნდო). მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია (1996). **მისამართი:** (ბინის) უზნაძის 79/81 ტელ.: 95.95.96. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 17, ტელ.: 99.63.73

სიყვარული. დიდი სიყვარული. შრომა, ბევრი შრომა. სილაღე. იუმორი. დიდი მეგობრობა. არდაკარგული. მადლიერება. კარგი ქალაქელობა.

ვლადიმერ პატეიშვილი

ეკონომისტი, ბანკირი, სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის" პრეზიდენტი. დაიბადა ოზურგეთის რაიონის სოფელ ძიმითში 1933 წ. 29 მარტს. მშობლები: თამარ მაისურაძე-პატეიშვილისა, ალექსანდრე პატეიშვილი; მეუღლე — მანონ ჩხიკვაძე (დ. 1947 წ.); შვილები: თამარი (27 წლის), ალექსანდრე (10 წლის). დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო ეკონომიკის ინსტიტუტი (1957). მუშაობდა

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. იყო განყოფილების ინჟინერი, საამქროს ინჟინერ -ნორმადარი, შრომის ორგანიზაციის განყოფილების უფროსის მოადგილე (1957-1963), სახალხო კონტრო-

ლის კომიტეტში განყოფილების ინ-სპექტორი (1963-1970), რუსთავის მეტა-ლურგიული ქარხნის დირექტორის მოადგილე, მთავარი ეკონომისტი (1971-1973), რუსთავის ქალაქკომის მდივანი (1971-1973); საქართველოს კო-მპარტიის ცეკას ინსპექტორი (1973); სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი (1973-1977); საქართვე-ლოს რესპუბლიკური ბანკის თავმჯ-დომარე (1977-1991); საქართველოს სახელმწიფო შემნახველი ბანკის გამ-გეობის თავმჯდომარე (1992-1994). სააქციო საზოგადოება „საქართვე-ლოს ბანკის" პრეზიდენტია 1994 წლ-იდან. საკანდიდატო დისერტაცია და-იცვა თემაზე „შავი მეტალურგიის ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესების ეკონომიკური ეფექ-ტიანობა". ავტორია 30-მდე მეცნიერუ-ლი ნაშრომისა, რომლებიც გამოქვეყ-ნებულია საქართველოსა და საზღ-ვარგარეთის ჟურნალებსა და გაზეთებში. მისი ბიოგრაფია შეტა-ნილია ცნობარში „ვინ ვინ არის ყო-ფილ საბჭოთა კავშირში" (1994).

ჰობი: წიგნები, განსაკუთრებით ისტო-რიული.

მისამართი: (ბინის) ატენის 18ა, (სამსახ-ურის). პუშკინის 3. ტელ.: 99.77.26.

სიმართლე, პატიოსნება, ერთგულება — ცხოვრების ნებისმიერ უბანზე და ნებისმიერ დროს. ამასთანავე მიმაჩნია, რომ ადამიანებთან ურთიერთობაში არ არსებობს უფრო დიდი მცნება, ვიდრე ქრისტეს შეგონებაა: როგორც შენ გინდა მოგექცნენ, ისე მოექეცი სხვებს. ვცდილობ ყოველთვის მივდიო ამ სიბრძნეს. დანარჩენი უკვე ჩემზე აღარ არის დამოკიდებული.

თენგიზ პაჭკორია

ისტორიკოსი, ჟურნალისტი, საქინფორ-მის სოხუმის კორპუნქტის ხელმძღვ-ანელი, იტარ-ტასის საკუთრი კორე-სპონდენტი საქართველოში. დაიბადა

ნალენჯიხის რა-იონის სოფელ ლი-აში 1960 წ. 2 იან-ვარს. მშობლები: ნანული ქაჯაია, ბოჩია პაჭკორია; მეუღლე — ნანა გუგუციძე (დ. 1968 წ.). შვილი — თე-ონა (8 წლის) და-ამთავრა დონეცკ-ის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულ-ტეტი (1981). მუშაობდა სოხუმის სუბ-ტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში ისტორიის მასწავლებლად (1983-1987), გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" (1988-1990), გაზეთ „ლელოს" (1989-1992), საქართველოს რადიოს და „სვობოდ-ნაია გრუზია"-ს (1990-1993), „ნეზავისი-მაია გაზეტას" (1991-1995) საკუთარ კო-რესპონდენტად აფხაზეთში. არის საქ-ინფორმის სოხუმის კორპუნქტის ხე-ლმძღვანელი (1993 წლიდან), „იტარ-ტასის" საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში (1995 წლიდან). გამო-ქვეყნებულია მისი ასამდე სტატია საქართველოს, რუსეთის („ნეზავისიმა-ია გაზეტა", „იზვესტია", „სპორტ-ექსპრესი") გაზეთებსა და ჟურნალში „ვოპროსი ისტორიი" არის ნიკო ნი-კოლაძის პრემიის ლაურეატი (1993).

ჰობი: ფეხბურთი.

მისამართი: (ბინის) მოსაშვილის 2/34, ტელ.: 98.95.47; (სამსახურის) რუს-თაველის გამზ. 42 ტელ.: 98.95.47 ფაქსი: 29.28.52

ბავშვობიდან გაცნობიერებული მაქვს, რომ ადამიანი თავად უნდა იყოს თავისი თავის ბატონ-პატრონი. ჩემთვის მთავარია შინაგანი თავისუფლება. ჩემი მსოფლმეხედველობისა და ინდივიდუალური თვისებების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართულმა და უცხოურმა ლიტერატურამ, დასავლეთის რადიოსადგურების გადაცემებმა, რომლებსაც 70-იან წლებში, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს,

ეუსმენდი. პროფესიონალ ჟურნალისტს შეუძლია სერიოზული გაკვლევა მოახდინოს ქვეყნის ისტორიულ და კულტურულ განვითარებაზე, ადამიანის ფსიქიკის ჩამოყალიბებაზე. პროფესიონალ ჟურნალისტს უნდა ახასიათებდეს ფანტასტიკური შრომისმოყვარეობა და სიზუსტე. პიროვნულად იდეალი არ მყოლია, ყველა ძლიერ ადამიანში ვეძებდი გარკვეულ თვისებებს, რომლებიც მე მიბიძავდა. ჩემი ოცნება და მიზანია მოვესწრო იმას, რომ სოხუმიდან თავისუფლად გადავალ რეპორტაჟები საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებს, როგორც ამას ვაკეთებდი 1993 წლის 20 თებერვლამდე, სოხუმში ჩემი სახლის დაბომბვამდე, როცა დაიღუპა მამა, დაიჭრა დედა და ოთხი ჭრილობა მივიღე მე.

გიორგი პიპინაშვილი

მსახიობი, საზოგადოებრივი გარეთიანება „ართ პოლის“ გენერალური დირექტორი. დაიბადა თბილისში 1958 წ. 28 აგვისტოს. მშობლები: იზა ცუცქირიძე, ნოდარ პიპინაშვილი; მეუღლე — თამუნა კობერიძე (დ. 1969 წ); შვილი — ანა (2 წლის). დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1980). მონაწილეობდა მხატვრულ ფილმებში: „გარიგება“, „მიზერერე“, „დონ უანის დაბადება“, სპექტაკლებში: „ჩვენი პატარა ქალაქი“, „ბაკულას ღორები“, „ამფიტრიონი“, „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და სხვ.

ᲰᲝᲑᲘ: მხატვრობა, ჭედურობა, ხის დამუშავება, გობელენი, ტელერეჟისურა. მისამართი: (ბინის) დგებუაძის 2. ტელ.: 95.09.11. (სამსახურის) აღმაშენებლის გამზ. 164 და 154, ტელ.: 34.07.86 (თეატრი) 95.36.57 („ართ პოლი“).

პროფესია, პროფესიონალიზმი, ბევრი მეგობარი, იუმორი, ოჯახი, შვილი. ვცდილობდი ყოველთვის ვყოფილიყავი პრინციპული, ერთგული, სამართლიანი, მეოჯახე და სასურველი მეგობარი ჩემი მეგობრებისათვის.



ზურაბ ჟვანია

ბიოლოგი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დაიბადა თბილისში 1963 წ 9 დეკემბერს. მშობლები: რემა ანტონოვა, ბესარიონ ჟვანია; მეუღლე — ნინო ქადაგიძე (დ.1965წ). შვილები. ლიზა (3 წლის), ბესარიონი (5 თვის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი (1985). მუშაობდა იქვე ბიოლოგიის ფაკულტეტის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრაზე უფროს ლაბორანტად, უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1985-1992). იყო საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე (1988-1993) მწვანეთა პარტიის სპიკერი (1990-1993), ევროპის მწვანეთა გაერთიანების თანათავმჯდომარე (1992-1993). 1993 წლიდან საქართველოს მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივანია. არჩეული იყო პარლამენტის წევრად და ხელმძღვანელობდა მწვანეთა ფრაქციას (1992-1995). 1995 წლიდან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეა.

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის აგმზ. 8. ტელ.: 99.57.62, 98.74.50.

ნოდარ ჟვანია

მუსიკოსი, ალტისტი, პროფესორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი. დაიბადა ქუთაისში 1945 წ. 26 მარტს. მშობლები: თინათინ მაჭავარიანი, არჩილ ჟვანია; მეუღლე — სალომე გაბუნია (დ 1951წ.); შვილები: არჩილი (18 წლის), ელენე (13 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1968). მუშაობდა სახელმწიფო კამერულ ორკესტრში (1964-1966), თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ვიოლინოსა და ალტის კათედრის გამგედ (1991-1993). მუშაობს სახელმწიფო სიმებიან კვარტეტში (1966 წლიდან), და სახელმწიფო კამერულ ორკესტრში (ქ. ინგოლშტატში) 1993 წლიდან. არის რუსთაველის, ზ. ფალიაშვილის პრემიების ამიერკავკასიის კონკურსის და ლ. ვაინერის სახელობის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი (კვარტეტთან ერთად)

ჰობი: ცურვა, ნყლის თხილამურები, ტურიზმი.

მისამართი: (ბინის) ფალიაშვილის 6, ტელ.: 23.58.67

დაუზოგავი, თანმიმდევრული შრომა. საქმისა და ახლობლების ერთგულება და სიყვარული. ოჯახი, მეგობრები. გულწრფელობა და პატიოსნება ყოველგვარ საქმიან თუ პირად ურთიერთობაში. კონფლიქტებსა და ინტრიგებში ჩაურევლობა.

მერაბ ჟორდანია

ინჟინერ-მშენებელი, საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1960 წ 3 სექტემბერს მშობლები: ნუნუ ნემსაძე, ლევან ჟორდანია, მეუღლე — მაკა ასათიანი (დ.1971წ.). შვილები: კახი (2 წლის), ლევანი (1 წლის). დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საამშენებლო ფაკულტეტი (1982). თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში: თბილისის „დინამო“, ქუთაისის „ტორპედო“, ლანჩხუთის „გურია“, პოლანდიისა და ისლანდიის კლუბებში (1982-1992). 1992 წლიდან თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტია. არის სპორტის ოსტატი ფეხბურთ-

ში, საფეხბურთო ასოციაციის (უეფა) კომიტეტის წევრი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სატრანსფერო კომისიის თავმჯდომარე
ᲰᲝᲑᲘ: ლიტერატურა, თეატრი, მუსიკა.
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (ბინის) აბასთუმნის 2, ტელ 34.14 88, (სამსახურის) წერეთლის გამზ 2, ტელ. და ფაქსი: 94 02.95.

ᲡᲣᲚᲘᲙᲝ ᲟᲚᲔᲜᲢᲘ

კინოდრამატურგი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფ. სამებაში 1925 წ. 22 ივნისს. მშობლები ოლღა ᲟᲚᲔᲜᲢᲘ, ილია ᲟᲚᲔᲜᲢᲘ, მეუღლე — ლეილა ᲟᲚᲔᲜᲢᲘ (დ.1938Წ.), შვილები: ოლღა (28 წლის), ქეთევანი (26 წლის) დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტის სასცენარო ფაკულტეტი (1954). იყო მახინჯაურის საშუალო სკოლის პედაგოგი (1947-1949); კინოსტუდია „ქართული ფილმის" რედაქტორი (1954-1955); კინოსტუდია „ქართულ ფილმში" მწერალთა კინოგაერთიანების წევრი (1972-1991); ავტორია 4 წიგნისა და ოცამდე ფილმის სცენარისა, გამოქვეყნებული აქვს ნარკვევები და სტატიები ქართულ და რუსულ პრესაში მიღებული აქვს პრიზები საუკეთესო სცენარისათვის საკავშირო (4) და საერთაშორისო (1) კინოფესტივალებზე. არის ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ პრემიის ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შეტანილია კინემატოგრაფისტთა ენციკლოპედიასა (რუსული გამოცემა) და ქართულ ენციკლოპედიაში.
ᲰᲝᲑᲘ: მოგზაურობა.
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (ბინის) იოსელიანის 37 ბ. 96. ტელ 36.70.08.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲗ ᲕᲪᲝᲪᲚᲝᲑᲗ. ᲒᲐᲛᲣᲓᲛᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲔ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲜ ᲕᲘᲚᲐᲪᲐᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲔᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲛᲘᲒᲐᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕ ᲕᲐᲚᲛᲝᲮᲓᲘᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲐᲓ, ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲐᲖᲠᲡ ᲨᲙᲐᲠᲒᲐᲕᲡ.

ნინო რამიშვილი

მოცეკვავე, „ქართული ნაციონალური ბალეტის" ქორეოგრაფი და სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა ბაქოში 1910 წ. 19 იანვარს. მშობლები: როზალია რამიშვილი, შალვა რამიშვილი; მეუღლე — ილიკო სუხიშვილი; შვილი — თენგიზ სუხიშვილი (58 წლის). მუშაობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში (1927-1937), ფილარმონიასთან არსებულ ქართულ ჯაზში (1939-1940), შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ანსამბლში (1941-1944) სოლისტ-მოცეკვავედ. 1945 წლიდან არის საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ბალეტმეისტერი. ავტორია საბალეტო სპექტაკლების, ქორეოგრაფიული დადგმების, საოპერო სპექტაკლებისა და მხატვრული ფილმებისა: „ქეთო და კოტე", „დაისი", „აბესალომ და ეთერი", „ელისო", „ფატიმა", „გაზაფხული საკანში", „შეხვედრა მთაში" და სხვ. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში, დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში, თეატრალურ ენციკლოპედიაში, ცნობარში „ბალეტი", ცნობარში „ქართული ქორეოგრაფიის მოღვაწენი" არის შოთა რუსთაველის და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სსრკ სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინის ორდენის და ღირსების ორდენის კავალერი. მიღებული აქვს მედალი კავკასიის დაცვისათვის.

პობი: ურთიერთობა საინტერესო ადამიანებთან.

მისამართი: (ბინის) აბაშიძის 21, ბ. 13. ტელ.: 22 40 27; (სამსახურის) აღმაშენებლის გამზ. 123, ტელ. 95 06 11; ფაქსი: 94.21.99.

ერთგულება, პრინციპულობა, პროფესიონალიზმი, სამშობლოს სიყვარული, ცეკვის სიყვარული, სურვილი, რომ ჩემი ცეკვები, რომელშიც მთელი ჩვენი ერის ისტორიაა ჩაქსოვილი, გამეცნო მსოფლიოსათვის.

შალვა რამიშვილი

რადიო 105-ის მხატვრული ხელმძღვანელი. დაიბადა თბილისში 1971 წ. 27 აგვისტოს. მშობლები: ნუნუ რამიშვილი, რამინ რამიშვილი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, II კურსიდან გაირიცხა აკადემიური ჩამორჩენილობის გამო. არის იუმორისტული გაზეთის „კიდე"-ს დამფუძნებელი და რედაქტორი (1991-1992). გაზეთებში „რეზონანსი" და „7 დღე" აქვეყნებდა პამფლეტებს, სტატიებს და მოთხრობებს (1992-1993). იყო ტელეკომპანია „იბერვიზიაში" გასართობი პროგრამის ავტორი, არის „რადიო 105"-ის მხატვრული ხელმძღვანელი და ტელეშოუ „ციმციმებენ ვარსკვლავები"-ს წამყვანი (1994 წლიდან). ბავშვობაში იღებდა სამოყვარულო ფილმებს.

პობი: საკუთარი პროფესია.

მისამართი: (ბინის) სტანისლავსკის 12ა. ტელ.: 34.68.96; (სამსახურის) აღმაშენებლის 150ა, რადიო 105, ტელ. 95.24.46

მე მინდა ვიყო მდიდარი, მყავდეს ბევრი ლამაზი ქალი და ამასთან ერთად, შეძლებისდაგვარად, არ დავარღვიო ის პრინციპები, რომელთაც პატიოსნება და

სიმართლე ჰქვია (ოლონდ შეძლებისდაგვარად).

გია რაფავა

პიდროსანტექნიკოსი, მორაგბე, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი დაიბადა თბილისში 1968 წ. 4 ივნისს. მშობლები: ალექსანდრა რაფავა, ვალიენტ რაფავა; მეუღლე — ქეთევან ხინჩაგაშვილი (დ. 1970 წ.); შვილი — ვალერი (4 წლის) დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. რაგბის თამაში დაიწყო 1986 წელს, თამაშობდა თბილისის „ვესტაში", რუსთავის „აზოტში", თბილისის „გუმარში" 1994 წლიდან თამაშობს საფრანგეთში. საქართველოს ჩემპიონი გახდა თბილისის „ვესტასა" (1992) და რუსთავის „აზოტის" შემადგენლობაში (1993) თამაშის დროს.

ჰობი: ნადირობა.

მისამართი: (ბინის) რუსთაველის 1, ტელ.. 99 93.24

გიორგი რევაზიშვილი

ძიუდოისტი, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი დაიბადა საგარეჯოში 1974 წ. 16 ნოემბერს. არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტი; ევროპის ჩემპიონი (1996), მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, ევროპის III პრიზის (1993) მფლობელი. არის საქართველოს ძიუდოს ფედერაციის წევრი.



მისამართი: (ბინის) საგარეჯო, ცხვედაძის 26; (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 49ა, ძიუდოს ფედერაცია.

ალექსანდრე რეხვიაშვილი

კინორეჟისორი. დაიბადა მოსკოვში 1938 წ. 17 იანვარს. მშობლები: ცუცა რეხვიაშვილი, პავლე რეხვიაშვილი;

მეუღლე — ლალი ლობჟანიძე (დ. 1949 წ); შვილები: რატი (17 წლის), ნინო (15 წლის). დაამთავრა საკავშირო სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტი მოსკოვში (1971). გადაღებული აქვს ფილმები: „ნუცა", „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა", „გზა შინისაკენ", „საფეხური", „სამკუთხა ნრეში" და სხვ მიღებული აქვს „ოქროს დუკატი", „კათოლიკური ეკლესიის პრიზი", „ევანგელისტური ეკლესიის პრიზი", „კინოკრიტიკისა და კინოპრესის პრიზი", კემპერეს საერთაშორისო ფესტივალის მთავარი პრიზი (საფრანგეთი), „ფიპრესის პრიზი" (შვეიცარია), ქართული ფილმების ფესტივალის „მთავარი პრიზი" (1983) და სხვ.

მისამართი: (ბინის) გამსახურდიას გამზ. 39, ბინა 87, ტელ.: 37.06.21; (სამსახურის) ახმეტელის 10ა, ტელ.: 51-13-16.

როგორც კონფუცი გვირჩევს, ვცდილობ არ გავუკეთო სხვას ის, რაც არ მსურს რომ მე გამიკეთონ.

ნუგზარ რობიტაშვილი

ინჟინერი, თბილისის სავაჭრო-სამრენველო პალატის პრეზიდენტი, საააქციო საზოგადოება „კახეთის" გენერალური დირექტორი. დაიბადა ნოეელწყაროში 1947 წ. 1 ივლისს. მშობლები: ქეთევან რობიტაშვილი, შალვა რობიტაშვილი. მეუღლე — ნონა რობიტაშვილი (დ. 1957 წ.); შვილები. ქეთევანი (18 წლის), ელენე (17 წლის), შალვა (12 წლის), ნინო (6 წლის). სწავლობდა მოსკოვის ქიმიური მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, იუნესკოს სწავლების ცენტრში (იტალია) · საერთაშორისო ეკონომიკურ

ურთიერთობათა ფაკულტეტზე მუშაობდა თბილისის საკონსტრუქტორო ბიუროში კონსტრუქტორად (1967-1969), თბილისის შრომის ორგანიზაციის ცენტრში განყოფილების უფროსად (1969-1971), საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროში სტანდარტიზაციის და ნორმირების სპეციალისტად (1971-1975). 1975 წლიდან სამრეწველო კომბინატ „კახეთის" გენერალური დირექტორია. იყო სამგორის რაიონის გამგებელი, თბილისის ვიცე-მერი, თბილისის პრემიერი (1992-1993), 1995 წლიდან არის თბილისის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი. მიღებული აქვს მედალი „შრომითი მამაცობისათვის" მონაწილეობდა საქართველოს რეფორმატორთა კავშირისა და მოქალაქეთა კავშირის დაფუძნებაში.

ჰობი: სპორტი, დიპლომატიის ისტორია, ოჯახი, საცნობარო ლიტერატურა.

მისამართი: (ბინის) ქეთევან წამებულის 88, ბ. 29; (სამსახურის) იუმაშევის 17, ტელ. 41.51.51, 98.94.58; ფაქსი: 94.04.46.

ყოველთვის ვცდილობდი ვყოფილიყავი იმ საქმის პროფესიონალი, რასაც ვაკეთებდი, და უღალატო საპარტნიორო ურთიერთობებში.

ვახტანგ რჩეულიშვილი

პოლიტიკოსი, პარლამენტის წევრი, საქართველოს სოციალისტური პარტიის, პოლიტიკური ბლოკის „მემარცხენე ცენტრი", საპარლამენტო ფრაქცია „საქართველოს რეგიონების" თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1954 წ. 1 იანვარს. მშობლები: ლიდია ბელიავსკაია, შალვა რჩეულიშვილი. მეუღლე — მაია კერვალიშვილი (დ. 1958 წ.). შვილი — გურამი (17 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1977). იყო ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის ვიცე-პრეზიდენტი (1979-1982), კომკავშირის ცეკას ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი (1982-1984), უცხოეთის განყოფილების ინსტრუქტორი (1982-1985), მეცნიერებათა აკადემიაში საინფორმაციო ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი (1985-1987), მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (1987-1992), საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე (1992-1995) არის შავი ზღვის ქვეყნების მემარცხენე-ცენტრისტული პარტიების ასამბლეის და საქართველოს ეკონომიკური ფორუმის თავმჯდომარე. 1985 წლიდან სისტემატურად აქვეყნებს სტატიებს. იყო ტელერადიოკომიტეტის პოლიტიკური მიმომხილველი.

ჰობი: ცხენოსნობა, ქართული ფერწერის კოლექციონერობა.

მისამართი: (ბინის) ბოცვაძის 14, ტელ. 93.91.29, (სამსახურის) ლესელიძის 41, ტელ. და ფაქსი: 98.33.67

„მშვიდობა, პური, მოყვასის სიყვარული" — ჩემი პირველი წარმატებული საარჩევნო კამპანიის ლოზუნგი. ოჯახისა და საზოგადოების პატივისცემა. ქვეყანა არც იწყება და არც თავდება ჩვენით. პატივი ვცეთ წარსულს, ვიზრუნოთ მომავალზე. უსმინე ტოლს და ოპონენტს, გააკეთე შენებურად. პატივი მიაგე პროფესიონალიზმს. თავისუფლება, სოციალური სამართლიანობა, სოლიდარობა — სოციალ-დემოკრატიის იდეალები. საქართველო, როგორც კავკასიური ნესრიგის ინიციატორი და შემოქმედი — რეგიონული თანამშრომლობის პრიორიტეტი. დაეხმარე გაჭირვებულს.

მიხეილ სააკაშვილი

პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა 1967 წ. 21 დეკემბერს. მშობლები: გიული ალასანია, ნიკოლოზ სააკაშვილი; მეუღლე — სანდრა რულოვსი (დ. 1968 წ.), შვილი — ედუარდი (1,5 წლის). დაამთავრა კიევის უნივერსიტეტი (1992), კოლუმბიის უნივერსიტეტი (1994), სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტი (1993), ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის დოქტორანტურა (1995). მუშაობდა ნორვეგიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტში, საქართველოს ადამიანის უფლებათა სახელმწიფო კომიტეტში (1992). მიიღო სამართლის მაგისტრის ხარისხი (1994). არის საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარე (1995 წლიდან).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8 ტელ. 93.47.42. ელ-ფოსტა. msaaka @ Parliament. ge.

ეროვნული დამოუკიდებლობა, პლურალისტური დემოკრატია, სამართლის უზენაესობა, სამოქალაქო მშვიდობა და ეთნიკური ტოლერანტობა, ცხოვრების მაღალი დონე.

დავით საგანელიძე

ექიმი, კორპორაცია GHF-ისა და „ტრანსკავკასიური კლუბის" პრეზიდენტი, ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა თბილისში 1959 წ. 17 ივნისს. მშობლები: ლილი ბოჭორიშვილი, ნოდარ საგანელიძე; დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1983). მუშაობდა მოსკოვის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში (1983-1985), ლენინგრადის სამხედრო სამედიცინო აკადემიაში (1985-1986) და თბილისის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში (1986-1993) ქირურგად. არის სამედიცინო ფირმა „პულსის" დამფუძნებელი (1987), კორპორაცია GHF-ის პრეზიდენტი — 1994 წლიდან და „ტრანსკავკასიური კლუბის" პრეზიდენტი (1996 წლიდან). 14 სამეცნიერო ნაშრომის, 5 პუბლიკაციისა და 1 წიგნის ავტორია. არის სპორტის ოსტატობის კანდიდატი.
პობი: მუსიკა, სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეგროვება და მათზე დაკვრა, სამთო-სათხილამურო სპორტი.
მისამართი: (სამსახურის) ბოჭორმის 23. ტელ.: 93.35.73, 93.61.26.

ნებისმიერ საქმეში წარმატების მისაღწევად საჭიროა, რომ ზუსტად გქონდეს დასახული მიზანი — რა გინდა, აკეთო ეს საქმე დიდი სიყვარულით და არ დაუშვა არანაირი ღალატი და ტყუილი საქმეში და ურთიერთობებში.

კარლო საკანდელიძე

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა ვანის რაიონის სოფელ ზედა ბზვანში 1928 წ. 1 აპრილს. მშობლები: აგრაფინა საკანდელიძე, ილია საკანდელიძე; მეუღლე — ლამარა საკანდელიძე (დ. 1938 წ.);

შვილები: ია (41 წლის), კახაბერი (42 წლის). დაამთავრა სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1949). არის რუსთაველის თეატრის მსახიობი (1949

წლიდან). გადაღებულია მრავალ მხატვრულ და სატელევიზიო ფილმში. არის თეატრალურ მოღვაწეთა და საქართველოს კინემატოგრაფიის მოღვაწეთა კავშირების წევრი.
პობი: ჭადრაკი და ფეხბურთი.
მისამართი: (ბინის) ვახუშტი ბაგრატიონის ქ., V კორპ., I ბლოკი. ტელ.: 35.10.22. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 17, რუსთაველის თეატრი, ტელ.: 99.63.73, ფაქსი. 99.85.87

დავით სალარიძე

ინჟინერი, იურისტი, საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის უფროსი, პოლიციის გენერალ-მაიორი. დაიბადა თბილისში 1947 წ. 24 ოქტომბერს. მშობლები: თინა სიმონიშვილი, ვახტანგ სალარიძე; მეუღლე — ნატო თათარაშვილი (დ. 1956 წ.), შვილი — ნატო (14 წლის). დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობდა რკინიგზის ტექნიკუმში ლაბორანტად (1968-1972), კომკავშირის კომიტეტის მდივნად პოლიტექნიკურ ტექნიკუმში (1972-1973), პირველი მაისის რაიონის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად (1973-1975), პარტიის საქალაქო კომიტეტში საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად (1975-1978), 26 კომისრის სახელობის პარტიის რაიკომის მდივნად (1980-1981), საქალაქო კომიტეტში განყოფილების უფროსად (1981-1982), შინაგან საქმეთა ორგანოებში (1982-1986), იურიდიული განყოფილების უფროსად, თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრად, პროკურატურის კოლეგიის წევრად (1986-1990), შინაგან საქმეთა სამინისტროში მინისტრის მოადგილედ (1990-1993), 1993 წლიდან საგადასახადო ინსპექციის უფროსია. არის მრავალი სტატიის ავტორი

პობი: ცხენოსნობა.
მისამართი: (ბინის) ლარსის ჩიხი 7, ტელ.: 23.22.26. (სამსახურის): ჰ. იაშვილის 4, ტელ.: 99.60.45, ფაქსი: 93.63.24.

პრინციპულობა, პატიოსნება, მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვათა მიმართ.

ნინო სალუქვაძე

სპორტსმენი, ტყვიის მსროლელი, საქართველოს ნაკრების წევრი, სპორტის დამსახურებული ოსტატი. დაიბადა თბილისში 1969 წ. 1 თებერვალს. მშობლები: ნუნუ სალუქვაძე, ვახტანგ სალუქვაძე; მეუღლე — გოჩა მაჭავარიანი (დ. 1965 წ.); შვილი — ნინო. დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი (1990), 1988 წელს გახდა სეულის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ოქროსა და ვერცხლის მედლების მფლობელი, იყო მსოფლიო ჩემპიონი (1986, 1987, 1989, 1990, 1993), ევროპის ჩემპიონი (1986, 1987, 1988, 1989, 1990, 1993, 1995), მსოფლიოს სუპერთასის ხუთგზის მფლობელი (1989-1993), მრავალგზის მსოფლიო რეკორდსმენი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „სპორტული ფსიქოლოგია" არის სპორტის დამსახურებული ოსტატი ტყვიის სროლაში (პისტოლეტი), 1993 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით

პობი: ხატვა, ქარგვა, მუსიკა, მინის პატარა ფიგურების შეგროვება.
მისამართი: (ბინის) თამარაშვილის 7, ბ. 5. ტელ.: 22.66.91; (სამსახურის) სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაცია, ტელ.: 23.55.80.

სიმართლე, პირდაპირობა, შრომისმოყვარეობა, ჩემი ქვეყნისა და ხალხის სიყვარული, ოჯახის პატივისცემა, რწმენა და იღბალი.

გივი სანაძე

ბიოლოგი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1929 წ. 30 ივლისს. მშობლები: მარიამ შანიძე, ალექსანდრე სანაძე; მეუღლე — ანა კალანდაძე (დ. 1938 წ); შვილები: დავითი (38 წლის), ნიკოლოზი (28 წლის), ალექსანდრე (23 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი (1952). მუშაობდა ბოტანიკის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის განყოფილებაში ლაბორანტად, უმცროს, უფროს მეცნიერთანამშრომლად (1953-1968). არის უნივერსიტეტის ფოტოსინთეზის ლაბორატორიის (1968 წლიდან) და მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრის გამგე (1982 წლიდან). მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტია 1988 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მცენარეთა მიერ აქროლადი ნივთიერებების გამოყოფა" (1959, მოსკოვი), სადოქტორო დისერტაცია — „იზოპრემის ბიოსინთეზი" (1968 მოსკოვი). 2 მონოგრაფიის, 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და რამდენიმე მეცნიერული აღმოჩენის ავტორია

ჰობი: სპორტი

მისამართი: (ბინის) ზაქარიაძის 8, ბ. 80, ტელ.: 39.05.53; (სამსახურის) რუსთაველის 52, მეცნიერებათა აკადემია, ტელ.: 99 94 22, ფაქსი: 99-88-23.

უნდა ემსახურო შენს საქმეს, დაიფასო პროფესიონალიზმი და მაქსიმალურად ხელი შეუწყო ახალგაზრდა თაობის განათლებას. უნდა გიყვარდეს ადამიანები, ფიქრობდე ქვეყნის მომავალზე და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ოჯახზე.

თენგიზ სანაძე

ფიზიკოსი, პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი. დაიბადა თბილისში 1930 წ. 30 იანვარს. მშობლები. ნატალია ეფრემიძე, ივანე სანაძე; მეუღლე — აველინა დავითულიანი (დ. 1948 წ.); შვილები: გიორგი (39 წლის), დიმიტრი (33 წლის), ნატალია (18 წლის), ეკატერინე (16 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1953). მუშაობდა იქვე უფროს მეცნიერ-თანამშრომლის მოვალეობის შემსრულებლად (1956-1959), დაბალი ტემპერატურების სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის გამგედ (1959-1961). რადიოფიზიკის კათედრის გამგეა 1961 წლიდან. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსი" (1957); სადოქტორო დისერტაცია — „ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსი" (1971). არის 60-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი (გამოქვეყნებულია სპეციალურ სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთებში). არის თბილისის უნივერსიტეტის პირველი სამეცნიერო პრემიის (1968) და მელიქიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი (1970). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: Who's Who (1995 და 1996) International Book of Honour ABI 1996.

ჰობი: სამთო თხილამურები, კლასიკური მუსიკა (ფორტეპიანო).

მისამართი: (ბინის) ატენის 20, ბ. 52, ტელ.: 23.42.70; (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 3, ტელ.: 29.08.56, ფაქსი: 22.11.03, ელ.ფოსტა: faculty@tsu.ge

უანგაროდ ვემსახურებოდი მეცნიერებას

ირინა სარიშვილი-ჭანტურია

პოლიტიკოსი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, პარლამენტის ნევრი, საპარლამენტო ფრაქციის „ედპ — ეროვნული დემოკრატიული პარტია" თავმჯდომარე.

დაიბადა თბილისში 1962 წ. 24 დეკემბერს. მშობლები: ნენო გოგუა, თამაზ სარიშვილი; მეუღლე — გიორგი ჭანტურია (1958-1995); დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი (1985). მუშაობდა კვების მრეწველობის სამინისტროს გამოთვლით ცენტრში (1985-1989), მეტსაკს-ში მთარგმნელად (1989-1990). 1988 წლიდან არის საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი (პრესმდივანი), ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობის შემდეგ კი მისი მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი. ამჟამად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეა.

ჰობი: მუსიკა, ხატვა.

მისამართი: (ბინის) ფანასკარტელის 19/62, ტელ.: 99-64-23; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 21, ტელ.: 98.35.36, ფაქსი: 93.19.78.

ზურაბ სარჯველაძე

ფილოლოგი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი. დაიბადა 1939 წ. 12 მარტს. მშობლები: მარიამ სარჯველაძე, ალექსანდრე სარჯველაძე; მეუღლე — ირინე მელიქიშვილი (დ.1943ნ.); შვილები: ალექსანდრე (32 წლის), სოფიო (30 წლის); შვილიშვილები: გიორგი (11 წლის), ირინე (9 წლის), ზურაბი (2 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1962), მუშაობდა გორის პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრის უფროს მასწავლებლად (1962-1968), თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის უმცროს (1968-1970) და უფროს (1970-1975) მეცნიერ — თანამშრომლად, თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის უფროს მასწავლებლად (1970-1975), პროფესორად (1975-1982); იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია „ორიონის" უფროსი, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი (1982-1986). ამჟამად არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის პროფესორი (1985 წლიდან), პედაგოგიური უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში (1993 წლიდან) და ქართული ენის კათედრის გამგე (1994 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „XI-XIII საუკუნეთა ქართული წერილობითი ძეგლების ორთოგრაფიულ-ფონეტიკური თავისებურებანი" (1969), სადოქტორო დისერტაცია — „ქართული ენის ისტორიული ფონეტიკისა და გრამატიკის ძირითადი საკითხები" (1973). ავტორია წიგნებისა: „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები" (1975). „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი" (1984), „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი" (1990, პროფ. ჰ. ფენრიხის თანაავტორობით). იგივე გერმანულად (Leiden 1995); ძველი ქართული ენის ლექსიკონი (1995), ქართულ, რუსულ, გერმანულ ენებზე გამოქვეყნებული 70-მდე სტატიისა.

ჰობი: ფეხბურთი, კალათბურთი, მხატვრული ლიტერატურა (გურამიშვილი, ვაჟა, გალაქტიონი, მიხეილ ჯავახიშვილი).

მისამართი: (ბინის) ვაჟა ფშაველას V კვრტ. IV კორპ. ტელ.: 30.32.81; (სამსახურის) ი. ჭავჭავაძის გამზ. 32, ტელ. 22.50.71; ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ტელ.: 22.12.83.

შეძლებისდაგვარად ვაკეთო ჩემი საქმე; შრომისმოყვარეობა; კეთილსინდისიერება; სხვისი ნაშრომ-ნაღვაწის დაფასება. არავისი არაფერი არ მშურს.

გურამ სალარაძე

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1929 წ. 12 იანვარს. მშობლები: ნადეჟდა ჯეირანაშვილი, გიორგი სალარაძე, მეუღლე — ტატიანა ბუხბინდერი (დ. 1940 წ.); შვილი — მარინე (38 წლის).

დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1951). არის რუსთაველის თეატრის მსახიობი (1951 წლიდან), სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი (1958 წლიდან). მონაწილეობდა მრავალ ტელე და კინოფილმსა და სპექტაკლში. არის სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატი.
ჰობი: თავისუფალ დროს მეგობრებთან ნარდის და პოკერის თამაში.
მისამართი: (ბინის) აღმაშენებლის გამზ. 147, ტელ.: 95 29 73; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 17, ტელ.: 99.63 73

ღვთისმოსაობა, სამშობლოს სიყვარული, მეგობრის არ ღალატი, ისე უნდა იცხოვრო, რომ უკან მოხედვის არ შეგრცხვეს, არ შეგეშინდეს. პროფესიის დაუფლება ბოლომდე და საერთოდ მაღალი პროფესიონალიზმი, სხვა ერების პატივისცემა, ცხოვრების სიყვარული, პოეზიით და მუსიკით გატაცება. თავისუფალ დროს მეგობრებში დროსტარება.

ავთანდილ სილაგაძე

ეკონომისტი, სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი, პროფესორი. დაიბადა ცაგერში 1954 წ. 5 თებერვალს. მშობლები: ეთერ ახვლედიანი, ნოდარ სილაგაძე; მეუღლე — თამარ ათანელაშვილი (დ. 1964 წ.); შვილები: ნოდარი (8 წლის), ლევანი (6 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1977) მუშაობდა იქვე მასწავლებლად, პროფესორად, ფაკულტეტის დეკანად (1980-1992). იყო საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე (1992). არის საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი (1992 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ომის შემდგომი პერიოდის ეკონომიკის ციკლური განვითარების საკითხები" (1980), სადოქტორო დისერტაცია — განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებანი (1989). ავტორია 80 სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის არის რამდენიმე წიგნი და მონოგრაფია. არის ამერიკის საერთაშორისო, საინჟინრო და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
ჰობი: სპორტი.
მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 39, ტელ.: 23.35.34; (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 64, ტელ.: 29.45.75.

შრომისმოყვარეობა, ჩემზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება ყოველგვარი გადაბარების გარეშე. პროფესიონალიზმი.

აპოლონ სილაგაძე

აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგი, პროფესორი, გაზეთ „სვობოდნაია გრუზია"-ს მთავარი რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1944 წ. 29 მაისს. მშობლები: ნინო გოჩელეიშვილი-თურქია, აპოლონ სილაგაძე; მეუღლე — რუსუდან მოდებაძე (დ. 1958 წ.); შვილები: ლევანი (33 წლის), ნინო (24 წლის), თინათინი (7 წლის), ვაჟა (4 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1965). იყო ჯერ სტრუქტურული და გამოყენები-

თი ლინგვისტიკის კათედრის და შემდეგ სემიტოლოგიის კათედრის ასისტენტი (1966-1975), დოცენტი და პროფესორი (1975 წლიდან). უნივერსიტეტის პრორექტორი (1981-1985), აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი (1986-1988), სემიტოლოგიის კათედრის გამგე (1984 წლიდან); იყო გაზეთ „სახალხო განათლების" (შემდეგ „ერი") მთავარი რედაქტორი (1988-1991); საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990-1991). არის გაზეთ „სვობოდნაია გრუზია"-ს მთავარი რედაქტორი (1992 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „თანამედროვე არაბული ლექსი" (1974), სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქართული ლექსი — მუდმივი სიდიდეების დონეზე" (1986). არის ავტორი ნიგნებისა „ლექსთმცოდნეობის ანალიზის პრინციპების შესახებ" (1987); „თანამედროვე არაბული ლიტერატურათმცოდნეობა და კრიტიკა" (1988); „საქართველო 88-90" (1992); „უნიკალური არაბული სალექსო ფორმის შესახებ" (1992); „საქართველო 92" (1993); „სამი ისტორიულ-პოლიტიკური ესე" (1996); „საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან" ნაკვ. I, (1996). გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაშრომი და არაბული პოეზიის ნიმუშთა თარგმანები. არის სერგეი მესხის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სოციალური პროგრესის პარტიის თავმჯდომარე; საზოგადოება „საქართველო-ისრაელის" პრეზიდენტი, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის, ფიზიკის მეცნიერებისა და კულტურის აკადემიის, ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიების ნამდვილი წევრი. ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

პობი: კითხვა და ოცნება

მისამართი: (ბინის) ყაზბეგის გამზ. 55ა, ტელ.: 93 19.19, (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 42, ტელ. 93.11.58, ფაქსი 93.17.06

„ულელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს".

იოსებ სიმონიშვილი

ჟურნალისტი. დაიბადა თბილისში 1955 წ. 17 მარტს. მშობლები გულიკო სიმონიშვილი, ოთარ სიმონიშვილი; მეუღლე — მანანა ჯაშიაშვილი; შვილები: გიორგი (16 წლის), კახა (10 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1982). მუშაობდა საქართველოს რადიოში უმცროს რედაქტორად (1982-1983) იყო გაზეთ „სახალხო განათლების" გამომშვები (1983-1984), გაზეთ „ცნობის ფურცელის" რედაქტორი (1984-1985), გაზეთ „თბილისის" ლიტერატურული მუშაკი (1985), „საქარქდიზაინმშენის" ინფორმაციული განყოფილების გამგე (1985-1989), გაზეთ „დრონის" ეკონომიკის განყოფილების გამგე (1991-1994), მთავარი რედაქტორი (1994-1996). არის ავტორი გამოქვეყნებული სტატიებისა და პუბლიკაციებისა, გადაცემებისა რადიოსა და ტელევიზიაში

პობი: ტექნიკა.

მისამართი: (ბინის) უიარაღოს 65ა; (სამსახურის) კოსტავას 14, ტელ. და ფაქსი 99.56.54.

ადამიანი უნდა იყოს თავისუფალი, ოღონდ, იმ ზღვარამდე, როცა ერთი ადამიანის თავისუფლება არ ზღუდავს მეორე ადამიანის თავისუფლებას.

ზაზა სიორიძე

ეკონომისტი, პარლამენტის წევრი, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა ოზურგეთში

1960 წ. 17 ივნისს. მეუღლე — ნინო მამარდაშვილი (დ. 1959 წ.); შვილები: ეკა (9 წლის), გიორგი (7 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1983), ასპირანტურა (1987), იყო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე (1984-1986), მუშაობდა იქვე ასისტენტად (1986-1989), დოცენტად (1989 წლიდან) იყო სახელმწიფო საბჭოს მთავარი მრჩეველი, სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო მრჩეველი (1992 წლიდან), „ექსიმბანკის" I ვიცე-პრეზიდენტი (1994), გაერთიანებული ქართული ბანკის საბჭოს თანათავმჯდომარე 1994 წლიდან, პარლამენტის წევრი — 1995 წლიდან. **მისამართი:** (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8 საქართველოს პარლამენტი. ტელ.: 99.82.20

ზურაბ სოტკილავა

მომღერალი, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, პროფესორი, სსრკ სახალხო არტისტი. დაიბადა 1937 წ. 12 მარტს. მშობლები: ქსენია ქარჩავა, ლავრენტი სოტკილავა; მეუღლე — ელისო თურმანიძე; შვილები: თეა (30 წლის), ქეთინო (26 წლის) დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1960), თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1965). იყო თბილისის ოპერის სოლისტი (1965-1974). მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი (1975-1984). არის დიდი თეატრის სოლისტი (1974 წლიდან); ბოლონიის სამუსიკო აკადემიის საპატიო წევრი (1980). სოფიის კონკურსის ლაურეატი (I პრემია, ორფეოსი), ჩაიკოვსკის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი (II პრემია, 1970), ფრანცისკო ვინიასის კონკურსის ლაურეატი (I პრემია და გრან-პრი). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში. **მისამართი:** (ბინის) მოსკოვი, სმოლენსკის ბულვარი 15, ბ. 56, ტელ: 244.07.31; (სამსახურის) მოსკოვი, დიდი თეატრი

რობერტ სტურუა

თეატრის რეჟისორი, რუსთაველის, მარჯანიშვილის, ახმეტელის სახელობის პრემიების ლაურეატი, საქართველოს და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. დაიბადა თბილისში 1938 წ. 31 ივლისს. მშობლები: მაყვალა ბოლქვაძე, რობერტ სტურუა; მეუღლე — დუდანა კვესელავა (დ. 1939 წ); შვილები: გიორგი (28 წლის), მიხეილი (23 წლის). დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1961). მუშაობდა რუსთაველის თეატრში რეჟისორად (1961 წლიდან), მთავარ რეჟისორად (1979 წლიდან). არის რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი (1982 წლიდან). დადგმული აქვს 78 სპექტაკლი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ოქსფორდის თეატრალურ ენციკლოპედიასა და გერმანულ თეატრალურ ენციკლოპედიაში.
პობი: მუსიკა, მხატვრობა.
მისამართი: (ბინის) შავთელის 18, ტელ.: 93.33.49, (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 17, ტელ. და ფაქსი: 99.85.87

ირაკლი სუთიძე

მხატვარი. დაიბადა ზესტაფონში 1954 წ. 2 აგვისტოს. მშობლები: სარა მეიფარიანი, კარლო სუთიძე; მეუღლე — ქეთევან კორძახია (დ. 1961 წ.); შვილი — გურამი (15 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1981). მუშაობდა საკავშირო სამხატვრო აკადემიის ფერწერის შემოქმედებით სახელოსნოში (1983-1986). მონაწილეობდა საქართველოში, რუსეთში, გერმანიაში, საფრანგეთში,

ბელგიაში, ავსტრიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჰაიტიში მონწყობილ ჯგუფურ გამოფენებში (1979 წლიდან) მათ შორის ჰანოვერში (გერმანია) გალერეა Art Forum (1993), ბრიუსელში გამოფენაში „საქართველოს ხელოვნება" (1993), ვენაში (1994), ინგოლშტატში (გერმანია), გამოფენაში „ქართული ხელოვნება" (1994), ჯგუფურ გამოფენაში გალერეა TMS-ში „15 წლის შემდეგ" (1995), იქვე „პორტრეტის გამოფენაში" (1996); კიოლნის გალერეა Zeidelgalery-ში მონწყობილ გამოფენაში (1996). ჰქონდა პერსონალური გამოფენები: თბილისის მხატვრის სახლში (1991), ბრიუსელში (1994), გალერეებში „ორიენტი" (1994), TMS (1996) და სხვ. დაჯილდოებულია საქართველოს მხატვართა კავშირის I პრემიით „წლის სუკეთესო ფერწერული ნამუშევარი" სურათისათვის „მნყემსების თაყვანისცემა" (1986); თბილისის საშობაო საერთაშორისო ფესტივალზე I პრემიით „საუკეთესო ფერწერული ნამუშევრისათვის" (1995). არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი.

ჰობი: ცხენოსნობა.

მისამართი: (ბინის) ციმაკურიძის 6, ტელ: 96.34.49.

არჩილ სულაკაური

მწერალი, ჟურნალ „მნათობის" მთავარი რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1927 წ. 15 თებერვალს. მშობლები: ქეთევან თევდორაძე-სულაკაური, სამსონ სულაკაური; მეუღლე — მერი პაიჭაძე-სულაკაური (დ. 1931 წ.); შვილები: გიგი (43 წლის), ღაშა (39 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1951). მუშაობდა ჟურნალ „მნათობში" განყოფილების გამგედ (1957-1970), პასუხისმგებელ მდივნად (1970-1971), გამომცემლობა „ნაკადულში" დირექტორად (1971-1981), ჟურნალ „მნათობის" მთავარი რედაქტორია 1981 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს ლექსების ათამდე კრებული, პროზა: „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან", „ზევით და ქვევით", „ნყალდიდობა", „ოქროს თევზი", „ლუკა", „თეთრი ცხენი", „სალამურას თავგადასავალი", „ჯადოსნური კაბა", „ცისფერი ირემი" და სხვ. არის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო, საქართველოს სახელმწიფო (1996), გალაკტიონის სახელობის პრემიების ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შეტანილია რუსულ და ქართულ ენციკლოპედიებში.

მისამართი: (ბინის) კოსტავას 75, ბ 10, ტელ.: 38 25.77; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 18, ტელ. 99.51 61

ერის, ღვთისა და საკუთარი სინდისის წინაშე ვიყო მართალი.

ედვარდ სურმანიძე

ფილოლოგი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა დაბა ქედაში 1964 წ. 1 ნოემბერს. მშობლები: გუგული ნაკაშიძე, ოსმან სურმანიძე; მეუღლე — ლალი ქავჟარაძე (დ. 1974 წ.); შვილი — დავითი (4 წლის) დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1988) მუშაობდა კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტში სხვადასხვა თანამდებობაზე (1983-1990) იყო „აჭარმომარაგების" გაერთიანების მმართველი (1993-1994) არის სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის თავმჯდომარის მოადგილე (1995 წლიდან), ამავე კავშირის წევრი (1992 წლიდან).

მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. ტელ.: 23.10.10

მჯერა, რომ ქვეყნად, ძირითადად, ადამიანები ორი ტიპისაა: სუსტები, რომელთაც არ შეუძლიათ და ძლიერები, რომელთაც ძალუძთ სიკეთის

კეთება. „მინდა ვიყო ძლიერი, რომ ვემსახურო სიკეთეს“. „მსურს ხშირად ვიხილო მადლიერებით სავსე თვალები ადამიანისა, რომელიც სიკეთით გამოწვეულ სიხარულს ვერ მალავს. და საოცრად ბედნიერი ვარ, როცა ვხედავ ამნაირ თვალებს ჩემსკენ მომზირალს“.



ირაკლი ტალახაძე

ეკონომისტი, ბანკირი, სააქციო საზოგადოება „ვითაბანკის" გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1970 წ. 9 სექტემბერს. მშობლები: თამარ ტალახაძე, კარლო ტალახაძე; მეუღლე — თამარ ტალახაძე (დ.1974 წ.); შვილი — გიორგი (4 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1992). მუშაობდა „საქექსიმბანკში" დილინგის სპეციალისტად (1992-1993), „თბილინტერბანკში" დეპარტამენტის დირექტორად (1993-1995). „ვითაბანკის" გამგეობის თავმჯდომარეა 1995 წლიდან.

ჰობი: მუსიკა, კითხვა, ჩოგბურთი.

მისამართი: (ბინის) სამტრედიის 17, ბ. 60, ტელ: 34.34.27, 34.74.17; (სამსახურის) მელიქიშვილის 18, ტელ: 23-56-98, 29-41-10; ფაქსი: 23.34.65; ელ.ფოსტა: *VITABANK@ACCESS.SANET.GE*

ალექსანდრე ტალიაშვილი

იურისტი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე. დაიბადა გორში 1947 წ. 3 ნოემბერს. მშობლები: გულჩინა აბალაკი, გიორგი ტალიაშვილი; მეუღლე — ცისანა ჯოხაძე (დ.1956წ.); შვილები: თამარი (18 წლის), გიორგი (11 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1970). მუშაობდა თბილგაზის სამმართველოში იურისტკონსულად (1971-1975), იუსტიციის სამინისტროში კონსულტანტად და უფროს კონსულტანტად (1975-1977) იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი (მოსამართლე) (1977-1978), თბილისის 26 კომისრის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე (1978-1980), ამავე რაიონის პროკურორი (1980-1983), იუსტიციის სამინისტროში სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსი კოლეგიის წევრი (1983-1986). კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი (1986-1988). იუსტიციის მინისტრის მოადგილეა 1988 წლიდან, და სასამართლო დეპარტამენტის თავმჯდომარე 1996 წლიდან. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები იოანე ბაგრატიონის ნაწერებში" (1977). ავტორია სტატიებისა, რეცენზიებისა და სარედაქციო წერილებისა, რომლებიც გამოქვეყნებულია ჟურნალებში „მნათობი" და „საბჭოთა სამართალი" არის იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი.

ჰობი: მხატვრული ლიტერატურა

მისამართი: (ბინის) ბახტრიონის 11. ტელ.: 37.16.48, (სამსახურის) რუსთაველის გამზ 30

უპირველესი პრინციპი სამართლიანობაა. ადამიანი უნდა ეცადოს ყველასთან და მათ შორის თავის თავთან მართალი იყოს. იდეალია დამოუკიდებელი, ძლიერი და ერთიანი საქართველო, სადაც კანონის უზენაესობის საფუძველზე დამკვიდრდება საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებივი პრინციპები, უპირველესი მიზანია შვილების ღირსეულ პიროვნებებად აღზრდა, ხოლო სამსახურებრივი — ქვეყანაში დაწყებული სასამართლო რეფორმის წარმატებით განხორციელებაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

ნუგზარ ტატიშვილი

ექიმი, პროფესორი, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კათედრის გამგე. დაიბადა თბილისში 1933 წ. 20 ივლისს. მშობლები: თამარ მითაიშვილი, ირაკლი ტატიშვილი; მეუღლე — ქეთი ანჯაფარიძე (დ. 1936 წ.); შვილები: მაკა (36 წლის), ირაკლი (33 წლის).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (1957) მუშაობდა პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად (1957-1961); განყოფილების ხელმძღვანელად (1961-1967); იყო სამედიცინო ინსტიტუტში შინაგან სნეულებათა კათედრის დოცენტი (1967-1970); პროფესორი (1970-1973). ამ კათედრის გამგეა 1973 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ბრუცელოზის პათოლოგიის ზოგიერთი საკითხი" (1961), სადოქტორო დისერტაცია — „ინფექციური პროცესი, ალერგია და იმუნოგენეზი ბრუცელოზის დროს" (1967). გამოქვეყნებულია მისი 180 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 7 მონოგრაფია და 2 სახელმძღვანელო. არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ინტერნისტთა საერთაშორისო ასოციაციის, ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების „ათეროსკლეროზის" შემსწავლელი მუშა ჯგუფის წევრი. ფლობს რამდენიმე უცხო ენას.

ჰობი: ჩოგბურთის თამაში, ფორტეპიანო — კლასიკური მუსიკის დაკვრა.

მისამართი: (ბინის) ხვიჩიას 21, ბ. 4, ტელ.: 37.52.82; (სამსახურის) ვაჟა-ფშაველას გამზ. 33, ტელ.: 39.26.13.

ვარ შრომისმოყვარე, ძალიან ორგანიზებული, პირდაპირი. ვერ ვეგუები უზრდელ და მატყუარა ადამიანებს.

ზურაბ ტატაშიძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი. დაიბადა საჩხერეში 1928 წ. 24 სექტემბერს. მშობლები: ევგენია ტატაშიძე, კონსტანტინე ტატაშიძე; მეუღლე — ლონდა დარსანია (დ.1932 წ.); შვილები: ლალი (39 წლის), ლელა (34 წლის).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიაგეოლოგიის ფაკულტეტი (1951). მუშაობს გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის კათედრის გამგედ და გეოგრაფიის ინსტიტუტში კარსტოლოგია-სპელეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად (1984 წლიდან) და ინსტიტუტის დირექტორად (1993 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მდინარე ყვირილას ხეობის გეომორფოლოგიისათვის" (1955), სადოქტორო დისერტაცია — „საქართველოს კარსტული მღვიმეების მორფოლოგიური ანალიზი" (1974). არის 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (წიგნები, სტატიები), მათ შორის 15-მდე მონოგრაფიის ავტორი. არის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1977), საქართველოს ეროვნული სპელეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი, თსუ დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა თბილისის სახელმწიფო უნივერსისტეტის აკადემიის აკადემიკოს-მდივანი და სხვ.

ჰობი: ლექსიკონების შეგროვება.

მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას გამზ. 50, ბ. 13, ტელ: 39.25.03; (სამსახ-

ურის) მ. ალექსიძის 1, გეოგრაფიის ინსტიტუტი, ტელ: 36.74.49.

შრომისმოყვარეობა, ორგანიზებულობა, მიზანსწრაფვა, პრინციპულობა, მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა, კეთილსინდისიერება, კეთილმოსურნეობა ადამიანებთან ურთიერთობაში, სამშობლოსათვის თავდადება — აი პრინციპები და იდეალები, რითაც ვიცხოვრე. პროფესიონალიზმი ყველგან და ყველაფერში, სამშობლოსადმი ერთგულება — აი რა გადაგვარჩენს, გაგვამთლიანებს, აგვამაღლებს და აგვაშენებს ახალ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში.

მერაბ ტყეშელაშვილი

მხატვარ-არქიტექტორი, ქალაქ რუსთავის მერი. დაიბადა თბილისში 1964 წ 27 სექტემბერს მშობლები: ციცინო წივწივაძე, მელორ ტყეშელაშვილი; მეუღლე — ლელა სირაძე (დ.1964წ.); შვილები: თამარი (12 წლის), ეკა (10 წლის), ივიკო (3 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1987). მუშაობდა „თბილქალაქპროექტში“ არქიტექტორად (1987-1991), რუსთავის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის მთავარ არქიტექტორად (1992-1994), ქვემო ქართლის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილედ (1994-1995). არის რუსთავის მერი 1996 წლიდან, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის რუსთავის ორგანიზაციის საბჭოს წევრი, არქიტექტორთა ორი საერთაშორისო კონკურსის მონაწილე, ჰქონდა ორი პერსონალური გამოფენა.

ჰობი: მხატვრობა

მისამართი. (ბინის) რუსთავი, რუსთაველის ქ ტელ.: 95.44.60; (სამსახურის) რუსთავი, კოსტავას 20, ტელ 95.44.60, 19 42. 67, ელ-ფოსტა RUMERIA@IBERIAPAC GE.

ვცხოვრობ და მინდა ვიცხოვრო ისე, რომ საკუთარ თავს თვალი ყოველთვის გავუსწორო, უკან მოხედვის არ შემრცხვეს, ჩემი გადადგმული ნაბიჯი წინ არ დაუხვდეს ჩემს შვილებსა და მშობლებს. ვუფრთხილდები და ვამაყობ ჩვენი ქვეყნის სიმბოლოებით: დროშით, ჰიმნით, გერბით. პატივს ვცემ პრეზიდენტსა და პატრიარქს. მიყვარს, მოწიწებით თაყვანს ვცემ ენას, მამულს, სარწმუნეობას. ჩემს ქალაქში, რუსთავში, მოღვაწეობის მანძილზე მინდა შევძლო ქალაქის ერთ ოჯახად შეკვრა და, სხვა თუ არაფრით, სიყვარულით დავამახსოვრო თავი.

გიორგი ტყეშელიაძე

იურისტი, პროფესორი. დაიბადა ტყიბულში 1929 წ 23 თებერვალს მშობლები: ცუცა ბაქრაძე, ტერენტი ტყეშელიაძე; მეუღლე — ნანული ტყაბლაძე (დ.1939წ.); შვილები: ნუგზარი (34 წლის), თინათინი (30 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1952). მუშაობდა მთავარ ლაბორანტად უნივერსიტეტის ჯერ სამოქალაქო სამართლის კათედრაზე (1952-1956), შემდეგ სისხლის სამართლის კათედრაზე (1956-1960); ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1960-1975); კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ (1975-1978); მინისტრთა საბჭოს იურიდიული

განყოფილების გამგედ (1978-1982). თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტში სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრის გამგეა 1982 წლიდან. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის" (1961), სადოქტორო დისერტაცია — „სასამართლო პრაქტიკა და სისხლის სამართლის კანონი" (1982). არის რამდენიმე მონოგრაფიისა და მრავალი საჟურნალე სტატიის ავტორი.

ᲰᲝᲑᲘ: ფეხბურთი.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (ბინის) ყიფშიძის 16, კორპ. 2, ბ. 37, ტელ.: 22.72.67; (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 14, თსუ, სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრა.

ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲬᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑ ᲕᲘᲧᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ, ᲣᲐᲜᲒᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ. ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲗᲐ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ. ᲦᲠᲛᲐᲓ ᲛᲬᲐᲛᲡ — ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ, ᲠᲐᲒᲘᲜᲓ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲯᲘᲗᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ, ᲕᲔᲠ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲣᲚᲘ ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘ, ᲗᲣ ᲘᲛᲗᲐᲕᲘᲗᲕᲔ ᲐᲠ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ, ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ, ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲘ, ᲨᲔᲣᲞᲝᲕᲐᲠᲘ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐ, ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

მინდია უგრეხელიძე

იურისტი, პროფესორი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. დაიბადა ქუთაისში 1942 წ. 19 მაისს. მშობლები: ლიანა ეზიკაშვილი, გურამ უგრეხელიძე; მეუღლე — ლუიზა კობახიძე (დ.1943წ.); შვილები: ჯავარა (31 წლის), პაპუნა (22 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1963). მუშაობდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უმცროს (1963-1975), უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1975-1976), იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი (1976-1983), კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგის მოადგილე (1983-1986), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი (1986-1988), გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის I მოადგილე (1988-1989), რედაქტორი (1990); საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990), გაზეთ „ახალი საქართველოს" რედაქტორი (1990). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „გაუფრთხილებლობითი ბრალის პრობლემა სისხლის სამართალში" (1996). გამოქვეყნებული აქვს 70-მდე მეცნიერული ნაშრომი და თარგმანი, მათ შორის სამი მონოგრაფია. მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრემია, უმაღლესი კვალიფიკაციის მოსამართლის წოდება.
ჰობი: პოეზია, მოგზაურობა.
მისამართი: (ბინის) ენგურის 3, ბ. 16, ტელ.: 93.16.66; (სამსახურის) ძმები ზუბალაშვილების 32, ტელ.: 99.65.46, ფაქსი.: 93.52.94

სიმართლე და არმოშურნეობა.

ნათელა ურუშაძე

თეატრმცოდნე, პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა ქუთაისში 1923 წ. 12 ოქტომბერს. მშობლები: ანა ჩიტაშვილი, ამბერკი ურუშაძე, მეუღლე — გიორგი გეგეჭკორი (დ.1923წ.); შვილები: მანანა (40 წლის), გიორგი (38 წლის). დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1945) და მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი (1948). 1948 წლიდან მუშაობს თეატრალურ ინსტიტუტში თეატრის ისტორიისა და თეორიის კათედრის პროფესორად. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ვეფხისტყაოსანი" და ქართული სასცენო ხელოვნება" (1968), სადოქტორო დისერტაცია — „ქართული სათეატრო კრიტიკა" (1976). ავტორია წიგნებისა: „ვერიკო ანჯაფარიძე", „ელენე ახვლედიანი თეატრში", „მსახიობის ხელოვნება", „დავით კაკაბაძე თეატრში", „ქართული თეატრის ამბავი", „სანდრო ახმეტელი", „მედეა ჯაფარიძე", „ვალერიან გუნია", „სესილია თაყაიშვილი" და სხვ. არის მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი.
ჰობი: საკანცელარიო ნივთები, სამზარეულოში გამოსადეგი ხელსაწყოები
მისამართი: (ბინის) იოსელიანის 37, ბ. 1, ტელ.: 36.73.37; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 19, ტელ. 99-94-11.

ვფიქრობ, ადამიანი ვალდებული იბადება, საჭიროა მისი გაცნობიერება და ღირსეულად შესრულება. მაშინ სხვას

სასიკეთოდ გამოადგები და არ იქნება შენი ცხოვრება ფუჭი. ჩემი იდეალია კეთილი, სულით ძლიერი, შინაგანად თავისუფალი, გონიერი პიროვნება. საინტერესოა იგი, ადამიანისადმი რწმენის და პატივისცემის გრძნობის გამღვიძებელი. მინდა სკოლაში ისწავლებოდეს საგანი „ხელოვნება“ მომავალი მოქალაქე მშვენიერს ყმანვილობაში უნდა ეზიაროს, რათა სული მისი იყოს ფაქიზი და ძლიერი.

დავით უსუფაშვილი

იურისტი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე. დაიბადა სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროში 1968 წ 5 მარტს. მშობლები. ლიანა უსუფაშვილი, ჯოველ უსუფაშვილი; მეუღლე — თინათინ ხიდაშელი (დ. 1973წ.) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1992). მუშაობდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში იურიდიული განყოფილების გამგედ (1990-1992), სახელმწიფო საბჭოში იურიდიული განყოფილების (1992), შემდეგ სახელმწიფო მეთაურის აპარატში სახელმწიფო მრჩეველად (1992-1994). არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებელი (1992 წლიდან) და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე (1994 წლიდან), იურისტთა მსოფლიო ასოციაციის წევრი.

ჰობი: კლასიკური მუსიკა.

მისამართი: (სამსახურის) ორბელიანის 30, ტელ.: 99.50.76; ფაქსი: 93.61.01; ელ.ფოსტა: davidus @ gyla.org.ge.

ირწმუნე მხოლოდ ის, რასაც თავად დაასკვნი. იფიქრე მუდამ, თუნდაც უკვე მრავალჯერ ნაფიქრზე. თვალი გაუსწორე საკუთარ სინდისს. მაშინაც, როცა მასთან პირნათელი არა ხარ. საზოგადო საქმეში აკეთე მხოლოდ ის, რასაც საკუთარი გონება გკარნახობს. ცხოვრების გზას ნუ აირჩევ, მინდორზე ინავარდე. თავად არასდროს გაუსვა ხაზი საკუთარ ღირსებას ან უპირატესობას. ძალთა შორის აღიარე მხოლოდ გონების ძალა, სილამაზეთა შორის სულის სიშვენიერე. აკეთე მხოლოდ სიკეთე, ოღონდ სიკეთედ აღიარე ის, რასაც თავად მიიჩნევ ასეთად. არც ერთი იდეა და პრინციპი არ ღირს იმად, რომ მას ანაცვალო აზროვნების თავისუფლება.

გენადი უჩუმბეგაშვილი

ჟურნალისტი, ამერიკული ორგანიზაცია „ინტერნიუს ნეთვორკის“ საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი. დაიბადა თბილისში 1959 წ. 16 ივლისს. მშობლები: ნათელა სამჭკუაშვილი, ალბერტ უჩუმბეგაშვილი; მეუღლე — მარინა როზორიონოვა (დ. 1959წ.). დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტი (1986). მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ციფრული პროგრამული მართვის მანქანების ელექტრიკოსად (1981-1989), ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთ „დემოკრატის“ ტექნიკურ რედაქტორად (1989-1990), ტელეკომპანია WTN, ARD, TBS (იაპონია) მოსკოვის წარმომადგენლობის სტრინგერად (1990-1992), იყო ტელეკომპანიების INS-ისა (მოსკოვი 1992-1993) და „7.7.7“-ის (თბილისი (1993-1995) დამფუძნებელი და დირექტორი. არის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის აღმასკომის წევრი და ქვემო ქართლის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე (1995 წლიდან), რუსთავის საჭადრაკო სკოლის დამფუძნებელი. არის პროდიუსერი დოკუმენტური ფილმებისა

„ომის შვილები", „გერმანელები საქართველოში", „თბილისელი გაჟროშები" (1994).

ჰობი: ჭადრაკი.

მისამართი: (ბინის) რუსთაკი, არაყიშვილის 3ბ, ბ. 2. ტელ : 14 24.58. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების 36. ტელ.. 93-30 57; (სამსახურის) ძმები კაკაბაძეების 2, თბილისის კინოს სახლი, III სართული, ტელ 98.83 24, 98.83.25. ფაქსი: 93.50.66. ელ ფოსტა: gena@iberiapac.ge.

ჩემი მიზანია, საქართველოში განვითარდეს დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ჩემი ცხოვრების პრინციპები, რამაც განაპირობა წარმატება, კარგად აისახება ჩარლზ შვაბის სიტყვებში: „ჩემს ყველაზე ფასეულ თვისებად მიმაჩნია ადამიანებში ენთუზიაზმის გაღვივებისა და მათი საუკეთესო თვისებების განვითარების უნარი (წახალისებისა და ღირსებათა აღიარების გზით). ადამიანს თავმოყვარეობას ყველაზე ძლიერად ხელმძღვანელობის კრიტიკა ულახავს. მე არასოდეს ვაკრიტიკებ... თუკი რაიმე მომწონს, გულღიად ვაფასებ და ვაქებ".

აპოლონ ფალიაშვილი

იურისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის გამგე, პროფესორი. დაიბადა ქუთაისში 1925 წ. 11 აპრილს. მშობლები: თამარა გოკიელი, იაკობ ფალიაშვილი; მეუღლე — ალა ფალიაშვილი (დ.1929წ.), შვილები: ირინა (35 წლის), ნონა (34 წლის). დაამთავრა საკავშირო იურიდიული ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება თბილისში (1950). მუშაობდა მოსკოვში ცენტრალური კრიმინალისტიკის ლაბორატორიაში მეცნიერ-თანამშრომლად (1950-1960). მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრაზე (1960 წლიდან), არის ამ კათედრის გამგე (1985 წლიდან). საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „განმეორებითი კრიმინალისტიკური ექსპერტიზა" (მოსკოვი 1958), სადოქტორო დისერტაცია — „სასამართლო ექსპერტიზის პრობლემები" (1968). არის 180 სამეცნიერო შრომის ავტორი (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, ბროშურები, სტატიები).

ჰობი: მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა.

მისამართი: (ბინის) ცოტნე დადიანის 37, ტელ.: 95 37.74; (სამსახურის) ი. ჭავჭავაძის გამზ. 1.

შრომისმოყვარეობა, სიზუსტე, მიზანსწრაფულობა, ოჯახის სიყვარული.

გურამ ფანჯიკიძე

მწერალი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, დაიბადა თბილისში 1933 წ. 22 აპრილს. მშობლები: თამარ ფანჯიკიძე-ბედელაძე, ივანე ფანჯიკიძე; მეუღლე — დალი ფანჯიკიძე-კოკაია (დ.1937წ.); შვილები — მაია, ლაშა, ნათია. დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შავი ლითონების მეტალურგიის ფაკულტეტი (1956). მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მეფოლადედ (1957-1958). იყო ქუთაისში ჟურნალ „განთიადის" დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი (1974-1978), თბილისში — ჟურნალ „ცისკრის" მთავარი რედაქტორი (1978-1979), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორი (1979-1988), მწერალთა კავშირის მდივანი (1988-1992). არის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე (1992 წლიდან). ავტორია რომანებისა: „მეშვიდე ცა", „თვალი პატიოსანი", „აქტიური მზის წელიწადი", „სპირალი", „ეშმაკის ბორბალი", ციკლი მოთხრობისა „რეკვიემი", მრავალი მოთხრობისა და პუბლიცისტური წიგნებისა: „ადამიანი, ენერგია, ატომი", „სიმართლე, მხოლოდ სიმართლე", „სიმართლის მთქმელისო"..., და სხვ. მისი რომანების მიხედვით შექმნილია სპექტაკლები რუსთაველის, მარჯანიშვილის, ბათუმის, სოხუმის თეატრებში, ფილმებად გადაღებულია „მეშვიდე ცა", „თვალი პატიოსანი", „სპირალი". მისი რომანები და მოთხრობები თარგმნილია ინგლისურად, ესპანურად, ჩეხურად, სლოვაკურად, ფრანგულად, პოლონურად და სხვა ევროპულ და აზიურ ენებზე. არის რუსთაველისა და მემედ აბაშიძის პრემიების ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი.

ჰობი: ფეხბურთი.

მისამართი: (ბინის) ყაზბეგის 4ა. ტელ.: 94.19.94; (სამსახურის) მაჩაბლის 13. ტელ.: 99.84.90.

ვემსახურო ჩემს სამშობლოს, ჩემს ხალხს. ვიყო მართალი, არავის მოვკითხო ის, რასაც მე თვითონ არ ვაკეთებ. ვცდილობ, ბოლომდე ვიცხოვრო ისე, რომ ჩემს შვილებს და შვილიშვილებს (ჯერჯერობით ხუთი შვილიშვილი მყავს) წინ არ დახვდეს ჩემი არასწორი ნაბიჯი. ვცდილობ, არასდროს დავწერო ის, რაც არ მჯერა.

გერმანე ფაცაცია

პოლიტიკოსი, პარლამენტის წევრი, საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთის" თავმჯდომარე. დაიბადა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალდაბაში 1951 წ. 20 აგვისტოს. მშობლები: სონია ბერიძე, გერმანე ფაცაცია; მეუღლე — მარიამ სიმონიშვილი (დ. 1957წ.); შვილები: ნინო (17 წლის), ანა (3 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1973), მუშაობდა იქვე უმცროს მეცნიერთანამშრომლად (1973-1976), ფილოსოფიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1977-1984), ყოფილ „იმელში" უფროს მეცნიერთანამშრომლად და განყოფილების გამგედ (1984-1990), პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად (1990-1991), იყო პარლამენტის წევრი (1992-1995). არის საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „აფხაზეთის" თავმჯდომარე (1995 წლიდან), საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ცოდნის თეორიული და ემპირიული დონეების თანაფარდობა სოციოლოგიაში" (1981). სადოქტორო დისერტაციის „პიროვნება და სოციოპოლიტიკური გარემო" დაცვაზე უარი განაცხადა პროტესტის ნიშნად (მოსკოვში გაგზავნისა და დამტკიცების საჭიროების გამო (1987). არის ხუთი წიგნისა და ბროშურის, ასზე მეტი სტატიის ავტორი.
პობი: ღვინო და ქალი
მისამართი: (ბინის) ვაზისუბნის 12 ტელ. 38.76.37; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8 საქართველოს პარლამენტი ტელ.: 99 86 07

რელიგიურობა და ეროვნულობა — ამ ორ უმთავრეს პრინციპს უკავშირდება ჩემი ყველა წარმატებაც და წარუმატებლობაც, აღზევებაც და დაცემაც, იმედგაცრუებაც და იმედიც, ტრაგედიაც და ტრაგიკული კათარზისიც.

გურამ (გივი) ფირცხალავა

მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. დაიბადა ფოთში 1940 წ. 18 თებერვალს. მშობლები: თამარ ფირცხალავა, ნიკოლოზ ფირცხალავა; მეუღლე — თანგული სიხარულიძე (დ.1945წ.); შვილი — ხათუნა (13 წლის). დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1966). არის კინოსტუდია „ქართული ფილმის" მსახიობი (1966 წლიდან). მონაწილეობდა ფილმებში: „ჯვარცმული კუნძული", „მოლოდინი", „გზა შინისაკენ", „დათა თუთაშხია", „დღეს ღამე უთენებია", „მიზანი", „მოცურავე", „ვალსი პეჩორაზე" და სხვ. არის საქართველოს „ხუთწლედის მატიანეს" ლაურეატი, საქართველოს კინოკავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია კინოკავშირის ცნობარებში.

ჰობი: ნადირობა.
მისამართი: (ბინის) ნუცუბიძის პლატო, III მ/რ, II კვ. კორპ. 9, ბ. 9, ტელ.: 31.13.13.

სიმართლე, პირდაპირობა, ვაჟკაცობა და საქმისადმი ერთგულება.

ზურაბ ფოცხვერია

ჟურნალისტი, გაზეთ „სარბიელის" გამომცემელი, საგამომცემლო ფირმა „მარდის" გენერალური დირექტორი, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი დაიბადა

თბილისში 1959 წლის 12 აპრილს. მშობლები: ზაირა ფოცხვერია, ვასილ ფოცხვერია; მეუღლე — ხათუნა ჭოგელია, შვილი დავითი (3,5 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1981 წელს). იყო ტელერადიო დეპარტამენტის სპორტულ გადაცემათა მთავარი რედაქციის შტატგარეშე კორესპონდენტი (1982-1985), ჟურნალ „მართვეს" ლიტმუშაკი (1985-1990), გაზეთ „თბილისის" ინფორმაციის განყოფილების გამგე (1990), გაზეთ „სარბიელის" მთავარი რედაქტორი. გამომცემლობა მარდის დირექტორია 1995 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს სტატიები სხვადასხვა ქართულ და უცხოურ გამოცემებში.

ჰობი: სპორტი, კინემატოგრაფი

მისამართი: (ბინის) ზაქარიაძის 8, ბ 10 ტელ.: 39 50 33 (სამსახურის) ყაზბეგის გამზ 42, II კორპ ტელ.: 39 48 29, 38.11.14.

იაკობ ფუტკარაძე

იურისტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა ვანის რაიონის სოფელ ინაშაურში 1935 წ. 23 სექტემბერს. მშობლები: ივდით ბუხაიძე, ვალერიან ფუტკარაძე; მეუღლე — ლუიზა ლაზარიშვილი (დ.1935წ.); შვილები: მალხაზი (37 წლის), დავითი (30 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1959). 1959 წლიდან მუშაობდა სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუში უფროს ლაბორანტად, უმცროს, უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, დირექტორად (1994-1996) არის ამავე ინსტიტუტის განყოფილების გამგე (1979 წლიდან), საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, თავმჯდომარის მოადგილე და პირველი კოლეგიის თავმჯდომარე (1996 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის" (1965) არის ავტორი მონოგრაფიისა, ასამდე სამეცნიერო, პუბლიცისტური და საენციკლოპედიო სტატიისა. სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის კონსტიტუციური კანონმდებლობის ქვეკომისიის თავმჯდომარე. იყო საქართველოს კონსტიტუციის შემმუშავებელი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი (1995)

ჰობი: საოჯახო ტურისტული მოგზაურობა

მისამართი: (ბინის) სანზონა, კორპ 18ბ, ბ 33, ტელ.: 94.29.86, (სამსახურის) რუსთაველის გამზ 29, ტელ.: 94 08 30.

ბავშვობა და სიყმაწვილე გავატარე ომისდროინდელი და ომის შემდგომი პერიოდის სოფლის მატერიალურ სივიწროვეში. იქ ჩამომიყალიბდა სიბეჯითისა და მომჭირნეობის, წიგნზე მუშაობისა და კრიტიკული აზროვნების ჩვევები. გამომართლა გარემოცვამ, რომელშიც დავიწყე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. ჩემი საქმიანობის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა და ამ თვისების მოჭარბება ერთგვარი შემაბრკოლებელი გარემოებაც კი გახდა ჩემს პირად ცხოვრებაში.

ლია ქავჟარაძე

მუსიკოსი, მსახიობი. დაიბადა თბილისში 1959 წ 26 ოქტომბერს. მშობლები: დალი ფალავანდიშვილი, ბესარიონ ქავჟარაძე; მეუღლე — სანდრო თაქთაქიშვილი, შვილი — ლევანი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1984). მონაწილეობდა 34 ფილმში.
პობი: ცურვა და ინგლისური ენა.
მისამართი: (ბინის) ი. აბაშიძის 62 ტელ.: 22.21.21, 22.47.35.

შრომა, მიზანსწრაფვა, სიყვარული, ვცდილობდი კინოს სხვადასხვა ეანრში მიმელო მონაწილეობა. მინდა ვიყო კარგი დიასახლისი, კარგი მეუღლე და დედა.

მაყვალა ქასრაშვილი

მომღერალი, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი. დაიბადა ქუთაისში 1942 წ. 13 მარტს. მშობლები: ნინა ნინიკაშვილი, ფილიმონ ქასრაშვილი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტი (პროფ. ვ. დავიდოვას კლასი, 1965). მოსკოვის დიდი აკადემიური თეატრის სოლისტია 1966 წლიდან. მღეროდა ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენოპერას", („ევგენი ონეგინი, „ბალ-მასკარადი"), ლონდონის „კოვენტგარდენის" („დონ ჟუანი", „ტიტუშის მონყალება"), „არენა დი ვერონას", მიუნპენის თეატრის („აიდა"), სალომლინის (ფინეთი), კანადის, ვენის, ჩიკაგოსა და მსოფლიოს სხვა საოპერო თეატრების სცენებზე. ასრულებდა პარტიებს ოპერებში: ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი" (ტატიანა), „იოლანტა" (იოლანტა), „პიკის ქალი" (ლიზა), „ორლეანელი ქალწული" (იოანა), რიმსკი კორსაკოვის „თქმულება უხილავ ქალაქ კიტეზზე და ქალწულ თებრონიაზე" (თებრონია), „მლადა" (მლადა), პროკოფიევის „სიმიონ კოტკო" (ლუბკა), „ომი და მშვიდობა" (ნატაშა), „მოთამაშე" (პოლინა), ბიზეს „კარმენი" (მიქელა), პუჩინის „ტოსკა" (ტოსკა), ვერდის „ტრუბადური" (ლეონორა), „ოტელო" (დეზდემონა), „ბალ-მასკარადი" (ამელია), მასკანის „სოფლის პატიოსნება" (სანტუცა), თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება" (თამარი) და სხვ. მისი კამერული რეპერტუარი ძირითადად ჩაიკოვსკისა და რახმანინოვის რომანებს მოიცავს ხშირად თანამშრომლობს სიმფონიურ და კამერულ ორკესტრებთან, რომლებსაც ხელმძღვანელობენ დირიჟორები. კ. შიშკოკ-პენდერეცკი, ე. სვეტლანოვი, მ. რასტროპოვიჩი, ვ. სპივაკოვი, კოლინ დეევისი (ინგლისი), მელ სანტი (იტალია), მაიკლ პილსონ-ტომასი (აშშ) და სხვ. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "Сегодня на сцене Большого Театра 1776-1976" А. Орфенев "Молодые солисты Большого Театра". მუსიკალური ენციკლოპედიური ლექსიკონი (მოსკოვი 1991) ზ. სოტკილავასთან ერთად ქუთაისში დააარსა ფესტივალი „საოპერო სცენის ოსტატები" (1985, 1986, 1988) მიღებული აქვს ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემია (1983), არის მონრეალის (კანადა) ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი (II პრემია და სპეციალური პრიზი 1973)
მისამართი: (ბინის) Москва, малый Козьихинский пер. 4, кв. 21, ტელ. 200 58 00.

სწრაფვა სრულყოფისაკენ.

ჯემალ ქარჩხაძე

მწერალი. დაიბადა 1936 წ. 13 მაისს. მშობლები: ნინო ქარჩხაძე, იუსტინე ქარჩხაძე; მეუღლე — ლეილა ბერიაშვილი (დ.1937წ.) შვილები: კახა (37

ნლის), გია (33 ნლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1960). იყო საქართველოს კულტურის სამინისტროს თეატრების განყოფილების ინსპექტორი (1962-1965), თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრის სალიტერატურო ნანილის გამგე (1965-1982). არის მწერალთა კავშირის წევრი. ავტორია წიგნებისა „სასწაული", „მეთერთმეტე მცნება", „მდგმური", „ქარავანი", „ზეგულონი", „იუპიტერის სინანული" და სხვ. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში.
მისამართი: (ბინის) ნუცუბიძის პლატო, 1 მ/რ. კორპ. 16, ბ. 15. ტელ.: 31 74 11.

ჩემთვის უზენაესი პრინციპი არის ღმერთი (ამ ცნების არც თუ მთლად რელიგიური და მით უმეტეს, არც თუ მთლად ქრისტიანული მნიშვნელობით), რომელიც გაცხადებულია თავისუფლების იდეაში, თავისუფლებისაკენ კი მხოლოდ სიმართლის გზა მიდის. ეს არის ის ზოგადი კოორდინატები, რომლებშიაც მეტ-ნაკლებად და შეძლებისდაგვარად ყოველთვის თავსდებოდა ჩემი ცხოვრება.

თემურ ქეცბაია

ფეხბურთელი. დაიბადა გალში 1968 ნ. 18 მარტს. მშობლები: ნარგიზა ჯიქია, ვალიკო ქეცბაია; მეუღლე — კატერინა ფილიპუ (დ.1971 ნ.). თამაშობდა სოხუმის „დინამოში" (1986), თბილისის „დინამოში", კვიპროსის „ანორტოსისსა" და საბერძნეთის „აეკ"-ში (1996). არის საქართველოს ორგზის ჩემპიონი, საბერძნეთის თასის მფლობელი, 1990 ნლის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი.
პობი: მუსიკა.
მისამართი: საბერძნეთი. ათენი, მიხაილ ნუარუ 14. ტელ.: 612 90 40.

ადამიანობა, სიმართლე და ხალხისადმი სიყვარული.

მიხეილ ქვლივიძე

მწერალი. დაიბადა თბილისში 1925 ნ. 22 ივნისს. მშობლები: თამარ ჭინჭარაძე (ქვლივიძე), გიორგი ქვლივიძე; მეუღლე — მედეა შალამბერიძე (დ. 1946 ნ.); შვილები: გიორგი (12 ნლის), თამარი (44 ნლის), ნატო (40 ნლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი (1950), ასპირანტურა (1953). მუშაობდა საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობაში (მოსკოვი) ქართული ლიტერატურის კონსულტანტად (1952-1964), კინოსტუდია „ქართულ ფილმში" სასცენარო კოლეგიის რედაქტორად (1966-1968), საქართველოს მთავარი მთარგმნელობითი სარედაქციო კოლეგიის რუსული რედაქციის გამგედ (1982-1992). არის ავტორი 25-მდე ლექსების კრებულისა, საბავშვო და საყმანვილო ნანარმოებებისა, წიგნისა — „ვეფხისტყაოსნის" დასურათების ისტორია" აქვს ნათარგმნი ლექსები, პიესები და მხატვრული ფილმები. მთარგმნელობითი მოღვანეობისთვის მიენიჭა „პოლონეთის კულტურის მოღვანის" წოდება, „უნგრეთის კულტურის წინაშე დამსახურებისათვის" (წოდება და მედალი), საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი (1985). არის საბჭოთა კავშირის „ხალხთა მეგობრობის" (1985), „საპატიო ნიშნის" (1958), საქართველოს „ღირსების" (1996) ორდენების კავალერი, ივანე მაჩაბლისა და გალაკტიონის პრემიების ლაურეატი (1996). არის საქართველოს მწ-

ერალთა კავშირის წევრი (1946 წლიდან). მისი ბიოგრაფია შეტანილია დიდ და მცირე საბჭოთა ლიტერატურულ ენციკლოპედიებში.
პობი: სენტ-ეგზიუპერის თქმით: „ადამიანიებთან ურთიერთობის ფუფუნება" და მოგზაურობა.
მისამართი: (ბინის) ლესელიძის 18, ტელ.: 98.91.95; (სამსახურის) ი. მაჩაბლის 13, მწერალთა კავშირი, ტელ.: 99.84.90

ზნეობრივი პრინციპი: „ნუ გადაჰყვები საკუთარ თავს! ყოველთვის ეცადე სხვა გააბედნიერო და ბედნიერი იქნები თვითონ!" შემოქმედებითი — „რა შუაშია საყვირი? რა შუაშია სტვირი? ჩვეულებრივი კაცი ვარ, ხან ვიცინი , ხან ვტირი. არავის მივცემ უფლებას, უფალი იყოს თუნდაც, ხელში ამიღოს, ჩამბეროს, მამღეროს როგორც უნდა!"

დავით ქლიბაძე

ჟურნალისტი, საქართველოს ტელევიზიის სპორტული პროგრამების მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი დაიბადა ზესტაფონში 1938 წ. 22 ივნისს. მშობლები: ქსენია კერესელიძე, ვარლამ ქლიბაძე; მეუღლე — ირინა მათიაშვილი (დ.1939წ.); შვილი — თამარი (24 წლის). დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი (1967). მუშაობდა საქართველოს რადიოში ტექნიკოსად (1959-1962), ტელევიზიაში რეჟისორის თანაშემწედ (1962-1963), ასისტენტად (1963-1970), სპორტული რედაქციის რედაქტორად (1970-1975), უფროს რედაქტორად (1975-1976), ტელევიზიისა და რადიოს სპორტული განყოფილების გამგედ (1976-1981), სპორტულ კომენტატორად (1981-1985); მთავარი რედაქტორია 1985 წლიდან. არის პროგრამების „სპორტული კალეიდოსკოპი", „45 წუთი" ავტორი, წამყვანი, რეჟისორი, მუსიკალური გამფორმებელი. 1978 წლიდან აშუქებს ევროპისა და მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატებს. არის მსოფლიო ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის, საზოგადოება „თბილისელის" საპატიო, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის (1966 წლიდან) წევრი.
პობი: საქმე.
მისამართი: (ბინის) ბუდაპეშტის 9, ბ. 66, ტელ. 37 35 13, (სამსახურის) კოსტავას 68, საქართველოს ტელევიზია, ტელ 36 50.57, 36 84 40, ფაქსი: 22 18 45.

საქმის სიყვარული, რა საქმესაც არ უნდა აკეთებდე; როდესაც საქმეს აკეთებ (ნებისმიერს) ისე უნდა აკეთო, თითქოს ეს შენი ბოლო საქმეა; უნდა გახსოვდეს, რომ ადამიანს ახასიათებს სხვისი დაცინვა, ამიტომ უნდა ისე აკეთო საქმე და ისე იცხოვრო, რომ მინიმალური რაოდენობის ხალხმა დაგცინოს. უნდა იყო თავმოყვარე, ზოგჯერ ზედმეტადაც კი და არა მოშურნე.

იოსებ (სოსო) ქოიავა

მოქანდაკე, სამხატვრო აკადემიის რექტორი. დაიბადა აბაშაში 1933 წ. 14 თებერვალს. მშობლები: ფედოსი ჩიქობავა, დანიელ ქოიავა; მეუღლე — ნანი აბესაძე (დ.1937წ.), შვილები მაია (31 წლის), დავითი (28 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ქანდაკების სპეციალობით (1959) იყო თბილისის მ. თოიძის სახელობის პროფტექნიკური სასწავლებლის პედაგოგი (1959-1964), დირექტორის მოადგილე (1964-1972) და დირექტორი (1972-1979) მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ლითონის მხატვრული დამუშავების კათედრის გამგედ (1979-

1988) რექტორია 1992 წლიდან. მუშაობს ქანდაკებასა და ჭედურ ხელოვნებაში. არის ავტორი ქმნილებებისა: „ჩაის პლანტაცია" ჭედური (ტრეტიაკოვის გალერეა), „აღორძინება" — ქანდაკება, ქუთაისი, „საქართველოს სიუხვე და ხელოვნება", რელიეფური პანო „მეტროს სადგურ 2-ში", „მ. ჯავახიშვილის ძეგლი" (განსახორციელებელია). არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი, მინისტრთა საბჭოს „ხუთწლედის მატიანეს" პრემიის ლაურეატი.

ჰობი: სპორტი.

მისამართი: (ბინის) ო. თაქთაქიშვილის 4. ქელ. 23.11.57; (სამსახურის) გრიბოედოვის 22. ტელ. 93 69 59.

მხატვრობისადმი ერთგულება. აკადემიური სკოლის პატივისცემა. კლასიკური განათლება არის გზა ჭეშმარიტებისაკენ. მომწონს ახალი ხელოვნება, რომელსაც საფუძვლად უდევს პროფესიული ცოდნა. ბედნიერად ვგრძნობ თავს მაშინ, როცა ვეხმარები და ვჭირდები ვინმეს. ვაფასებ ადამიანების შრომას. ძალიან მიყვარს ახალგაზრდობა, სტუდენტობა, მათთან მუშაობა, შრომა უდიდესი სიამოვნებაა, განსაკუთრებით მაშინ როცა ახალგაზრდა იზრდება და ყალიბდება, ხდება მაღალი პროფესიონალი. მთავარ იდეად მიმაჩნია მეგობრის წარმატება, მაშინ შენც აღწევ მიზანს. პრინციპული უნდა იყოს არჩეული გზის ერთგულება და მისდამი პასუხისმგებლობა, სამართლიანობაა პატიოსნება. იდეალია ჩემთვის ოჯახის ღირსება.

ზვიად ქორიძე

ჟურნალისტი, გაზეთ „7 დღის" მთავარი რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1968 წ. 10 ოქტომბერს. მშობლები: ზაირა ბოლქვაძე, ვალერიან ქორიძე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი (1992). იყო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" კორესპონდენტი (1986-1987), რადიოპროგრამა „პიკის საათის" რედაქტორი (1989-1990), გაზეთ „7 დღის" კორესპონდენტი (1990-1991), დამფუძნებელი და სარედაქციო კოლეგიის წევრი (1991-1996). არის „7 დღის" მთავარი რედაქტორი (1996 წლიდან). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია. არის ქართველ ჟურნალისტთა საზოგადოების თანათავმჯდომარე (1994 წლიდან) და ასოციაცია „თავისუფალი პრესის" გამგეობის წერი (1995 წლიდან).

ჰობი: ლიტერატურა, ჯაზი, მოგზაურობა, კონიაკი.

მისამართი: (ბინის) გორგასლის 39, ბ. 83. ტელ.: 72.11.10; (სამსახურის) აღმაშენებლის გამზ. 89/24. ტელ. და ფაქსი: 95.40.76 ელ-ფოსტა: weekly@zdays.com.ge

ის, ვინც თავისუფლების პრინციპად სოციალურ თანასწორობას ირჩევს, აშენებს საზოგადოებას, რომლისთვისაც უცხოა თავისუფლებაც და თანასწორობაც. კერძო საკუთრების პრიმატი, სამოქალაქო მშვიდობა და ადამიანის ელემენტარულ უფლებათა დაცვა — ამ კომპონენტების გარეშე ვერ აშენდება საზოგადოება, სადაც ნებისმიერი ურთიერთობა გამჭვირვალე იქნება.

ჯიმშერ ქრისტესაშვილი

კინოოპერატორი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 14 მარტს. მშობლები: თამარ ბოგდანავა, მიხეილ ქრისტესაშვილი; მეუღლე — მადონა გაგოშიძე (დ.1949 წ.); შვილები: მიხეილი (19 წლის), დავითი (15 წლის). დაამთავრა ლენინგრადის თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტი (1983). მუშაობდა კინოსტუდია „ქარ-

თულ ფილმში" ოპერატორის ასისტენტად (1962-1968), ოპერატორად (1968-1972), დამდგმელ ოპერატორად (1972 წლიდან). გადაღებული აქვს 15 ფილმი. XIII საკავშირო კინოფესტივალზე მიიღო პრიზი და დიპლომი საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისათვის (1983).
ᲰᲝᲑᲘ: თევზაობა, ნადირობა, ბავშვების სიყვარული.
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (ბინის) ბორჯომის 6, ბ 41 ტელ.: 35.36.91; (სამსახურის) ახმეტელის 10. ტელ.: 51.13.16.

ᲩᲔᲛᲘ ᲛᲘᲖᲜᲘ ᲘᲧᲝ, ᲒᲐᲒᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲐᲕᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ.

ᲑᲝᲜᲓᲝ ᲥᲣᲠᲓᲐᲫᲔ

ჟურნალისტი, გაზეთ „შანსის" მთავარი რედაქტორი. დაიბადა ბორჯომში 1960 წ. 25 ივნისს. მშობლები:

მედეა ბლიაძე, კარლო ქურდაძე; მეუღლე — ეკა გრძელიძე (დ. 1968 წ.), შვილები: ნიკა (7 წლის), მარიამი (2 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1989). იყო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" განყოფილების გამგე (1982-1989). არის გაზეთ „შანსის" მთავარი რედაქტორი (1989 წლიდან).
ᲰᲝᲑᲘ: ფეხბურთი, თეატრი
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (სამსახურის) კოსტავას 14 ტელ. და ფაქსი: 93.38.52.

ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ — ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ!

მამუკა ღლონტი

არქიტექტორი, რეჟისორი, სტუდია „მაესტროს" პროდიუსერი. დაიბადა რუსთავში 1964 წ. 26 ოქტომბერს. მშობლები: ციალა დუნდუა, ზაურ ღლონტი; მეუღლე — ნატო ჭელიძე (დ.1968წ.); შვილები: თამარი (8 წლის), ეკატერინე (7 წლის), სოფიო (4 წლის). დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი (1987), სწავლობს უმაღლეს სარეჟისორო კურსებზე. მუშაობდა უფროს არქიტექტორად თბილისის ისტორიული ზონის დაცვის ინსპექციაში (1988-1990), ტელეკომპანია „მეორე არხის" რეჟისორად (1991-1995) არის კულტ-საგანმანათლებლო ცენტრ „იგრიკა"-ს ცვილის ფიგურების მუზეუმის დირექტორი (1990 წლიდან), სტუდია „მაესტროს" პროდიუსერი (1995 წლიდან). გადაცემების: „პასეანსი", „60 კითხვა", „უვერტიურა", „მონოლოგი კომენტარით", „პროფესია X", „დეტექტიური კლუბი" რეჟისორი მიღებული აქვს სატელევიზიო ფესტივალ „მანა"-ს პრიზი საუკეთესო იუმორისტული გადაცემისათვის (1994), მაყურებელთა სიმპათიის პრიზი (1995).
პობი: მუშაობა.
მისამართი: (ბინის) ქავთარაძის 13, ტელ. 30.39 18; (სამსახურის) კოსტავას 68, ტელ.: 36.89.89, ფაქსი: 94 23.63.

ვხელმძღვანელობ შემდეგი პრინციპებით: სამართლიანობა, საქმის სიყვარული, ერთგულება.

ლანა ღოლობერიძე

ფილოლოგი, კინორეჟისორი, პარლამენტის ნევრი, საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1928 წ. 13 ოქტომბერს. მშობლები: ნინო ხუციშვილი, ლევან ღოღობერიძე; მეუღლე — ლადო ალექსიმესხიშვილი (დ.1918წ.); შვილები: ქეთევანი (32 წლის), სალომე (30 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1950), ასპირანტურა (1953), მოსკოვის საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტი (1958) მუშაობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში უფროს მასწავლებლად (1953-1954). არის კინოსტუდია „ქართული ფილმის" დამდგმელი რეჟისორი (1958 წლიდან), კინოსტუდია „დროს" სამხატვრო ხელმძღვანელი (1982 წლიდან). 1992 წელს აირჩიეს საქართველოს პარლამენტში, სადაც თავმჯდომარეობდა ფრაქცია „ლიბერალებს" (1992-1995), არის პარლამენტის ნევრი, ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე (1995 წლიდან). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „უოლტ უიტმენი" (1954). არის რეჟისორი ფილმებისა: „ერთი ცის ქვეშ", „მე ვხედავ მზეს", „ფერისცვალება", „როცა აყვავდა ნუში", „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", „აურზაური სალხინეთში", „დღეს ღამე უთენებია", „ნერილი შვილებს", „ორომტრიალი", „ვალსი პეჩორაზე"; ავტორი მონოგრაფიისა „უოლტ უიტმენი" თარგმნა უცხოური პოეზია ქართულად. არის სან-რემოს, ტოკიოს, ვენეციის, ბერლინის, პარიზის, ჟენევის საერთაშორისო კინოფესტივალების ლაურეატი, საბჭოთა კავშირის და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. კინემატოგრაფისტთა კავშირის ნევრი, მდივანი (1968 წლიდან), „მოქალაქეთა კავშირის" მთავარი საბჭოს,

ევროპის კულტურის ასოციაციის პრეზიდიუმის ნევრი, ევრო-საბჭოში მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციისა და ევროპის ქალ-კინემატოგრაფისტთა მსოფლიო ასოციაციის თავმჯდომარე. მისი ბიოგრაფია შეტანილია Who is Who-ს რამოდენიმე გამოცემაში, მათ შორის Who'sWho of Women, Who's Who of Intellectuals

ჰობი: ჩოგბურთი.

მისამართი: (ბინის) ყაზბეგის 17, ბ. 15 ტელ.: 22.76.79, (სამსახურის) რუსთაველის გამზ 8 ტელ 93.19.92.

„ცხოვრებამ შხამი მასმია, მე კახურ ღვინოდ შავირგე" — ჯერ შეუგნებლად, მერე გააზრებულად ვცდილობდი მეცხოვრა ამ პრინციპით. ჩემი ცხოვრების განმსაზღვრელი იყო ინტერესი და თანაგრძნობა ადამიანის მიმართ, პიროვნების პატივისცემა.



გია ყანჩელი

კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1935 წ 10 აგვისტოს. მშობლები: აგნესა ყანჩელი, ალექსანდრე ყანჩელი, მეუღლე — ვალენტინა ჯიქია (დ 1946 წ.); შვილები: ალექსანდრე (28 წლის), ნატო (25 წლის).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1963). მუშაობდა იქვე კომპოზიციის კათედრის უფროს მასწავლებლად (1971-1978), რუსთაველის თეატრში მუსიკალური ნაწილის ხელმძღვანელად (1972-1990), საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პირველ მდივნად (1984-1989), იყო მინვეულ კომპოზიტორად გერმანიის აკადემიურ გაცვლით სამსახურში (DAAD,1991-1992), ანტვერპენის სიმფონიურ ორკესტრში მინვეულ კომპოზიტორად (1995-1996) არის ავტორი ოპერისა „და არს მუსიკა" (2 მოქმედებად); სიმფონიებისა: № 1 (1967), №2 „საგალობლები" (1970), №3 (1973), №4 „In memoria di Michelangelo" (1975), №5 „ეძღვნება მშობლების ხსოვნას" (1977), № 6 (1980), №7 „ეპილოგი"; სიმფონიური ნაწარმოებებისა: „სევდა ნათელი" სოლისტ- ბიჭუნას, ბიჭუნათა გუნდის და დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის. ეძღვნება ომში დაღუპული ბავშვების ხსოვნას (1985), „ქარით დატირებული" ლიტურგია დიდი სიმფონიური ორკესტრისა და სოლო ალტისთვის (ეძღვნება გივი ორჯონიკიძის ხსოვნას, 1989), „კიდევ ერთი ნაბიჯი" სიმფონიური ორკესტრისა და მაგნიტური ფირისათვის (1992), „უფრთოდ" სიმფონიური ორკესტრისათვის (1993), „სევდისფერი ქვეყანა" სიმფონიური ორკესტრისათვის (1994), Lament — ლუიჯი ნონოს ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მუსიკა — ვიოლინოს, სოპრანოს და სიმფონიური ორკესტრისათვის (1994), „სიმი" ვიოლონჩელისა და სიმფონიური ორკესტრისათვის (1995), „... ala დუდუკი" სასულე კვინტეტისა და ორკესტრისათვის (1995); კამერული ნაწარმოებებისა: „სიცოცხლე შობის გარეშე" — 4 ნაწარმოებისაგან შემდგარი ციკლი. „დილის ლოცვები" კამერული ორკესტრისა და მაგნიტური ფირისათვის (1990), „შუადღის ლოცვები" ულარნეტის, სოპრანო-ბიჭუნას და კამერული ორკესტრისათვის (1991), „საღამოს ლოცვები" ალტის ხმისა და კამერული ორკესტრისათვის (1991), „ღამის ლოცვები" სიმებიანი კვარტეტისა და მაგნიტური ფირისათვის (1992), „ღამის ლოცვები" სოპრანო-საქსოფონის, სიმებიანი ორკესტრისა და მაგნიტური ფირისათვის (1994), „Abii ne viderem" ფლეიტისა და ორკესტრისათვის (1992), „Abii ne viderem" ალტისა და ორკესტრისათვის (1993), „Magnum Ignotum" სასულე ანსამბლისა და მაგნიტური ფირისათვის (1994), „Exil" სოპრანოს, მცირე ანსამბლისა და მაგნიტური ფირისათვის (1994), „V&V" ვიოლინოს, მაგნიტოფირზე ჩანერილი ხმისა და სიმებიანი ორკესტრისათვის (1994), „გოდების შემდეგ" ვიოლონჩელისათვის (1994), „ქარის მერე" ალტისა და სოპრანოსათვის (1994), ბოსტონ-ვალსი ფორტეპიანოსა და სიმებიანი ორკესტრისათვის; აგრეთვე მუსიკისა მრავალი სპექტაკლისა და კინოფილმისათვის, მათ შორის: ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე" (1975), შექსპირის „რიჩარდ III" და „ოიდიპოსი" (1989) აფენაიონის თეატრისათვის, ეპიდავრის ფესტივალი, მოლიერის „ტარტიუფი" (1989) თელ-ავივის თეატრისათვის „გაბიმ" რეჟ. რ. სტურუა; „არაჩვეულებრივი გამოფენა" (1969) რეჟ. ე. შენგე-

ლაია, „არ დაიდარდოს“ (1969) რეჟ. გ. დანელია, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ (1979) რეჟ. ლ. ღოღობერიძე, „დონ-კიხოტი“ (1989), რეჟ. რ. ჩხეიძე. ძირითადი გამომცემლები არიან: Sikorski (ჰამბურგი), G. Shirmer (ნიუ იორკი), Edition Peters (ლაიპციგი), M.P. Belaieff (ფრანკფურტი) და სხვ. ძირითადი ხმის ჩამწერი კომპანიები არიან: ECM, CPO (გერმანია), Olympia, EMI (ლონდონი), Nonsuch (აშშ), Sony Classical (იაპონია), Undina (ფინეთი) და სხვ. არის ყოფილი საბჭოთა კავშირის (1977), საქართველოს სახელმწიფო (1981) და რუსთაველის პრემიების ლაურეატი (1981), ნიკას პრიზის მფლობელი კინომუსიკისათვის (1987), საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი (1988), ღირსების ორდენის კავალერი (1995). მისი ბიოგრაფია შეტანილია The International Who's Who-ში (Europapublicafions Ltd. London WC1 B 3 JN) -ში.

მისამართი: (ბინის) ტოვსტონოგოვის 6, ტელ.: 95.03.39.

„ხოლო იმაში, რასაც გწერთ, ღმერთია მოწმე, რომ არა ვტყუი.“ (წმინდა პავლეს ეპისტოლე გალატელთა მიმართ: I, 20)

თინათინ ყაუხჩიშვილი

ფილოლოგი, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1919 წ. 10 მაისს. მშობლები: თამარ იშხნელი-ყაუხჩიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი; მეუღლე — ოთარ ჯინორია; შვილები: გია გელაშვილი (59 წლის), ლია ჯინორია (55 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1941). მუშაობდა ისტორიის ინსტიტუტში ნყაროთმცოდნეობის განყოფილების უმცროს, უფროს, მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად (1944 წლიდან). მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე დოცენტად (1945-1968). პროფესორად

(1968 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მასალები ბ-ს ისტორიისათვის (V-XI სს ძეგლების მიხედვით)“ და სადოქტორო — „ბერძნული წარწერები საქართველოში“ (1953). გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები „ბერძნული წარწერები საქართველოში“, სტრაბონის „გეოგრაფია“, „აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია“, „პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ“ და სხვ. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში Who's Who (International biographical centre, Cambridge, England).

მისამართი: (ბინის) ბაზალეთის 3, ბ. 6, ტელ. 22 16 63; (სამსახურის) მელიქიშვილის 10

წიგნის სიყვარული ბავშვობიდან; შრომისმოყვარეობა; თავმოყვარეობა; პრინციპულობა; პუნქტუალობა; მოვალეობის გრძნობა.

დავით ყიფიანი

ფეხბურთელი, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი. დაიბადა თბილისში 1951 წ. 18 ივნისს. მშობლები: ციალა შურღაია, დავით ყიფიანი; მეუღლე — ხათუნა აბაშიძე; (დ. 1963 წ.); შვილები: ლევანი (25 წლის), ნიკოლოზი (21 წლის), გიორგი (8 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1981). იყო თბილისის საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივის“ ფეხბურთელი (1966-1970), თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი (1971-1983); თბილისის „დინამოს“ (1983-1992, 1987-1992) საფეხბურთო კლუბ „ოლიმპიაკოსის“ (ნიკო-

ზია, კიპროსი) მთავარი მწვრთნელი (1992-1995) თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი (1995-1996). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში.
ჰობი: ფეხბურთი.
მისამართი: (ბინის) შატბერაშვილის 4, ტელ.: 22.61.44, (სამსახურის) დიღმის მასივი, საფეხბურთო კლუბი „თბილისის დინამო", ტელ.: 23.70.30, ფაქსი: 94.02.95.

რევაზ ყიფიანი

იურისტი, გენერალური პროკურორის მოადგილე, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი, საქართველოს დამსახურებული იურისტი დაიბადა ზესტაფონში 1927 წ. 26 ნოემბერს. მშობლები: ნადია მასხარაშვილი, ვიქტორ ყიფიანი; მეუღლე — ენდი ყიფიანი (დ. 1940 წ.), შვილები: მაია (34 წლის), თინათინი (31 წლის) დაამთავრა უმაღლესი საკავშირო იურიდიული ინსტიტუტი მოსკოვში (1952). მუშაობდა ქუთაისის პროკურატურაში გამომძიებლად (1952-1962), მოსკოვის საკავშირო პროკურატურაში უფროს გამომძიებლად (1962-1964), საქართველოს პროკურატურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად, რესპუბლიკის პროკურორის უფროს თანაშემწედ, საერთო ზედამხედველობის განყოფილებისა და საგამოძიებო სამმართველოს უფროსად (1964-1981), ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორად (1980-1990). 1990 წლიდან საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეა. არის საქველმოქმედო საზოგადოება „ოკრიბას" და ფეხბურთელთა გუნდ „მეშახტეს" პრეზიდენტი.
ჰობი: ქველმოქმედება.
მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 39, ბ. 102, ტელ.: 23.37.37, 22.33.57; (სამსახურის) გორგასლის 24, ტელ. 93.26.20, 99.55.50.



ჩემი მიზანი იყო გავმხდარიყავი პროფესიონალი გამომძიებელი. გამეწია ქველმოქმედება სხვადასხვა სფეროში.

ჯიმი ყიფიანი

იურისტი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, პირველი კლასის მოსამართლე. დაიბადა თბილისში 1940 წ. 13 თებერვალს. მშობლები: ქსენია ჩუბინაძე-ყიფიანი, კონსტანტინე ყიფიანი, მეუღლე — ბაია მგელაძე-ყიფიანი (დ.1949 წ.), შვილები: ნინო (26 წლის), ნათია (23 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1965) და იურიდიული ფაკულტეტი (1974). მუშაობდა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ცენტრალური შემნახველი სალაროს უფროსად (1965-1973), საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმეთა მმართველად (1973-1977), უზენაესი სასამართლოს ნევრად (1977-1991), თავმჯდომარის მოადგილედ (1991-1992), 1992 წლიდან სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეა. არის უზენაესი სასამართლოს ჟურნალის „მართლმსაჯულების მაცნე" და ბუკლეტის „მართლმსაჯულების სასახლე" — რედაქტორი.
ჰობი: ცხენოსნობა, მეგობრებთან და შვილიშვილთან (ლაშა მაისურაძე) ურთიერთობა.
მისამართი: (ბინის) ვაზისუბნის 12, ტელ.: 37.61.92; (სამსახურის) ძმები ზუბალაშვილების 32, ტელ.: 99.09.62; ფაქსი:

93.52.94.

ადამიანის სურვილია ლამაზად იცხოვროს. ლამაზად იცხოვრო — ნიშნავს გაგაჩნდეს ჭეშმარიტი აზრი, ჭეშმარიტი სიტყვა და ჭეშმარიტი ქმედება. მე მიმაჩნია, რომ წესიერება, პრინციპულობა, სამართლიანობა უნდა იყოს ყველა ადამიანის ცხოვრების კრედო. არასოდეს მიღალატია ჩემი პრინციპებისათვის. საქმისადმი ერთგულება და სიყვარული ყოველთვის თავის შედეგს იძლევა. სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ არის...

ზურაბ ყიფშიძე

მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. დაიბადა თბილისში 1953 წ. 10 აგვისტოს. მშობლები: ელენე ყიფშიძე, ავთანდილ ვერულეიშვილი; მეუღლე — ლელა გოცირიძე (დ. 1959წ.); შვილები: გიორგი (19 წლის), ელენე (14 წლის) დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტი (1976); არის თბილისის კინომსახიობთა თეატრისა და კინოსტუდია „ქართული ფილმის" მსახიობი (1976 წლიდან). მონაწილეობდა 50 ფილმსა და 10 სპექტაკლში.
პობი: ცხოველები.
მისამართი: (ბინა) სიმონ ჩიქოვანის 20, ტელ.: 36-41-07; (სამსახურის) ახმეტელის 10', ტელ.: 51-13-16. აღმაშენებლის 164, ტელ.: 34.07.88.

კაცთმოყვარეობა

ნოდარ ყიფშიძე

ექიმი, აკადემიკოსი, ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1923 წ. 12 ოქტომბერს. მშობლები: დარია გაბაშვილი, ნიკოლოზ ყიფშიძე, მეუღლე — ლელი ჭეიშვილი (დ.1926წ.); შვილები: ნიკოლოზი (44 წლის), ნინო (38 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1946). მუშაობა დაიწყო თერაპიის კათედრის ექიმ-ორდინატორად (1946-1948) იყო ქირურგიისა და პემატოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი (1948-1951), ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის I თერაპიული კათედრის დოცენტი (1951-1957). მუშაობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მრჩევლად მედიცინის საკითხებში (1957-1959); არის ჯანდაცვის სამინისტროს თერაპიის ინსტიტუტის დირექტორი (1960 წლიდან). მივლინებით იყო (უნივერსიტეტში) მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ბიოლოგიის, ფარმაკოლოგიისა და თერაპიის სამმართველოს დირექტორად (1963-1965) დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მასალები ენდოკარდიტების კლინიკური დიაგნოსტიკის შესწავლისათვის" (1952), სადოქტორო დისერტაცია — „ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი და ზოგიერთი ფაქტორის გავლენა მის განვითარებაზე" (1963). ავტორია 400-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, აქედან 150 გამოქვეყნებულია უცხოეთში, მათ შორის 18 მონოგრაფია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ესპანურ და გერმანულ ენებზე. არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოსა და რუსეთის სამედიცინო აკადემიების, შვედეთის, ნიუ-იორკის, გერმანიის აკადემიების წევრი, საქართველოს თერაპიული საზოგადოებისა და საზოგადოება „ექიმები ბირთვული ომის წინააღმდეგ" თავმჯდომარე. მიღებული აქვს საქართველოს, ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიები მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1981), ყოფილი საბჭოთა კავშირის სამედიცინო აკადემიის

ა.ლ. მიასნიკოვის სახელობის პრემია (1989).
პობი: კლასიკური მუსიკა, ნადირობა.
მისამართი: (ბინის) ვერიკო ანჯაფარიძის 9, ბ. 3. ტელ. 22.76.30; (სამსახურის) ტელ. 95.47.45, 23.01.47

ვახტანგ ყოლბაია

ეკონომისტ-ორგანიზატორი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა გალში 1952 წელს. დაამთავრა მოსკოვის გემოკავების ინსტიტუტი სხვადასხვა დროს მუშაობდა საზოგადოებრივ მეურნეობაში და ნარმოებაში მუშად, პარტიის გალის რაიკომში ტექნიკურ მუშაკად, ინსტრუქტორად, კომკავშირის გალის რაიკომის მეორე მდივნად (1978-1984), კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, მეორე მდივნად, გალის რაიკომის მდივნად, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, რაიკომის პირველ მდივნად (1978-1990), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ (1990-1992), იქვე კომისიის თავმჯდომარედ (1992), აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ (1993-1994), გალის გამგებლად (1994-1995), იყო პირველი მოწვევის პარლამენტის წევრი (1992-1995).
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, საქართველოს პარლამენტი.

თამაზ ყურაშვილი

მუსიკოსი, მუსიკალური ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი. დაიბადა თბილისში 1947 წ. 25 აგვისტოს. მშობლები: მერი მაჩაბელი, ბორის ყურაშვილი; მეუღლე — თამარ ყურაშვილი (დ.1956 წ.), შვილი — ბორისი (20 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1970) და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. იყო ფილარმონიის ანსამბლ „დიელოს" (1968-1969), ანსამბლ „ჩანგის" (1970), რადიოსა და ტელევიზიის კომიტეტის საესტრადო ორკესტრის (1968-1982) სოლისტი; ჯაზ-ანსამბლის ხელმძღვანელი (1979), საესტრადო-სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი (1983-1985). არის კომპოზიტორი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმისა — „სუფთა დაფა" (1982), მხატვრული ფილმისა — „ისინი" (1993), თელავის დრამატული თეატრის სპექტაკლისა „ათვინიერებენ მიმინოს" (1985), ს. ახმეტელის თეატრის სპექტაკლისა „შავი კატა" არის ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (1984). მისი ბიოგრაფია შეტანილია „ჯაზის ენციკლოპედიაში" (1984, აშშ) და „ჯაზის ანთოლოგიაში" (1995, აშშ).
პობი: კალათბურთი, კრივი.
მისამართი: (ბინის) ნ. ნიკოლაძის 7, ტელ.: 99.93.51; (სამსახურის) კოსტავას 37, ტელ. 94.05.65. ფაქსი: 29.45.94.

ამირან შალიკაშვილი

რეჟისორი, მსახიობი, პანტომიმის თეატრის დირექტორი და სამსატვრო ხელმძღვანელი, პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა ბათუმში 1939 წ. 22 მარტს მშობლები: ელენე ზარიძე, ვალერიან შალიკაშვილი; მეუღლე — კირა მებუკე (დ.1952წ.); შვილები. ყვაჟე, ვალერი, გოჩა, დათო, ამირანი. დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი. არის პანტომიმის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი (1963 წლიდან). გამოქვეყნებული აქვს სტატიები პანტომიმის ხელოვნების შესახებ. არის მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში.

პობი: ლექსების წერა.
მისამართი: (ბინის) ე. ახვლედიანის აღმართი 9. ტელ.: 96.14.17 (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 37 ტელ.: 99 63.14.

მსოფლიოს თეატრის სიყვარული, განსაკუთრებით ქართული თეატრისა.

ოთარ შამათავა

კინორეჟისორი. დაიბადა თბილისში 1950 წ. 6 აგვისტოს. მშობლები: თინათინ ჯავახიშვილი, პეტრე შამათავა; მეუღლე — თამარ ცაგარეიშვილი (დ. 1957წ.); შვილები: თინათინი (20 წლის), ანნა (15 წლის). დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია (1973) და საქართველოს კინოსა და თეატრის ინსტიტუტი (1980) იყო საქალაქმშენსახ-პროექტის არქიტექტორი (1973-1981). არის კინოსტუდია „ქართული ფილმის" რეჟისორი (1981 წლიდან). გადაღებული აქვს ფილმები. „სუფთა დაფა", „ტურანდოტი", „ატრაქციონი", „კალასი" მიღებული აქვს პრიზები: „გრანპრი" პორტუგალიაში (1980). ეიურის სპეციალური პრიზი ესპანეთში (1990), „ოქროს არწივი" საქართველოში (1994)
პობი: დეტექტივების კითხვა.
მისამართი: (ბინის) ფასანაურის 16, ბ. 20. ტელ.: 22 11.30; (სამსახურის) ახმეტელის 10, ტელ: 95.02 03

მცდელობა სიკეთის კეთებისა.

ოთარ შაორშაძე

მუსიკოსი, ჟურნალისტი, ტელერადიოკორპორაციის შემოქმედებითი გაერთიანება „ალიონის" ხელმძღვანელი. დაიბადა ზესტაფონში 1953 წ. 4 ივნისს. მშობლები: ლილი გაჩეჩილაძე, ალექსანდრე შაორშაძე; მეუღლე — მაკა ბოცვაძე (დ.1959წ.); შვილი — იოსები (19 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1976) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი (1982). მუშაობდა თბილისის I სამუსიკო სასწავლებელში კომკავშირის კომიტეტის გათავისუფლებულ მდივნად (1977-1979), პედაგოგად (1979-1983); საქართველოს რადიოში გადაცემა „პიკის საათის" რედაქტორად (1979-1985), საქართველოს ტელევიზიაში ინფორმაციის მთავარი რედაქციის უფროს რედაქტორად (1985-1992), მთავარ რედაქტორად

(1996) 1992 წლიდან „ალიონის“ მთავარი მთავარ რედაქტორია. ავტორი და წამყვანია ტელერადიო გადაცემებისა „აუქციონი“, „პიკის საათი“, „ნაშუადღევს“ 1992 წელს დააარსა პროგრამა „ალიონი“ დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.
პობი: ჩოგბურთი, თევზაობა.
მისამართი: (ბინის) ქობულეთის 26. ტელ. 22 61 79, (სამსახურის) კოსტავას 68. ტელ. 29 46 05; ფაქსი: 93 89 52.

საქმის სიყვარული, პროფესიის ერთგულება, პრინციპულობა, ობიექტურობა.

გურამ შარაძე

ფილოლოგი, საქართველოს პარლამენტის მიგრაციის და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი დაიბადა ოზურგეთის რაიონის სოფელ გურიანთაში 1940 წ. 17 ოქტომბერს. მშობლები: ნინა ბელიქანიძე, სევერიან შარაძე; მეუღლე — სვეტლანა გახარია (დ. 1940წ); შვილები: ლაშა (31 წლის), გიორგი (26 წლის), რუსუდანი (24 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1963). მუშაობდა იქვე რუსთაველის კაბინეტის თანამშრომლად (1966-1867), ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად (1967-1972), სნაგლულ მდივნად (1972-1975), უფროს მეცნიერ — თანამშრომლად (1975-1978), ტექსტოლოგიის განყოფილების გამგედ (1978-1985), ინფორმაციისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილების გამგედ (1985-1992). 1992 წლიდან არის ქართული ემიგრანტული მწერლობის განყოფილების გამგე. იყო ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი (1992-1993), უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმის დირექტორი (1994-1995). საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „თეიმურაზ ბაგრატიონი — რუსთველოლოგი“ (1966), სადოქტორო დისერტაცია — „პირველი ქართველი აკადემიკოსი — თეიმურაზ ბაგრატიონი“ (ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება) (1975) ავტორია ძონოგრაფიებისა: „თეიმურაზ ბაგრატიონი“ 3 ტომად, (1972-1975), „მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა“ (1978); „მიკლოშ კიში და ქართული სტამბა “ (1982); „ბელა ვიკარი — ვეფხისტყაოსნის მთარგმნელი“ (1983), „ილია ჭავჭავაძე“ ორ ტომად (1987, 1991); „უცხოეთის ცის ქვეშ“ 3 ტომად (1990-1992); „მემედ აბაშიძე“ (1995, ბათუმი). არის ივანე მაჩაბლის საზოგადოების თავმჯდომარე (1989 წლიდან), საქართველო-უნგრეთის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდენტი (1987 წლიდან). მწერალთა კავშირისა და მისი გამგეობის წევრი, პარიზის ეროვნული საბჭოს და ჟურნალ „მებრძოლი საქართველოს“ (პარიზი-მიუნხენი) რედაქციის წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის, მემედ აბაშიძის, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. დაჯილდოებულია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ოქროს მედლით „უნგრეთის ინტერესების დაცვისათვის მთელ მსოფლიოში“.
პობი: ძველი წიგნების და ფოტოების შეგროვება.
მისამართი: (ბინის) ი. ჭავჭავაძის გამზ. 15. ტელ.: 23.26.15; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, საქართველოს პარლამენტი. ტელ.: 99.90.62.

სიმართლე (რაც არ უნდა მწარე იყოს!); მიცემული სიტყვის შესრულება; ერთგულება; იდეალი — ილია ჭავჭავაძე.

ირაკლი შაფაქიძე

იურისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის დეკანი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 3 ოქტომბერს. მშობლები: ქეთევან შოთაძე,

დიმიტრი შაფაქიძე; მეუღლე — ნესტან დუდუჩავა (დ.1951ნ.); შვილები. დიმიტრი (14 წლის), მამია (9 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1964). მუშაობს იქვე 1965 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქმედითუნარიანობის პრობლემა სამოქალაქო სამართალში" (1984). არის სტატიებისა და სამეცნიერო შრომების ავტორი.
პობი: არქიტექტურა.
მისამართი: (ბინის) მ. ზანდუკელის 11. ტელ.: 99 64 77; (სამსახურის) ი ჭავჭავაძის გამზ. 1 ტელ.. 29 05 94.

პატიოსნება; მომთხოვნელობა საკუთარი თავის მიმართ და სხვის მიმართ; მეგობრობა; შრომისმოყვარეობა; ერთგულება.

ნიკოლოზ შაშკინი

იურისტი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი. დაიბადა უკრაინის ქალაქ უმანში 1941 ნ. 24 სექტემბერს მშობლები: მატრონა შაშკინა, ვასილ შაშკინი; მეუღლე — ტატიანა შაშკინა (დ.1949ნ.); შვილები: დიმიტრი (21 წლის), ოლღა (12 წლის). დაამთავრა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტი (1964) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1970).

მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ინსპექტორად (1971-1974); რესპუბლიკის პროკურატურაში განყოფილების (1974-1976), საქართველოს კოპარტიის ცკს ადმინისტრაციული განყოფილების (1976-1979) პროკურორად, „დინამოს" საბჭოს განყოფილების უფროსად (1979-1980), საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში იყო განყოფილების უფროსი, საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილე, საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე, საგამოძიებო ნაწილის უფროსი, სასამართლოზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი (1980-1988) თბილისის პროკურატურაში — საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი, უფროსი პროკურორი, ეკოლოგიის ჯგუფის უფროსი (1988-1996). არის სპორტის ოსტატი ცურვასა და წყალბურთში. მრავალი სპარტაკიადისა თუ საერთაშორისო ტურნირის მონაწილე.
პობი: თევზაობა, სპორტი
მისამართი (ბინის) საბურთალოს ქუჩა კორპ. 3, ბ. 11. ტელ. 38 26 40, (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 2 ტელ. 94 08 92.

სიკეთის კეთება, მიზანსწრაფულობა, შრომისმოყვარეობა.

ედუარდ შევარდნაძე

ისტორიკოსი, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათში 1928 ნ. 25 იანვარს. მეუღლე — ნანული ცაგარეიშვილი; შვილები: მანანა, პაატა. დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი 1946 წლიდან იყო სხვადასხვა პარტიულ სამუშაოზე. მუშაობდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მცხეთის რაიკომის პირველ მდივნად (1961-1962), თბილისის პირველი მაისის რაიონის რაიკომის პირველ მდივნად (1963-1964), საქართველოს საზოგადოებრივი წესრგის დაცვის მინისტრის

პირველ მოადგილედ (1964-1965), ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს (1965-1972), მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველ მდივნად (1972-1985), სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრად (1985-1990), ამ პოსტიდან გადადგომის შემდეგ ხელმძღვანელობდა საგარეო პოლიტიკურ ასოციაციას. 1992 წლის მარტიდან იყო საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, იმავე წლის ოქტომბერში აირჩიეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ, სახელმწიფოს მეთაურად. 1995 წლის 5 ნოემბერს აირჩიეს საქართველოს პრეზიდენტად. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია „ჩემი არჩევანი" არის ბოსტონის, ჰარვარდის, ატლანტის, ლოს-ანჯელესის, პროვიდენსის (აშშ), ტრიესტის (იტალია) უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრი.
მისამართი: (სამსახურის) ინგოროყვას 7 ტელ.: 99.96.53.

ლეილა შელია

მხატვარი დაიბადა სოხუმში 1953 წ. 20 ივლისს. მშობლები: თამარ ხუბუტია, გიორგი შელია. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1978). ჰქონდა გამოფენები თბილისში (1982), ბელგიაში (1990), პარიზში გალერეაში „Drouot" (1990), ბარსელონაში გალერეაში „Brok" (1990), მოსკოვში, გალერეაში „Арт Миф" (1991), შვეიცარიაში გალერეებში „Roswitha Benkert" და „Villa Delle Isola Di Brissago" (1993), ბრიუსელში გალერეა „Franche Comte" (1993), თბილისის სახელმწიფო მუზეუმში (1994), ბაქოში (1995), თბილისის გალერეა „TMS"-ში, ერევანში (1996).
მისამართი: (ბინის) ნუცუბიძის პლატო, III მ/რ, I კვ. კორპ. 13, სახელოსნო № 1. ტელ.: 31.55.94

მურთაზ შელია

ფეხბურთელი. დაიბადა ოჩამჩირის რაიონის სოფ. კოჩარაში 1969 წ. 25 მარტს. მშობლები: ნელი შენგელია, გიორგი შელია. თამაშობდა ოჩამჩირის „ამირანში" (1987-1990), თბილისის „დინამოში" (1990-1993, 1994-1995), გერმანიის „ზაარბრუკენში" (1993-1994). თამაშობს ვლადიკავკაზის „ალანიაში" (1995 წლიდან).
ჰობი: მუსიკა, ნადირობა.
მისამართი: (ბინის) სამტრედიის 3, ბ. 18. ტელ: 34.12.04.

გიორგი შენგელაია

კინორეჟისორი, კინოსტუდია „ქართული ფილმის" სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1937 წ. 11 მაისს. მშობლები: ნატო ვაჩნაძე, ნიკოლოზ შენგელაია; შვილები: ნიკოლოზი (40 წლის), ალექსანდრე (33 წლის), გიორგი, (10 წლის). დაამთავრა საკავშირო კინოს ინსტიტუტი (მოსკოვი, 1959). იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" მსახიობი (1955-1959), იქვე კინორეჟისორი (1959 წლიდან). არის რეჟისორი ფილმებისა: „ალავერდობა", „მაცი ხვიტია", „ვერის უბნის მელოდიები", „სიყვარული ყველას უნდა", „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა", „ხარება და გოგია", „ორფეოსის სიკვდილი" და სხვ. არის რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

მისამართი: (ბინის) კეკელიძის 16, ბ. 12. ტელ.: 22.64.11, (სამსახურის) ახმეტელის 10 ა. ტელ.: 95.03.02.

ჩემი იდეალებია: განათლება, კულტურა, სათნოება.
ხელოვნებაში — ეროვნულ სუბსტანციაზე დაყრდნობით ზოგადსაკაცობრიო იდეალებისკენ სწრაფვა, საზოგადოებაში — თანასწორობისაკენ მისწრაფება.

ელდარ შენგელაია

კინორეჟისორი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა თბილისში 1933 წ 26 მაისს. მშობლები: ნატო ვაჩნაძე, ნიკოლოზ შენგელაია; მეუღლე — ნელი შენგელაია; პყავს სამი ქალიშვილი.

დაამთავრა საკავშირო სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (1958) მუშაობდა კინოსტუდია „მოსფილმში" (1957-1960). 1960 წლიდან მუშაობს კინოსტუდია „ქართულ ფილმში" არის საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე (1976 წლიდან), არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად (1980-1985, 1986-1990), საკავშირო დეპუტატთა ყრილობის დეპუტატად (1989-1991), 1992 წელს აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში ბლოკ „ლიბერალების" შემადგენლობაში, სადაც კულტურის კომისიას თავმჯდომარეობდა, 1995 წელს კვლავ აირჩიეს პარლამენტის წევრად „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის" სიით. არის რეჟისორი ფილმებისა: „თეთრი ქარავანი", „მიქელა", „არაჩვეულებრივი გამოფენა", „შერეკილები", „სამანიშვილის დედინაცვალი", „ცისფერი მთები", „ექსპრეს-ინფორმაცია", ვიდეო-ფილმისა 9 აპრილის ტრაგედია" იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციისა „სახალხო ფრონტი", აქტიურ მონაწილეობას იღებდა პოლიტიკური ორგანიზაციის „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის" დაარსებაში.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8.
ტელ.: 93.14.05.

ზაზა შენგელია

ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე. დაიბადა 1963 წ 22 მაისს. მშობლები: ზოია კალანდარიშვილი, ოთარ შენგელია; მეუღლე — სესილი გოგიბერიძე (დ. 1961 წ.); შვილი — ნინო (10 წლის), დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1985) და ასპირანტურა (1989) მუშაობდა საქართველოს უცხოეთთან კულტურულ ურთიერთობათა ცენტრში პასუხისმგებელ მდივნად (1990-1992), იყო ტელეკომპანია „იბერვიზიის" გენერალური დირექტორი (1992-1994), სახელმწიფოს მეთაურის პრეს-მდივნის მოადგილე (1994-1995), თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ვიცე-პრემიერი (1995-1996). არის „იბერვიზიის" დამფუძნებელი, საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალის „მანა"-ს დამფუძნებელი და საპატიო პრეზიდენტი.
ჰობი: თანამედროვე მუსიკა. (ჯაზი, სოული, ჯაზ-როკი, მუსიკა კინოფილმებიდან, ქართული ფოლკლორული მუსიკა), კომპაქტ-დისკების კოლექციონირება.
მისამართი: (ბინის) ბარნოვის 71. ტელ. 22.70.76; (სამსახურის) ინგოროყვას 7 ტელ.: 93 50.33. ფაქსი: 98.97 10.

ჩემს ძირითად ცხოვრებისეულ კრედოს წარმოადგენს პატრიოტიზმი, პროფესიონალიზმი, პატიოსნება. ძალიან მიყვარს სხვისი მოსმენა და გაჭირვებულისათვის დახმარების გაწევა (შესაძლებლობის ფარგლებში, რა თქმა უნდა) დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, საკუთარი საქმის კეთება დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

მუშაობის დროს ვსარგებლობ „გუნდური“ პრინციპით. მახასიათებს (როგორც სხვები ამბობენ) შრომისმოყვარეობა, ახლის კეთების სურვილი, რისკი და საკუთარი პრინციპების ერთგულება. ჩემთვის იდეალური ისტორიული პიროვნებები: გიორგი ბრწყინვალე, ბენ გურიონი და ჩარლი ჩაპლინი. საყვარელი მწერლები: თომას მანი და გურამ დოჩანაშვილი, საყვარელი მომღერალი და მუსიკოსი — ფრენკ სინატრა და სტივი უანდერი, კინორეჟისორები: ოთარ იოსელიანი, ბერნარდო ბერტოლუჩი და მაიკლ ჩიმინო.

ლორეტა შენგელია-აბაშიძე

მხატვარი, პროფესორი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი. დაიბადა 1942 წ 14 დეკემბერს. მშობლები ანა ფიშერი, სერგო შენგელია, მეუღლე — ლადო აბაშიძე; შვილი გიორგი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1972) ჰქონდა პერსონალური გამოფენა კვიპროსში (1984), ზაარბრიუკენში (1985, 1993), ბერლინში (1989, 1990), რომში (1990), თბილისში (1991), კიოლნში (1995). მონაწილეობას ღებულობდა გამოფენებში მსოფლიოს 105 ქვეყანაში. თანამშრომლობდა გამომცემლობებთან: „საბჭოთა საქართველო“, „ხელოვნება“, „მერანი“ და სხვ. დასურათებული აქვს: სულხან-საბა ორბელიანი „სიბრძნე სიცრუისა“, „შუშანიკის ნამება“, შექსპირის „რიჩარდ III“, „ოტელოს“, „ანტონიუსი და კლეოპატრა“, „იულიუს კეისარი“, ლადო ასათიანის კრებული, ანა კალანდაძის ორტომეული, გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ და სხვ. მიღებული აქვს მედალი „წლის საუკეთესო ნამუშევარი“ და „გრან-პრი“ საკავშირო გამოფენაზე.

მისამართი: (ბინის) იაშვილის 11. ტელ.: 99.72.59.

რომან შენგელია

იურისტი, პროფესორი. დაიბადა სამტრედიაში 1941 წ. 1 იანვარს. მშობლები: ლოლა შენგელია, ვარლამ შენგელია, მეუღლე — ნინა ოდილავაძე (დ.1947 წ); შვილები: ეკატერინე (20 წლის), გიორგი (19 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1964). მუშაობდა იქვე სამართლის კათედრაზე მასწავლებლად, დოცენტად, პროფესორია 1986 წლიდან. საკანდიდატო დისერტაცია

დაიცვა თემაზე „საბანკო კრედიტის სამართლებრივი რეგულირება“ (1968), სადოქტორო დისერტაცია — „სახელმწიფოს მონაწილეობა საკრედიტო სამართლებრივ ურთიერთობებში“ (1985) არის 15 წიგნისა და 35 სტატიის ავტორი ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. არის საფინანსო სამართალის სახელმძღვანელოს ავტორი, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მონაწილეობდა საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების სამართლებრივი პრობლემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო კოდექსის, მენარმეთა, ჩეკისა და თამასუქის კანონების შემუშავებაში.

პობი: პოეზია, ისტორიული რომანები და ფილმები ლამაზი ქალი.

მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვრტ., IV კორპ., ბ. 128. ტელ: 31.90.04; (სამსახურის) ი. ჭავჭავაძის გამზ. 1. ტელ.: 22.37.10.

მინდოდა ვყოფილიყავი სამართლის მცოდნე და დამცავი. პრაქტიკულ საქმიანობას ვამჯობინე პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა. თუ

რაიმე წარმატება მაქვს — იგი განაპირობა შრომისმოყვარეობამ და იმან, რომ დიდი ხნის მანძილზე არ მქონდა ნორმალური მატერიალური და საბინაო პირობები.

მირონ შველიძე

მხატვარი. დაიბადა 1947 წ. 21 დეკემბერს. მშობლები: მარიამ ტეტუნაშვილი, პავლე შველიძე; მეუღლე: მანანა ლომიძე (დ.1947წ.); შვილები: ნიკოლოზი (20 წლის), გიორგი (19 წლის), მარიამი (18 წლის). დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია (1971). არის რუსთაველის თეატრის დამდგმელი მხატვარი (1971 წლიდან) გაფორმა პ. კაკაბაძის „ყვარყვარე", შექსპირის „რიჩარდ III", „მეფე ლირი", „ტიტუს ანდრონიკუსი", „მაკბეტი", ჯ.ავახიშვილის „ქალის ტვირთი", „ჯაყოს ხიზნები", ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", რ. ლაღიძის „ლელა", ჯ. ვერდის „ოტელო" (უ. იმერლიშვილთან ერთად). არის შ. რუსთაველის სახელობის, საქართველოს სახელმწიფო და მემედ აბაშიძის სახელობის პრემიების ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში.

პობი: თევზაობა.

მისამართი: (ბინის) პუშკინის 13. ტელ.: 99.96.78; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 17

ბადრი შოშიტაიშვილი

თბილისის მერი. დაიბადა თბილისში 1946 წ. 28 ოქტომბერს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტი ხიდებისა და გვირაბების მშენებელი ინჟინრის სპეციალობით (1969). სხვადასხვა დროს მუშაობდა მეტროპოლიტენის მშენებლობაზე, საპროექტო-საძიებო ინსტიტუტში „კავგიპროტრანსში", თბილისის პარტიის საქალაქო კომიტეტში მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორად, განყოფილების გამგის მოადგილედ, თბილისის საქარხნო რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ, რაიკომის I მდივნად, ტრესტ „კავკაზელექტროქსელმშენის" მმართველის მოადგილედ იყო თბილისის მუნიციპალიტეტის ვიცე-პრემიერი (1994-1995), თბილისის ვიცე-მერი და მუნიციპალიტეტის პრემიერი (1995), 1995 წლიდან თბილისის მერია.

მისამართი: (სამსახურის) თავისუფლების მოედანი 2, ტელ. 93 65 25

ვაჟა შუბლაძე

ინჟინერი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1947 წ. 5 იანვარს. მშობლები: თინა შუბლაძე, დავით შუბლაძე, მეუღლე — ანი ჯვარშეიშვილი (დ. 1946წ.), შვილები: სოფიკო (24 წლის), ნინო (20 წლის). დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1969). მუშაობდა იქვე ავტომატიკის საპრობლემო ლაბორატორიაში უმცროს მეცნიერთანამშრომლად (1967-1979), თბილისის კალინინის რაიონის რაიკომის პირველ მდივნად (1970-1972), საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარედ (1972-1981), სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ (1981-1988), პროფკავშირების გაერთიანებული სპორტსაზოგადოების თავმჯდომარედ (1988-1990), მინისტრთა კაბინეტის კანცელარიის მმართველის

პირველ მოადგილედ (1991-1992). 1993 წლიდან არის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი დაჯილდოებულია „ხალხთა მეგობრობის ორდენით" (1981), საპატიო ნიშნით „ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის" (1986), ღირსების ორდენით (1996) არის საქართველოს რეფორმატორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე.

ᲰᲝᲑᲘ: ჭადრაკი, კროსვორდები, თავსატეხები, მეგობრების წრესა და ხალხთან ურთიერთობა, ისტორია.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (ბინის) ბახტრიონის 7ა, ბ. 36 ტელ 38 89 95, 98.61.22; (სამსახურის) კოსტავას 37ა. ტელ.: 98 27 47; ფაქსი: 98 70 53

მაქსიმალური მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი და შემდეგ სხვებისადმი, დიდი პასუხიმგებლობა მინდობილი საქმისადმი. მუშაობის პროცესში შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა — არასტანდარტული მიდგომა გადასაჭრელი საკითხებისადმი. ადამიანებთან ურთიერთობაში მაქსიმალური კეთილგანწყობა, თანადგომა და კომუნიკაბელობა, სამართლიანობა. ვერ ვიტან — უსამართლობას, უპასუხისმგებლობას, ტყუილს, მოჩვენებითობას. ჩემი ცხოვრების კრედოა „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს", „ჰქენი მადლი (სიკეთე) ქვაზე დადე და გაიარეო". ჩემის აზრით, ყველაფერი უნდა გააკეთო იმისათვის, რომ იყო შენი ქვეყნის ღირსეული წარმომადგენელი (პატრიოტი) ყველა უბანზე, სადაც კი მოგიწევს მოღვაწეობა.

გოგი ჩაგელიშვილი

მხატვარი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი. დაიბადა თბილისში 1945 წ. 2 იანვარს. მშობლები: ალექსანდრა ქემოკლიძე, ტარას ჩაგელიშვილი; მეუღლე — ლეილა კიკნაძე (დ.1957წ.); შვილები: ოტია (18 წლის), ლუკა (12 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1971). პქონდა შვიდი პერსონალური გამოფენა. არის ათასზე მეტი ფერნერული ტილოს ავტორი.

პობი: ნადირობა.

მისამართი: (ბინის) გოგებაშვილის III შესახვევი 22. ტელ 29 48 82.

სიყვარულით ვაკეთებ იმას, რაც ვიცი, მაგრამ არაფრის მონა არ მინდა გავხდე. ნარმატება მეტ ვალდებულებას მაკისრებს, წარუმატებლობა მაღიზიანებს. ძალების მობილიზაცია ხდება უკეთესობისაკენ. ვცდილობ ცხოვრების რიტმის, შემოქმედებისა და ფიზიკური მონაცემების ჰარმონიულ შერწყმას. მინდა ვისწავლო ხედვა და არა ყურება. მახასიათებს მოძრაობა, ახლის ძიება, პასუხისმგებლობა, ეჭვიანობა, დაფიქრება, განმარტოება. შემოქმედებით პროცესში არასდროს არაფერი მაკმაყოფილებს.

გოჩა ჩაგელიშვილი

ეკონომისტი, ბანკირი, რეკონსტრუქციისა და განვითარების რუსულ-ქართული ბანკის გენერალური დირექტორი. დაიბადა თბილისში 1963 წ. 15 დეკემბერს. მშობლები: გოგოლა გოგიბერიძე, გივი ჩაგელიშვილი; მეუღლე — ნათია მერაბიშვილი (დ.1969წ.); შვილი — მარიამი (1 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1985). მუშაობდა ვაჭრობის სამინისტროში საქონელმცოდნედ (1985-1989), საკავშირო „მრენვმშენბანკში" გამგეობის თავმჯდომარის თანაშემწედ (1989-1991), „თბილკომბანკში" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ (1991-1993), „თბილკრედიტბანკის" გამგეობის თავმჯდომარედ (1993-1994), „რეკონსტრუქციისა და განვითარების რუსულ-ქართული ბანკის" გამგეობის თავმჯდომარეა 1994 წლიდან. არის მონკავშირის, ბილიარდის, მოყვარულთა ასოციაციის და საზოგადოება „თბილისელის" წევრი.

პობი: ნადირობა.

მისამართი: (ბინის) ფანასკერტელის ქ. VI კორპ., ბ. 164. ტელ 98.78.97 (სამსახურის) ძმები ზუბალაშვილების 32. ტელ. 93.51.74, ფაქსი. 93.26.10.

მიხეილ ჩაჩხუნაშვილი

ფიზიკოსი, საერთაშორისო ენერგეტიკულ ცენტრ „ენეკოს" აღმასრულებელი დირექტორი, ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1947 წ. 6 ოქტომბერს. მშობლები: როზა ალავიძე, შოთა ჩაჩხუნაშვილი; მეუღლე — ელენე ხერხეულიძე; შვილები: ილია (20 წლის), შოთა (18 წლის). დაამთავრა თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი (1970), ასპირანტურა (1973). იყო მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და ლაბორატორიის გამგე (1973-1994). არის არასამთავრობო ორგანიზაცია საერთაშორისო ენერგეტიკული ცენტრის „ენეკო" აღმასრულებელი დირექტორი (1994 წლიდან). და ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე (1995 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მსუბუქი ბირთვების სტრუქტურის შესწავლა π-მეზონებით" (1978). არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია „კავკასიური კლუბის" გამგეობის წევრი.

ჰობი: სპორტი, მხატვრული ლიტერატურა.

მისამართი: (ბინის) მიცკევიჩის 25. ტელ 37.74.60. (სამსახურის) რუსთაველის გამზ 16; ტელ.: 93.34.99. ფაქსი: 93 31.99 ელ-ფოსტა. renew@eneco.ge

სამართლიანობა.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი

იურისტი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი. დაიბადა თბილისში 1928 წ. 30 აგვისტოს. მშობლები თამარ ეაჩნაძე — ჩერქეზიშვილი, გიორგი ჩერქეზიშვილი; მეუღლე — ციალა ბაძოშვილი (დ. 1936 წ.); შვილები: თამარი (26 წლის), სოფიო (25 წლის).

დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი (1952). მუშაობდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციაში ლიტმუშაკად, განყოფილების გამგედ (1952-1957), საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ინსტრუქტორად, განყოფილების გამგის მოადგილედ, განყოფილების გამგედ (1957-1965), იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი (1965-1973), კომპარტიის ცკ-ში კულტურის განყოფილების გამგე (1973-1976), რედაქტორობდა გაზეთებს „ზარია ვოსტოკა" (1976-1988) და „კომუნისტი" (1988-1990); იყო ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის თავმჯდომარე (1990-1992). არის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი (1996 წლიდან) და ქართული ენციკლოპედიის რედაქციის სამეცნიერო საბჭოს წევრი და კონსულტანტი (1992 წლიდან). სამი მონოგრაფიისა და მრავალი საგაზეთო და საჟურნალე სტატიის ავტორია მიღებული აქვს მინისტრთა საბჭოს პრემია ჟურნალისტიკის დარგში.

ჰობი: მხატვრული ლიტერატურა, კლასიკული მუსიკა, ფეხბურთი, ცხენოსნობა.

მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 75, ბ. 49. ტელ.: 22.53.74. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 29. ტელ.: 94.08.52. ფაქსი. 93.30.05.

მთავარი პრინციპები — პატიოსნება, სამართლიანობა, პრინციპულობა, ერთგულება საქმისადმი, ოჯახისადმი და მეგობრებისადმი; მხარდაჭერა ყოველივე პროგრესულისა, ნიჭიერებისა და მიუღებლობა პროვინციული აზროვნებისა. მიზანი — საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის საჭირო პირობების შექმნის საქმეში ჩემი წვლილის შეტანა.

მაია ჩიბურდანიძე

მოჭადრაკე, ექიმი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში ქალთა და ვაჟთა შორის დაიბადა ქუთაისში 1961 წ. 17 იანვარს. მშობლები: როზა ხურციძე, გრიგოლ ჩიბურდანიძე. დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი (1989). არის მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ქალთა შორის (1978, 1981,

1984, 1986, 1988), მსოფლიოს ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი (1978, 1980, 1982, 1984, 1986, 1992, 1994, 1996), საჭადრაკო „ოსკარის" ოთხგზის მფლობელი (1984, 1985, 1986, 1987). არის საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი (1986), „ხალხთა მეგობრობისა" და „შრომის წითელი დროშის" ორდენთა კავალერი. არის თანაავტორი წიგნისა „ვთამაშობ კაცების წინააღმდეგ" (1984)

მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ 75, ბ. 56, ტელ :22.53.75

ალექსანდრე ჩივაძე



იურისტი, სპორტსმენი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. დაიბადა კარაჩაევსკში 1955 წ. 8 აპრილს მშობლები: ნუსია ჩივაძე, გაბრიელ ჩივაძე; მეუღლე — მზია ჩივაძე (დ.1960წ.) შვილები: ალექსანდრე (14 წლის), გიორგი (12 წლის), ანა (4 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1968). თამაშობდა თბილისის „დინამოში" (1974-1987). მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში უდიდეს საქმეთა გამომძიებლად (1988-1990). 1990 წლიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია. არის ევროპის თასების თასის (1981), საქართველოს უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელის მფლობელი.

ჰობი: სპორტი, ლიტერატურა, კინოხელოვნება, მუსიკა

მისამართი: (ბინის) სამტრედიის 51. ბ. 34. ტელ : 34.10.11. (სამსახურის)· შ. იამანიძის 5. ტელ.: 96.07.80.

შალვა ჩიკვაშვილი

იურისტი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, დაიბადა ქუთაისში 1932 წ 20 სექტემბერს

მშობლები: ლუბა ჩიკვაშვილი, დანიელ ჩიკვაშვილი; მეუღლე — სარა ჩიკვაშვილი (დ.1938წ); შვილები· ბორისი (34 წლის), დანიელი (32 წლის), დავითი (30 წლის) დაამთავრა ხარკოვის იურიდიული ინსტიტუტი (1952). მუშაობდა რესპუბლიკის პროკურატურაში განყოფილების პროკურორად (1952-1953). ქუთაისის ოლქის პროკურორის თანაშემწედ (1953); ხარკოვის ვაჭრობის ინსტიტუტში მასწავლებლად (1954-1956); თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მასწავლებლად და დოცენტად (1956-1959); მინისტრთა საბჭოში იურიდიული კომისიის კონსულტანტად (1960-1968), არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორი (1968 წლიდან), ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „ფართო მოხმარების საგანთა ასორტიმენტის პირობები მინოდების ხელშეკრულებებში" (მოსკოვი 1956); სადოქტორო დისერტაცია — „საბინაო კოოპერაციის სამართლებრივი პრობლემები (მოსკოვი 1966). არის ავტორი 300 მეცნიერული ნაშრომისა, 24 მონოგრაფიისა. მიღებული აქვს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი. არის იურისტთა მსოფლიო ასოციაციის წევრი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს წევრი; იუსტიციის პროკურატურის და უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კონსულტანტი; დამუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის მოდელური სამოქალაქო კოდექსის შემმუშავებელი კომისიის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, და კანონპროექტების და სხვადასხვა ნორმატიული აქტების შემმუშავებელი კომისიების წევრი, „ქართველ ებრაელთა ენციკლოპედიის„ საზოგადოებრივი საბჭოს წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია საქართველოს ენციკლოპედიაში, დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში.

პობი: ლიტერატურა, სპორტი
მისამართი: (ბინის) იოსელიანის 37 ბ. 34, ტელ 36 74 76. (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ 1 ტელ 29 05 96

ვხელმძღვანელობდი ჰუმანიზმის, დემოკრატიზმისა და სამართლიანობის პრინციპით. მიზანს შეადგენდა ღირსეული შვილების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა. მათში კაცთმოყვარეობის გრძნობის ჩამოყალიბება და განვითარება, ზრუნვა მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდისათვის. ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ჩემი ცხოვრებისა იყო და არის მაღალი პროფესიონალიზმი. ამ საქმეში წარმატების მიღწევისათვის ერთ-ერთ ძირითად პირობად მიმაჩნია შრომისმოყვარეობა და საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება. პროფესიონალიზმში ვგულისხმობ — პროფესიისადმი დიდ სიყვარულსა და მის სრულყოფას მსოფლიოს მასშტაბების დონეზე.

კახა ჩიტაია

ფიზიკოსი, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე დაიბადა თბილისში 1951 წ. 23 მარტს პყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი: რუსუდანი და სალომე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი ნახევარგამტართა ფიზიკის სპეციალობით (1974). მუშაობდა იქვე ნახევარგამტართა ფიზიკის პრობლემურ ლაბორატორიაში უმცროს მეცნიერთანამშრომლად (1974-1976), მეცნიერთანამშრომლად (1979-1992), სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტ „მიონში" ინჟინრად (1976-1979), საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა განყოფილების მდივნად (1979-1980), საგარეო საქმეთა სამინისტროში პოლიტიკური დეპარტამენტის II ევროპული სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ამავე სამმართველოს უფროსად (1992-1995) და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსად.
მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, საქართველოს პარლამენტი, ტელ 98 73 45, 96 83 61.

ნანი ჩიქვინიძე

მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. დაიბადა 1949 წ 31 აგვისტოს. მშობლები: თამარ ჩიქვინიძე, ლეონიდე ჩიქვინიძე; მეუღლე — თემურ ჩხეიძე (დ.1943ნ); შვილი — მედეა (20 წლის)

დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1971). არის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი (1971 წლიდან). მონაწილეობდა სპექტაკლებში: „პროვინციული ამბავი" (ზიზი), „ჯაყოს ხიზნები" (მარგო), „სეილემის პროცესი" (ელიზაბეტი), „მეფე ლირი" (რეგანი) და სხვ. კინოფილმებში: „მაგდანას ლურჯა" (კატო), „სხვისი შვილები" (ლია), „ნუ გეშინია, დედა" (დედა), „თამუნია" (თამუნია), „ძნელი დასანყისი" (ნინო); სატელევიზიო სპექტაკლებში: „კუკარაჩა" (დედა), „ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს" (ნანა), „ჩვენებურები" (ზენარი), „ირინეს ბედნიერება" (ირინე).
მისამართი: (ბინის) ზაქარიაძის 8. ტელ.: 38.96.17. (სამსახურის) მარჯანიშვილის 8. მარჯანიშვილის თეატრი ტელ.:95.24.25.

პროფესიონალიზმი. განათლება. ვცდილობდი სულიერება მეძებნა ყველაფერში. ადამიანებთან

წრფელი, მაგრამ არა უხეში დამოკიდებულება. საქმისა და ოჯახის ერთგულება. საკუთარ თავში მეტად ჩაღრმავება და ნაკლებად სხვისი გაკიცხვა. პატიება და შენდობა.

თამარ ჩიქოვანი

ჟურნალისტი, რადიო „თავისუფლების" კორესპონდენტი საქართველოში. დაიბადა თბილისში 1962 წ. 12 მარტს. მშობლები: ლია მიქაძე, ფელიქს ჩიქოვანი; მეუღლე (ყოფილი) — პაატა ცინცაძე (დ.1960წ); შვილი ნინო (9 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ქვეყნისმცოდნეობის განყოფილება ირანის ისტორიის სპეციალობით (1984). მუშაობდა თბილისის №1 მედსანნანლში მედდად (1984-1986); გაზეთ „თბილისის" კორესპონდენტად (1987-1991).; იყო გაზეთ „დრონი"-ს კორესპონდენტი, მთავარი რედაქტორის მოადგილე, მთავარი რედაქტორი (1991-1994); არის რადიო „თავისუფლების" კორესპონდენტი (1994 წლიდან). თბილისის ტელე-რადიო ინსტიტუტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი (1995 წლიდან). თბილისის Public Relations Centre-ს გენერალური დირექტორი (1996 წლიდან). არის კერძო საკუთრების დაცვის ლიგის გამგეობის წევრი.

ჰობი: თეატრი.

მისამართი: (ბინის) ცოტნე დადიანის 34. XVII კორპ. ბ.7 ტელ.: 66.45.00; (სამსახურის) უზნაძის 2, ტელ.: 96.42.63. ფაქსი: 95.61.66.

მთავარი პრინციპი: ოცნება კარგია ძილის წინ, გაღვიძების შემდეგ კი რაიმე კონკრეტული პატარა ნაბიჯი მაინც უნდა გადადგა მიზნის მისაღწევად. ძალიან გამიმართლა — ჯერჯერობით ყოველთვის ისეთ ადგილზე ვმუშაობდი, სადაც ინიციატივა არ ისჯებოდა. მეორე მხრივ, როგორც კი ვიგრძნობ, რომ რაღაც ახლის სწავლის შესაძლებლობა იწურება, ვიწყებ საქმიანობის ახალი სფეროს ძებნას. გამიმართლა, რომ განათლებით ისტორიკოსი ვარ, ანუ მეტნაკლებად ვერკვევი მოვლენათა განვითარების ლოგიკაში. ამდენი გამართლების მიუხედავად, თავს ბედის ნებიერად არ ვთვლი — ჟურნალისტობა კატორღული შრომაა.

იური ჩიხრაძე

ინჟინერ-პიდროტექნიკოსი, პარლამენტის წევრი, საპარლამენტო ფრაქცია „მაჟორიტარის" თავმჯდომარე, რეფორმატორთა კავშირის პოლიტიკური მდივანი. დაიბადა ამბროლაურში 1960წ. 1 ნოემბერს. მშობლები: მარიამ ჩიხრაძე, ვასტანგ ჩიხრაძე; მეუღლე - ირმა შევარდნაძე (დ.1964წ), შვილები. ვასტანგი (12 წლის), გიორგი (7 წლის). დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1983). მუშაობდა ინჟინრად ტრესტ „ნყალმშენში" (1983-1985), სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში უფროს ეკონომისტად, მთავარ სპეციალისტად, ქვეგანყოფილების უფროსად (1985-1991), ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროში მთავარ სპეციალისტად (1991-1992), ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოში საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსად (1992-1993), სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კატრექსში" გენერალური დირექტორის მოადგილედ (1993-1995). იყო რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარის სახელმწიფო მეთაურის სახელმწიფოს რწუნებულის პირველი მოადგილე (1995).

მისამართი: (ბინის) ნუცუბიძის IV მ/რ XII კორპუსი ბ. 40. ტელ.:23.39.91. (სამსახურის) რუსთაველის 8. საქართველოს პარლამენტი. ტელ.:99 88.63, ფაქსი.93 56.41

ადამიანი უნდა იყოს განონასწორებული, სულგრძელი, შეინარჩუნოს საკუთარი ორიენტაცია. უნდა თქვა ის, რაც საჭირო, მაგრამ მეტი ღირსებაა იმის უთქმელობა, რაც არ არის სათქმელი. უნდა მოისმინო პროფესიონალების აზრი და მხოლოდ ამის შემდეგ თამამად მიიღო გადაწყვეტილება. პატივი სცე ადამიანის ზნეობასა და გონიერებას, ვინც არ უნდა იყოს ის, ან რა შეცდომაც არ უნდა ჰქონდეს დაშვებული, ყოველთვის უნდა ენდო საკუთარ ინტუიციას, არასოდეს ულალატო ვინმეს, გიყვარდეს ახლობლები და მეგობრები. იყავი პრინციპული და ყურადღებიანი, ულირსი საქციელი არავის აპატიო.

ფიქრია ჩიხრაძე

ფილოლოგი, საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა 1965 წ. 27 აპრილს. მშობლები: კლარა ჩიხრაძე, ვალერიან ჩიხრაძე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1989).

მუშაობდა თბილისის მეორე ექსპერიმენტულ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად (1990-1994), იყო გაზეთ „ივერია-ექსპრესის" მთავარი რედაქტორი (1995). არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული კულტურის კვლევის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი (1990 წლიდან). აქვეყნებდა პუბლიცისტურ და პოლიტიკურ სტატიებს. არის ავტორი სატელევიზიო გადაცემებისა, უნივერსიტეტის „პრეს-კლუბისა" და „საქართველოს პოლიტიკური კლუბის" წევრი.

ჰობი: მოგზაურობა, ფოლკლორული და არქეოლოგიური ექსპედიციები.

მისამართი: (ბინის) გამსახურდიას გამზ. 39. ტელ.:37.13.40 (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8. ტელ.:99.73.22

ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობა;
მართლმადიდებლური პრინციპები.

გიორგი ჩოკოშვილი

ფილოლოგი, ჟურნალისტი, საქართველოს რადიოს ინფორმაციის რედაქციის მთავარი რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1948 წ. 21 თებერვალს. მშობლები: თამარ ბაჩიაშვილი, მიხეილ ჩოკოშვილი; მეუღლე — რუსუდან ახვლედიანი (დ. 1958 წ.); შვილი — დავითი (8 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1974). მუშაობდა თბილისის მე-5 საშუალო სკოლაში უფროს პედაგოგ-ხელმძღვანელად (1966-1968). ტელევიზიაში შტატგარეშე თანამშრომლად, რეჟისორის ასისტენტად, რედაქტორად (1968-1974), „მოამბის" კორესპონდენტად (1976-1978), განყოფილების გამგედ (1979-1982). 1991 წლიდან მუშაობს რადიოში მთავარ რედაქტორად. არის უამრავი რეპორტაჟის, რადიო და ტელეგადაცემის ავტორი და წამყვანი. უძღვებოდა სატელევიზიო პროგრამა „ალიონს", რადიოპროგრამა „პიკის საათს", რადიოკლუბს „კონტაქტი", იყო სპორტული კომენტატორი და მიმომხილველი. დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით" (1995).

Ჰობი: ჭადრაკის თამაში და სპორტული შეჯიბრებების ყურება.
მისამართი: (ბინის) ხევსურეთის 35, ტელ.: 66.37 56. (სამსახურის) კოსტავას 68. ტელ.:36.83.14. ფაქსი. 94 16 84

სამშობლო ქვეყნის, ხალხის სიყვარული, ტრადიციების სიყვარული და პატივისცემა, უფროსი თაობის დაფასება, პატივისცემა და უმცროსებზე ზრუნვა. ყოველთვის ვცდილობდი აღნიშნული პრინციპების დაცვით სარგებლობა მომეტანა ჩემს გვერდით მყოფთათვის. ტელევიზიასა და რადიოში მუშაობისას ჩემი უმთავრესი მიზანი იყო სწორი ინფორმაცია რაც შეიძლება ოპერატიულად მიმეწოდებინა დაინტერესებული ტელემაყურებლებისა თუ რადიომსმენელებისათვის. ვცდილობ, ყოველთვის დავეხმარო ახლობლებს, მეგობრებს, კოლეგებს.

ლამარა ჩორგოლაშვილი

იურისტი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, საქართველოს დამსახურებული იურისტი. დაიბადა აბაშის რაიონის სოფელ სამიქაოში 1931 წ. 14 იანვარს. მშობლები: ლუბა ქობულია, იონა ჩორგოლაშვილი; მეუღლე — ვასილ გოგუაძე (დ. 1920წ.); შვილი — მაკა (27 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1953) მუშაობდა იუსტიციის სამინისტროში მდივნად (1953-1956), სასამართლო ორგანოების განყოფილების კონსულტანტად (1956-1959). იყო საქართველოს სახელმწიფო არბიტრი (1959-1972), უმაღლესი სასამართლოს წევრი (1972-1975), თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (1975-1991), სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (1991-1992), უზენაესი სასამართლოს განზოგადების განყოფილების უფროსი (1992-1996). იყო საბინაო კანონმდებლობის შემმუშავებელი და სამოქალაქო კოდექსის შემუშავებისათვის შექმნილი კომისიების წევრი. არის გაზეთებსა და იურიდიულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ათეულობით სტატიის ავტორი.

მისამართი: (ბინის) ბახტრიონის 11. ბ. 59; ტელ. 37 49 80 (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 29 ტელ. 94 08 27

მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე დავებს ვიხილავ და გასაკვირი არ არის, რომ ჩემი ცხოვრებისეული კრედო სამართლიანობას და ობიექტურობას ემყარება. ადამიანში ყველაზე მეტად სიკეთეს ვაფასებ და მიმაჩნია, რომ ამ თვისებით მეც გამოვირჩევი.

ოთარ ჩუბინიშვილი

მუსიკოსი, საქართველოს სახალხო არტისტი დაიბადა თბილისში 1941 წ. 16 ივნისს მშობლები: ანა ზედგინიძე, ნიკოლოზ ჩუბინიშვილი; შვილები: გიორგი (31 წლის), ალექსი (23 წლის) დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია (1965) არის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი (1967 წლიდან), საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის წევრი (1972 წლიდან) რუსთაველის, ბუდაპეშტის ვეინერის სახელობის კონკურსის ლაურეატი, თეატრალური საზოგადოების წევრი.
Ჰობი: ჯაზური მუსიკა, თეატრი.
მისამართი: (ბინის) ქავთარაძის 25, კორპ. 4, ბ. 28 ტელ.:30.24.91.

წესიერი და ნიჭიერი ხალხის სიყვარული.

გივი ჩუგუაშვილი

მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. დაიბადა მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში 1948 წლის 7 სექტემბერს. მშობლები: სოფია ჩუგუაშვილი, ზაქარია ჩუგუაშვილი; მეუღლე — მანანა გოდერძიშვილი; შვილები გიგა (29 წლის), ზაზა (19 წლის), ნინო (21 წლის). დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1971). იყო

რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი (1971-1979) 1979 წლიდან მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ცილინდრი", „ჯაყოს ხიზნები", „სეილემის პროცესი", „ოტელო", „მეფე ლირი", „დიდოსტატის მარჯვენა" და სხვ. კინოფილმებში: „ძმა", „წიგნი ფიცისა", „საბედისწერო გასროლა" და სხვ.

პობი: ტექნიკა, მოტოციკლეტებით მოგზაურობა.

მისამართი: (ბინის) აღმაშენებლის გამზ 153, ტელ.:95.31.57 (სამსახურის) მარჯანიშვილის 8, მარჯანიშვილის თეატრი. ტელ..95 24.25;

ჩემი მიზანია, რაც შეიძლება ნაკლები ცოდვა ჩავიდინო, რადგან ყველა ცოდვიანები ვართ, აგრეთვე ჩემი პროფესიის სიყვარული, საქმის ერთგულება, გამტანიანობა, მეგობრის სიყვარული. ჩემი ნატვრაა ჩემი ქვეყნის აღორძინება, ურთიერთსიყვარული, ქუჩაში შემხვედრი ადამიანის მომღიმარე და ბედნიერი სახის ხილვა, რაც ამჟამად იშვიათია.

ჯუანშერ ჩქარეული

ფიზიკოსი, პროფესორი, ფიზიკის ინსტიტუტის ატომბირთვისა და ელემენტარული ნაწილაკების თეორიის განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს ფიზიკოსთა საზოგადოების პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1940 წ. 13 იანვარს. მშობლები: ალექსანდრა მახარობლიშვილი, ლევან ჩქარეული; შვილები: გიორგი (28 წლის), ნინო (14 წლის). დაამთავრა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1965). საქართველოს ფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტურა გაიარა რუსეთის ბირთული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში, დუბნაში (1966-1970). იყო მოსკოვის თეორიული და ექსპერიმენტული ფიზიკის ინსტიტუტის სტაჟიორ-მკვლევარი (1971-1974). მუშაობდა ფიზიკის ინსტიტუტში უფროს (1974-1982), ნამყვან (1982-1990) მეცნიერთანამშრომლად; განყოფილების ხელმძღვანელია 1991 წლიდან. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის პროფესორი (1990-1992), სასექსის (ბრაიტონი, დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტში (1993-1994), და თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრში (ტრიესტი, იტალია) (1996) მინვეული პროფესორი, ევროპის ბირთული კვლევების ინსტიტუტში (ჟენევა, შვეიცარია) მინვეული უფროსი მეცნიერი (1994-1995). საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „ლაგრანჟის მოდელები განივი ვექტორული და აქსიალურ-ვექტორული ველებით" (1970) სადოქტორო — „პორიზონტალური სიმეტრია და კვარკების და ლეპტონების თაობები" (1985). მისი ძირითადი სამეცნიერო ინტერესები დაკავშირებულია ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკასთან

მცირე და ზემცირე მანძილებზე 1980 წელს მის მიერ პირველად იქნა შემოყვანილი ე. წ. კირალური პორიზონტალური სიმეტრიის კონცეფცია. ამ და სხვა საკითხებზე გამოქვეყნებულია მისი ასზე მეტი შრომა საერთაშორისო სამეცნიერო პრესაში. არის ამერიკის ფიზიკოსთა საზოგადოებების და ნიუიორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.
პობი: სამეცნიერო ფანტასტიკა, ფუტუროლოგია, ინგლისური პოეზია.
მისამართი: (თბილისი) ფანასკერტელის ქ. კორპ. 17 ბ. 41; ტელ..38 09.46. (სამსახურის) თამარაშვილის 6.
ტელ.:39.67.16. ფაქსი.99.65.18.
ელ. ფოსტა: jlc@gps.org.ge

რამდენიმე პრინციპს და შეხედულებას, დაკავშირებულთ თვით პროფესიასთან, ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა ცხოვრების მანძილზე. 1. ფიზიკა, და კერძოდ თეორიული ფიზიკა, გარდა მრავალი ემპირიული და გამოყენებითი ასპექტისა წარმოადგენს დღეს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ და თვითმყოფად კონცეპტუალურ სისტემას, რომელიც უდევს საფუძვლად თანამედროვე ბუნებისმეტყველებას და ნატურალურ ფილოსოფიას. 2. ამ კონცეფციების თანახმად, ბუნება უნივერსალურია: მისი მრავალი დაკვირვებადი კანონზომიერებანი ემყარებიან მხოლოდ რამდენიმე ძირითადი სიმეტრიის პრინციპს და წარმოდგენას. 3. სამეცნიერო ჭეშმარიტება ფლობს დიდ ძალას და ახდენს გადამწვეტ გავლენას ჩვენს აზროვნებასა და ცხოვრებაზე, თუმცა ხშირად საკმაოდ უბრალოდ გამოიყურება. 4. ფიზიკური კვლევის პროცესი შეიცავს მძლავრ ზოგადშემეცნებით და სასწავლო კომპონენტებს. ამიტომ ახალგაზრდა მეცნიერებს, ჩაბმულთ ამ პროცესში, ხშირად შეაქვთ გადამწყვეტი წვლილი კვლევაში. 5. როგორც ყველა მაღალგანვითარებულ მეცნიერებაში, ფიზიკაშიც საინტერესო ფაქტები და მოვლენები არ დევს ზედაპირზე, ამიტომ „შეგწევდეთ უნარი იფიქროთ პრობლემაზე მაშინაც, როცა სხვები გადაიღალნენ და მიატოვეს იგი“ (პ. კიური)

ივანე ჩხარტიშვილი

ბანკირი, გაერთიანებული ქართული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დაიბადა თბილისში 1964 წ 30 იანვარს. მშობლები: ნათელა შავიშვილი, მიხეილ ჩხარტიშვილი; მეუღლე — ნანა გოთუა (დ.1964 წ.), შვილები: ნათია (11 წლის), მიშიკო (6 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1987). სხვადასხვა დროს მუშაობდა საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილედ სამგორის რაიონში, კრწანისის ბინსოცბანკის მმართველად, გაერთიანებული ქართული ბანკის პრეზიდენტად
პობი: ცხენოსნობა.
მისამართი: (ბინის) მცხეთის 13. (სამსახურის) უზნაძის 37 ტელ ·95 57 01

საქართველოში საშუალო ფენის ჩამოყალიბება და ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ოთარ ჩხარტიშვილი

ინჟინერი, ტელერადიოკომპანია „ევრიკას“ პრეზიდენტი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ტელეცენტრის“ კომერციული დირექტორი. დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანში 1946 წ. 18 აგვისტოს. მშობლები. მარიამ სარიშვილი, ვლადიმერ ჩხარტიშვილი; მეუღლე — ინესა ჩხარტიშვილი (დ.1949წ); შვილი — თამარი (10 წლის). დაამთავრა საქართველოს პო-

ლიტექნიკური ინსტიტუტი (1968) მუშობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სეტყვის სანინააღმდეგო სამსახურში ინჟინრად, უფროს ინჟინრად, პოლიგონის უფროსის მოადგილედ (1969-1973), კავშირგაბმულობის სამინისტროს რესპუბლიკურ ტელეცენტრში განვითარების სამსახურის უფროსად (1973-1986); მივლინებით იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში საანტენო სამსახურის უფროსად (1987-1989), მონაწილეობას იღებდა საქართველოს სატელევიზიო ქსელის მშენებლობისა და განვითარების საქმეში. არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ტელეცენტრის" კომერციული დირექტორი 1989 წლიდან და ტელეკომპანია „ევრიკას" პრეზიდენტი 1993 წლიდან. არის ჟურნალ „საქართველოს ტელეკომუნიკაციების" სარედაქციო კოლეგიის წევრი, საინჟინრო აკადემიის კავშირგაბმულობის სექციის წევრი. მიღებული აქვს აჭარის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი. არის ყოფილი საბჭოთა კავშირის საპატიო რადისტი.

ჰობი: მუსიკა. მოგზაურობა, კინოხელოვნება, სამეცნიერო ფანტასტიკა

მისამართი: (ბინის) რჩეულიშვილის ქ. VI კორპ., ბ. 11. ტელ.:23.54.03; (სამსახურის). თბილისი 8, 380008. ს/ყ 160. შპს „საქართველოს ტელეცენტრი" ტელ.:99.86.32, ფაქსი: 99.54.92, წინამძღვრიშვილის 95. ტელეკომპანია „ევრიკა" ტელ. 95.96.70.

ცხოვრების მიზანია: მაღალი რანგის ტელერადიოკომპანიის შექმნა. ამჟამად ვმუშაობ ტელევიზიის შექმნაზე, რომელიც, ვფიქრობ, 1997 წელს ამუშავდება. ასევე, რა თქმა უნდა, მივცე განათლების მაქსიმუმი ქალიშვილს, რომ გაუადვილდეს პროფესიის სწორი შერჩევა. სხვებთან ურთიერთობაში ჩემი მთავარი პრინციპებია პირდაპირობა და გულწრფელობა. ვერ ვიტან ტყუილს და ამასვე ვითხოვ ჩემს ირგვლივ მყოფი ადამიანებისაგან. დიდ პატივს ვცემ პროფესიონალიზმს; ყოველთვის ვცდილობ ირგვლივ მყავდეს მაღალი რანგის პროფესიონალები. ალბათ ეს არის ჩემი წარმატებების ძირითადი მიზეზი. შემიძლია გადაწყვეტილების სწრაფი მიღება, წარუმატებლობის არ მეშინია, ბუნებით ვარ ოპტიმისტი და მეოცნებე. ყოველთვის ვიღწვი დასახული მიზნის განხორციელებისათვის და უმეტეს შემთხვევაში ვაღწევ ამას.

თემურ ჩხეიძე

თეატრის რეჟისორი, საქართველოს და რუსეთის სახალხო არტისტი დაიბადა თბილისში 1943 წ. 18 ნოემბერს. მშობლები: მედეა ჩახავა, ნოდარ ჩხეიძე; მეუღლე — ნანი ჩიქვინიძე (დ. 1949 წ.); შვილები: ეკა (31 წლის), თეონა (25 წლის), მედეა (20 წლის). დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (1965). მუშაობდა რეჟისორად ზუგდიდის დრამატულ თეატრში (1965-1967), მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში (1967-1970), რუსთაველის თეატრში (1970-1980), სამხატვრო ხელმძღვანელად მარჯანიშვილის თეატრში (1980-1990); საქართველოს სატელევიზიო თეატრში (1981-1988); 1990 წლიდან მუშაობს რეჟისორად პეტერბურგის დიდ დრამატულ თეატრში. არის მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის პედაგოგი თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში (1969 წლიდან მცირე ინტერვალებით). დადგმული აქვს 70-მდე დრამატული, საოპერო და სატელევიზიო

სპექტაკლი; მათ შორის მოზარდ მაყურებელთა თეატრში: დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ და „უბედურება“, ვ. დარასელის „დივიზია №16“; რუსთაველის თეატრში შ. დადიანის „გუშინდელნი“, დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ (რ. სტურუასთან ერთად), გ. ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი“, ლ. ტოლსტოის „მეუფება წყვდიადისა“, ი. ჭავჭავაძის „ჩემო კალამო“; მარჯანიშვილის თეატრში: მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, ლ. ქიაჩელის „ჰაკი აძბა“, შექსპირის „ოტელო“ სატელევიზიო თეატრში: მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ და „თეთრი კურდღელი“, ნ. დუმბაძის „კუკარაჩა“, მ. ბულგაკოვის „მოლიერი“; პეტერბურგის დიდ დრამატულ თეატრში. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“, შექსპირის „მაკბეტი“, ანუის „ანტიგონე“, საოპერო სპექტაკლები ლა-სკალაში (პროკოფიევის „მოთამაშე“), გენუის საოპერო თეატრში, პეტერბურგის მარინის თეატრში, გენუის საოპერო თეატრში. არის მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი.

ჰობი: ლიტერატურა, მუსიკა, სპორტი.

მისამართი: (ბინის) გამსახურდიას გამზ. 17ა, ბ. 40. ტელ.:38.96.17; (სამსახურის): მარჯანიშვილის 8. მარჯანიშვილის თეატრი, ტელ.:95.55.00.

თამაზ ჩხენკელი

ლიტერატორი, დაიბადა თბილისში 1927 წ. 26 ნოემბერს. მშობლები: თამარ ასლანიშვილი, ვასილ ჩხენკელი; მეუღლე — ლილი გოგუა (დ.1934წ.); შვილები: გვანცა (38 წლის), ნათია (25 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1952). მუშაობს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში (1958 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „პიროვნების გარდაქმნის მითოსური საფუძველი ვაჟა-ფშაველას პოემებში“ (1972). ნათარგმნი აქვს: ბო ძიუ-ი, ლექსები (1956); რ. თაგორი „გიტანჯალი“ (1960), „ბენგალია“ (1970), „ბჰაგავატგიტა“ (1963), დანტე „ახალი ცხოვრება“ (1966), „ინდური საგალობლები“, „ახალი ინდოეთის მოაზროვნეები“ (1978), „აღმოსავლური ლირიკა“, ჰომეროსის „ოდისეა“ (1975) და სხვ. არის ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატი 1977 წლიდან ლიტერატურულ და სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს 17 ნაშრომი ასომთავრული ანბანის შექმნის, მისი გრაფიკული და რიცხვული სტრუქტურის შესახებ

მისამართი: (ბინის) ვ. ბერიძის 4 ტელ. 93.19.70 (სამსახურის) კოსტავას 5 ლიტერატურის ინსტიტუტი

ჩემს ცხოვრებისეულ პრინციპს განასახიერებს დევიზი, რომელიც „შევარდნელთა“ მისალმებას წარმოადგენდა: „ვგუშაგობ ერს“ — „მარად“ (ბიძაჩემი — ცნობილი ექიმი, მთასვლელი და მწიგნობარი — სოსო ასლანიშვილი ჟურნალ „შევარდნის“ რედაქტორიც იყო). რაც შეეხება კრედოს, ის გამოხატულია ინდოელი, რუსი, ევროპელი და ამერიკელი მოაზროვნეების (ანთროპოლოგების, ფიზიკოსების, თეოლოგების, მწერლების) იმ წერილებში, რომლებსაც მე ვთარგმნიდი და ვაქვეყნებდი ჩვენს ლიტერატურულ და მეცნიერულ პერიოდიკაში 46 წლის მანძილზე, და რომლის ერთ წიგნად გამოცემა დღემდე ვერ მოხერხდა. ეს წერილები XX საუკუნის მსოფლიოს საჭირბოროტო პრობლემებს ეხება.

მერაბ ჩხენკელი

არქიტექტორი, ურბანიზაციის და მშენებლობის მინისტრი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1939 წ. 24 ოქტომბერს. მშობლები: ვალერია (ლელი) პაჯიბეილი-ჩხენკელი, ივანე ჩხენკელი; მეუღლე — ნინო მდივანი (დ.1947წ.); შვილი — ალექსანდრე (24 წლის).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1965). მუშაობდა „საქკურორტპროექტის“ საქართველოს ფილიალში, იყო უფროსი არქიტექტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი, არქიტექტურის სახელოსნოს ხელმძღვანელი (1965-1976), „საქქალაქმშენსახპროექტის“ არქიტექტურის სახელოსნოს ხელმძღვანელი, ინსტიტუტის მთავარი არქიტექტორი (1976-1995), თბილისის მერიის არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი, თბილისის მთავარი არქიტექტორი (1995), საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი (1972 წლიდან). არის კათედრის გამგე, პროფესორი, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრი (1995 წლიდან). საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი. არის 40-მდე აშენებული და მშენებარე შენობა-ნაგებობის პროექტის ავტორი და მშენებელი. მათ შორისაა 928 ადგილიანი დასასვენებელი სახლი ქობულეთში, 500 ადგილიანი სანატორიუმი ლიკანში, 350 ადგილიანი დასასვენებელი სახლი „პლატო“ ბორჯომში; 500 ადგილიანი სანატორიუმი „საქართველო“ წყალტუბოში, დასასვენებელი სახლი ბიჭვინთაში; სასტუმრო „გაგრიპში“ გაგრაში, დასასვენებელი სახლები გუდაუთაში და მიუსერაში, საცხოვრებელი სახლები თბილისში, ბორჯომში, წყნეთში, მძლეოსნური მანეჟი თბილისში, ბახმაროს კურორტები და სხვ. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

ჰობი: სპორტული თამაშები (ფეხბურთი, ფრენბურთი, ჰოკეი).

მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 50. ტელ.:22.08 40; (სამსახურის) ვაჟაფშაველას გამზ. 16, ტელ 37.42.76 ფაქსი:22.05 41.

ჩემი აზრით, თვისებები, რომელთა საშუალებით ადამიანი აღწევს პროფესიულ თუ თანამდებობრივ სიმაღლეებს, გარკვეულწილად დადებითად თუ უარყოფითად ახასიათებენ თვითონ პიროვნებას. შეფასების კრიტერიუმები სხვადასხვაა, ისევე, როგორც საშუალებები, რომლებითაც ადამიანი აღწევს კარიერის გარკვეულ დონეს. ჩემთვის ეს არის: მაღალი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობის გრძნობა, შრომისუნარიანობა, კომუნიკაბელურობა, პრინციპულობა, პატიოსნება, სიმართლე, პირდაპირობა. ვფიქრობ, ეს თვისებები აძლევენ ადამიანს საშუალებას, დაიმსახუროს პროფესიონალის და პატიოსანი კაცის სახელი და შესაფერისი ადგილი დაიკავოს საზოგადოებაში.

რამაზ ჩხიკვაძე

მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1928 წ 28 თებერვალს მშობლები: ელენე ჩხიკვაძე (გაჩეჩილაძე), გრიგოლ ჩხიკვაძე; მეუღლე — ნატალია ჩხიკვაძე (დ.1938წ.); შვილი — ალექსანდრე (39 წლის) დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1951). 1951 წლიდან არის რუსთაველის თეატრის მსახიობი. მონაწილეობდა მრავალ სპექტაკლსა თუ კინოფილმში, რადიო თუ ტელედადგმაში არის სახელმწიფო თეატრალური სა-

ზოგადოების და კინოკავშირის, სახელმწიფო სალაურეატო კომისიის წევრი, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი, სსრკ სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კოტე მარჯანიშვილის და სანდრო ახმეტელის სახელობის პრემიების ლაურეატი, 1973 წელს მოსკოვის მსოფლიო კინოფესტივალზე მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის მიიღო ოქროს მედალი, მიღებული აქვს ლენინის ორდენი და სხვ. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში.

ჰობი: მუსიკა.

მისამართი: (ბინის) ძოწენიძის 9. ტელ.:93.35.62. (სამსახურის): რუსთაველის გამზ. 17, ტელ.:99.63.73.

ღმერთისა და სამშობლოს სიყვარული, პროფესიონალიზმი, შრომა.

ნინო ჩხობაძე

ბიოლოგი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი. დაიბადა ქუთაისში 1961 წ. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი (1985) და ასპირანტურა ეკოლოგიის განხრით (1990). მუშაობდა იქვე ბიოლოგიის ფაკულტეტის ეკოლოგიურ კათედრაზე უფროს ლაბორანტად და უძღვებოდა „ზოგადი ეკოლოგიის" პრაქტიკული მეცადინეობის კურსს (1991-1992). იყო გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე (1993-1995). მისი სადისერტაციო თემა „მძიმე ლითონების დაგროვება ბალახოვან საფარში იაღლუჯის ველის ზამთრის საძოვრებზე ქალაქ რუსთავის მიდამოებში" მუშავდება თბილისის უნივერსიტეტის ეკოლოგიის კათედრაზე. აქტიურად მონაწილეობდა „ეკოლოგიური ასოციაციის" შექმნაში (1988). იყო „მწვანეთა მოძრაობის" ეკოლოგიური ასოციაციის სწავლული მდივანი (1989). არის „საქართველოს მწვანეთა დარბაზის" წევრი (1989 წლიდან), „მწვანეთა" პარტიის წევრი (1994 წლიდან), „საქართველოს მწვანეთა" ცენტრალური საბჭოს წევრი (1995 წლიდან).

მისამართი: (სამსახურის) კოსტავას 68ა, VI სართული. ტელ.:23.06.64, ფაქსი: 98.34.25

მამუკა ცეცხლაძე

მხატვარი. დაიბადა თბილისში 1960 წ. 27 ოქტომბერს. მშობლები: ლეილა დოლიძე, კარლო ცეცხლაძე; მეუღლე — ლია შველიძე (დ.1959 წ.); შვილები: ქეთინო (11 წლის), ლუკა (7 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი (1986). არის ახალგაზრდა მხატვართა კავშირის წევრი, თბილისის I თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბიენალეს კურატორი, პროექტის „ჩრდილში" ავტორი. მხატვარია ფილმებისა: „ახალი წელი", „როდესაც ჩაიქროლებს, რაც ვერ ჩაივლის". გამოქვეყნებულია მისი სტატიები ქართულ პერიოდიკაში.
ᲰᲝᲑᲘ: ნახატების შეგროვება, კითხვა, კინოფილმების ნახვა.
ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (ბინის) ფანასკერტელის ქ. XX კორპ. ბ. 2. ტელ.:36.45.72.

ოც წლამდე იქნება, რაც სერიოზულად ვმუშაობ მხატვრობაში. იყო მხატვარი — ეს დიდი პასუხისმგებლობაა და დიდი პატივი. ძალიან ძნელია და ამავე დროს ძალიან ადვილი, ეს ხომ ადამიანის ტრაგედიაც არის და ბედნიერებაც — ეცადო არ მოიტყუო. ეს თვალნათლივ ჩანს. არ უნდა შეგეძლოს მხატვრობის გარეშე ცხოვრება და თუ შეგიძლია, ე. ი. მხატვარი არ ხარ!

დიტო ცინცაძე

კინორეჟისორი. დაიბადა თბილისში 1957 წ. 2 მარტს. მშობლები: ნარი უსტიაშვილი, გაიოზ ცინცაძე; მეუღლე — მარიკა გიორგობიანი (დ.1963წ.); შვილები: ნუცა (14 წლის), ნიკოლოზი (2 წლის). დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი (1981). მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში" (1982-1990) და კინოკომპანია „შვიდკაცაში" (1990-1994) კინორეჟისორად. რეჟისორია ფილმებისა „კვაზიმოდო" (1981), „თეთრი ღამე" (1984), „დახატული ნრე" (1987), „სახელი" (1990), „სტუმრები" (1991), „ზღვარზე" (1993). მფლობელია შემდეგი პრიზებისა: პრიზი ორგინალური რეჟისურისათვის ფილმისათვის „სტუმრები" კინოფესტივალი „ოქროს არწივი", ფილმისათვის „ზღვარზე" „ვერცხლის ლეოპარდი" ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალი, პრიზი საუკეთესო რეჟისურისათვის — „ოქროს არწივი".
ᲰᲝᲑᲘ: მუსიკა.
ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (ბინის) ცხვედაძის 44. ტელ.:29.09.04.

ვიყო გულწრფელი, ყოველ შემთხვევაში, ვეცადო მაინც, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება იყო შემოქმედი. ყოფაში ვიყო ის, ვინც ვარ, არ ვითამაშო... გულახდილობა მეხმარებოდა და, იმედი მაქვს, დამეხმარება შემდეგ შიც, არ ვაკონტროლო ის, რაც შეუძლებელია აკონტროლო.. ვგულისხმობ ჩარევას ბუნებრივად მიმდინარე პროცესში. ვფიქრობ, რომ ყოველგვარი დოგმატიზმი, რელიგიაში იქნება თუ სხვაგან, არის ადამიანისა და პიროვნების თავისუფლების ხელყოფა. რადგან ღმერთმა ისეთები გაგვაჩინა, როგორებიც ვართ და მოგვცა უფლება, ვიყოთ თავისუფლები, რამდენადაც საკუთარი ზნეობრივი პრინციპი გვაძლევს საშუალებას.

თამაზ ცინცაძე

ინჟინერ-ტექნოლოგი, სააქციო საზოგადოება „ოქსინოს" პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1935 წ. 2 სექტემბერს. მშობლები: ქეთევან ურუშაძე,

პანტელეიმონ ცინცაძე; მეუღლე — იზოლდა ქობულია (დ.1936წ.); შვილი — ნინო (37 წლის). დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1958). არის საზოგადოება „ოქსინოს" პრეზიდენტი 1974 წლიდან.
პობი: მუსიკა, ლიტერატურა
მისამართი: (ბინის) იოსელიანის 37 ტელ.: 29.48.45. (სამსახურის) ბაღდადის 12., ტელ. და ფაქსი: 98.31.51

პროფესიონალიზმი, ადამიანებთან ურთიერთობა, მიმტევებლობა, ბიზნესის განვითარება კანონმდებლობის აბსოლუტური დაცვით.

ნოდარ ცინცაძე

ფიზიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1930 წ. 22 თებერვალს. მშობლები: ოლღა ჭილაშვილი, ლევან ცინცაძე; მეუღლე — ნელი გულდამაშვილი (დ. 1948წ.); შვილები: ია (28 წლის), ლევანი (27 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1955). მუშაობდა ფიზიკის ინსტიტუტის პლაზმის ფიზიკის განყოფილების გამგედ (1958 წლიდან), დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში (1975-1988), არის უნივერსიტეტის პროფესორი (1976 წლიდან), კათედრის გამგე (1990 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "Сильноточные электронные пучки" (1985), სადოქტორო დისერტაცია — "Нелинейные взаимодействия в неравномерной плазме" (1966). გამოქვეყნებული აქვს 193 სამეცნიერო ნაშრომი, 13 მიმოხილვითი შრომა, 7 მონოგრაფია, წიგნები: „პლაზმის საკითხები" I, II. დ. ცხაკაიას, ნ. ცინცაძის, ა. რუხაძის თანაავტორობით. არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, განათლების დამსახურებული მუშაკი, ხიროსიმას (იაპონია) სინთეზის თეორიის ინსტიტუტის საპატიო წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია სსრკ სამეცნიერო ცნობარში, ამერიკის სამეცნიერო ცნობარში.
პობი: ფერწერა, კლასიკური მუსიკა, სპორტი
მისამართი: (ბინის) კოსტავას 63. ბ. 53, ტელ. 36.16.33, (სამსახურის) თამარაშვილის ს., ტელ. 39.19.74.

შრომა, პატიოსანი და კეთილმოსურნე ურთიერთობები, ოჯახის ძლიერება და სამაგალითო საქციელი, შვილების კარგ მოქალაქეებად გაზრდა. საქართველოში მეცნიერებისა და განათლების საფუძვლიანი განვითარება, შემოქმედი მეცნიერი ახალგაზრდების აღზრდა.

გიორგი ციციშვილი

ქიმიკოსი, პროფესორი, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსასურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1915 წ. 24 ოქტომბერს. მშობლები: ქსენია ციციშვილი, ვლადიმერ ციციშვილი, მეუღლე — ლიდა ფილიპოვა-ციციშვილი (დ. 1919წ.), შვილები: ელენე (55 წლის), ვლადიმერი (49 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი (1937), ასპირანტურა (1940) იყო უნივერსიტეტში უფროსი მასწავლებელი (1940-1942), დოცენტი (1942-1949); არის პროფესორი (1949 წლიდან); ქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1941-1947), დირექტორი, ლაბორატორიის გამგე (1947-1989). არის საპატიო დირექტორი (1989 წლიდან), მეცნიერებათა აკადემიის პრეზ-

იდიუმის ნევრი და მრჩეველი (1988 წლიდან). იყო ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის აკადემიკოს-მდივანი (1969-1988) საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „წყალბადური ბმის თეორია" (1940), სადოქტორო — „ფტორწყალბადისა და სხვა ჰალოგენწყალბადების მოლეკულათაშორისი ურთიერთქმედება და ფიზიკურ-ქიმიური თვისებები" (1947). არის 60-მდე პუბლიკაციის ავტორი და თანაავტორი ქიმიასა და და მონათესავე დარგებში წიგნები. „სორბციული პროცესები" (1959), „ბუნებრივი ცეოლითები" (რუსულად 1985, პოლონურად 1990, ინგლისურად 1992, თანაავტორთან ერთად), „ბუნებრივი ცეოლითები და გარემოს დაცვა" (რუსულად 1995, თანაავტორთან ერთად). „კვანტური ქიმია" (1996). არის პ. მელიქიშვილისა (1965) და ა. თვალჭრელიძის (1987) სახელობის, და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს (1990) პრემიების ლაურეატი, ჯ. სოროსის საერთაშორისო სამეცნიერო ფონდის საპატიო პროფესორი (1994), შრომის ვეტერანი (1985), ქიმიური საზოგადოების გამგეობის, ცეოლითების ასოციაციის თავმჯდომარე, სნავლულ ექსპერტთა საბჭოს, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, ოთხენოვანი ქიმიური ტერმინოლოგიის ლექსიკონის რედაქტორი, მისი ბიოგრაფია დაბეჭდილია შემდეგ ცნობარებსა და გამოცემებში: "Химики, Киев, (1984); "Выдающиеся химики мира" (Москва 1991). საერთაშორისო ცნობარში Men of Achievement (17th Edition), Who's Who (International Biographical Centre, Cambridge).

ჰობი: წიგნები და ჟურნალები ქიმიისა და ფიზიკის დარგში, მხატვრული ლიტერატურა.

მისამართი: (ბინის) უზნაძის 2, ბ. 14. ტელ.: 95.61 26; (სამსახურის) რუსთაველის გამზ 52. მეცნიერებათა აკადემია, ტელ.: 99.72.32, 99 54 80; ფაქსი: 99.88 23. ელ-ფოსტა. devi@pasgl.kheta georgia.su

დავრწმუნდი, რომ ბეჯითი სწავლა და შრომა წარმატების საწინდარია, ცხოვრებისეულ მაგალითად მივიჩნევდი მშობლებს, მასწავლებლებს და უფროს კოლეგებს. არ დამიზოგავს ძალ-ღონე, რომ მოკრძალებული წვლილი შემეტანა მშობლიური ქვეყნის მეცნიერების, განათლებისა და კულტურის განვითარებაში. ვცდილობდი, რომ ჩემი ცოდნა-გამოცდილება გადმომეცა ახალგაზრდობისათვის და მხარი დამეჭირა მეცნიერულ-ტექნიკური სიახლისათვის.

ლევან ცუცქირიძე

მხატვარი, პროფესორი. დაიბადა ხაშურში 1926 წ. 12 ივნვარს. მშობლები: ნინო გუბელიძე, სიმონ ცუცქირიძე; მეუღლე — დალი ღვინიანიძე (დ.1935 წ.); შვილები: ვაჟა (34 წლის), მამუკა (27 წლის), ნინო (25 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1957). მუშაობს იქვე ხატვის კათედრის პედაგოგად (1960 წლიდან). არის ილუსტრატორი წიგნებისა „ვეფხისტყაოსანი", „შუშანიკის წამება", „სადღეგრძელო" (გრ. ორბელიანი), ვაჟა-ფშაველას 5 პოემა, „ფაუსტი" (გოეთე), „დემონი" (ლერმონტოვი), აკაკის, გალაკტიონის, ლადო ასათიანის, ანა კალანდაძის, ირაკლი აბაშიძის ლექსების კრებული და სხვ. არის რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, ანდერსენის სახელობის დიპლომის მფლობელი.

მისამართი: (ბინის) ყაზბეგის ჩიხი 4. ტელ 39.63.66. (სამსახურის) გრიბოედოვის 24, სამხატვრო აკადემია, ტელ.: 93.54.11.

ჩემი ცხოვრების პრინციპი იყო და არის ის ნესრიგი, რომლის წყალობითაც შემომქმედი თავის ფიქრებში ძერწავს და აყალიბებს ფორმას და ამთავრებს თავის საკუთარ ენაზე შემოქმედებას.

და თუ ეს ასე რიგად წარიმართა, მაშინ წარმატებაც იმ შინაგანი წესრიგის შედეგი იქნება. აქედან გამომდინარე, ეს არის ჩემი მიზანიც და იდეალიც.

ზურაბ ცქიტიშვილი

ინჟინერ-ტექნოლოგი, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1941 წ. 31 იანვარს. მშობლები: ნინო ცქიტიშვილი, მიხეილ ცქიტიშვილი; მეუღლე — ლალი ცაგარელი (დ.1941წ.); შვილები: ირმა (30 წლის), კახა (28 წლის). დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1965). მუშაობდა თბილისის რძის კომბინატში ცვლის ოსტატად (1965-1972), რძის ქარხანაში წარმოების უფროსად (1972-1979), იყო დირექტორი (1973-1976), რძის ქარხნის მთავარი ინჟინერი (1976-1990), თბილისის რძის კომბინატის დირექტორი (1990-1993), სააქციო საზოგადოება „ამალთეა"-ს ჯერ გენერალური დირექტორი, შემდეგ პრეზიდენტი (1993-1996). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „აღდგენილი რძიდან მაღალი ხარისხის რძის პროდუქტების მიღების ახალი ტექნოლოგიური მეთოდების დანერგვა". გამოქვეყნებული აქვს ერთი წიგნი, ოცდაათი სამეცნიერო ნაშრომი და ოცი გამოგონება. არის სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ფარიკაობაში.
ᲰᲝᲑᲘ: სპორტი, მუსიკა, ეკონომიკური ნაშრომები.
მისამართი: (ბინის): ცაგერის 4. ტელ.: 37.00.66; 99.07.86. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, ტელ.: 99. 08. 39; 96.16.61.

მიზანდასახულობა, მიზნის მიღწევისათვის შრომის აუცილებლობა, სიმართლე, კორუფციის მიმართ უკომპრომისობა, სიკეთის კეთება, რეფორმების მიმართ აქტიური დამოკიდებულება.

ზაურ ცხადაძე

სპორტსმენი, სპორტის ოსტატი ხელბურთსა და კლასიკურ ჭიდაობაში, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, შვიდგზის ევროპის ჩემპიონი მკლავჭიდში. დაიბადა სოფელ სვირში 1964 წ. მეუღლე — მაია ცხადაძე; შვილი — სანდრო (5 წლის). არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი. მსოფლიო ჩემპიონის წოდება მიიღო ისრაელში (1990); ამერიკაში (1991); შვეიცარიაში (1992); ამერიკის შეერთებულ შტატებში (1993); შვედეთში (1994) გამართულ მკლავჭიდის მსოფლიო ჩემპიონატებში. ევროპის ჩემპიონის წოდება: შვეიცარიაში (ციურიხი) (1990), ნორვეგიაში (1991), ესპანეთში (1992), დიდ ბრიტანეთში (1993), ისრაელში (1994), რუსეთში (1995), იტალიაში (1996) გამართულ ევროპის ჩემპიონატებში. არის სპორტის ისტორიაში საქართველოს სახელით პირველი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი.
ᲰᲝᲑᲘ: ნადირობა.
ტელეფონი: (ბინის) 39.83.80

კახაბერ ცხადაძე

ფეხბურთელი. დაიბადა რუსთავში 1968 წ. 7 სექტემბერს. მშობლები: გონერილა ცირამუა, ჯუმბერ ცხადაძე; მეუღლე — თინიკო მანგოშვილი; შვილები: ბაჩანა (9 წლის), სოფიკო (5 წლის). თამაშობდა რუსთავის „მეტალურგში" (1985-1987), თბილისის „დინამოში" (1987-1991), შვედეთის „სუნდსვალში" (1991-1992), მოსკოვის „დინამოსა" და „სპარტაკში" (1992-1993), თამაშობს ფრანკფურტის „აინტრახტში" (1993 წლიდან).
ᲰᲝᲑᲘ: მუსიკა, ნადირობა.
მისამართი: (ბინის) რუსთავი, VII კორპ. 21, ბ. 42. ტელ.: 12.82.39

ჩემი პრინციპია: თუ ადამიანი

რაიმე ნიჭით არის
დაჯილდოებული, მან თავისი
შრომისმოყვარეობით უნდა
მიაღწიოს დასახულ მიზანს.

წინააღმდეგობები ბევრი
შეხვდება, მაგრამ თავისი
პრინციპი ბოლომდე უნდა
დაიცვას.

აკაკი ძიძიგური

ლიტერატორი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე, დაიბადა ხონის რაიონის სოფელ მათხოჯში 1914 წ. 13 აგვისტოს. მშობლები მარიამ მიქელაძე, ვარლამ ძიძიგური; მეუღლე — ირინე ყღენტი (დ 1921წ); შვილი — მედეა (54 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1938) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1937). იყო საქართველოს რადიოკომიტეტის მთავარი რედაქტორი (1937-1956), კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორი (1959-1962), კულტურის მინისტრის I მოადგილე, ჟურნალ „დროშის" მთავარი რედაქტორი (1962-1964), 1984 წლიდან არის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრი, მრავალი სტატიის, რეცენზიის და დოკუმენტური ფილმის სცენარის ავტორი, დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი.

ჰობი: წიგნების კითხვა.

მისამართი: (ბინის) ქუჩიშვილის 9, ტელ.: 22.71.73; (სამსახურის) გუდიაშვილის 5/7, ტელ.: 99.80.95

როგორც პედაგოგის, „დედა-ენის" ავტორის შვილს, მიტაცებდა საზოგადოებრივ-ალმზრდელობითი მუშაობა, ვეხმაურები ყოველ ახალ, პროგრესულ წამოწყებას, რასაც ალნიშნავენ ჟურნალებში, გაზეთებში, ტელევიზიასა და რადიოში.

არჩილ ძიძიგური

სამთო ინჟინერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი, აკადემიკოსი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი. დაიბადა ქუთაისში 1914 წ 15 აგვისტოს. მშობლები ნინო ჟორჟოლიანი-ძიძიგური, ამბროსი ძიძიგური; მეუღლე — ქეთევან ჯაყელი (დ 1918 წ), შვილები: ნანა (1944-1972), გიორგი (44 წლის), მაია (26 წლის). დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი (1938) იყო დნეპროპეტროვსკის სამთო ინსტიტუტის ასპირანტი (1939-1941), მუშაობდა საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს მექანიკური სახელოსნოს ხელმძღვანელად (1941-1944), ლითონთა და სამთო საქმის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1946-1952), იქვე სამთო განყოფილების ხელმძღვანელად (1952-1957), სამთო მექანიკის ინსტიტუტის დირექტორად (1957-1973), ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორად (1973-1981). არის სამთო მექანიკის კათედრის პროფესორი (1960 წლიდან), საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე (1978 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საშახტე ღერძული ვენტილატორების მუშაობის მდგრადობა" (1945), სადოქტორო — „რთულ საავენტილაციო ქსელებში, საშახტე ვენტილატორების მუშაობის კვლევა" (1958). გამოქვეყნებული აქვს 250-ზე მეტი სამეცნიერო

და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი, მათ შორის 10 მონოგრაფია, 3 სახელმძღვანელო და 32 გამოგონება. არის მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე(1964), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1973, 1993), გ. ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი (1979), მიღებული აქვს საზოგადოება „ცოდნის", აკადემიკოს ნ. ვავილოვის სახელობის ოქროს მედალი. არის, ბათუმის საპატიო მოქალაქე, სამთო საზოგადოების თავმჯდომარე. ქართული პოლიტექნიკური ლექსიკონის მთავარი რედაქტორი, საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო დარგის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. მისი ბიოგრაფია შეტანილია სამთო ენციკლოპედიასა და ქართულ ენციკლოპედიაში.

პობი: მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნება და სპორტი.

მისამართი: (ბინის) მოსაშვილის 26, ტელ.: 23.30.64; (სამსახურის) ფალიაშვილის 87, ტელ.: 22.32.16.

სამშობლოსა და ოჯახის სიყვარული, მეგობრობა, კაცთმოყვარეობა, პრინციპულობა, პატიოსანი შრომა, საქმისადმი ერთგულება, ახალგაზრდობის აღზრდა, მოწაფეებისა და თანამშრომლების მიღწევების აღიარება და სიამაყე, გამოწვეული მათი წარმატებით.

ირაკლი წერეთელი

პოლიტიკოსი, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1961 წ 26 ოქტომბერს. მშობლები. ელეონორა ჯიბლაძე, სიდამონ წერეთელი; მეუღლე — ნათია ნაროზაული (დ.1971წ.) შვილი — გვანცა (4 წლის) დაამთავრა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი (1983) მუშაობდა გეოფიზიკის ინსტიტუტში ექსპედიციის ტექნიკოსად (1978-1979), იხდიდა სასჯელს ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის (1983-1987), მუშაობდა არქეოლოგიურ ექსპედიციაში არქეოლოგ-მთხრელად (1978-1988). საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარეა 1988 წლიდან, იყო საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-1995). გამოქვეყნებული აქვს სტატიები, პოლიტიკური განცხადებები, რეზოლუციები, პოლიტიკური პროგრამები და ლექსები სხვადასხვა გაზეთში.

ჰობი: მთაში სიარული, ცურვა, მოგზაურობა, პოეზია, მუსიკა.

მისამართი: (ბინის) ქავთარაძის 5, ბ. 60, ტელ.: 30.05.60; (სამსახურის) მაჩაბლის 8, ტელ.: 98.27.70.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ქართველი ერის თვითმყოფადობა, პიროვნების თავისუფლება, ეროვნული და ცალკეული ღირებულებების და ფასეულებების პატივისცემა, საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო ძლიერება. ქართველების სულიერი, ზნეობრივი და ფიზიკური აღორძინება, ღვთის სიყვარული და რწმენა, სიკეთის, კაცთმოყვარეობის, თავისუფლების პრიმატი ადამიანურ და საერთაშორისო ურთიერთობებში.

კონსტანტინე წერეთელი

ენათმეცნიერი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი დაიბადა თბილისში 1921 წ 4 თებერვალს მშობლები: ვერა წერეთელი, გრიგოლ ლორთქიფანიძე; მეუღლე — ლეილა წერეთელი (დ.1926წ.); შვილი — სოსო წერეთელი (1958-1983) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ-აღმოსავლურ ენათა განყოფილება (1941) მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენათა კათედრის ასისტენტად (1944-1946), სემიტოლოგიის კათედრის უფროს მასწავლებლად (1946-1948), დოცენტად, პროფესორად, კათედრის გამგედ (1948-1983), აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანად (1959-1960), ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჯერ უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, შემდეგ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1945-1960). 1991 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ებრაულ-არამეული ფილოლოგიის კათედრის გამგე, აღმოსავლეთმცოდ-

ნეობის ინსტიტუტში 1960 წლიდან სემიტოლოგიის განყოფილების გამგე, საქართველოს განათლების სამინისტროში 1994 წლიდან აღმოსავლურ ენათა სწავლების კოორდინაციის ცენტრის ხელმძღვანელი და პედაგოგიურ უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენათა კათედრის პროფესორი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ურმიული სინპარმონიზმი" (1946), სადოქტორო — „თანამედროვე ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკა" (1956). გამოქვეყნებული აქვს 250 სამეცნიერო ნაშრომი; მათ შორის „თანამედროვე ასურული ენის გრამატიკა" (1968), „არამეული ენა" (1982), „საქართველოში აღმოჩენილი არამეული წარწერები და მათი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა" (1991), "Сирийский язык" Москва (1979), "Grammatica generale dell'aramaico" Torino (1995), "On one suprasegmental phoneme in modern Semitic" JAOS 102, (1982) და სხვ. არის ჯავახიშვილის და წერეთლის პრემიების ლაურეატი, პედაგოგიური ინსტიტუტის საპატიო პროფესორი დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით" (1996), სამჯერ აქვს მიღებული თსუ I სამეცნიერო პრემია. არის საქართველოს აღმოსავლეთმცოდნეთა ასოციაციის პრეზიდენტი, უცხოეთის ანალოგიური სამეცნიერო საზოგადოებების წევრი, განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრი, „ქართული ენციკლოპედიის" სამეცნიერო საბჭოს წევრი, კრებულების „სემიტოლოგიური ძიებანის" რედაქტორი.

პობი: მოგზაურობა

მისამართი: (ბინის) უზნაძის 2, ბ. 46, ტელ 95.59.16, (სამსახურის) რუსთაველის 52, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, ტელ.: 99 56.21.

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს" (ნ. ბარათაშვილი). მიზანი: საქმიანობა (ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში), რაც წაადგება ჩემი ქვეყნისა და ერის კეთილდღეობას.

გურამ წიბახაშვილი

ფოტოხელოვანი. დაიბადა წითელწყაროში 1960 წ. 1 თებერვალს. მშობლები: ლიდა იაკობაშვილი, გიორგი ნიბაიაშვილი; მეუღლე — მანანა ჯავახიშვილი (დ. 1960წ.), შვილები: გიორგი (15 წლის), მარიამი (8 წლის), ლადო (7 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი (1982). 1985 წლიდან თანამშრომლობა პრესასთან, აწყობს გამოფენებს (1995 წლიდან), კითხულობს ლექციებს ფოტოგრაფიაში. არის „ვიზუალური ბანკის" შექმნის თანაავტორი და თანამშრომელი 1996 წლიდან არის საქართველოს ფოტომხატვართა კავშირის, დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირის და მხატვართა კავშირის წევრი, 40-მდე გამოფენის მონაწილე, აქედან 16 პერსონალურის. გამოქვეყნებული აქვს სტატიები ფოტოგრაფიაზე და თანამედროვე ხელოვნებაზე. იყო ექვსი ფოტოგამოფენის კურატორი.

პობი: ვიზუალური ხელოვნება.

მისამართი: (ბინის) სალხინოს 14, ტელ.: 95.95.32, 31.69.62.

ვცდილობ ვიყო კარგი მოქალაქე. მინდა, რომ ჩემი ოჯახი იყოს ძლიერი და შვილები გავზარდო აგრეთვე კარგ მოქალაქეებად. მაქსიმალურად ვმუშაობ, რომ საქართველოში ვიზუალური ხელოვნების და ფოტოგრაფიის დონემ საგრძნობლად აიწიოს და დადგეს სათანადო სიმაღლეზე.

ბაადურ წულაძე

კინორეჟისორი, კინომსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა ბათუმში 1935 წ. 5 მარტს. მშობლები: შუშანა მჟავანაძე, სოკრატ წულაძე. დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (1961). მუშაობს კინოსტუდია „ქართულ ფილმში" რეჟისორად (1961 წლიდან). რეჟისორია ფილმებისა: „ფეოლა", „გლადიატორი", „ვალსი მთანმინდაზე", „შესვენება", „იღბალი", „კროსვორდის მოყვარულთათვის", „თქვენი ჯერია, ბიჭებო". მონაწილეობდა ფილმებში: „ქორწილი", „გიორგობისთვე", „ფერისცვალება", „სერენადა", „არ დაიდარდო", „საერთო კედელი", „ვერის უბნის მელოდიები", სერიალში „გზა", „პირველი მერცხალი", "Какстать мужчиной","Великийукроитель","Приключение Буратино" და სხვ. არის რიგის საკავშირო კინოფესტივალის პრიზიორი, ფილმისათვის „ფეოლა".
ჰობი: მუსიკა, წიგნები, ქალები.
მისამართი: (ბინის) იოსელიანის 37, ბ. 84, ტელ.: 36.76.04; (სამსახურის) დიღმის მასივი, კინოსტუდია „ქართული ფილმი", ტელ.: 95.44.25, ფაქსი: 95.01.11.

დევიზი: თუ ნიანგმა შეჭამა შენი მტერი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის შენი მეგობარი გახდება.

† მიხეილ ჭაბაშვილი

ენათმეცნიერი, ლექსიკოლოგი. დაიბადა თბილისში 1916 წ. 15 ოქტომბერს, გარდაიცვალა 1996 წ. მშობლები: მარიამ მამაცაშვილი, ნიკოლოზ ჭაბაშვილი; მეუღლე — ბეატრისა საბაშვილი (დ.1923წ.); შვილები: ანა (45 წლის), მარიამი (42 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1941), იყო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისიის სწავლული მდივანი (1958-1965), ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე (1965-1985), მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი კომისიის წევრი (1982-1996), ქართული ენციკლოპედიის უფროსი სამეცნიერო რედაქტორი (1971-1987) და სატრანსკრიფციო ჯგუფის ხელმძღვანელი (1982-1987). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია 1950 წელს. იყო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის IV ტომის და ერთტომეულის რედაქტორი (1986), „უცხო სიტყვათა ლექსიკონის" 3 გამოცემის (1964, 1973, 1989) შემდგენელი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.
მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 2/2, ბ. 4, ტელ.: 22 07.37; (სამსახურის) ინგოროყვას 8, ტელ.: 99.92.06.

ვლადიმერ ჭავჭანიძე

ფიზიკოს-თეორეტიკოსი, მართვის სისტემების ინსტიტუტის მანქანური ინტელექტის პრობლემების განყოფილების გამგე, აკადემიკოსი დაიბადა თბილისში 1920 წ. 22 სექტემბერს. მშობლები: ელენე ჭავჭანიძე, ვალერიან ჭავჭანიძე; მეუღლე — ვერა მუმლაძე (დ.1919წ.); შვილები: მარინე (45 წლის), თინათინი (38 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1941). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მრავალჯერადი გაბნევების და დანაკარგების კვლევა დამუხტული ნაწილაკების ნივთიერებაში სტოქასტური მეთოდებით" (1953), სადოქტორო — „მოდელირების მეთოდები ფიზიკაში და კიბერნეტიკაში". არის 300-ზე მეტი სტატიისა და 20-ზე მეტი გამოგონების ავტორი, საერთაშორისო ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკას" მთავარი რედაქტორი, საქართველოს საინჟინრო ინფორმატიზაციის საერთაშორისო და საქართველოს ბუნებისმეტყველთა და ეკოლოგიის აკადემიათა ნამდვილი წევრი, საქართველოს ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიის წევრი. მიღებული აქვს სსრკ მინისტრთა საბჭოს ორი პრემია, მელიქიშვილის სახელობის პრემია (1958). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში.
მისამართი: (ბინის) საბურთალოს 40, ბ. 49; (სამსახურის) კ. გამსახურდიას 34, ტელ.: 38.04.97.

„მეცნიერების გარეშე სამყარო შეუცნობელია, უმართავია საზოგადოება, დაიშლება ყველა მისი სტრუქტურა". ამიტომაც ბერძენ-რომაელთა ისტორიული ხაზი უნდა გაგრძელდეს ისე, რომ შეიძლებოდეს მის ურთულეს მოვლენათა მოდელირება და გაგება ცნებებში გამოხატვით. ამისათვის საჭიროა „კომპიუტერულ მეცნიერებათა" გათავისება ისე, რომ ახალგაზრდობამ შეძლოს მათ ლოგიკაში გარკვევა, ათვისება და გამოყენება. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ჩვენი ახალგაზრდობა, სპეციალისტები ჩავაბა იმ „ინფორმაციზაციულ ფერხულში", რომლისაგანაც ამოვარდნა ადვილია და შესვლა კი მეტად ძნელი.

თეიმურაზ ჭანიშვილი

მიკრობიოლოგი-ვირუსოლოგი, პროფესორი, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1924 წ. 17 ივნისს. მშობლები: ნინო ხელაშვილი, გიორგი ჭანიშვილი. დაამთავრა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1946). მუშაობდა „ბაქტერიოფაგის" სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ექიმ-ბაქტერიოლოგად (1946-1947), იყო სამეცნიერო განყოფილების გამგე (1950-1952, 1955-1960), დირექტორის მოადგილე სანარმოო დარგში (1952-1955), უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის კათედრის გამგე (1970-1974). არის „ბაქტერეოფაგის" დირექტორის მოადგილე სამეცნერო დარგში (1960 წლიდან) და უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულეტის მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის კათედრის პროფესორი (1974 წლიდან). საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „სალმონელას ბაქტერიოფაგების ბიოლოგიური თვისებები" (1954); სადოქტორო — „დიზენტერიული ბაქტერიოფაგები" (1970). არის 216 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. საქართველოს გენეტიკოსთა და სელექციონერთა სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტი, ჯ. სოროსის განათლების საერთაშორისო პროგრამის ცენტრალური საბჭოს წევრი და საქართველოს საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე, სოროსის დამსახურებული პროფესორი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში: International Biographical Centre Cambridge. CB2. 3QP. Eengland.

ჰობი: ბაქტერიული ვირუსების შესწავლა, მუსიკა, თეატრი, კითხვა, სპორტი.

მისამართი: (ბინის) ე. ტატიშვილის 41, ტელ.: 23.32.95; (სამსახურის) გოთუას 3, ტელ.: 37.42.27; ფაქსი: 999153, ელ.ფოსტა: nina @ chanish. Kheta. ge.

საქმის სიყვარული, პატიოსნება, უანგარობა, მომავალი თაობების აღზრდა.

ნინელი ჭანკვეტაძე

მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. დაიბადა თბილისში 1957 წ. 24 ოქტომბერს. მშობლები: ინა ჩიქოვანი, ნოდარ ჭანკვეტაძე, მეუღლე — ზაზა მიქაშავიძე (დ.1954 წ.)

დაამთავრა სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1979). მუშაობს კინომსახიობის თეატრში (1979 წლიდან). მონაწილეობდა მიხეილ თუმანიშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლებში: მოლიერის „დონ-ჟუანი", დ. კლდიაშვილის „ბაკულას ღორები", უაილდერის „ჩვენი პატარა ქალაქი", შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი", ჟიროდუს „ამფიტრიონ 38" და სხვ., კინოფილმებში. „ცხელი ზაფხულის სამი დღე" (რეჟ. მ. კოკოჩაშვილი), „კუკარაჩა", „მარტოხელა მონადირე" (რეჟ. ქ. დოლიძე), „საფეხური" (რეჟ. ა. რეხვიაშვილი), „რობინზონიადა" (რეჟ. ნ. ჯორჯაძე), „ორომტრიალი" (რეჟ. ლ. ღოღობერიძე), „რჩეული" (რეჟ. ბ. კალატოზიშვილი) და სხვ. მიღებული აქვს პრიზები: თეატრალური საზოგადოების პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის: ნინო — „დარაბებს მიღმა გაზაფხულია" რეჟ. ც. ნაკაშიძე (1979); ქალი — „ადამიანის ხმა" რეჟ. ო. ეგაძე (1985); ალკმენე — „ამფიტრიონ 38" რეჟ. მ. თუმანიშვილი (1995); ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის მედალი პროფესიული მიღწევებისათვის, რუსთავის თეატრალური ფესტივალის „ოქროს ნიღაბის" დიპლომი; პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის — ელისაბედი „ჯერ დაიხოცნენ და შემდეგ იქორ-

ნინეს" რეჟ. გ. მარგველაშვილი (1996); კინოფესტივალი „ოქროს არწივი" ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ფილმში „ვირთხა" რეჟ. ა. მილორავა, ამავე ფილმისათვის პრიზი საუკეთესო დუეტისათვის (ი. ხიზანიშვილთან ერთად) კიევის ახალგაზრდულ კინოფესტივალზე (1993 წ.) და სხვ.

ჰობი: ხატვა, ძერწვა, კერამიკა, სხვადასხვა ხელსაქმე, რაც დაკავშირებულია შემოქმედებასთან.

მისამართი: (ბინის) ატენის 20, ბ. 53, ტელ. 29.02.13; (სამსახურის) აღმაშენებლის გამზ. 164, ტელ.: 34.07.86.

რწმენა, იმედი და სიყვარული — აი ის, რაც წარმართავს ჩემს ცხოვრებას და შემოქმედებას. (თუ ეს უკანასკნელი ძალიან ხმამაღლა არ არის ნათქვამი), ჩემს ურთიერთობას ახლობლებთან, მეგობრებთან, ჩემს საქმესთან, ნაცნობებთან თუ უცნობებთან. ალბათ ამიტომ მხვდებიან ცხოვრებაში და ჩემს საქმეში სწორედ ასეთი სულისკვეთების ადამიანები. ამან შემახვედრა ჩემი მეუღლე, რომელსაც უნდა ვუმადლოდე ჩემს ბედნიერ ყოფას და ამავე მიზეზით ჩემი კარიერის დასაწყისშივე შევხვდი ბატონ მიხეილ თუმანიშვილს, ადამიანს, რომლის დამსახურებაცაა ჩემი საქმისადმი სიყვარული, პროფესიის ცოდნა და ნებისმიერი წარმატება ჩემს შემოქმედებაში.

ლადო ჭანტურია

იურისტი, პროფესორი. დაიბადა ჯვარში 1963 წ. 14 აპრილს. მშობლები: ნუცა მიქავა, ლუდოვიკო ჭანტურია; მეუღლე — დალი კვირკველია (დ.1968 წ.); შვილი — გიორგი (2 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1985), მუშაობდა იქვე ასისტენტად (1985-1990). იყო მოსკოვის კანონმდებლობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი (1986-1989), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი (1990-1995) არის პროფესორი (1995 წლიდან). იუსტიციის მინისტრის მრჩეველი (1993 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შესახებ კანონმდებლობის სრულყოფის პრობლემები" (1989), სადოქტორო — „უძრავი ნივთების საკუთრების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი" (1994). ავტორია ნაშრომებისა: „უძრავი ნივთების საკუთრება" (1994), „მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები" (1996), ქართულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული ოცზე მეტი სამეცნიერო სტატიისა. არის ჯორჯ შულცის პრემიის ლაურეატი (1996).

მისამართი: (ბინის) ფანასკერტელის 9, ბ. 97, ტელ.: 38.61.09; (სამსახურის) ჭავჭავაძის გამზ. 3, ტელ.: 29.05.96; ფაქსი: 93.37.12.

ერთგულება, კეთილსინდისიერება, მუდმივი სწრაფვა პროფესიული სრულყოფილებისადმი, ოჯახის სიყვარული, სხვათა პატივისცემა, ბევრი შრომა.

ტარიელ ჭანტურია

მწერალი, ჟურნალისტი. დაიბადა ბათუმში 1932 წ. 11 ივლისს. მშობლები: ეკატერინე ჭანტურია, პროკოფი ჭანტურია; მეუღლე — ციალა ბერძენიშვილი (დ.1932 წ.); შვილები: ნინო (38 წლის), ირაკლი (36 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება (1956). სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალ „ცისკრის" რედაქციაში, გა-

მოცემლობებში: „მერანსა“ და „ნაკადულში“, რედაქტორობდა რუსთაველის საზოგადოების გაზეთ „მამულს“, 1995 წლიდან მუშაობს ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტში თავმჯდომარის მოადგილედ. არის ორმოცამდე წიგნის, საყმაწვილო ლექსების, იუმორისტული გამოცემების, მრავალი კრიტიკული სტატიისა და ესეის ავტორი. ჰერმან მელვილის „მობი დიკი ანუ თეთრი ვეშაპის“ მთარგმნელი (გივი გეგეჭკორთან ერთად), შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიისა და გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიების ლაურეატი. გელათის აკადემიის წევრი

ჰობი: ჭადრაკი, ბანქო... საერთოდ თამაშები.

მისამართი: (ბინის) საბურთალოს 40, ბ 40, ტელ 38.18.14; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 8, ტელ.: 99.64 82.

საუბარი ჩემს პრინციპებზე, იდეალებსა და კრედოზე სწორად არ მიმაჩნია: ვისაც ჩემი წიგნები არ წაუკითხავს, მას ჩემი განცხადებები ვერაფერს ეტყვის, ხოლო ვინც ჩემს შემოქმედებას იცნობს, მას ჩემი დახმარება არ დასჭირდება, ყველაფერი, რაზე პასუხსაც ცნობარის ეს კითხვა ითხოვს, ავად თუ კარგად, ჩემს წიგნებში წერია, ორი სიტყვით მე მარტო ამის თქმა შემიძლია: თავი ქართული (მსოფლიო) კულტურის უერთგულეს მსახურად მიმაჩნია და ვთვლი, რომ ჩემი ნაწერი ვიღაც-ვიღაცეებს აინტერესებთ. ეს რომ არ მჯეროდეს, სტრიქონი რაა, სტრიქონს არ დავწერდი. ჯერჯერობით ჩემი შემოქმედების უმნიშვნელო რამაა თარგმნილი უცხო ენებზე. არც ჩემი მთავარი წიგნი გამომიქვეყნებია. მომავალში ეს ჩემი მცდელობის გარეშე გასწორდება. არც ამ რწმენის უქონელი დავწერდი რამეს. საერთოდ, ერთი ჭკვიანი მწერალი ქალბატონის არ იყოს (ტ. ტოლსტაია) ამქვეყნიური ამბიციები თითქმის არ გამაჩნია, სიკვდილს მერმინდელი — საკმაოდ სერიოზული..

მალხაზ ჭეიშვილი

გეოლოგი, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი რაგბიში, სპორტის ოსტატი დაიბადა თბილისში 1959 წ 18 ოქტომბერს. მშობლები: ბელა ასათიანი, ვაჟა ჭეიშვილი; მეუღლე — ნანა ჩიტალაძე (დ.1961 წ.), შვილები ალექსანდრე, ლიზა

დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი (1981) მუშაობდა უნივერსიტეტის რაგბის კლუბში (1978-1981), რკინიგზელთა რაგბის კლუბ „ლოკომოტივში“ (1981-1990), ტექნიკური უნივერსიტეტის რაგბის კლუბ „ყოჩებში“ (1991-1996). იყო საკავშირო ნაკრების წევრი (1982-1986). არის საკავშირო პირველობების სამგზის პრიზიორი.

ჰობი: ნადირობა

მისამართი: (ბინის) საბურთალოს 65ა, ტელ. 39.52.18, 38.50.69; (სამსახურის) ჭავჭავაძის 49 ა, ტელ : 29 47.54, ფაქსი: 29.47 63.

ვცხოვრობ ასე: რასაც ვემსახურები, ბოლომდე ვიხარჯები. ეს არის, ალბათ, ჩემი კრედო. თუ ხარ, უნდა იყო — ამ პრინციპით. ვარ მომთხოვნი საკუთარი თავის და ახლობელი ადამიანების (მეგობრების) მიმართ, ვარ პროფესიონალი, ენთუზიასტი. ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რადგან ვაკეთებ იმ საქმეს, რომელიც მიყვარს. ჩემი დიდი სურვილია, საქართველოში შეიქმნას ძლიერი სარაგბო სკოლა, რომელიც გამოზრდის

საერთაშორისო დონის მოთამაშეებს. ჩემი ოცნებაა დავაარსო რაგბის კლუბი, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან, აზრს გაუზიარებენ, „მოეფერებიან" მორაგბეები.

რეზო ჭეიშვილი

მწერალი. დაიბადა ქუთაისში 1933 წ. 24 აპრილს შვილები. მამუკა (38 წლის), გუბაზი (32 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1959). მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში", იყო კოლეგიის და მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების წევრი (1960-1992), ჟურნალ „განთიადის" მთავარი რედაქტორი (1987-1992), საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-1995). არის საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი (1992 წლის მარტიდან). ავტორია რომანებისა: „დალი", „ქალაქში დინოზავრები დადიან", „ვაიმე, ჩემო ვენახო", „კვამლი", კინოსცენარებისა ფილმებისთვის: „ჩემი მეგობარი ნოდარი", „გათენების წინ", „ცისფერი მთები", „ექსპრეს-ინფორმაცია" და სხვ. არის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატი.

პობი: მოძრაობა.

მისამართი: (ბინის) ფანასკერტელის 13ა, ტელ.: 37.19.93; (სამსახურის) მაჩაბლის 13, ტელ : 93.10.26.

სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!

ვახტანგ ჭელიძე

მწერალი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში 1917 წ. 10 აპრილს მშობლები. მარიამ ჭელიძე, ვასილ ჭელიძე; მეუღლე — ვალენტინა ტატიშვილი (დ.1927წ.); შვილები: მარინე (50 წლის), დავითი (46 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1941). მუშაობდა პედაგოგად საშუალო და უმაღლეს სასნავლებლებში (1943-1948), იყო საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის მთავარი რედაქტორი (1948-1952), ჟურნალების: „დროშას" რედაქტორის მოადგილე (1952-1955), „ნიანგის" (1955-1957) და „ცისკრის" რედაქტორი (1957-1963), ხელოვნების სამმართველოს უფროსი (1963-1967), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორი (1967-1973), გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორი (1973-1987), გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორი (1987-1991). არის ავტორი წიგნებისა: ბიოგრაფიული რომანი „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა", „ქართლის ცხოვრების ქრონიკები" 6 წიგნად, ლიტერატურული პორტრეტები და პუბლიცისტური წერილები (წიგნებად). თარგმანები: შექსპირის პიესები, მილტონის „დაკარგული სამოთხე", დეფოს, დიკენსის, სკოტის, გოლზუორთის, მარკ ტვენის, ჯეკ ლონდონის, ჰემინგუეის, სტაინბეკის, სელინჯერის რომანები და მოთხრობები, პრისტლის, მილერის, უილიამსის პიესები. არის მაჩაბლის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.

მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 70, ტელ.: 22.42.90.

ყოველი ადამიანი პატიოსნად უნდა ასრულებდეს მოქალაქეობრივ ვალს, ერთგულად და სინდისიერად ემსახურებოდეს თავის საქმეს. ეს თავისთავად გულისხმობს კარგ მამულიშვილობას.

ზურაბ ჭელიძე

ფიზიკოსი, „პირველი რადიოს" პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1963 წ. 17 სექტემბერს. მშობლები: ვენერა თევ-

დორაძე, თამაზ ჭელიძე; მეუღლე — ირინე ჩხეიძე (დ.1965 წ.); შვილები: ირაკლი (8 წლის), ლუკა (2 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. მუშაობდა გეოფიზიკის ინსტიტუტში, იყო ტექნიკოსი, ინჟინერი, უმცროსი ინჟინერი, უფროსი ინჟინერი, მეცნიერ-თანამშრომელი (1982 წლიდან). 1993 წლიდან „პირველი რადიოს" პრეზიდენტია. იყო ამავე რადიოს DJ. გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნირო სტატია მიწისძვრების შესწავლის შესახებ სხვადასხვა ქვეყნის გეოფიზიკურ ჟურნალებში. სკოლაში სწავლის პერიოდში მიღებული აქვს „BDHX"-ის მედალი და სიგელი რადიოელექტრონიკის დარგში.

ჰობი: სამთო-სათხილამურო სპორტი.

მისამართი: (ბინის) შარტავას 18ა, ტელ.: 37.37.33; (სამსახურის) მ. ალექსიძის 1, ტელ.: 36.35.06.

ჯობს, წინასწარ იფიქრო იმაზე, როგორ წაიყვანო ახალი საქმე (ბიზნესი), ვიდრე შემდეგ ათჯერ მეტი იფიქრო იმაზე, თუ რატომ არ მიდის კარგად ეს ახლადდაწყებული საქმე, რატომ უნდა ვეომოთ კონკურენტებს? ჯობს დაიწყო საქმე, რომელიც ჯერ თავში არავის მოსვლია, სანამ სხვები მოიფიქრებენ, პირველობა გარანტირებულია. მთავარია, იგი შეინარჩუნო!

ლევან ჭილაშვილი

არქეოლოგი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა გურჯაანში 1930 წ. 17 აგვისტოს. მშობლები: ნინო ჭილაშვილი, ალექსანდრე ჭილაშვილი; მეუღლე — ელენე ცაგარელი (დ.1938 წ.), შვილები: დავითი და გიორგი (35 წლის); შვილიშვილი — თამარი (5 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1953) და მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა (1956). მუშაობს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. იყო უმცროსი (1957-1960), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1960-1970), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში (1970-1973), 1973 წლიდან არის ინსტიტუტის დირექტორი, 1969 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „ქალაქი რუსთავი" (ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი) (1958), სადოქტორო — „ქალაქები ფეოდალურ საქართველოში" (1967), 60-ზე მეტი შრომის ავტორია, მათ შორის 11 წიგნისა: „ქალაქი რუსთავი" (1958), „ნაქალაქარი ურბნისი" (1984), „ქალაქები ფეოდალურ საქართველოში" I-II (1968, 1970), „კახეთის ქალაქები" (1980), „ძველი ქალაქები" (1974), „მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები" (1984) და სხვ. არის სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიის ლაურეატი.

ჰობი: ახალგაზრდობაში თამაშობდა ფეხბურთს და ფრენბურთს. იყო საქართველოს ფრენბურთის ნაკრების გუნდის წევრი.

მისამართი: (ბინის) ჭავაჭავაძის გამზ. 3, ტელ.: 22.63.15; (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 3. ტელ.: 99.80.22, ფაქსი: 98.21.29.

შრომა, პატიოსნება, პრინციპულობა, საერთო საქმისადმი ერთგულება.

ამირან ჭიჭინაძე

ტელ.: 22.22.90.

კინოდრამატურგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1934 წ. 14 სექტემბერს. მშობლები: მარინე ჯაფარიძე, ვალერიან ჭიჭინაძე, მეუღლე — ნანა თარგამაძე (დ 1940წ.); შვილები. გიორგი (27 წლის), ირაკლი (21 წლის). დაამთავრა მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი (1957) და მოსკოვის უმაღლესი სასცენარო კურსები (1964).

მუშაობდა ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ტექნიკოსიდან — უფროს ინჟინრამდე (1957-1962), საქართველოს ტელევიზიის ტელეფილმების სტუდიასა და კინოსტუდია „ქართულ ფილმში" მთავარ რედაქტორად (1967-1985). 1974 წლიდან არის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი რედაქტორი, 1985 წლიდან ტელეფილმების სტუდიასა და კინოსტუდიაში სასცენარო კომიტეტის წევრი, ლიტერატურული განყოფილების უფროსი, კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნოს და კომპანია „ქართული ფილმის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. არის ავტორი წიგნებისა. „ზაფხული ჩემს უბანში" (196), „ჩემი დღე" (1973), „ორი მოთხრობა", „ვისაც მზის ამოსვლა არ უნახავს" (1978), მხატვრული და დოკუმენტური ფილმების 33 სცენარისა. მათ შორის. „გიორგობისთვე", „რეკორდი", „აფხაზეთი", „სისხლიანი სეზონი", „შვილი" და სხვ. არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ჰობი: ძაღლი, შინაური ფრინველი, ბოცვრები, ბოსტანი... საკვების მოპოვება და დამზადება. წიგნები (კითხვა).

მისამართი: (ბინის) ნაფარეულის 11,

გულწრფელობა, პატიოსნება,
შრომა, მოვალეობის გრძნობა.
ვცდილობდი, მეკეთებინა ის, რაც
შედარებით მსიამოვნებდა.
საზოგადოებრივი საქმიანობა არ
მიტაცებს. ვაკეთებდი იმის
მეათედს, რაც შემეძლო;
სამსახურში დასაწინაურებლად
ესეც კმარა. საერთო საქმე ჩემი
მიზეზით არ შეფერხებულა.
შინდან თუ არ გამიყვანენ,
ნებისმიერ საქმეს სიამოვნებით
მოვკიდებ ხელს. მთავარია, ოჯახი
და ახლობლები მყავდეს კარგად.
ძალიან მინდა, რომ
მაყურებელსაც გავუადვილო
ცხოვრება, ოდნავ მაინც...

მიხეილ ჭკუასელი

საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში. დაიბადა თბილისში 1970 წ. 10 სექტემბერს. მშობლები: მარინა მიმინოშვილი, ლომგულ ჭკუასელი; მეუღლე — ნინო პეტრიაშვილი (დ.1968წ.); შვილი — გიორგი (2 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, მაკროეკონომიკის სპეციალობით (1993) და ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურა (1995). სხვადასხვა დროს მუშაობდა ეკონომიკის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, საქართველოს პარლამენტის აპარატში წამყვან სპეციალისტად, სააქციო კომერციულ ბანკ TBC ბანკში გამგეობის თავმჯდომარედ, საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარედ. იყო მწვანეთა პარტიისა და მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოს წევრი. აქვეყნებდა სამეცნიერო სტატიებს პერიოდულ პრესაში.

ჰობი: თეატრი, პოეზია.

მისამართი: (ბინის) სოფ. ანასეული. მეცნიერების 2; (სამსახურის) ოზურგეთი, კოსტავას 2, ტელ.: 6.58.81, 99.66.75.

სახელმწიფოებრიობა, ოჯახი, პატიოსნება.

გიორგი ჭოლოშვილი

მათემატიკოსი, პროფესორი, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა საჩხერეში 1914 წ. 20 დეკემბერს. მშობლები: ნატალია

გოგორი შვილი-ჭოლოშვილი, სევერიან ჭოლოშვილი; მეუღლე — მზია ანდრონიკაშვილი (დ.1920წ.); შვილები: არჩილი (48 წლის), ლევანი (43 წლის). დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1936) მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოცენტად (1936-1946), მათემატიკის ინსტიტუტში ალგებრა-გეომეტრიის განყოფილების გამგედ (1936-1993). უნივერსიტეტის პროფესორი და ალგებრა-გეომეტრიის კათედრის გამგეა 1946 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვში თემაზე: "Изменение области меньших значений и поверхности уровня функций, заданной на ограниченном многообразии" (1939 МГУ), სადოქტორო — "О соотношениях двойственности в топологических пространствах (Институт математики А.Н СССР 1945)" ავტორია ასზე მეტი მეცნიერული ნაშრომისა მათ შორის On a Theorem in the Theory Dimensionality Comp Math v 5, (1937); "О преобразованиях Шнирельмана", Д.А.Н.; 30 (1941); On Homology Theory of Nonclosed Sets, Proc. Simp in Top Prag. I (1961). შეადგინა ექვსენოვანი მათემატიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონი. არის უნივერსიტეტის პრემიის პირველი ლაურეატი, დაჯილდოებულია სახელმწიფო უმაღლესი ორდენებითა და მედლებით მეცნიერული და პედაგოგიური მუშაობისათვის. არის ამერიკის და მოსკოვის მათემატიკური საზოგადოებების ნევრი მისი ბიოგრაფიული ცნობები შეტანილია ცნობარებში Математика в СССР (1917-1947), (1958-1967), (1917-1957); Dictionary of International Biography Cambridge (1991) და სხვ.

ᲰᲝᲑᲘ: შუა საუკუნეების საზღვაო რუკები, ძველი ინდურ-ქართული ურთიერთობანი.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ 21, ბ. 27, ტელ.: 22.36 38; (სამსახურის) უნივერსიტეტის 2, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტელ.: 30 47 45

ადამიანის უპირველეს მოვალეობად მიმაჩნია ზრუნვა სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ჩემს დარგში ეს გამოიხატება თანამედროვე აბსტრაქციული მათემატიკის დაფუძნებით, რასაც იმ დროს სხვადასხვა ხელისშემშლელი გარემოებები ეღობებოდა. ჩემი რედაქციით და კომენტარებით გამოიცა მეცნიერების უმნიშვნელოვანესი თხზულების ევკლიდეს „საწყისების" თარგმანი ძველი ბერძნულიდან. პროფესორ მ. ანდრონიკაშვილთან ერთად ვაწარმოებდი ძველი ბაბილონური მათემატიკური ტერმინების ეტიმოლოგიურ კვლევას ქართველურ-შუმერული ენობრივი ურთიერთობის საფუძველზე.

ლევან ჭოლოშვილი

მხატვარი. დაიბადა თბილისში 1953 წ. 22 მაისს. მშობლები: მზია ანდრონიკაშვილი, გიორგი ჭოლოშვილი მეუღლე — მაია ციციშვილი (დ.1953 წ.); შვილები: ნინო (23 წლის), ირინე (15 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი მხატვარ-ფერმწერის სპეციალობით (1976). მიღებული აქვს საფრანგეთის პრეზიდენტის პრიზი საუკეთესო ნაციონალური სელექციისათვის კანის საერთა-

შორისო ხელოვნების ფესტივალზე (1990), მთავარი პრიზი ანკარის საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალზე (1995). არის ძველი ქრისტიანული მხატვრობის დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობაში: The International Biographical Centre, Cambridge CB23QP, England.

პობი: ძველი მესხურ-კაპადოკიური კულტურის კვლევა.

მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ. 21, ბ. 27, ტელ.: 22.36.38. (სამსახურის) ვერცხილს ქ. 22

უსამართლობასთან შეურიგებლობა.

ნანა ჭურლულია

მხატვარი დაიბადა გუდაუთაში 1950 წ. 28 სექტემბერს. მშობლები: ეთერ ფარულავა, ოთარ ჭურღულია; მეუღლე — თეიმურაზ სულხანიშვილი (დ. 1947 წ.); შვილები: თეა (22 წლის), ნიკოლოზი (10 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1973). გიარა ასპირანტურის კურსი თბილისის დაზგური გრაფიკის შემოქმედებით სახელოსნოში (1978-1981). იყო ესთეტიკის ინსტიტუტის მხატვარი (1974-1975), საბავშვო სამხატვრო სკოლისა (1976-1978) და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პედაგოგი (1976-1978). მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში, მათ შორის თბილისისა (1977, 1984, 1986, 1993, 1996) და მოსკოვის (1981, 1985, 1988, 1989) სხვადასხვა გალერეებში, ზაარბრიუკენში (1983), ბერლინის კულტურულ ცენტრში (1988), ლენინგრადში (1989), ბუდაპეშტში (1990), ბარსელონაში (გალერეა „Brok" 1990), პროვანსში (საფრანგეთი, გალერეა „Ceruse" 1991), ბელგიაში (1993,), კოპენჰაგენში (1994), ბაქოს ხელოვნების ცენტრში (1995). არის 50-მდე წიგნის მხატვარი. მიღებული აქვს ორი რესპუბლიკური პრემია „წლის საუკეთესო წიგნი" მხატვრული გაფორმებისათვის.

პობი: მინერალოგია.

მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას გამზ. 98, ბ. 37, ტელ.: 30.49.26.

შემოქმედი საზღვრებს გარეშე. ყოველ ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს და იმოღვაწეოს მზესა და დედამიწას შორის. შეხვედრა ბუნებასთან — გაკვირვება — იმპულსური ტრანსფორმაცია. განცდის სრულყოფა, ინტუიცია, წარმოსახვა. ვქმნი ჩემთვის — იმავდროულად ყველასათვის.

თემურ ჭყონია

ინჟინერი, კომპანია „კოკა-კოლა ბოლერზ ჯორჯიას" გენერალური მენეჯერი. დაიბადა 1950 წ. 9 სექტემბერს. მშობლები: მარგალიტა ჭყონია, სიმონ ჭყონია; მეუღლე — მარინა გუნია (დ. 1949 წ.); შვილები სოფიკო ჭყონია, გიორგი ფხაკაძე. მუშაობდა ლაბორანტად მოსკოვის პურის ქარხანაში (1970-1972), თბილისის ლუდის ქარხანაში (1973-1974), „თბილხილწყალში" უსაფრთხოების ინჟინრად, ინჟინერ-მექანიკოსად, მთავარ მექანიკოსად, წარმოების უფროსად, მთავარ ინჟინრად (1975 წლიდან). ამჟამად „თბილხილწყალის" დირექ-

ტორი და კომპანია „კოკა-კოლა ბოთ-
ლერს ჯორჯიას" გენერალური მენე-
ჯერია.
ᲰᲝᲑᲘ: ფეხბურთი, სირბილი, ტანვარჯი-
ში, კრივი.
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (ბინის) მოსაშვილის 9, (სამ-
სახურის): ნერეთლის გამზ. 114, ტელ.:
94.16.99, ფაქსი: 99.79.15.

ყველა საქმის დეტალური
შესწავლა, პროფესიონალიზმი.
სიმართლე.

გიორგი ხაინდრავა

კინორეჟისორი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „TMS ინვესტის" გენერალური დირექტორი. დაიბადა თბილისში 1956 წ. 7 ივლისს. მშობლები: ლუდმილა ხაინდრავა, ლევან ხაინდრავა; მეუღლე — მარიამ ჭიჭინაძე (დ.1959წ.); შვილები: ლევანი (13 წლის), მარიამი (2 წლის). დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1981) და თეატრალური ინსტიტუტის კინოსაოპერატორო ფაკულტეტი (1986). მუშაობს საერთაშორისო შემოქმედებითი ასოციაცია „TMS -ინვესტის" გენერალურ დირექტორად (1991 წლიდან), არის თეატრალური ინსტიტუტის ლექტორი (1992 წლიდან). გადაიღო ფილმები: „ქართული მართლმადიდებლური ეკლესია", „საქართველო — ერის გამოღვიძება", „ავტოპორტრეტი", „ოცნებების სასაფლაო". მონაწილეობა მიიღო ფილმების: „რობინზონიადა", „ნეილონის ნაძვის ხე", „შავი თვალები", „ურგა" და სხვათა გადაღებაში. მიღებული აქვს პრემია საუკეთესო გამოსახულებისთვის კინოფილმში „ავტოპორტრეტი" კიევის საერთაშორისო კინოფესტივალზე, პრემია წლის საუკეთესო კინოფილმისთვის „ქართული მართლმადიდებელი ეკლესია". იყო საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის, ადამიანთა უფლებების დაცვის კომისიის წევრი. სახელმწიფო საბჭოს, სახელმწიფო მინისტრი აფხაზეთში. მისი ბიოგრაფია შეტანილია „Who'is Who"-ს ამერიკულ გამოცემაში.

მისამართი: (ბინის) ვ. გორგასლის 41, ტელ.: 98.83.94; (სამსახურის) აღმაშენებლის გამზ. 164, ტელ.: 35.29.26, ფაქსი: 95.03.24.

სიკეთე, პატიოსნება, სიმართლე.

ივლიანე ხაინდრავა

პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, გაზეთ „ნოვაია გაზეტას", მთავარი რედაქტორი, რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1951 წ. 8 აპრილს. მშობლები: ლუდმილა ხაინდრავა, ლევან ხაინდრავა; მეუღლე — ელენე ხაინდრავა (დ.1952წ.); შვილები: შორენა (16 წლის), ნინო (15 წლის). დაამთავრა ორი უმაღლესი სასწავლებელი, მიიღო ქიმიკოსის სპეციალობა (1973) და მთარგმნელ-რეფერენტისა (ქართულ-რუსულ-ინგლისური) (1987). მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ლაბორანტის თანამდებობიდან უფროს მეცნიერ-თანამშრომლობამდე (1973-1989). იყო ეროვნული კონგრესის პრეზიდუმის (1990), საკონსულტაციო საბჭოს (1992), სახელმწიფო საბჭოს, საქართველოს პარლამენტის (1992-1995), სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი (1993-1995). არის რესპუბლიკური პარტიის წევრი 1991 წლიდან. ავტორია ქართულ პერიოდიკაში („7 დღე", „დრონი", „ახალგაზრდა ივერიელი", „თბილისი", „ახალი თაობა" „Молодежь Грузии") გამოქვეყნებული მრავალი წერილისა.

ჰობი: ფეხბურთი, ჭადრაკი, „ფორმულა-1", ავტორბოლები.
მისამართი: (ბინის) ს. ჩიქოვანის 22, ბ. 38; ტელ.: 36.41.34; (სამსახურის) ბარნოვის 7, ტელ.: 93.86.46, ფაქსი: 98.99.01.

ცხოვრებისეული კრედო ემთხვევა პოლიტიკურს. უმთავრესი ღირებულებებია ადამიანი, რომელიც ვლინდება თავისი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზების სურვილსა და უნარში, და საზოგადოება, რომელიც ზნეობის დამცველია

და, ამდენად, ადამიანური საწყისის უზრუნველმყოფელიც. განვითარების და სოციალური პარმონიის წინაპირობებია: ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების გონივრული შეხამება, ეროვნული თვითმყოფადობისა და ცხოვრების შესაბამისი წესის პატივისცემა; თვითმმართველობა, მოქალაქეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ბედ-იღბალზე; პლურალიზმი; დიალოგი. სამწუხაროდ, სერიოზული წარმატებებისათვის ამ პრინციპებისა და იდეალების საქართველოში ხორცშესხმის თვალსაზრისით ჯერჯერობით არ მიმიღწევია.

მამუკა ხაზარაძე

ინჟინერი, თბილისის ბიზნეს-ცენტრის პრეზიდენტი დაიბადა თბილისში 1966 წ. 29 დეკემბერს მშობლები: ზაირა ხუნდაძე, მამია ხაზარაძე; მეუღლე — ირინა ხიდეშელი (დ.1967წ.); შვილები: ანა (5 წლის), ნიკა (4 წლის). დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (1989). აღიარეს 1995 წლის საუკეთესო ბიზნესმენად. არის თბილისის ბიზნეს-ცენტრის პრეზიდენტი (1992 წლიდან) და საქართველოს მსხვილ გადამხდელთა საზოგადოების წევრი.
ჰობი: კლასიკური მუსიკა, ჯაზი.
მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის გამზ 11, ტელ.. 22.02.12, ფაქსი: 23.56.00.

ბესიკ ხარანაული

მწერალი. დაიბადა თიანეთში 1939 წ. 11 ნოემბერს. პყავს მეუღლე და სამი შვილი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი (1962). მუშაობდა გამომცემლობაში „ლიტერატურა და ხელოვნება" უმცროს რედაქტორად (1963-1967), გამომცემლობაში „საბჭოთა საქართველო" რედაქტორად (1967-1972), ჟურნალ „მნათობის" რედაქციაში იყო განყოფილების გამგე, ამჟამად რედაქტორის მოადგილეა (1972 წლიდან). გამოქვეყნებულია მისი ლექსების 12 კრებული. არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1993).
ჰობი: ფეხით სიარული
მისამართი: (ბინის) ყაზბეგის 29 და ზედაზნის 4, ტელ 39.69.93, 66 01 46.

ჩემი ცხოვრების მიზანი, პრინციპი და კრედო არის, თუ მისსლისოდენად მაინც შევძელი — გულმოწყალება, ესაა, რაც მომწონს ადამიანშიც და სამყაროშიც.

ლევან ხარანაული

მხატვარი დაიბადა თბილისში 1963 წ 29 სექტემბერს მშობლები: დამანა მელიქიშვილი, ბესიკ ხარანაული; მეუღლე — ლელა სულაკაური (დ. 1967წ); შვილები მარიამი (8 წლის), ქიტო (6 წლის), ბესიკი (4 წლის) დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი (პროფესორ ფარნაოზ ლაპიაშვილის კლასი, 1986). 1983 წლიდან მონაწილეობს გამოფენებში, მისი ნახატები გამოფენილი იყო მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში (1988). გამართა პერსონალური გამოფენები თბილისში (1991, 1995), ბოლონიაში (1996). მისი ფერწერული ნამუშევრები დაცულია საქართველოს სურათების ეროვნულ გალერეაში, თბილისის მხატვრის სახლში, საქართველოსა და უცხოეთის (გერმანია, ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი) კერძო კოლექციებში.

მისამართი: (ბინის) ყაზბეგის გამზ. 29/2, ბ. 31, ტელ : 39.69.93.

გიორგი ხარაძე

ფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი. დაიბადა ხარაგაულის რაიონის სოფელ ფარცხნალში 1931 წ. 15 აგვისტოს. მშობლები: ელისაბედ ვოზდვიჟენსკაია, არჩილ ხარაძე; მეუღლე — ქეთევან ჩხიკვიშვილი (დ.1934წ.); შვილები: არჩილი (39 წლის), თამარი (29 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1954). მუშაობდა ფიზიკის ინსტიტუტში უმცროს, უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, თეორიული განყოფილების გამგედ (1957-1988); 1984 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის კათედრის პროფესორია, ხოლო 1988 წლიდან ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ნუკლონების ელექტრო-მაგნიტური სტრუქტურა" (1961), სადოქტორო — „ლოკალიზებული სპინური სისტემების მაგნიტური თვისებები" (1973). გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი ნაშრომი მყარი სხეულებისა და კვანტური სითხეების თეორიაში. არის ამერიკის ფიზიკური საზოგადოების წევრი.

მისამართი: (ბინის) აღმაშენებლის გამზ. 147, ბ. 37, ტელ.: 95.33.95; (სამსახურის) თამარაშვილის 6, ტელ.: 39.87.83, ელ-ფოსტა: khar@physics iberiapac.ge.

ევგენი ხარაძე

ასტროფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექს-პრეზიდენტი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის საპატიო დირექტორი, ჯორჯ სოროსის დამსახურებული პროფესორი. დაიბადა თბილისში 1907 წ 31 ოქტომბერს. მშობლები: მარინე ბარბაქაძე-ხარაძე, კირილე ხარაძე; დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი (1932-1992), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი (1959-1965), მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1972-1980), პრეზიდენტი, (1980-1986). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „გედის თანავარსკვლავეედის პროტოტიპი ვარსკვლავის სპექტრის გამოკვლევა" (1936), სადოქტორო — „ვარსკვლავთშორისი სინათლის შთანთქმის გამოკვლევა ფერის მაჩვენებელთა მეთოდით" (1939). ავტორია ასტრონომიული შინაარსის სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის 50-მდე ნაშრომისა, რომლებიც გამოქვეყნებულია საქართველოსა და საზღვარგარეთის ჟურნალებში, საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ასტრონომიის 5 სახელმძღვანელოსი.

მისამართი: ფალიაშვილს 31, ბ. 2, ტელ.: 22.54.60.

თავდაუზოგავი შრომა არჩეული პროფესიით (მეცნიერული კვლევა, სახელმძღვანელოების შედგენა).

ქეთი ხატიაშვილი

ჟურნალისტი, გაზეთ „ალიას" მთავარი რედაქტორის მოადგილე. დაიბადა თბილისში 1972 წ 18 აგვისტოს. მშობლები: მანანა შარიქაძე, გიორგი ხატიაშვილი; მეუღლე — დევიდ ჭაქვაძე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მუშაობდა გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" კორესპონდენტად (1990-1993), 1993 წელს მუშაობა დაიწყო გაზეთ „ალია"-ში კორესპონდენტად, ამჟამად ამ გაზეთის მთავარი რედაქტორის მოადგილეა. **ჰობი:** ცეკვა, სენსაციები და საინტერესო ინფორმაციის მოპოვება.

მისამართი: (სამსახურის) უზნაძის 14, ტელ 95.58.01.

დიდ ყურადღებას ვაქცევ ადამიანებთან ურთიერთობას. ვფიქრობ, ეს დიდი და რთული ხელოვნებაა. ვცდილობ ვიყო უშუალო და ბევრი სხვა, რაც ჩემი პირადი საიდუმლოა და, რაც მთავარია, ყოველთვის ვაკრიტიკებ საკუთარ თავს.

დავით ხახალეიშვილი

ძიუდოისტი დაიბადა ქუთაისში 1971 წ. 28 თებერვალს მეუღლე — შორენა კიბორძალიძე; შვილები: როსტომი (4 წლის), ლევანი (1 წლის) დაამთავრა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი არის ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს ოთხგზის პრიზიორი, ევროპის ექვსგზის ჩემპიონი

მისამართი: (ბინის) ქუთაისი, გამსახურდიას 127

სიმონ ხეჩინაშვილი

ექიმი, პროფესორი, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა ქუთაისში 1919 წ 26 ნოემბერს. მშობლები: ოლღა ნარსია, ნიკოლოზ ხეჩინაშვილი; მეუღლე — ლალი მიქელაძე (დ.1932წ.), შვილები: დეკი (40 წლის), მაია (38 წლის). დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი (1941). მუშაობდა იქვე ექიმ-ორიდანტორად (1941-1943), ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში ასისტენტად (1944-1946), დოცენტად (1946-1951), ფიზიოლოგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1949-1958). არის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგე (1951 წლიდან). სადოქტორო დისერტაცია დაიცვა

თემაზე „ვესტიბულური ფუნეცია" (1952) არის 191 შრომის ავტორი. მათ შორის 4 მონოგრაფიისა და 2 სახელმძღვანელოსი. არის საქართველოს და რუსეთის სამედიცინო, გერმანიის ბუნებისმეტყველთა („ლეოპოლდინას") აკადემიების წევრი, ბერლინის პუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, მეცნიერების დარგში ლენინური და ი. ბერიტაშვილის პრემიების ლაურეატი, ოტოლარინგოლოგთა საზღვარგარეთის 4 სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია „Who's Who"-ს ინგლისის გამოცემაში (1995)

პობი: მუსიკა, ცურვა

მისამართი: (ბინის) ბარნოვის 73, ბ. 21, ტელ. 22.46.33; (სამსახურის) ი. ჭავჭავაძის გამზ. 33, ტელ. 23.14.38.

ყოველთვის აქტიური მომხრე ვიყავი საქართველოს დამოუკიდებლობისა და პროგრესის, ვცდილობდი ხელი შემეწყო ქართული მეცნიერების განვითარებისათვის, დამეწინაურებინა ახალგაზრდა ნიჭიერი სპეციალისტები, დავხმარებოდი ავადმყოფებს.

რამაზ ხეცურიანი

ექიმი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი. დაიბადა ცაგერის რაიონის სოფელ ლაილაშში 1949 წ 14 მაისს. მშობლები: თინათინ გორგასლიძე, გრიგოლ ხეცურიანი; მეუღლე — ნარა ჭაბაშვილი (დ.1949წ.), შვილები: თინათინი (22 წლის), ლევანი (18 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1973), ას-

პრანტურა (1976); იყო სამედიცინო ინსტიტუტის ნორმალური ანატომიის კათედრის ასისტენტი (1977-1986), ამავე კათედრის დოცენტი (1986-1991), პროფესორი (1991 წლიდან). არის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი 1992 წლიდან. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „ქართველ ახალშობილთა ანთროპოლოგიურ მაჩვენებელთა დინამიკა აქსელერაციისა და სხვა ფაქტორთა გათვალისწინებით" (1977), სადოქტორო — „ორსულობის სხვადასხვა ეტაპზე და მშობიარობის წინა პერიოდისათვის პლაცენტის სისხლძარღვთა ანგიოარქიტექტონიკის მორფო-ფუნქციური ცვლილებები, ფეტოპლაცენტალური კავშირები" (1990). ავტორია 65 სამეცნიერო შრომისა, აქედან ერთი მონოგრაფიაა და ერთი სახელმძღვანელო. არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პარლამენტის ჯანმრთელობისა და განათლების კომისიის კონსულტანტი, რექტორთა საბჭოს აღმასრულებელი მდივანი, ჟურნალ „საქართველოს მედიცინის" სარედაქციო კოლეგიის წევრი. საქართველოსა და თურქეთის ერთობლივი „ახალი სამედიცინო ჟურნალის" თანარედაქტორი, სამედიცინო დარგობრივ პროფესორთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი, ჟურნალ Georgian Medical News სარედაქციო კოლეგიის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის, „სამედიცინო გაზეთის" სარედაქციო საბჭოს წევრი. ცნობები მის შესახებ შეტანილია ინტერნეტში.

ჰობი: თევზაობა, ნადირობა, ფოტოხელოვნება.

მისამართი: (ბინის) იოსებიძის 51, ტელ: 38.66 00; (სამსახურის) ასათიანის 7, ტელ.: 39.54.32.

ჩემი ცხოვრების კრედოა: ვიცოცხლო იმისათვის, რომ ვიშრომო. ჩემი წარმატებები განაპირობა ჩემმა დამოკიდებულებამ შრომისადმი, ჩემმა მასწავლებლებმა და ჩემმა კოლეგებმა, ვისთან ერთადაც ვმუშაობ თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში. ჩემი მიზანია, ვიყო სტუდენტისათვის საყვარელი ლექტორი, მაქსიმალურად გადავცე მათ ჩემი გამოცდილება. აღვზარდო მაღალკვალიფიციური ექიმი-სპეციალისტები.

ჯონი ხეცურიანი

იურისტი, საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი. დაიბადა ცაგერის რაიონის სოფელ ლაილაშში 1951 წ. 23 ნოემბერს. მშობლები: თინა გორგასლიძე, გრიგოლ ხეცურიანი; მეუღლე — როდამ ფაღავა (დ.1995 წ); შვილები: გრიგოლი (15 წლის), კონსტანტინე (12 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1973) და ეკონომიკის ფაკულტეტი (1988). მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად (1973-1979), საქართველოს კომპარტიის ქუთაისის და თბილისის ორგანიზაციებში ინსტრუქტორად, რაიკომის მდივნად (1980-1095), მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, განყოფილების ხელმძღვანელად, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ (1985-1989). იუსტიციის სამინისტროში მინისტრის პირველ მოადგილედ, მინისტრად (1990-1992), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოცენტად, პროფესორად (1992-

1995). 1995 წლიდან მუშაობს სახელმწიფო კანცელარიაში. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მორალური ნორმების მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალში" (1977), სადოქტორო — „სამოქალაქო სამართლის ფუნქციები" (1994). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, 5 წიგნი სამოქალაქო სამართლის, კონსტიტუციის, სისხლის სამართლის პრობლემებზე. არის საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში (1982), 1979 წელს გამოქვეყნდა მისი წერილები სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. არის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის (1991) ერთ-ერთი ავტორი. მონაწილეობდა საქართველოს კონსტიტუციის (1995 წ. 24 აგვისტო) შემუშავებაში, მისი სადოქტორო დისერტაციის ძირითადი დებულებები გაზიარებულია საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის პროექტში.

პობი: ნადირობა, თევზაობა.

მისამართი: (ბინის) ი. ნიკოლაძის 8, ბ. 16, ტელ.: 29.48.92; (სამსახურის) ინგოროყვას 7, ტელ.: 98-24-53.

ჩემი ცხოვრების კრედო ანუ მრწამსია „ენა, მამული, სარწმუნეობა", ოჯახის სიყვარული, მეგობრობა. თუკი რაიმე წარმატებისათვის მიმიღწევია, მისი საწინდარი ყოველთვის იყო ჩემი მრწამსისადმი ერთგულება, მიზანსწრაფულობა და შრომისმოყვარეობა, მიუხედავად ეამთა სიავისა.

მანანა ხვედელიძე

მუსიკათმცოდნე-ჟურნალისტი, საქართველოს რადიოს პროგრამების დირექტორის მოადგილე, რადიო 2-ის ხელმძღვანელი. დაიბადა თბილისში 1959 წ. 2 აგვისტოს. მშობლები: ია უჯმაჯურიძე, შოთა ხვედელიძე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1983). მუშაობდა საქართველოს ტელერადიოს კორპორაციაში უმცროს რედაქტორად, რედაქტორად, უფროს რედაქტორად (1985 წლიდან), არის დამოუკიდებელი რადიოკომპანია „ევრიკას" მუსიკალური რედაქტორი და თანამედროვე ხელოვნების აკადემიის ლექტორი (1995 წლიდან), საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი. გამოქვეყნებული აქვს სტატიები ჟურნალებსა და გაზეთებში. ავტორია გადაცემებისა „საუბარი კონცერტის შემდეგ", „საკონცერტო დარბაზებსა და თეატრებში", „100 ოპერა", სიუჟეტებისა რადიოჟურნალ „ჩანგში", პროგრამებში „მაცნე" და „კონცერტი 6 საათზე", რადიო და ტელეგადაცემებისა ქართველ და უცხოელ მუსიკოს-შემსრულებლებზე.

პობი: ხატვა, ქარგვა, ჯაზური მუსიკის აუდიო-კატალოგის შექმნა.

მისამართი: (ბინის) დოლიძის 22, ბ. 43, ტელ.: 36.55.35; (სამსახურის) ტელერადიო კორპორაცია, კოსტავას 68, ტელ.: 94.16.74, 36.81.01.

მინდა ვიყო მართალი ყველა სიტუაციაში, უკომპრომისო, პატივს ვცემდე სხვის აზრს, მაგრამ ამასთან დავიცვა საკუთარი სიმართლე, სათანადოდ შევაფასო პროფესიონალიზმი, არ შევიქმნა კერპი და თავად ვიყო თავმდაბალი; კრედოდ გამოვიყენო შემდეგი მოსაზრება: მიზანი არ ამართლებს საშუალებებს, მიყვარდეს და დავიმსახურო სიყვარული; მუდამ სრულყოფდე ცოდნას; ის, რაც შეიძლება გაკეთდეს დღეს, არ გადავდო ხვალისთვის,

მახსოვდეს, რომ შემიძლია გავიღო, რათა დავეხმარო.

ვახტანგ ხმალაძე

ფიზიკოსი, პოლიტიკოსი, საქართველოს კონსტიტუციის დაცვის ლიგის პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის ექსპერტ-კონსულტანტი. დაიბადა თბილისში 1947 წ. 21 იანვარს. მშობლები: თამარ თუმანიშვილი, იულონ ხმალაძე; მეუღლე — მანანა მაჩხანელი (დ.1950წ.), შვილები: ნინო (15 წლის), ირაკლი (13 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1969), მუშაობდა იქვე მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1973-1993). იყო საქართველოს რესპუბლიკური ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და რესპუბლიკური ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი (1991-1992), საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992), პარლამენტში ფრაქცია „რესპუბლიკელების" თავმჯდომარე (1992-1995). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1975). გამოქვეყნებული აქვს ოცამდე სამეცნიერო შრომა ველის კვანტურ თეორიასა და ელემენტარული ნაწილაკების თეორიაში, სტატიები პერიოდულ გამოცემებში პოლიტიკურ და სამართლებრივ საკითხებზე. არის რესპუბლიკური პარტიის მიერ წარდგენილი საქართველოს კონსტიტუციის პროექტის ერთ-ერთი ავტორი, საარჩევნო კანონების ძირითადი ავტორი და რიგი კანონ-პროექტების თანაავტორი. არის პოლიტიკური ორგანიზაცია „დას"-ისა და რესპუბლიკური პარტიის წევრი.

ჰობი: მხატვრული ლიტერატურა, სამეცნიერო ფანტასტიკა, კლასიკური მუსიკა, მოგზაურობა, ნადირობა

მისამართი: (ბინის) გალაკტიონის 3/5, ტელ.: 99.05.27; (სამსახური) რუსთაველის გამზ. 8, საქართველოს პარლამენტი

მიზანი: თავისუფლება — პიროვნული და ეროვნული.
პრინციპები: სამართლიანობა, პასუხისმგებლობა საკუთარ სიტყვასა და საქმეზე.

ჯიბსონ ხუნდაძე

მხატვარი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, სახალხო მხატვარი. დაიბადა თბილისში 1927 წ. 18 ოქტომბერს. მშობლები: ელისაბედ ვაშაკიძე, ხარიტონ ხუნდაძე; მეუღლე — ცისანა სამუნაშვილი (დ.1939წ.), შვილები: დალი (45 წლის), ჯარჯი (32 წლის). დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია (1952). მუშაობდა ხატვა-ფერწერის პედაგოგად ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში (1957-1960), არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ხატვა-ფერწერის პედაგოგი მხატვართა კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი. მისი გამოფენები მოეწყო საქართველოში, რუსეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთში, იაპონიაში, უკრაინაში, ისლანდიასა და შვეიცარიაში. წერილები თანამედროვე ხელოვნების საკითხებზე ქვეყნდება ჟურნალებსა და გაზეთებში. არის VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი (1956). მისი ბიოგრაფია შეტანილია კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული ლექსიკონის 25-ე გამოცემაში.

ჰობი: მოგზაურობა საქართველოს მთა-ბარში (ფეხით)

მისამართი: ნუცუბიძის 159, ტელ.: 30.34.70.

უკომპრომისო ბრძოლა თავისუფალი აზრის გადარჩენისთვის. ქართულ ხელოვნებაში ჩვენი ფოლკლორისა და სიმღერების შესატყვისი ეკვივალენტური თანამედროვე

ფორმით ფერისა და პლასტიკის ენაზე ამეტყველება და დავით კაკაბაძის შეგონება ქართული რენესანსის მე-12 საუკუნიდან ჩატეხილი ხიდის აღდგენა ევროპულ ხელოვნებასთან კავშირში.

ნანა ხუსკივაძე

მსახიობი. დაიბადა თბილისში 1965 წ. 25 დეკემბერს. მშობლები: ბელა მირიანაშვილი, იუზა ხუსკივაძე; მეუღლე — ბექა გოცაძე (დ.1965წ.); შვილი — ერეკლე (12 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1986). არის რუსთაველის თეატრის მსახიობი (1986 წლიდან) მონაწილეობდა 12 სპექტაკლსა და 2 ფილმში, შეასრულა 10 მთავარი როლი

მისამართი: (ბინის) თამარაშვილის 19ა, ტელ 39 18 99, (სამსახურის) რუსთაველის გამზ 17

ჩემს უბის წიგნაკში არის ასეთი გრაფა — „Don't forget" (გახსოვდეს, არ დავიწყო), სადაც დიდი ხნის წინათ ჩავწერე და დღესაც ძალიან ვცდილობ არ დავივიწყო: „ღმერთო, მომეცი მოთმინება ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, ძალა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან". (კურტ ვონეგუტი).

გიორგი ხუციშვილი

კონფლიქტოლოგი, კონფლიქტოლოგიის საერთაშორისო ცენტრის დამაარსებელი და დირექტორი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1948 წ. 15 ნოემბერს. მშობლები: სოფიო თარალაშვილი-ხუციშვილი, შოთა ხუციშვილი, მეუღლე — ნინო ციხისთავი (დ 1966წ); შვილი — ვიქტორია-სოფიო (10 თვის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1971). მუშაობდა ფილოსოფიის ინსტიტუტში მეცნიერთანამშრომლად (1972-1979), მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მეთოდოლოგიის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ (1980-1988), იყო თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის დოცენტი (1980-1993), ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორის ურთიერთობათა კომიტეტში სამმართველოს უფროსი — ცენტრის ხელმძღვანელი (1992-1993), სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი (1993-1994); არის კონფლიქტოლოგიის საერთაშორისო ცენტრის დამაარსებელი და დირექტორი (1994 წლიდან). საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1995 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „უსასრულობის პრობლემა ფილოსოფიასა და მათემატიკაში" (1977), სადოქტორო — „თეორიული აზროვნების სტრუქტურის გენეზისი" (1991). ავტორია ორი მონოგრაფიისა და 34 სამეცნიერო ნაშრომისა. გამოქვეყნებული აქვს ერთი მოთხრობა და მრავალი პუბლიცისტური წერილი. მიღებული აქვს მაკარტურის, სოროსის, აირექსის, კარნეგის ფონდების და ნატოს გრანტები და სტიპენდიები

პობი: პარანორმალური მოვლენები.

მისამართი: (ბინის) ა. წერეთლის გამზ. 128, ტელ.: 34.11.95; (სამსახურის) ი ჭავჭავაძის გამზ. 16 ტელ.: 22.36.18, ფაქსი: 93.91.78.

ელ-ფოსტა: icen@access sanet ge

დამოუკიდებლობა, სამართლიანობა, შემოქმედებითობა — ჩემი ცხოვრების სამი ძირითადი პრინციპი. ჩემი ცხოვრების მთავარ ამოცანას იმაში ვხედავ, რომ დავეხმარო საქართველოში ცივილიზებული,

დემოკრატიული და ეკონომიკურად განვითარებული საზოგადოების შენების

პროცესს, რათა ჩვენს შვილებს არ მოუხდეთ იმის გადატანა, რის გადატანაც ჩვენ მოგვიხდა.

ვახტანგ ჯავახაძე

მწერალი, გამომცემლობა „საქართველოს“ მთავარი რედაქტორი დაიბადა ქუთაისში 1932 წ 29 ივლისს. მშობლები: შუშანა მარგალიტაძე, რომანოზ ჯავახაძე; მეუღლე — ნანა ღრუბელაშვილი (დ.1941წ.); შვილები: ირაკლი (28 წლის), ირინე (20 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1956) 1956 წლიდან გამომცემლობა „საქართველოს“ მთავარი რედაქტორია

არის მწერალთა კავშირის წევრი გამოქვეყნებული აქვს ლექსების კრებული. „საყვარელი ქარები“, „ნანვიმარი ქუჩები“, „სამხრეთი“, „მეშვიდე“, „მარტი, აპრილი, მაისი“, „შედარება“, „და ასე შემდეგ“, „მომიკითხე ზღვა“, „ვახტანგური“, ბიოგრაფიული რომანი „უცნობი“ (აპოლოგია გ. ტაბიძისა). არის გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში.

ᲰᲝᲑᲘ: მხატვართა ალბომების შეგროვება.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (ბინის) ყაზბეგის 29. ბ. 17 ტელ. 39 09.29. (სამსახურის): მარჯანიშვილის 5. ტელ.: 95.29.27

ღვთისმორწმუნეობა, მოყვასის სიყვარული, სამართლიანობისათვის თავის გამოდება, გულწრფელობა, შემწყნარებლობა, გაჭირვებულისადმი თანაგრძნობა და დახმარება... მოკლედ: „ათი მცნების“ — ათივე!

ნინო ჯავახიშვილი

ექიმი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა მოსკოვში 1914 წ. 7 ნოემბერს. მშობლები: ზინაიდა მოსურსკაია, ალექსანდრე ჯავახიშვილი; მეუღლე — მამია კომახიძე (დ.1906წ.) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1935) მუშაობდა იქვე ადამიანის ანატომიის კათედრის ასისტენტად (1935-1948) იყო ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ამავე კათედრის დოცენტი (1948-1949), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1946-1949), განყოფილების გამგე (1945-1958), დირექტორის მოადგილე (1958-1959) დირექტორია 1959 წლიდან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ჯვარედინი ხვეულის ანგიოარქიტექტონიკის ცვლილება საძილე არტერიის გადაგვარების შემდეგ“ (1941), სადოქტორო დისერტაცია „ზურგის ტვინის ნერვული წნულების სიმპათიკური წველის ფორმა და მათი ურთიერთობა“ (1948). არის 315 მეცნიერული შრომის ავტორი. მათ შორის 7 მონოგრაფიაა. არის საქართველოს ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

ᲰᲝᲑᲘ: ფოტო, კინო.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: (ბინის) ფასანაურის 19. ბ. 8. ტელ.: 22 06.75. (სამსახურის) მ. ჭიაურელის 2. ტელ. 51.00.46.

ნოდარ ჯავახიშვილი

ეკონომისტი, ბანკირი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი დაიბადა სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანში 1954 წ 7 ოქტომბერს. მშობლები: როზა აბუაშვილი, ირაკლი ჯავახიშვილი; მეუღლე — მარინა ჩადუნელი (დ.1955წ). შვილები: მიხეილი (18 წლის), თამარი (20 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1977). მუშაობდა სასწრაფო დახმარების სადგურში დეზინფექტორად (1971-1972); სახბანკის რუსთავის განყოფილების უფროს ეკონომისტად (1977). საქართველოს ბანკის უფროს ეკონომისტად, სამმართველოს უფროსად (1977-1983), სახბანკის რუსთავის განყოფილების მმართველად (1983-1985), საქართველოს ბანკში სამმართველოს უფროსად, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ (1983-1991), იყო თბილისის უნივერსალური ბირჟის პრეზიდენტი (1991-1992), ბინსოცბანკის ისნის განყოფილების მმართველი (1992-1993), საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტია 1993 წლიდან.

ჰობი: სოფლის მეურნეობა, სპორტი

მისამართი: (ბინის) შარტავას 45, ტელ.: 37.65.63. (სამსახურის) ლეონიძის 3/5 ტელ.: 99.93.46.

სწრაფვა პირველობისაკენ საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროში, სადაც ბუნებამ არ შეზღუდა ჩემი ნიჭი, შესაძლებლობები (მუსიკა, ხატვა, ლექსთა თქმა). ეს სწრაფვა შეეხება სწავლას (აკადემიური, პროფესიონალური), შრომას, კარიერას (პროფესიის ფარგლებში), სპორტს და ა. შ. ვიყო საყოველთაო სიყვარულისა და პატივისცემის ობიექტი, აქტიური ჩემი ერისა და სამშობლოს ბედნიერი ხვალინდელი დღის მშენებლობაში. პრინციპულობა, მართლის თქმა, პატიოსნება, სახელმწიფოებრივი ინტერესების პრიმატი, მოწინწება ქალთა სქესის მიმართ.

მარი ჯანაშია

მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი. დაიბადა ობილისში 1949 წ 28 დეკემბერს. მშობლები: თამარ ჯანაშია, ივანე ჯანაშია; მეუღლე - თემო გოცაძე (დ.1941წ); შვილები: ბექა (31წლის), ბექარი (27 წლის), თემიკო (17 წლის). დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1971). იყო რუსთაველისა (1968-1980) და მარჯანიშვილის (1980-1980) თეატრის მსახიობი. კვლავ რუსთაველის თეატრის მსახიობია 1988 წლიდან. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ანტიგონე", „გუშინდელნი", „რომეო და ჯულიეტა", „ბერნარდა ალბას სახლი", „ქალის ტვირთი", „ტარტიუფი", „ოტელო", „ევრიპიდე", „წელიწადში ერთხელ", „ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ"; ფილმებში: „ნუცა", „დოკერი", „დილის ნისლივით", „კუკარაჩა", „მარადისობის კანონი", „ხიდი", „გზის დასაწყისი", „მარტოხელა მონადირე", „ცოდვის შვილები", „ეკრიდიკე", „დინოზავრის კვერცხი" და სხვ.

მისამართი: (ბინის) ი. ბაშიძის 80. ტელ.: 37-00-90. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 17 ტელ.: 99-65-63.

მე მსახიობი ვარ და ჩემი

პირდაპირი მოვალეობაა ხალხის სამსახური! ყოველ საღამოს, როცა მაყურებლის წინაშე გამოვდივარ, ჩემი სული ტოვებს ჩემს სხეულს, უერთდება დარბაზში მყოფ ადამიანის სულის ნაწილებს და ერთ მლიანობად გარდაიქმნება, ამიტომ ყოველთვის გულწრფელად ვცდილობ ჩემმა გმირმა თესოს სიკეთე , სათნოება და სიყვარული, რადგან ეს გრძნობები და თვისებები ყველაზე მეტად გვჭირდება და გვაახლოებს ადამიანებს!

კონსტანტინე ჯანდიერი

მწერალი, კინოსცენარისტი დაიბადა თბილისში 1958 წ. 23 მაისს. მშობლები: რუსუდან გვარამია, ირაკლი ჯანდიერი; მეუღლე — ლეილა ჭიჭინაძე (დ.1955წ.); შვილი — სოფიო (9 წლის) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი (1980) მუშაობდა რესპუბლიკურ №1 ექსპერიმენტულ საშუალო სკოლაში მასწავლებლად (1978-1980), ბოტანიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1979-1990), ვალეს ნახევრადძვირფასი ქვების პირველადი დამუშავების ფაბრიკაში ქვის სათლელი საამქროს მუშა-ოპერატორად (1980), კინოსტუდია „შემოქმედის" რედაქტორად (1989-1994), არის კინოკონცერნ „ქართული ფილმის" სამხატვრო საბჭოს წევრი და უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის პედაგოგი (1995 წლიდან). არის ავტორი სამი სამეცნიერო სტატიის, კრებულისა „ცუდი ბიჭების ცხოვრებიდან", მოთხრობებისა, 12 მოკლე და სრულმეტრაჟიანი ფილმის სცენარისა. არის წიგნის „ქართული ნაციონალური ბალეტი" თანაავტორი და მთავარი რედაქტორი. მისი მოთხრობა „განსხვავებული კალიბრის ვაზნა" შეტანილია გერმანიაში გამოქვეყნებული ქართული პროზის ანთოლოგიაში. მიღებული აქვს მწერალთა კავშირის პრემია საუკეთესო პროზაული ნაწარმოებისათვის (1992), მოთხრობისათვის „საოჯახო ქრონიკა" („ათი საუკეთესო მოთხრობა" 1994). არის მწერალთა კლუბის „XX საუკუნე" და საქართველოს ლუდის მოყვარულთა საზოგადოების წევრი

ჰობი: მთაში და უცნობი ქალაქების ქუჩებში ხეტიალი, ახალი ნაცნობობანი.

მისამართი: (ბინის) ვაჟა-ფშაველას 26 ბ 86 ტელ. 39.64 05. (სამსახურის) ი. ჭავჭავაძის გამზ 1.

აუჩქარებლობა და ჰედონიზმი. ძველი აღთქმის პირველსავე გვერდზე აღწერილია აუჩქარებელი მოქმედების შესანიშნავი მაგალითი, როდესაც ყოვლისშემძლე შემოქმედი არა მყისიერად, არამედ თანდათან, მხოლოდ მისთვის ცნობილი დრამატურგიის თანახმად ქმნის სამყაროს. აქ იმალება ნებისმიერი შემოქმედების უნივერსალური პრინციპი. იქვე ვხვდებით საოცარ ცნობას, რომ მეშვიდე დღეს ღმერთმა „დაისვენა ყოველი საქმისაგან"... ეს ღვთაებრივი ჰედონიზმი გვათავისუფლებს წარსულისა და მომავლის ტირანისაგან, გვიცავს ტემპორალობასთან დაკავშირებული უბედურებებისაგან და გვიმახვილებს ყოველი წამით უსასრულო ტკბობის უნარს.

დათო ჯანელიძე

კინორეჟისორი. დაიბადა თბილისში 1958 ნ 4 აპრილს. მშობლები. ინესა კიკნაძე, თენგიზ ჯანელიძე; მეუღლე — მარინე ვასაძე (დ.1963წ.); შვილები: ირინე (14 წლის), ბარბარე (9 წლის) დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1980). მუშაობს კინოსტუდია „ქართულ ფილმში" რეჟისორად (1984 წლიდან),

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოცენტად (1995 წლიდან) არის ავტორი ფილმებისა: „ვერსათრიელა", „დედუნა", „გზა ფარავნის ტბისაკენ", „მდგმურები", „რამდენიმე სურათი სამონასტრო ცხოვრებიდან", „ციხესიმაგრე", „ანბანი", „ათას ერთი ღამე თბილისში" მიღებული აქვს 2 „გრანპრი" მანჰაიმისა (გერმანია) და მონპელიეს (საფრანგეთი) კინოფესტივალებზე. არის კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია კინოენციკლოპედიაში.
მისამართი: (ბინის) ათონელის 17 (სამსახურის) ახმეტელის 10ა ტელ.. 95 03.02. ფაქსი. 98 00 25

არასოდეს არ გავაკეთო ისეთი რამ, რაშიც მე თვითონ ეჭვი მეპარება.

თემო ჯაფარიძე

მხატვარი. დაიბადა თბილისში 1937 წ. 27 მარტს. მშობლები: ვალენტინა ტულუში, პროკოფი ჯაფარიძე, მეუღლე — მაგული (მარიამ) ხურცია (დ.1939წ.), შვილი — ლელა (32 წლის).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ინგლისური ენის განყოფილება. ჰქონდა პერსონალური გამოფენები თბილისში, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში (1964), მხატვართა კავშირში (1965), უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის ორგანიზაციის შენობაში (გამოფენის გახსნა აიკრძალა 1968), მხატვართა სახლში (1968), მსახიობთა სახლში (1976), გალერეა ГМS-ში (1996), პარიზსა და ბრეტანში (1991). არის ავტორი ესეისა „ნახტომის სიჩუმე" (1979) (ჟურნალი „მნათობი" 1991 №№1-7).
ჰობი: ესეების წერა და ლიტერატურულ-ფილოსოფიური მუშაობა.
მისამართი: (ბინის) შ. დადიანის 13 ტელ.: 98.48 24.

ცხოვრების ქრისტიანული ორიენტაციის მიხედვით მარადიღირებულებების ძიება და საკუთარი ინდივიდუალიზმის ჩამოყალიბების ცდა. ამ ორიენტაციის პირად გამოცდილებაში ვერმიღწევის შემთხვევაში ფილოსოფიური თვითექვის გზით ობიექტურად ზოგადი სულიერების აღმოჩენის მცდელობა. ხელოვნებაში ინტელექტუალიზმისა და ნაივური ადამიანურობის სინთეზირების ცდა. თანამედროვე ხელოვნების ფორმების გაადამიანურების და სულიერყოფის ცდა. თვითეული ადამიანი სულად ქცეული სამყაროა — აი, ასეთი დევიზით ვეძებდი უფრო ღრმას, ვიდრე სინამდვილეში ჩანს.

ნანა ჯაფარიძე

ჟურნალისტი, შემოქმედებითი გაერთიანება „საღამო მშვიდობისას" მთავარი რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1955 წ. 16 მაისს. მშობლები: ლია ცაგარეიშვილი-ჯაფარიძე, გივი ჯაფარიძე; მეუღლე — მამუკა გვარიშვილი (დ.1951წ.); შვილები. ალექსანდრე (21 წლის), თამარი (18 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1977). იყო საქართველოს ტელე-რადიო კომიტეტში „პიკის საათის" რედაქტორი (1980-1987), 1987 წლიდან არის რედაქცია „საღამო მშვიდობისას" მთავარი რედაქტორი, ქალთა კლუბ „მეტეხის", საზოგადოება „ანტინარკომანიის", ჟურნალისტთა კავშირის წევრი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.
ჰობი: მოღვაწეობა ქალთა კლუბში „მეტეხი".
მისამართი: (ბინის) ზანდუკელის 18ა. ტელ.: 99.82.42. (სამსახურის) კოსტავას

68. ტელ 36 88.96.

დასახული მიზნისკენ სწრაფვა არ არსებობს შრომის გარეშე. ერთგულება — საკუთარი რწმენისა და მიზნების მიმართ ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობაში; ცოდნისა და გამოცდილების შეძენა ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე; სურვილი, დაიმსახურო ნდობა და პატივისცემა, როგორც საკუთარი ოჯახის წევრებისა და მეგობრებისა, ასევე საზოგადოებისა. გაიცნობიერო ის პასუხისმგებლობა, რაც თან ახლავს ჟურნალისტის საქმიანობას და თავი დაიზღვიო შეცდომებისაგან. შეისწავლო და გაიზიარო საზოგადოებრივი აზრი და არა უხელმძღვანელო მას, ეცადო ფეხდაფეხ მიჰყვე ყოველდღიურად განახლებულ და ცვალებად ცხოვრებას და შეეხო საზოგადოებისათვის მტკივნეულ საკითხებს. დასახული მიზნისკენ სწრაფვა კი წარმატების საწინდარია.

ოთარ ჯაფარიძე

არქეოლოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1921 წ. 16 სექტემბერს. მშობლები რიტა კეილიპის, მიხეილ ჯაფარიძე, მეუღლე — ასმათ ინაშვილი (დ.1922წ.); შვილები: კახაბერი, ნინო, თამარი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1943). მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლად (1944-1950); უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1968-1982); ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1951-1953), უნივერსიტეტში დოცენტად (1952-1963), პროფესორად (1963-1967), არის არქეოლოგიის კათედრის გამგე (1967 წლიდან) და არქეოლოგიის კვლევის ცენტრში წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი (1982 წლიდან) დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „კოლხური ცული" (1948), სადოქტორო — „ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე" (1962). არის 17 წიგნისა და 90-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი

მისამართი: (ბინის) ი. ჭავჭავაძის გამზ 62 ბ 74 ტელ 22 00 71 (სამსახურის) ი. ჭავჭავაძის გამზ. 1 ტელ 29 03.86

შეძლებისდაგვარად ვემსახურო ჩემს ქვეყანას.

მანანა (მაკა) ჯახუა

ბიოლოგი, რადიო „მწვანე ტალღის" დირექტორი. დაიბადა ქუთაისში 1963 წ. 5 ნოემბერს. მშობლები: ლეილა ყიფიანი, ვალერიან ჯახუა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი (1985) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასცენარო ფაკულტეტი (მეორადი) (1985), იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის №2 ლაბორატორიის უფროსი ლაბორანტი (1986-1989), სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრის ექიმი ლაბორანტი (1989-1991) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია 1991 წლიდან. არის ასოციაცია „მწვანე ტალღის" პრეზიდენტი და რადიო „მწვანე ტალღის" პროგრამების დიდი ნაწილის თანაავტორი

ჰობი: მოგზაურობა, მუსიკა და სხვა ათასი რამ.

მისამართი: (ბინის) გამსახურდიას 7, ბ. 38 ტელ.: 39.10.12 (სამსახურის): ვაჟა-ფშაველას 45 ტელ.: 94.25.41, 99.71.69 ფაქსი: 99.71.69., ელ. ფოსტა MAKA@FM 107 org.ge

ალტერნატიულობა, სიახლეების ძებნა ყველგან და ყველაფერში. არასოდეს, არცერთ შემთხვევაში არ ვუღალატო ჩემს ძირითად პრინციპებს და არ შევცვალო ისინი; დამარცხებისადმი შეუგუებლობა.

მიხეილ ჯიბუტი

ეკონომისტი, პროფესორი, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუა ამაღლებაში 1953 წ 11 აპრილს მშობლები: გუგული დოლიძე, ჭიჭიკო ჯიბუტი; მეუღლე — თამარ ბარბაქაძე (დ.1964წ.), შვილები: სალომე (7 წლის), ნინო (6 წლის).

დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1977) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა (1980). იყო ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე (1988-1992), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი (1981-1990), პროფესორი (1990-1994), საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში წამყვანი სახელმწიფო მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში, ეკონომიკური რეფორმების შტაბის უფროსის მოადგილე (1992); საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-1993), ეკონომიკის მინისტრი (1992-1993), გარდამავალი პერიოდის ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი (1994-1995). საქართველოს პარლამენტის წევრია 1995 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „განვითარებული სოციალიზმის პირობებში ღირებულების კანონის მოქმედების გამოკვლევისადმი სისტემური მიდგომა“ (1981). სადოქტორო — „სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერული სისტემა: ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემები“ (1990). არის 150-ზე მეტი ნაშრომის, მათ შორის 4 მონოგრაფიის ავტორი. საქართველოში დანერგა ინდიკატური დაგეგმვის სისტემა. არის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი.

პობი: ნადირობა.

მისამართი: (ბინის) ი. პეტრიწის 9ა, ბ 16 ტელ.: 29.48.80. (სამსახურის) საქართველოს პარლამენტი ტელ.: 93 61.18; ფაქსი: 93.56.41; ელ-ფოსტა: mdjibout@parliament.ge

ყოველთვის გქონდეს შენი პოზიცია, თუნდაც ის უმრავლესობის აზრს არ ემთხვეოდეს და ყოფითი პრაგმატულობის თვალსაზრისით არ იყოს მომგებიანი. კამათის დროს ნუ დაარღვევ აკადემიურობას, პრინციპებზე დავას ნუ დაიყვან პიროვნულ კინკლაობამდე და კამათის შემდეგ შეამოწმე შენი თავი წიგნებთან — სწორი იყავი თუ არა. საქმე თუ არ გაქვს, ის მოიგონე, რომ უსაქმოდ არ იყო.

მურმან ჯინორია

მსახიობი. დაიბადა თბილისში 1947 წ 21 თებერვალს. მშობლები: ვერა მიქაძე, ვასილ ჯინორია; მეუღლე — მაია ეთერია (დ.1965წ.). დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1970) და საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1975). მუშაობდა კინომსახიობთა თეატრში მსახიობად (1975-1982), არის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი (1975 წლიდან). შ. რუსთაველის თეატრის მსახიობი (1983 წლიდან). ვ. ანჯაფარიძის ერთი მსახიობის თეატრის მსახიობი (1996 წლიდან), თეატრალურ ინსტიტუტში მსახიობის ოსტატობისა და მეტყველების პედაგოგი (1995 წლიდან). 60-მდე როლი შეასრულა თეატრში, კინოში, სატელევიზიო დად-

გმებში და რადიო სპექტაკლებში. თეატრში: „შუშანიკის წამება“ — იაკობი, „დონ-ჟუანი“ — დონ ჟუანი, „მეფე ლირი“ — კენტი, „ირინეს ბედნიერებაი“ — ვიქტორი და სხვ. კინოფილმებში: „სინემა“ — სოსიკო, „თვალი პატიოსანი“ — თამაზ იაშვილი, „მარადისობის კანონი“ — მამა იორამი, „ჩაკლული სული“ — თამაზ ენგური და სხვ. სატელევიზიო სპექტაკლებში. „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ — სერგო, „სახლი ძველ უბანში“ — ვახუშტი, „გზაჯვარედინზე“ — ალექსი და სხვ. დადგა საავტორო სპექტაკლი ქართველ პოეტთა ლექსების მიხედვით რუსთაველის თეატრში: „ბედისწერა გვიხსნის მარად“, ვ. ანჯაფარიძის თეატრში და სიმღერით ვკვდები“

პობი: ფერწერა, ლიტერატურა, ფეხბურთი.

მისამართი: (ბინის) ვ. ბაგრატიონის ქ. V ბლოკი, I კორპ. ბ. 21; ტ.: 35.10.37 (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 17 რუსთაველის თეატრი.

გულწრფელად გამოვხატო ჩემი პოზიცია ჩემი პროფესიის დახმარებით და ამით მივაღწიო სულიერ თავისუფლებას.

ზაურ ჯინჯოლავა

იურისტი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, პროფესორი. დაიბადა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაში 1943 წ. 21 იანვარს. მშობლები: ფენია სამუშია, ვალერიან ჯინჯოლავა; მეუღლე — ნინო ქათამაძე (დ.1955წ.); შვილები: ნინო (30 წლის), ნათია (23 წლის), ვალერიანი (12 წლის), იოსები (11 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1967); მუშაობდა სოფელ

ჭკადუაში კოლმეურნედ (1959-1960), თბილისის მე-3 საამშენებლო სამმართველოში დამხმარე მუშად (1960-1962), უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრაზე მასწავლებლად (1971-1974), დოცენტად (1974-1993); არის ამავე კათედრის პროფესორი (1993 წლიდან) და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი (1996 წლიდან) დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო“ (1973), სადოქტორო — „ხელისუფლების ორგანოები სახელმწიფო მექანიზმის ერთიან სისტემაში“ (1993). არის 40-მდე შრომის ავტორი. მათ შორის არის მონოგრაფიები და დამხმარე საჲელმძღვანელო.

პობი: მხატვრული ლიტერატურა, ნადირობა.

მისამართი: (ბინის) ი. ჭავჭავაძის გამზ. 56 პ. 12. ტელ.: 22 11 71. (სამსახურის) რუსთაველის გამზ. 29 ტელ.: 99 08.29 94.08.33. ფაქსი. 93 30.05.

მთავარი პრინციპები — ერთგულება, პატიოსნება, სამართლიანობა და პრინციპულობა.

გივი ჯიღაური

ეკონომისტი, ბანკირი, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1951 წ. 16 ნოემბერს. მშობლები: იულია ძამაშვილი-ჯიღაური, ელიზბარ ჯიღაური; მეუღლე — ირინე ტაბატაძე-ჯიღაური, შვილები გიორგი (14 წლის), ირაკლი (12 წლის), იულია (11 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1975). მუშაობდა სახბანკის 26 კომისრის რაიონის განყოფილებაში ეკონომისტად (1975-1976).

რესპუბლიკური კანტორის უფროს ეკონომისტად, სამმართველოს უფროსის მოადგილედ (1976-1982), ბოლნისის (1982-1986) და რუსთავის (1986-1988) განყოფილებების მმართველად, აგროსამრეწველო ბანკის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ (1988-1993) ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტია 1993 წლიდან.
ჰობი: მხატვრული ლიტერატურა
მისამართი: (ბინის) ნუცუბიძის პლატო IV მ/რ, კორპ. 21. ბ. 54. ტელ.. 95.22.13. (სამსახურის) ლეონიძის 3/5. ტელ 99 80 69 ფაქსი 98 21.96

ავთანდილ ჯორბენაძე

ექიმი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი. დაიბადა ლანჩხუთში 1951 წ. პყავს მეუღლე და ორი შვილი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (1974). მუშაობდა თბილისის კლინიკურ საავადმყოფოში ექიმ-ინტერნად (1974-1975), 29-ე პოლიკლინიკის ექიმ-თერაპევტად (1975-1976), სსრკ შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილის ექიმად (1976-1978). თბილისის I კლინიკურ საავადმყოფოში რენტგენოლოგ-თერაპევტად (1978-1986). იყო თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომში ჯანდაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე (1986-1992), ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე (1992), სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე 1995 წლიდან არის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი. აქვს გამოგონება და 6 გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომა.
მისამართი: (სამსახურის) გამსახურდიას გამზ. 30. ტელ 38.70 71, ფაქსი 38.98 02.

ნანა (ნინო) ჯორჯაძე

არქიტექტორი, კინორეჟისორი. დაიბადა თბილისში 1950 წ. 24 აგვისტოს. მშობლები. ლარისა ნეველროვსკა, გივი ჯორჯაძე; მეუღლე — ირაკლი კვირიკაძე (დ.1939წ.), შვილები: ბექა (ბუბა) (28 წლის), მიხეილი (21 წლის).

დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი (1973), და თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კინო-სარეჟისორო ფაკულტეტი (1980). მუშაობდა „საქქალაქმშენსახპროექტში" არქიტექტორად (1970-1975); იყო „მოსპროექტის" ასპირანტი (1973-1974), კინოსტუდია „ქართული ფილმის" რეჟისორი (1977-1991). ბერლინში NIPKOW PROGRAM-ის კინორეჟისორი (1993-1995). არის კინოსტუდია „ადამი და ევას" კინორეჟისორი (1991 წლიდან). არის ავტორი ფილმებისა: „ატლანტი" (1979), გრან-პრი — ექსპერიმენტული ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი — ტალინი; „მოგზაურობა სოპოტში" (1980) გრან-პრი, „ოილენშპიგელი", კინოკლუბების საერთაშორისო პრიზი, კათოლიკური ეკლესიის პრიზი, ობერპაუზენი (გერმანია), მაყურებელთა პრიზი, კოშალინი (პოლონეთი), ტოკიოსა და მონრეალის კინოფესტივალების პრიზები; „რობინზონიადა, ანუ ჩემი ინგლისელი პაპა" (1986), ოქროს კამერა — კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, ტოკიოსა და მონრეალის კინოფესტივალის პრიზები; „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი", (1996. საფრანგეთი-საქართველო-გერმანია), "FIPRESCI" საერთაშორისო კინოკრიტიკის

პრიზი, Quinzeine des Realisateurs — კანის საერთაშორისო კინოფესტივალი (1996). პრიზი საუკეთესო სცენარისათვის — ანაპა „კინოშოკი"-96 და სხვ. სცენარებისა და სტატიებისა: „შეშლილი მემუარები" (1992), „შეხვედრა" (1992 გერმანიის კინოაკადემიის გამოცემა). „ლა ნაპულის მოჩვენებები" (1993 "La Film Frances"), „ცოტა რამ ვეშაპზე" და საქართველოზე" (1993 ჟურნალში "Felix"). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "Die Frauen in Film" გერმანული გამოცემა, 1992.
პობი: მოგზაურობა.
მისამართი: (ბინის) ი ჭავჭავაძის გამზ. 75 ბ. ტელ.. 22.35.36. (სამსახურის) დ. აღმაშენებლის 164. კინოსტუდია „ადამ და ევა", ტელ.: 95.03.05; ფაქსი: 95.30.39.

ბესიკ ჯუღელი

ინჟინერი, პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1943 წ. 28 მარტს. მშობლები. მერი ომერ-ოღლი, პავლე ჯუღელი, მეუღლე — მარიკა ბარნოვა (დ.1946წ.); შვილები: ნიკალა (25 წლის), მემი (19 წლის). დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1966). მუშაობდა კიბერნეტიკის ინსტიტუტში ინჟინრად, შემდეგ უფროს მეცნიერთანამშრომლად და სექტორის უფროსად (1967-1979); თბილისის ტელევიზორების ქარხნის დირექტორის მოადგილედ (1980-1985), თელავის „მიონის" ქარხნის დირექტორად (1985-1987), თბილისის ქარხანა „ჰიდრომეტხელსაწყოს" დირექტორად (1987-1991), მრეწველობის მინისტრად (1992-1993). საქართველოს პარლამენტში დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა 1995 წლიდან. არის საქართველოს მრეწველთა კავშირის პრეზიდენტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, კერძო საწარმოთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საფრანგეთის მრეწველთა კავშირის საპატიო წევრი, „ბიზნესმენი-95" საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „ლაზერული ტექნიკის გამოყენება მედიცინაში (1979) არის 20 სამეცნიერო სტატიის ავტორი. მათ შორის 6 გამოგონებისა.
პობი: სპორტი (კალათბურთი, ცურვა).
მისამართი: (ბინის) ფალიაშვილის 6 ტელ. 22.04.24 (სამსახურის) რუსთაველის ქ 6. ტელ. 93 29.99; ფაქსი: 23.42.74

მამაჩემმა ერთი სიბრძნე დამიტოვა, რომლითაც ყოველთვის ვხელმძღვანელობ: საქმემ უთხრა კაცს, შენ მხოლოდ მე მომიარე, დანარჩენს — პირადად შენ, შენს ოჯახს და შენს მეგობრებს მე მოვუვლიო. ვხელმძღვანელობ ნაპოლეონის ერთ-ერთი პრინციპით: В бой, а там видно будет. რამდენადაც შესაძლებელია, ვცდილობ სხვისი თვალით შევხედო ჩემს პროვინციას.

ემირ ჯუღელი

ფიზიკოს-მათემატიკოსი, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის პირველი მოადგილე დაიბადა თბილისში 1938 წ. 28 სექტემბერს. მშობლები. მერი ომერიძე, პავლე ჯუღელი; მეუღლე — ელენე ჩიქოვანი (დ.1935წ.); შვილები: ლევანი (29 წლის), სოფიო (19 წლის), ირაკლი (16 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1961). იყო განყოფილების გამგე კიბერნეტიკის ინსტიტუტში (1962-1980), სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის მართვის კათედრის გამგე (1980-1992), ტექნიკური უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი. დაიცვა საკანდი-

დატო დისერტაცია თემაზე: „სისტემური მიდგომა დიდაქტიკის საკითხებისადმი“ (1972). არის 2 წიგნისა და 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მათგან 20-ზე მეტი გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ.

ჰობი: ბავშვებთან თამაში.

მისამართი: (ბინის) ირ. აბაშიძის 62 ტელ 22 22 94; (სამსახურის) ი ჭავჭავაძის გამზ 64. ტელ 29.30.66. 29 30 65 ელ. ფოსტა: SJ@Jesper.ge

ყოველი საქმის სიღრმისეული შესწავლა.

კეთილსინდისიერება ყველგან და ყველაფერში. სიახლეების გაგების, შეთვისებისაკენ სწრაფვა. ჩემი მიზანია მდგრადი და ძლიერი ეკონომიკის ჩამოყალიბება საქართველოში. მძულს და ვერ ვიტან კონფორმიზმს, მუდამ ვცდილობდი, შევბრძოლებოდი მსგავს მოვლენებს საზოგადოებაში, ცალკეულ ორგანიზაციებში. საბოლოოდ, ჩემს ამგვარ დამოკიდებულებას კარგი შედეგი მოჰქონდა საქმისათვის. ჩემი კარიერა პრინციპულობამ და საქმისადმი გულმოდგინებამ განაპირობა.

აბაშიძე ავთანდილ 13
აბაშიძე ასლან 13
აბაშიძე დავით 13
აბრამიშვილი მერაბ 14
ადამია რევაზ 14
ადეიშვილი მერაბ 14
აზმაიფარაშვილი ზურაბ 15
ალექსანდრია ნანა 15
ალექსიძე გოგი 16
ალექსიძე ზაზა 16
ალექსიძე ლევან 17
ალიბეგაშვილი ლელა 18
ამაღლობელი ნოდარ 18
ამაშუკელი ელგუჯა 18
ამირეჯიბი თენგიზ 19
ამირეჯიბი მზეჭაბუკ (ჭაბუა) 20
ამირეჯიბი ნათია 20
ანანიაშვილი ნინო 21
ანდრიაძე დავით 21
ანდღულაძე დავით 22
ანდღულაძე ნოდარ 22
ანთელავა გიული 23
ანთიძე მაკა (მარგარიტა) 23
ანჯაფარიძე ეთერ 24
არველაძე შოთა 24
ასათიანი აკაკი 24
ასათიანი ვალერი 25
ასათიანი კახი 26
აქუბარდია დავით 26
ახვლედიანი გიორგი 27
ახვლედიანი ერლომ 27
ახვლედიანი ლომერ 28
ახმეტელი ზურაბ 28
ახრახაძე გურამ 29
აჯიაშვილი ჯემალ (სიმონ) 29

ბაბილაშვილი ჯამლეთ 31
ბაბლუანი თემურ 31
ბაგრატიონი ჯანსუღ 32
ბათიაშვილი თამაზ 32
ბათიაშვილი ირაკლი 33
ბაკურაძე თეიმურაზ 33
ბალუაშვილი ანზორ 34
ბარამიძე გიორგი 34
ბარამიძე გრიგოლ 35
ბარნოვი გურამ 35
ბაქრაძე აკაკი 36
ბახუტაშვილი ვლადიმერ 36
ბენიძე ოთარ 37
ბერიკაშვილი გივი 37
ბერიკაშვილი ნოდარ 38
ბერიძე გიორგი 38
ბერიძე ეკა 38
ბერიძე ვახტანგ 39
ბერიძე თენგიზ 39
ბერძენიშვილი მერაბ 40
ბიგანიშვილი გურამ 40
ბოკერია გიორგი 41
ბოლქვაძე ელისო 41
ბოლქვაძე თამაზ 42
ბოლქვაძე რუსუდან 42
ბოჭორიშვილი ვახტანგ 43
ბოჭორიძე ირაკლი 43
ბოხუა ქეთევან 44
ბრეგვაძე ბაჩანა 44
ბრეგვაძე გიორგი 45
ბრეგვაძე ნანი 45
ბუაჩიძე თამაზ 45
ბუაჩიძე იოსებ (სოსო) 46
ბურჭულაძე პაატა 47
ბურჯანაძე გიორგი (გია) 47
ბურჯანაძე ნინო 48
ბულაძე გია 49
ბუცხრიკიძე ვახტანგ 49

გაბარაშვილი თამარ 50
გაბუნია გურანდა 50
გაბუნია ლეო 51
გაბუნია ნოდარ 52
გაზდელიანი თენგიზ 52
გამყრელიძე ერეკლე 52
გამყრელიძე თამაზ 53
გარუჩავა მიხეილ 54
გაფრინდაშვილი ნონა 54
გახოკიძე ჯემალ 55
გეგეჭკორი გიორგი 56
გეგიძე ბიძინა 56
გელაშვილი ნაირა 57
გვახარია ალექსანდრე 57
გვახარია გიორგი 58
გიგინეიშვილი ბაქარ 58
გიგინეიშვილი გივი 59
გიორგაძე გრიგოლ 60
გიორგაძე მამუკა (ივანე) 60
გლურჯიძე შოთა 61
გოგია მუხრან 61
გოგინაშვილი სოსო 61
გორდეზიანი რისმაგ 62
გუგავა ბერდია 62
გუგუშვილი გიორგი 63
გუგუშვილი ეთერ 63
გულუა ბაკურ 63
გურგენიძე გურამ 64
გურიელი ნინო 65

დადიანი ინგა 66
დავითაია ვახტანგ 66
დარასელი ზაზა 67
დარჩია მარიკა 68
დგებუაძე ვლადიმერ 68
დეკანოსიძე თამარ 69
დემეტრაშვილი ავთანდილ 69
დერიუგინი ნიკოლოზ 70
დოიაშვილი დავით 70
დოიჯაშვილი მანანა 70
დოლიძე გიორგი 71
დოლიძე ლია 71
დოლიძე როსტომ 72
დოჩანაშვილი გურამ 72

ებრალიძე გიორგი 74
ეგაძე ოთარ 74
ერემოვი გრიგოლ 75
ერქომაიშვილი ანზორ 75
ეძგვერაძე გია 76

ვაზაგაშვილი გიორგი 77
ვარდელი კონსტანტინე 77
ვარვარიძე თამაზ 77
ვაშაკიძე ვალერიან 78
ვახანია ნიკოლოზ 78
ვეფხვაძე დევი 79
ვირსალაძე ელისო 79

ზაალიშვილი მალხაზ 80
ზალდასტანიშვილი კონსტანტინე 80
ზაუტაშვილი ილია 80
ზენაიშვილი ემზარ 81
ზოიძე ბესარიონ 82
ზუბიტაშვილი დავით 82
ზურაბიშვილი დავით 83

თავართქილაძე ალეკო 84
თავხელიძე ალბერტ 84
თარგამაძე კახა 85
თარხან-მოურავი ნინო 85
თედიაშვილი ლევან 86
თევზაძე გურამ 87
თვარაძე რევაზ 87
თოდუა მაგალი 88
თოდუა ფრიდონ 88
თორდია ვახტანგ 89
თორთლაძე გია 90
თოხაძე ოთარ 90

იაგორაშვილი ვახტანგ 91
იაკობიძე დავით 91
იაშვილი მარინა 91
იაშვილი რევაზ 92
იგნატოვი ნიკოლოზ (კოკა) 92
ილია II 93
იმედაშვილი დავით 93
იმნაიშვილი თამაზ 94
ინასარიძე ხვედრი 94
ინნკირველი გიორგი (გივი) 95
ინჯია ფრიდონ 96
იოსელიანი გიორგი 96
იოსელიანი ნანა 97
იოსელიანი ოთარ 97
იოსელიანი ჯაბა 98
ისაკაძე თედო 98
ისაკაძე ლიანა 99

კ

კავსაძე ალექსანდრე (სანდრო) 100
კავსაძე კახი 100
კაკაბაძე ალდე 100
კაკაბაძე დავით 101
კაკაბაძე ეთერ 101
კაკულია მერაბ 102
კალანდაძე ანა 102
კალანდაძე ედმონდ 103
კანდელაკი გიორგი 103
კანდელაკი გელა 103
კანდელაკი ზაზა 104
კაპანაძე გოჩა 104
კახიანი მარინა 105
კახიძე ჯანსულ 105
კვაჭანტირაძე თამაზ 106
კვერნაძე ბიძინა 106
კვირაია შოთა 107
კვირიკაძე ირაკლი 107
კიკნაძე ზურაბ 108
კიწმარიშვილი ეროსი 108
კობახიძე გიორგი 109
კობახიძე მიხეილ 109
კოკოევი კონსტანტინე 109
კოკოჩაშვილი მერაბ 110
კომახიძე ნოდარ 111
კორსანტია ალექსანდრე 112
კოტეტიშვილი ვახუშტი 112
კურტანიძე ელდარ 113
კუჭავა ბიძინა 113
კუჭუხიძე ირინა 114
კუჭუხიძე მედეა 114

ლ

ლაღიძე ლევან 116
ლევინი არიელ 116
ლეკიშვილი ნიკო 116
ლიპარტელიანი ბესიკ 117
ლოლაშვილი ჟანრი 117
ლომინაძე ჯუმბერ 118
ლომოური ნოდარ 119
ლორთქიფანიძე გიგა 119
ლორთქიფანიძე მარიამ 119
ლორთქიფანიძე ნუგზარ (შალვა) 120
ლორთქიფანიძე ოთარ 120
ლორთქიფანიძე როზა 121
ლორია ვალერი 122

მ

მამალაძე ლევან 123
მამისაშვილი ნოდარ 123
მამრაძე პეტრე 124
მანაგაძე ნოდარ 124
მარგველაშვილი გიორგი 125
მარღანია გიორგი 125
მარშანია ადა 125
მარჯანიშვილი მერაბ 126
მატუაშვილი შალვა 126
მაღალაშვილი ედიშერ 126
მაღლაკელიძე თამაზ 127
მაღლაფერიძე ვასილ 128
მაჩაბელი გიორგი 128
მაჩაიძე ლერი 129
მაჭავარიანი ევგენი 129
მახარაძე კონსტანტინე 130
მგალობლიშვილი ნოდარ 130
მელაძე სულხან 131
მელიქიშვილი გიორგი 131
მელქაძე ოთარ 132
მენაღარიშვილი ირაკლი 133
მესხი ლეილა 133
მეტრეველი თეიმურაზ 134
მეტრეველი როინ 134
მეფარიშვილი გია 135
მეღვინეთუხუცესი ოთარ 135
მიმინოშვილი რომან 136
მირზაშვილი თენგიზ 136
მიქაძე აკაკი 137
მიქელაძე ჯემალ 137
მიქიაშვილი ბიძინა 138
მოგელაძე ვლადიმერ 138
მოდებაძე გურამ 139
მოსიძე ვახტანგ 139
მოსიძე იური 139
მოსიძე შალვა 140
მუსელიანი ვახტანგ 140
მურვანიძე ნატა 141
მუსხელიშვილი დავით 141
მჭედლიძე ნანა 142

ნ

ნადარაია ნუგზარ 143
ნადარეიშვილი გიორგი 143
ნადარეიშვილი თამაზ 144
ნადარეიშვილი კიაზო 144
ნადიბაიძე ვარდიკო 145
ნადირაშვილი შოთა 145
ნათაძე ნოდარ 146
ნათელაშვილი შალვა 147
ნანიტაშვილი ვახტანგ 147
ნაცვლიშვილი პაატა 147
ნემსაძე ნანა 148
ნიკოლოზიშვილი ნიკო 148
ნინიძე თედო 149
ნიორაძე ირმა 149
ნიჟარაძე ზურაბ 150
ნოდია გია 150
ნოღაიდელი ზურაბ 151

ო

ობგაიძე შალვა 152
ოკუჯავა ვაჟა 152
ონიანი თენგიზ 153
ონიანი ნატო 154
ონოფრიშვილი დავით 154
ორველაშვილი ნიკო 155
ოჩიაური გიორგი 155

პაპავა ვლადიმერ 157
პაპუაშვილი ზაზა 157
პატეიშვილი ვლადიმერ 157
პაჭკორია თენგიზ 158
პიპინაშვილი გიორგი 159

ჟვანია ზურაბ 160
ჟვანია ნოდარ 160
ჟორდანია მერაბ 160
ჟღენტი სულიკო 161

რამიშვილი ნინო 162
რამიშვილი შალვა 162
რაფავა გია 163
რევაზიშვილი გიორგი 163
რეხვიაშვილი ალექსანდრე 163
რობიტაშვილი ნუგზარ 163
რჩეულიშვილი ვახტანგ 164

საკაშვილი მიხეილ 165
საგანელიძე დავით 165
საკანდელიძე კარლო 165
სალარიძე დავით 166
სალუქვაძე ნინო 166
სანაძე გივი 167
სანაძე თენგიზ 167
სარიშვილი-ჭანტურია ირინა 167
სარჯველაძე ზურაბ 168
საღარაძე გურამ 169
სილაგაძე ავთანდილ 169
სილაგაძე აპოლონ 169
სიმონიშვილი იოსებ 170
სიორიძე ზაზა 170
სოტკილავა ზურაბ 171
სტურუა რობერტ 171
სუთიძე ირაკლი 171
სულაკაური არჩილ 172
სურმანიძე ედვარდ 172

ტალახაძე ირაკლი 174
ტალიაშვილი ალექსანდრე 174
ტატიშვილი ნუგზარ 175
ტატაშიძე ზურაბ 175
ტყეშელაშვილი მერაბ 176
ტყეშელიაძე გიორგი 176

უგრეხელიძე მინდია 178
ურუშაძე ნათელა 178
უსუფაშვილი დავით 179
უჩუმბეგაშვილი გენადი 179

ფალიაშვილი აპოლონ 181
ფანჯიკიძე გურამ 181
ფაცაცია გერმანე 182
ფირცხალავა გურამ (გივი) 182
ფოცხვერია ზურაბ 183
ფუტკარაძე იაკობ 183

ქავჟარაძე ლია 184
ქასრაშვილი მაყვალა 184
ქარჩხაძე ჯემალ 184
ქეცბაია თემურ 185
ქვლივიძე მიხეილ 185
ქლიბაძე დავით 186
ქოიავა იოსებ (სოსო) 186
ქორიძე ზვიად 187
ქრისტესაშვილი ჯიმშერ 187
ქურდაძე ბონდო 188

ღლონტი მამუკა 189
ღოღობერიძე ლანა 189

ყანჩელი გია 191
ყაუხჩიშვილი თინათინ 192
ყიფიანი დავით 192
ყიფიანი რევაზ 193
ყიფიანი ჯიმი 193
ყიფშიძე ზურაბ 194
ყიფშიძე ნოდარ 194
ყოლბაია ვახტანგ 195
ყურაშვილი თამაზ 195

შალიკაშვილი ამირან 196
შამათავა ოთარ 196
შაორშაძე ოთარ 196
შარაძე გურამ 197
შაფაქიძე ირაკლი 197
შაშკინი ნიკოლოზ 198
შევარდნაძე ედუარდ 198
შელია ლეილა 199
შელია მურთაზ 199
შენგელაია გიორგი 199
შენგელაია ელდარ 200
შენგელია ზაზა 200
შენგელია-აბაშიძე ლორეტა 201
შენგელია რომან 201
შველიძე მირონ 202
შოშიტაიშვილი ბადრი 202
შუბლაძე ვაჟა 202

ჩაგელიშვილი გოგი 204
ჩაგელიშვილი გოჩა 204
ჩაჩხუნაშვილი მიხეილ 204
ჩერქეზიშვილი ნიკოლოზ 205
ჩიბურდანიძე მაია 205
ჩივაძე ალექსანდრე 206
ჩიკვაშვილი შალვა 206
ჩიტაია კახა 207
ჩიქვინიძე ნანი 207
ჩიქოვანი თამარ 208
ჩიხრაძე იური 208
ჩიხრაძე ფიქრია 209
ჩოკოშვილი გიორგი 209
ჩორგოლაშვილი ლამარა 210
ჩუბინიშვილი ოთარ 210
ჩუგუაშვილი გივი 211
ჩქარეული ჯუანშერ 211
ჩხარტიშვილი ივანე 212
ჩხარტიშვილი ოთარ 212
ჩხეიძე თემურ 213
ჩხენკელი თამაზ 214
ჩხენკელი მერაბ 214
ჩხიკვაძე რამაზ 215
ჩხობაძე ნინო 216

ცეცხლაძე მამუკა 217
ცინცაძე დიტო 217
ცინცაძე თამაზ 217
ცინცაძე ნოდარ 218
ციციშვილი გიორგი 218
ცუცქირიძე ლევან 219
ცქიტიშვილი ზურაბ 220
ცხადაძე ზაურ 220
ცხადაძე კახაბერ 220

ძიძიგური აკაკი 222
ძიძიგური არჩილ 222

წერეთელი ირაკლი 224
წერეთელი კონსტანტინე 224
წიბახაშვილი გურამ 225
წულაძე ბაადურ 225

ჭაბაშვილი მიხეილ 227
ჭავჭანიძე ვლადიმერ 227
ჭანიშვილი თეიმურაზ 228
ჭანკვეტაძე ნინელი 228
ჭანტურია ლადო 229
ჭანტურია ტარიელ 229
ჭეიშვილი მალხაზ 230
ჭეიშვილი რეზო 231
ჭელიძე ვახტანგ 231
ჭელიძე ზურაბ 231
ჭილაშვილი ლევან 232
ჭიჭინაძე ამირან 233
ჭკუასელი მიხეილ 233
ჭოღოშვილი გიორგი 234
ჭოღოშვილი ლევან 234
ჭურღულია ნანა 235
ჭყონია თემურ 235

ხაინდრავა გიორგი 237
ხაინდრავა ივლიანე 237
ხაზარაძე მამუკა 238
ხარანაული ბესიკ 238
ხარანაული ლევან 238
ხარაძე გიორგი 239
ხარაძე ევგენი 239
ხატიაშვილი ქეთი 239
ხახალეიშვილი დავით 240
ხეჩინაშვილი სიმონ 240
ხეცურიანი რამაზ 240
ხეცურიანი ჯონი 241
ხვედელიძე მანანა 242
ხმალაძე ვახტანგ 243
ხუნდაძე ჯიბსონ 243
ხუსკივაძე ნანა 244
ხუციშვილი გიორგი 244

ჯავახაძე ვახტანგ 246
ჯავახიშვილი ნინო 246
ჯავახიშვილი ნოდარ 247
ჯანაშია მარი 247
ჯანდიერი კონსტანტინე 248
ჯანელიძე დათო 248
ჯაფარიძე თემო 249
ჯაფარიძე ნანა 249
ჯაფარიძე ოთარ 250
ჯახუა მანანა (მაკა) 250
ჯიბუტი მიხეილ 251
ჯინორია მურმან 251
ჯინჯოლავა ზაურ 252
ჯილაური გივი 252
ჯორბენაძე ავთანდილ 253
ჯორჯაძე ნანა (ნინო) 253
ჯუღელი ბესიკ 254
ჯუღელი ემირ 254

დარგობრივი საძიებელი

ბიზნესი, საბანკო საქმე

ახრახაძე გურამ 29
ბუცხრიკიძე ვახტანგ 49
გარუჩავა მიხეილ 54
ვეფხვაძე დევი 79
თავართქილაძე ალეკო 84
თოხაძე ოთარ 90
კაკულია მერაბ 102
მაღლაკელიძე თამაზ 127
პატეიშვილი ვლადიმერ 157
რობიტაშვილი ნუგზარ 163
საგანელიძე დავით 165
ტალახაძე ირაკლი 174
ჩაგელიშვილი გოჩა 204
ჩხარტიშვილი ივანე 212
ცინცაძე თამაზ 217
ჭყონია თემურ 235
ხაზარაძე მამუკა 238
ჯავახიშვილი ნოდარ 247
ჯილაური გივი 252
ჯუღელი ბესიკ 254

იურისპრუდენცია

აბაშიძე ავთანდილ 13
ალექსიძე ლევან 17
ბაბილაშვილი ჯამლეთ 31
ბალუაშვილი ანზორ 34
ბენიძე ოთარ 37
გახოკიძე ჯემალ 55
დემეტრაშვილი ავთანდილ 69
ერემოვი გრიგოლ 75
ზოიძე ბესარიონ 82
თორდია ვახტანგ 89
ინწკირველი გიორგი (გივი) 95
ლორია ვალერი 122
მელქაძე ოთარ 132
მეფარიშვილი გია 135
ნადარეიშვილი გიორგი 143
ტალიაშვილი ალექსანდრე 174
ტყეშელიაძე გიორგი 176
უგრეხელიძე მინდია 178
უსუფაშვილი დავით 179
ფალიაშვილი აპოლონ 181
ფუტკარაძე იაკობ 183
ყიფიანი რევაზ 193
ყიფიანი ჯიმი 193
შაფაქიძე ირაკლი 197
შაშკინი ნიკოლოზ 198
შენგელია რომან 201
ჩერქეზიშვილი ნიკოლოზ 205
ჩიკვაშვილი შალვა 206
ჩორგოლაშვილი ლამარა 210
ჭანტურია ლადო 229
ხეცურიანი ჯონი 241
ჯინჯოლავა ზაურ 252

კინო, თეატრი

ალიბეგაშვილი ლელა 18
ამირეჯიბი ნათია 20
ანდღულაძე დავით 22
ახვლედიანი ერლომ 27
ახვლედიანი ლომერ 28
ბაბლუანი თემურ 31
ბერიკაშვილი გივი 37
ბერიძე გიორგი 38
ბოლქვაძე რუსუდან 42
ბურჯანაძე გიორგი (გია) 47
გაბუნია გურანდა 50
გეგეჭკორი გიორგი 56
გვახარია გიორგი 58
გლურჯიძე შოთა 61
დოიაშვილი დავით 70
დოლიძე გიორგი 71
ეგაძე ოთარ 74
თარხან-მოურავი ნინო 85
იოსელიანი ოთარ 97
კავსაძე კახი 100
კანდელაკი გელა 103
კაპანაძე გოჩა 104
კახიანი მარინა 105
კვირიკაძე ირაკლი 107
კობახიძე მიხეილ 109
კოკოჩაშვილი მერაბ 110
კუჭუხიძე ირინა 114
კუჭუხიძე მედეა 114
ლოლაშვილი ჟანრი 117
ლორთქიფანიძე გიგა 119
ლორთქიფანიძე ნუგზარ (შალვა) 120
მანაგაძე ნოდარ 124
მარგველაშვილი გიორგი 125
მარღანია გიორგი 125

მაღალაშვილი ედიშერ 126
მაჩაიძე ლერი 129
მახარაძე კონსტანტინე 130
მგალობლიშვილი ნოდარ 130
მეღვინეთუხუცესი ოთარ 135
მურვანიძე ნატა 141
მჭედლიძე ნანა 142
პაპუაშვილი ზაზა 157
პიპინაშვილი გიორგი 159
ულენტი სულიკო 161
რეხვიაშვილი ალექსანდრე 163
საკანდელიძე კარლო 165
საღარაძე გურამ 169
სტურუა რობერტ 171
ურუშაძე ნათელა 178
ფირცხალავა გურამ (გივი) 182
ქავჟარაძე ლია 184
ქრისტესაშვილი ჯიმშერ 187
ყიფშიძე ზურაბ 194
შალიკაშვილი ამირან 196
შამათავა ოთარ 196
შენგელაია გიორგი 199
შველიძე მირონ 202
ჩიქვინიძე ნანი 207
ჩუგუაშვილი გივი 211
ჩხეიძე თემურ 213
ჩხიკვაძე რამაზ 215
ცინცაძე დიტო 217
წულაძე ბაადურ 225
ჭანკვეტაძე ნინელი 228
ჭიჭინაძე ამირან 233
ხაინდრავა გიორგი 237
ხუსკივაძე ნანა 244
ჯანაშია მარი 247
ჯანელიძე დათო 248
ჯინორია მურმან 251
ჯორჯაძე ნანა (ნინო) 253

ლიტერატურა

ამირეჯიბი მზეჭაბუკ (ჭაბუა) 20
ახვლედიანი გიორგი 27
აჯიაშვილი ჯემალ (სიმონ) 29
ბაქრაძე აკაკი 36
ბრეგვაძე ბაჩანა 44
გელაშვილი ნაირა 57
დოჩანაშვილი გურამ 72
ზურაბიშვილი დავით 83
თვარაძე რევაზ 87
იოსელიანი ჯაბა 98
კალანდაძე ანა 102
კიკნაძე ზურაბ 108
კოტეტიშვილი ვახუშტი 112
სულაკაური არჩილ 172
ქარჩხაძე ჯემალ 184
ქვლივიძე მიხეილ 185
ჩხენკელი თამაზ 214
ჭანტურია ტარიელ 229
ჭეიშვილი რეზო 231
ჭელიძე ვახტანგ 231
ხარანაული ბესიკ 238
ჯავახაძე ვახტანგ 246
ჯანდიერი კონსტანტინე 248

მასმედია

ანთელავა გიული 23
ანთიძე მაკა (მარგარიტა) 23
აქუბარდია დავით 26
ბერიძე ეკა 38
ბოკერია გიორგი 41
ბოხუა ქეთევან 44
ბრეგვაძე გიორგი 45
გოგინაშვილი სოსო 61
დადიანი ინგა 66
დარასელი ზაზა 67
ებრალიძე გიორგი 74
იმედაშვილი დავით 93
კაკაბაძე დავით 101
კაკაბაძე ეთერ 101
კინმარიშვილი ეროსი 108
კუჭავა ბიძინა 113
მაღლაფერიძე ვასილ 128
მელაძე სულხან 131
მეტრეველი თეიმურაზ 134
მიქაძე აკაკი 137
ნანიტაშვილი ვახტანგ 147
ნაცვლიშვილი პაატა 147
ონიანი ნატო 154
პაჭკორია თენგიზ 158
რამიშვილი შალვა 162
სილაგაძე აპოლონ 169
სიმონიშვილი იოსებ 170
უჩუმბეგაშვილი გენადი 179
ფოცხვერია ზურაბ 183
ქლიბაძე დავით 185
ქორიძე ზვიად 187
ქურდაძე ბონდო 188
ღლონტი მამუკა 189
შაორშაძე ოთარ 196
ჩიქოვანი თამარ 208
ჩოკოშვილი გიორგი 209
ჩხარტიშვილი ოთარ 212

ჭელიძე ზურაბ 231
ხატიაშვილი ქეთი 239
ხვედელიძე მანანა 242
ჯაფარიძე ნანა 249
ჯახუა მანანა (მაკა) 250

მეცნიერება

მედიცინა

ბახუტაშვილი ვლადიმერ 36
ბოჭორიშვილი ვახტანგ 43
გურგენიძე გურამ 64
დეკანოსიძე თამარ 69
თოდუა ფრიდონ 88
იოსელიანი გიორგი 96
მოსიძე ვახტანგ 139
ნადარეიშვილი კიაზო 144
ოკუჯავა ვაჟა 152
ტატიშვილი ნუგზარ 175
ყიფშიძე ნოდარ 194
ჭანიშვილი თეიმურაზ 228
ხეჩინაშვილი სიმონ 240
ჯავახიშვილი ნინო 246

ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

ამაღლობელი ნოდარ 18
ბერიკაშვილი ნოდარ 38
ბერიძე თენგიზ 39
ბუაჩიძე იოსებ (სოსო) 46
გაბუნია ლეო 51
გამყრელიძე ერეკლე 52
ვახანია ნიკოლოზ 78
ზაალიშვილი მალხაზ 80
ინასარიძე ხვედრი 94
ლომინაძე ჯუმბერ 118
მაჩაბელი გიორგი 128
ონიანი თენგიზ 153
სანაძე გივი 167
სანაძე თენგიზ 167
ტატაშიძე ზურაბ 175
ჩქარეული ჯუანშერ 211
ცინცაძე ნოდარ 218
ციციშვილი გიორგი 218
ძიძიგური არჩილ 222
ჭავჭანიძე ვლადიმერ 227
ჭოლოშვილი გიორგი 234
ხარაძე გიორგი 239
ხარაძე ევგენი 239

ჰუმანიტარული მეცნიერებანი

ალექსიძე ზაზა 16
ბარნოვი გურამ 35
ბერიძე ვახტანგ 39
ბუაჩიძე თამაზ 45
გამყრელიძე თამაზ 53
გვახარია ალექსანდრე 57
გიგინეიშვილი ბაქარ 58
გიორგაძე გრიგოლ 60
თევზაძე გურამ 87
თოდუა მაგალი 88
ლორთქიფანიძე მარიამ 119
ლორთქიფანიძე ოთარ 120
მელიქიშვილი გიორგი 131
მუსხელიშვილი დავით 141
ნადირაშვილი შოთა 145
სარჯველაძე ზურაბ 168
ყაუხჩიშვილი თინათინ 192
წერეთელი კონსტანტინე 224
ჭაბაშვილი მიხეილ 227
ჯაფარიძე ოთარ 250

მუსიკა, ბალეტი

ალექსიძე გოგი 16
ამირეჯიბი თენგიზ 19
ანანიაშვილი ნინო 21
ანდღულაძე ნოდარ 22
ანჯაფარიძე ეთერ 24
ბათიაშვილი თამაზ 32
ბაკურაძე თეიმურაზ 33
ბოლქვაძე ელისო 41
ბრეგვაძე ნანი 45
ბურჭულაძე პაატა 47
გაბარაშვილი თამარ 50
გაბუნია ნოდარ 52
დოიჯაშვილი მანანა 70
დოლიძე ლია 71
ერქომაიშვილი ანზორ 75
ვარდელი კონსტანტინე 77
ვირსალაძე ელისო 79
იაშვილი მარინა 91
ისაკაძე ლიანა 99
კახიძე ჯანსუღ 105

კვერნაძე ბიძინა 106
კორსანტია ალექსანდრე 112
მამისაშვილი ნოდარ 123
მაჭავარიანი ევგენი 129
მოგელაძე ვლადიმერ 138
მოსიძე შალვა 140
ნორაძე ირმა 149
ჟვანია ნოდარ 160
რამიშვილი ნინო 162
სოტკილავა ზურაბ 171
ქასრაშვილი მაყვალა 184
ყანჩელი გია 191
ყურაშვილი თამაზ 195
ჩუბინაშვილი ოთარ 210

პოლიტიკა

აღმასრულებელი ხელისუფლება

ადეიშვილი მერაბ 14
ასათიანი ვალერი 25
ასათიანი კახი 26
ბარამიძე გრიგოლ 35
ბოჭორიძე ირაკლი 43
გაზდელიანი თენგიზ 52
გულუა ბაკურ 63
ვაშაკიძე ვალერიან 78
ზალდასტანიშვილი კონსტანტინე 80
ზუბიტაშვილი დავით 82
თარგამაძე კახა 85
იაკობიძე დავით 91
ინჯია ფრიდონ 96
ისაკაძე თედო 98
კავსაძე ალექსანდრე (სანდრო) 100
კვაჭანტირაძე თამაზ 106
კვირაია შოთა 107
კომახიძე ნოდარ 111
ლეკიშვილი ნიკო 116
მამალაძე ლევან 123
მამრაძე პეტრე 124
მენაღარიშვილი ირაკლი 133
მიქელაძე ჯემალ 137
ნადარაია ნუგზარ 143
ნადარეიშვილი თამაზ 144
ნადიბაიძე ვარდიკო 145
ნიკოლოზიშვილი ნიკო 148
ნინიძე თედო 149
ობგაიძე შალვა 152
პაპავა ვლადიმერ 157
სალარიძე დავით 166
სილაგაძე ავთანდილ 169
ტყეშელაშვილი მერაბ 176
შევარდნაძე ედუარდ 198
შენგელია ზაზა 200
შოშიტაიშვილი ბადრი 202
ჩხენკელი მერაბ 214
ჩხობაძე ნინო 216
ჭკუასელი მიხეილ 233
ჯორბენაძე ავთანდილ 253
ჯულელი ემირ 254

საკანონმდებლო ხელისუფლება

აბაშიძე ასლან 13
აბაშიძე დავით 13
ადამია რევაზ 14
ახმეტელი ზურაბ 28
ბათიაშვილი ირაკლი 33
ბარამიძე გიორგი 34
ბოლქვაძე თამაზ 42
ბურჯანაძე ნინო 48
გიგინეიშვილი გივი 59
გიორგაძე მამუკა (ივანე) 60
დოლიძე როსტომ 72
თედიაშვილი ლევან 86
კანდელაკი ზაზა 104
კობახიძე გიორგი 109
კოკოევი კონსტანტინე 109
ლორთქიფანიძე როზა 121
მარშანია ადა 125
მიმინოშვილი რომან 136
ნათელაშვილი შალვა 147
ნოღაიდელი ზურაბ 151
ონოფრიშვილი დავით 154
ჟვანია ზურაბ 160
რჩეულიშვილი ვახტანგ 164
საიკაშვილი მიხეილ 165
სარიშვილი-ჭანტურია ირინა 167
სირორიძე ზაზა 170
სურმანიძე ედვარდ 172
ფაცაცია გერმანე 182
ღოღობერიძე ლანა 189
ყოლბაია ვახტანგ 195
შარაძე გურამ 197
შენგელაია ელდარ 200
ჩიტაია კახა 207
ჩიხრაძე იური 208
ჩიხრაძე ფიქრია 209
ცქიტიშვილი ზურაბ 220
ჯიბუტი მიხეილ 251

საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები, რელიგია, სახელმწიფო დაწესებულებები

ასათიანი აკაკი 24
გორდეზიანი რისმაგ 62
გუგუშვილი ეთერ 63
დავითაია ვახტანგ 66
დარჩია მარიკა 68
თავხელიძე ალბერტ 84
ილია II 93
ლევინი არიელ 116
ლომოური ნოდარ 119
მეტრეველი როინ 134
მოსიძე იური 139
ნათაძე ნოდარ 146
ნემსაძე ნანა 148
ნოდია გია 150
ორველაშვილი ნიკო 155
ოჩიაური გიორგი 155
ფანჯიკიძე გურამ 181
ქოიავა იოსებ (სოსო) 186
ჩაჩხუნაშვილი მიხეილ 204
ძიძიგური აკაკი 222
წერეთელი ირაკლი 224
ჭილაშვილი ლევან 234
ხაინდრავა ივლიანე 237
ხეცურიანი რამაზ 240
ხმალაძე ვახტანგ 243
ხუციშვილი გიორგი 244

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

აბრამიშვილი მერაბ 14
ამაშუკელი ელგუჯა 18
ანდრიაძე დავით 21
ბერძენიშვილი მერაბ 40
ბუღაძე გია 49
გუგუშვილი გიორგი 63
ეძგვერაძე გია 76
ვარვარიძე თამაზ 77
ზაუტაშვილი ილია 80
იაშვილი რევაზ 92
იგნატოვი ნიკოლოზ (კოკა) 92
კაკაბაძე ალდე 100
კალანდაძე ედმონდ 103
ლალიძე ლევან 116
მატუაშვილი შალვა 126
მირზაშვილი თენგიზ 136
ნიუარაძე ზურაბ 150
სუთიძე ირაკლი 171
შელია ლეილა 199
შენგელია-აბაშიძე ლორეტა 201
ჩაგელიშვილი გოგი 204
ცეცხლაძე მამუკა 217
ცუცქირიძე ლევან 219
ნიბახაშვილი გურამ 225
ჭოლოშვილი ლევან 234
ჭურღულია ნანა 235
ხარანაული ლევან 238
ხუნდაძე ჯიბსონ 243
ჯაფარიძე თემო 249

სპორტი

აზმაიფარაშვილი ზურაბ 15
ალექსანდრია ნანა 15
არველაძე შოთა 24
ბაგრატიონი ჯანსუღ 32
ბიგანიშვილი გურამ 40
გაფრინდაშვილი ნონა 54
გეგიძე ბიძინა 56
გოგია მუხრან 61
გუგავა ბერდია 62
გურიელი ნინო 65
დგებუაძე ვლადიმერ 68
დერიუგინი ნიკოლოზ 70
ვაზაგაშვილი გიორგი 77
ზენაიშვილი ემზარ 81
თორთლაძე გია 90
იაგორაშვილი ვახტანგ 91
იმნაიშვილი თამაზ 94
იოსელიანი ნანა 97
კანდელაკი გიორგი 103
კურტანიძე ელდარ 113
ლიპარტელიანი ბესიკ 117
მარჯანიშვილი მერაბ 126
მესხი ლეილა 133
მიქიაშვილი ბიძინა 138
მოდებაძე გურამ 139
მუსელიანი ვახტანგ 140
ჟორდანია მერაბ 160
რაფავა გია 163
რევაზიშვილი გიორგი 163
სალუქვაძე ნინო 166
ქეცბაია თემურ 185
ყიფიანი დავით 192

შელია მურთაზ	199
შუბლაძე ვაჟა	202
ჩიბურდანიძე მაია	205
ჩივაძე ალექსანდრე	206
ცხადაძე ზაურ	220
ცხადაძე კახაბერ	220
ჭეიშვილი მალხაზ	230
ხახალეიშვილი დავით	240